K 18801/2

ქართველთა საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების გამოცემა
ძველი ქართული მწერლობა.
ტომი I.

ეროვნული ბიბლიოთეკა

შაჰ-ნამე

ანუ

მეფეთა წიგნი

ქართული ვერსიები.

ტექსტი გამოსცა და წინასიტყვაობა და ლექსიკონი დაურთო
იუსტინე აბულაძემ

თბილისი
სტამბა „ქართლი" მ. ლოლაშვილისა, პუშკინის ქ., №. 10. შენობა.
1916 წ.

საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების გამოცემა
ძველი ქართული მწერლობა
ტომი I.

ეროვნული ბიბლიოთეკა
821.222.1-13
შ 35

შაჰ-ნამეს

ანუ

მეფეთა წიგნის

ქართული ვერსიები.

ტექსტი გამოსცა და წინასიტყვაობა და ლექსიკონი დაურთო
იუსტინე აბულაძემ

თბილისი
1916 წ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სტამბა „ქართლი" მ. ციციშვილისა, პუშკინის ქ., ძვ. სემ. შენობა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

პირველი ტომის სტატიათა სარჩევი

	გვერდი
ა. წინასიტყვაობა	I—XVI
ბ. პროზაული საამიანი და შაჰ-ნამეს ვერსიები	XVI—XXVIII
გ. ირანულის ეპოსისა და „შაჰ-ნამე"-ს გავლენის კვალნი ჩვენს წარსულსა და ლიტერატურაში	XXVIII—XXXI
დ. ხელნაწერთა საძიებელი . . .	XXXII
[illegible]	XXXIII—XXXIX

გთხოვთ, წიგნის წაკითხვამდე, აუცილებლად გაასწოროთ შემდეგი შეცთომები, რომლებიც აზრს სცვლიან:

მე-V-ე გვერდზე, განცხადებაში, მე-11 სტრიქონში, დასტამბულია „გამოლექსავის", უნდა იყოს „გამლექსავის". აქვე, წინასიტყვაობაში, მე-XX-ე გვერდზე, მე-16-ე სტრიქონში, დასტამბულია: „რაც შეეხება მეორე საკითხის"... უნდა იყოს: „რაც შეეხება მეორე საკითხს". მე-XXVII-ე გვერდზე, პირველ სტრიქონში დასტამბულია „შეთვისებულის", უნდა იყოს „შეთვისებული". მე-XXVIII-ე გვერდზე, მე-22-ე სტრიქონში დასტამბულია „სიკვდილამდე", უნდა იყოს: „სიკვდილიდამ". მე-601-ე გვერდზე 2228,3 ხაზში დასტამბულია „ცისკა ზურგად მიაჩია", უნდა იყოს: „ცისცა ზურგად მიაჩნია". მე-71-ე გვ. 1-ლ შენიშვნაში „ომ"-ის ახსნა შეცთომით გვაქვს და უნდა მოისპოს: იხ. ლექსიკონში „ომა და ომაინი". წინასიტყვაობის მე-VIII-ე გვერდზე მე-4-ე შენიშვნას უნდა დაემატოს შემდეგი: „იხ. აგრეთვე წ. კ. გ. ს-ბის საგანძურში ომანიანის ხელნაწერი 3163 №-ი, რომელიც ამავე კორნელიე ჩაჩიკაშვილის ხელით არის შესრულებული".

19/XI 43

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ამ შრომას რომ შევუდექით ამ ოთხის წლის წინად, ჩვენ სახეში გვქონდა დაგვესტამბა არსებულ ვარიანტებთან შედარებული და შემოწმებული „შაჰ-ნამე"-ს ვერსიების ერთ-ერთის რედაქციის ტექსტი. მაგრამ, ჩვენის მუშაობის დროს, დავრწმუნდით, რომ ერთს რომელსამე ტექსტზე დამყარება, ანუ უკეთ, იმის ძირითად ტექსტად გამოყენება, შეუძლებელი იყო, რადგან არ აღმოჩნდა ისეთი ხელნაწერი, რომელიც საგრძნობი დეფექტებით და ხარვეზებით სავსე არ ყოფილიყოს. ეს გარემოება ფრიად ართულებდა ჩვენს მუშაობას, რადგან იგი გვაიძულებდა, ერთის მხრით,—სხოლიოებში აუცილებლად მოგვეთავსებია ძირითადის ტექსტის შესამოწმებელი ვარიანტები, მეორე მხრით,—შეგვესწორებია და განგვემარტა ეს თუ ის ძნელი ადგილი და, რადგან გალექსილი ამბავი მის გამლექსავის მიერ მეტის-მეტად შემოკლებისა და დაკნინების გამო, შეუძლებლად ხდიდა, როგორც თვით მოთხრობის, ისე მოქმედ პირთა გაცნობას, სიტყვათა და საკუთარ სახელთა განუმარტებლად,—დაგვერთო, როგორც ნასესხების სიტყვების, ისე საკუთარის სახელების, განმარტება და საკუთარ სახელთა და ცნებათა საძიებელი.

ეს გარემოება და ისიც, რომ ჟამთა ვითარებისაგან გამოწვეულის სტამბვის ძნელ პირობებში მოგვიხდა მუშაობა, გვაიძულებს ამ გზობისად გადავდვათ ვერსიებისა და მათი ავტორების შესახები ვრცელი გამოკვლევა და მოვათავსოთ ამ წიგნში მხოლოდ მოკლე ხელსამძღვანი ცნობები ამ ჩვენ მიერ გამოქვეყნებულის ძეგლის შესახებ.

20 დეკემბერი, 1915 წ.

ეროვნული ბიბლიოთეკა
ბსბ

წინა-სიტყვაობა

I

წინამდებარე ტომი შეიცავს „შაჰ-ნამე“-ს, ანუ „მეფეთა წიგნი“-ს, ქართული ვერსიების ერთს ნახევარს, გადმოსტამბულს წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების საგანძურის ხელ-ნაწერებითგან სავსებით და უცვლელად, ე. ი. იმავე კრებულის სახით, როგორიც დაუცავს ჩვენთვის ამ ხელნაწერებს და, როგორც ამგვარი, წარმოგვიდგენს „შაჰ-ნამე“-ს ქართული ვერსიების ტექსტის შემუშავების პირველ ცდას.

ხელ-ნაწერები, რომლებითაც ჩვენ ვსარგებლობდით ჩვენის ძეგლის ტექსტის შემუშავების დროს,—ყველა,—ერთს საეკლესიო მუზეუმის 858 № ხელნაწერს გარდა,—შეადგენს წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების საგანძურის კუთვნილებას და განიყოფება ორ ჯგუფად:

პირველის ჯგუფის ხელნაწერები, როგორიცაა: 1505, ს. მ. 858 და 2384 №№-ები, წარმოგვიდგება ერთის მთლიანი კრებულის სახით და შეიცავს ცალკე სათაურების მქონ სხვა და სხვა ავტორთა ნაწარმოებთ, რომლებიც ეპიზოდების სახით შედიან საერთოდ ქართულ ენაზე არსებულის „შაჰ-ნამე“-ს, ანუ „მეფეთა წიგნი“-ს, ვერსიების შედგენილობაში, შემდეგი სათაურებით: 1) „ზააქიანი“, ე. ი. ზააქის თავგადასავალის წიგნი, 2) საამიანი, ანუ საამ-ნამე, რომელიც წარმოგვიდგენს როსტომის პაპის (ბაბუის) საგმირო თავგადასავალს და 3) როსტომიანი, ანუ რუსტემ-ნამე, რომელიც მოგვითხრობს ირანის გმირთა-გმირის რუსტემის საგმირო საქმეებს.

მეორე ჯგუფის ხელნაწერები კი, როგორიცაა ა. ორბელიანისეული 1580 №-ი და დადიანისეული 406 №:ი, შეიცავს მხოლოდ როსტომიანს, ან და, როგორც 4528 №-ი—მხოლოდ საამიანს, ე. ი. დასახელებული კრებულის ერთს რომელსამე ცალკე ნაწილს.

აქ ჩამოთვლილი ხელნაწერების მიხედვით, ჩვენი ტექსტიც შე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

სდგება სამის უმთავრესი ნაწილისაგან, სახელდობრ: ა) ზააქიანისაგან, რომლის გალექსვა ეკუთნის მეფის მდივანს მამუკას, რომელიც მე-17 საუკუნის პირველს ნახევარში მოღვაწეობდა [1]), ბ) საამიანისაგან, რომლის გამლექსავად ასახელებენ ბარძიმ ვაჩნაძეს [2]) და გ) როსტომიანისაგან, რომლის გალექსვას პოეტი არჩილ-მეფე მიაწერს ხოსრო თურმანის ძეს [3])

ამ პირველს ტომში მესამე ნაწილის, ე. ი. როსტომიანის, მხოლოდ ერთი ნახევარი დაისტამბა, სახელდობრ: ტექსტი თავდება როსტომისაგან ზურაბის მოკვლით და მკვდარის შვილის შავ-დევისაგან მოთქმა-ტირილით. ამნაირად ამ პირველის ტომის დასასრული Vullers-ის „შაჰ-ნამე"-ს ტექსტის პირველისავე ტომის დასასრულს უდრის.

II

ზააქიანისა და საამიანის ძირითადი ტექსტი.

პირველის, ე. ი. ზააქიანის, ხელ ნაწერები ყველა ნაკლულევანია. ზააქიანის შესავალი 25 ხანამდე დაუცავს ჩვენთვის ჯერ-ჯერობით ერთად ერთს 1505 № ხელ-ნაწერს, რომელიც ეკუთნის მე-18 საუკუნის მე-2-ე ნახევარს და შესრულებულია საუკეთესო კალიგრაფიისა და გადამწერლის მღვდლის ნიკოლოზის შვილის კორნელიეს ხელით [4]). სამწუხაროდ, ამ 1505 № ხელ-ნაწერშიაც კი სათაური, რომელშიაც გადამწერელი იუწყება ზააქიანისა და საამიანის ავტორთა ვინაობის შესახებ, დაფლეთილია და მისი ნახევარზე მეტი წილი მოსპობილი, მაგრამ აზრითა და აგრეთვე ზოგიერთი ჩვენამდე მოღწეული ბიბლიოგრაფიული ცნობების მიხედვით, შესაძლებელი ხდება ამ საინტერესო ადგილის აღდგენა. 25-ე ხანიდან დაწყებული ზააქიანი შენახულა ერთს მე-19 საუკუნის დასაწყისის ძრიად მდარე ხელ-ნა-

[1]) იხ. ამის შესახებ ტექსტის სხოლიოში შენიშვნა, მე-6-ე გვ., მე-6-ე ხანა, მე-7-ე შენიშვნა.

[2]) ibid და 115 ხანის სათაური: „ნარიმანის სიკვდილი" და მისი შესახები შენიშვნა ვარსკვლავს ქვეშ.

[3]) იხ. არჩილიანი, კარი მე-2-ე ძველთა და ახალთა საქართველოს მელექსეთა და Е. Т., Опис., т. II., вып. II, стр. 138.

[4]) ამ ფაქტს ჩვენ მივაგენით ერთს საბა სულხან ორბელიანის სიბრძნე-სიცრუის წიგნის ხელნაწერის წარწერაზე; ეს ხელნაწერი რუსე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

წერში, იხ. წ. კ. გამავრცელებელი საზოგადოების საცავებში 2384 №-ი ხელ-ნაწერი [1]), რომ ეს ხელ-ნაწერი არა, შეუძლებელი იქნებოდა ზააქიანის აღდგენა, რადგან 1505 №-ი ხელ-ნაწერის ფურცლები დაკარგულია და მასში სრულებით აღარ არსებობს 63 ხანა, სახელდობრ: 31—94 ხანამდე. 94—109 ხანამდე კი 1505 №-ი ხელ-ნაწერს გადარჩენია ერთი დაფლეთილი ფურცელი, რომელშიაც შენახულია 16 ხანა, ხოლო 109 ხანითგან დაწყებული 139 ხანამდი ისევ აკლია 1505 № ხელ-ნაწერს.

მაგრამ, აქაც, ჩვენდა ბედად, საეკლესიო მუზეუმში აღმოჩნდა ერთი 858 №-ი ხელნაწერი [2]), რომელიც შესრულებულია იმავე პირის ხელით, რომელსაც 1505 №-ი გადმოუწერია, რაც აშკარად სჩანს ერთის თვალის გადავლებითაც. ჩვენც, რამდენადაც შესაძლო იყო, აღვადგინეთ ეს დალუპული ადგილები, იხ. 3—11 გვ. გვ.

ამ ხელნაწერებს შემდეგ, ზააქიანის ტექსტის აღდგენისა და შემუშავების დროს, ჩვენ ანგარიში გაუწიეთ იმ გარემოებას, რომ პოეტი მე-17-ე საუკუნეში ცხოვრობდა, ამიტომაც უპირატესობა მივაკუთვნეთ 1528 № ხელნაწერს, რომელსაც შემოუნახავს ზააქიანის ერთი წილი და მთელი საამიანი [3]), ეს ხელნაწერი, როგორც უძველესი, სრულიად ამართლებს მეფის მდივნის ნამუკას ენის ფორმებსა და მართლ-წერას, რომელსაც ჩვენ კარგად ვიცნობთ ჩვენამდი მოღწეული საისტ. და საეთნ. საზოგადოების საცავებში უძველესი ხელ-ნაწერითგან, რომელიც შესრულებულია 1646 წელს იმავე პირის ხელით [4]). ამიტომაც ზააქიანისა და საამიანის ტექსტის შემუშავების დროს, უპირატესობა ამ საუკეთესო ხელ-ნაწერს მივაკუთვნეთ

თიდამ გამოუგზავნათ წ. კ. საზოგადოების მდივნის სახელზე, ამ 5 წლის წინათ, წ. კ. საზ. საცავებისთვის შესაძენად, არ ვიცით, შეიძინა, თუ არა, წ. კ. საზოგადოებამ ეს ხელნაწერი, რომელზედაც შემდეგი წარწერა იყო: ,,დაიწერა წიგნი ესე მალხენელი და მარტოსა გამამხნევებელი სიბრძნე-სიცრუის წიგნი ხელითა ჩაჩიკას შვილის მღვდლის ნიკოლოზის ძის კორნელიესაგან. ღმერთო, მშვიდობაში აკმარე, ვისაც ხელთ იყოს წიგნი ესე—ქმარი და თავი, ძენი და ასულნი ეკლესიის და ვინცა ჰკრავს თვალთა ნათელი. აღესრულა თებერვლის იგ, ქრონიკონი უო—470 წ.—1782 წ.“

[1]) იხ. Е. Так., Описаніе, т. I, вып. II, стр. 370.

[2]) იხ. Е. Так., Опис. т. II, вып. III, стр. 544.

[3]) იხ. საამიანის ამ საუკეთესო ხელ-ნაწერის შესახებ Е. Так., Опис. т. II, вып. III, стр. 487.

[4]) იხ. საისტ. და საეთნ. საზ. საცავებში 599 №-ი ხელნაწერი.

იხ. აგრეთვე წ. კ. გ. საზ-ის საცავებში ზააქიანის ხელნაწერი 3163 №-ი, რომელიც აგრეთვე კორნელიო ჩაჩიკაშვილის ხელით [illegible] შესრულებულია.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

და ვისარგებლეთ 1505 და საქ. მუზ. 858 №№ ხელ-ნაწერების ვარიანტებით მხოლოდ მის პირველს ნაწილში, ანუ თავითგან მე-64 ხანამდე, ე. ი. იმ შემთხვევაში, როცა ამ ჩვენს ხელ-ნაწერში ზააქიანის ხსენებული ნაწილი დაღუპული იყო, თუმცა, ამავე დროს, როცა ჩვენის ხელ-ნაწერის ვარიანტები, 1505 და ს. მ. 858 №№-ებთან შედარებით, აშკარა უაზრობას წარმოადგენდა, ჩვენ შეგვქონდა შესწორებები ამ უკანასკნელების ვარიანტების მიხედვით, და ყველა ამ შემთხვევაში სხოლიოში ვათავსებდით 4528 №-ი ხელ-ნაწერის ვარიანტსაც. დაღუპული ადგილების შესავსებად ჩვენ გამოვიყენეთ მდარე 2384 №-ი ხელ-ნაწერის ვარიანტიც, და ამ შემთხვევაშიაც დავიცავით ისევ 4528 №-ი ხელ-ნაწერის მართლ-წერა.

III

ამნაირად ჩვენის შრომის მეორე ნაწილის, ე. ი. საამიანის, ტექსტს საფუძვლად უდევს 4528-ე №-ი ხელ-ნაწერი, იმ განსხვავებით, რომ იმ შემთხვევაში, როცა ტექსტი ენის მხრით აშკარა უკანონონობასა და, მაშასადამე, გადამწერლის შეცთომას ამხილებდა, ჩვენ უპირატესობას ვაძლევდით 1505-ე №-ს ხელ-ნაწერს (=საქ. მუზ. 858-ე №-ი) და ამავე დროს სხოლიოში ვათავსებდით 4528-ე №-ი ხელნაწერის წაკითხვასაც. ამასთან უნდა შევნიშნოთ, რომ ჩვენი საამიანი წარმოადგენს ბარძიმ ვაჩნაძის მიერ გალექსვას ჩვენდამი მოღწეულის პროზით ნათარგმნის „საამ-ნამე“-სას (საამის თავგადასავალი), რომელიც აღმოჩნდა ჩვენ მიერ ტექსტის სტამბვის დაწყებიდგან ერთის წლის შემდეგ [1]), რომ ეს გარემოება არა, ეს ხელ-ნა-

[1]) ეს ძვირფასი ხელ-ნაწერი unicum ამ ჟამად შეადგენს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების საგანძურის საკუთრებას, იხ. 921 №-ი ხელ-ნაწერი. ხელ-ნაწერს, სამწუხაროდ, თავი და ბოლო აკლია. დაწერის დატა არა აქვს, მაგრამ იგი ძალიან გვაგონებს „რუსუდიანი“-ს სტილს და ენის მხრით უნდა ეკუთვნოდეს მე-18-ე საუკუნის პირველ ნახევარს. ჩვენ მიერ წარმოდგენილი გალექსილი საამიანი სიტყვა-სიტყვით მისდევს ამ პროზით ნათარგმნს და, რომ გვიან არ ჩაგვვარდნოდა ხელში, ჩვენ აუცილებლად ვარჩევდით უფრო ადრე ამ უკანასკნელის გამოქვეყნებას, რადგან იგი, თავისი სიძველით, წარმოგვიდგენს ფრიად საინტერესო ძეგლს, რომელსაც „შაჰ-ნამე“-ს არსებულ ვერსიათა საკითხის გადაწყვეტისათვის ბევრად მეტი მნიშვნელობა აქვს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

წერი, ჩვენის ძეგლის სტამბვის იმ თავითვე, დიდ სამსახურს გაუწევდა საამიანის ტექსტის შესწორებების საქმეს, მაგრამ ვიმედობთ, რომ ჩვენ მიერ ძირითადი ტექსტისთვის არჩეული ზემორე დასახელებული 1528-ე №-ი ხელ-ნაწერი თავისი ვარიანტებით სავსებით ამართლებს ამ ძეგლის, ე. ი. ახლად აღმოჩენილის საამიანის, პროზაული თარგმანის ენას.

სამწუხაროდ, ჩვენ არ შეგვიძლია რაიმე გარკვეული აზრი გამოვსთქვათ იმის შესახებ, თუ რომელი ძველის-ძველი ამბავი აქვს სახეში ზააქიანის გამლექსავ მეფის მდივან მამუკას, როდესაც იგი ამბობს: „საქართველოს ეს ამბავი დარჩომოდა ძველის-ძველით“[1], ჩვენამდი მოღწეული პროზითი საამიანი, თუ სხვა კიდევ უფრო ძველი თარგმანი. ეს კი აშკარაა, რომ ჩვენს ზააქიანსა და პროზით საამიანში მოთხრობილს ზააქის ამბავს ერთი და იგივე შრომა არ უნდა ედვას საფუძვლად, რადგან მამუკას გალექსილი ზააქიანი, როგორც შინაარსით, ისე თავისი სიმოკლით, უფრო ემხრობა ფირდოუსის „შაჰნამე“-ში მოთავსებულს ზააქის შესახებს ეპიზოდს, ვიდრე ჩვენს ახლად აღმოჩენილ ძეგლში მოთავსებულს ვრცელს ფალავნების შესახებ მოთხრობას. ყველა ეს ფალავნები ამ პროზითი საამიანის ზააქის შესახებს ეპიზოდში წარმოდგენილია ზააქის მოპირდაპირებად, თუ მომხრეებად, ხოლო არსადა სჩანს მამუკა მდივნის გალექსილ საამიანში[2]. ყველა ამისდა მიხედვით, ჩვენ ვფიქრობთ, რომ მეფის მდი-

---

[1]) იხ. ამის შესახებ 3 გვ. შესავალი, 1 ტაეპი, მე-2-ე შენიშვნა.

[2]) ჩვენი „საამიანი“-ს ტექსტი უკვე დასტამბული იყო, როცა ჩვენს ქართულ საგანძურში შემოვიდა ერთი ახალი ხელნაწერი (იხ. საისტ. და საეთნ. საზოგ. საგანძურის 61 №-ი ხელნაწერი), რომელიც შეიცავს გალექსილ ზააქიანსა და საამიანს. იგი ჩვენის ტექსტისაგან განსხვავებულ რედაქციას წარმოადგენს და გალექსილია სხვა მელექსის და არა მეფის მდივნის მამუკას მიერ. დაწერილია ცარუს ქაღალდზე მე-17-ე საუკუნის ლამაზი მრგვალი მხედრულის ხელით. ზომა 25×17 სანტ.

ხელნაწერს თავი და ბოლო აკლია.

დასაწყისი:

1) რა მოურჩების ჩემს ჭანგსა ამა მაღალსა მჴნესაო,
2) სულთაგან დაგცლი, გოჯობდა, — არამც ქმობე დედასა,
მიწა შევღებო სისხლითა დაუაშხობ (sic) შენსა ბედასა,
ვატირებ შენსა მშობელსა, ძმასა და მამა-დედასა,
და ადრე მიგწიო მამასა, ლახტით დაგიმსხვრევ ქედასა.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ვანმა მამუკამ ისარგებლა სხვა უფრო მოკლე ვერსიით, რომელიც უფრო ახლო უნდა ყოფილიყოს ფირდოუსის „შაჰ-ნამე“-ში მოთხრობილს ზააქის შესახებ ამბავზე.

IV

როსტომიანის ძირითადს ტექსტს საფუძვლად უდევს 428-ე №-ი ხელ-ნაწერი, რომლის ვარიანტებს უმეტეს შემთხვევაში ეთანხმება 1505 №-ი ხელ-ნაწერი, განსხვავება მათ შორის აიხსნება გადამწერელთა უყურადღებობით. უთანხმოება დადიანისეულს (406 №-ი) ხელ-ნაწერსა და ამ ორ დასახელებულ ხელ-ნაწერს შორის აშკარად სჩანს ჩვენ მიერ სხოლიოდ მოტანილი ვარიანტებითგანაც. ამ სამის ხელ-ნაწერის ვარიანტების შედარებითგან ის დასკვნა გამოგვაქვს, რომ დადიანისეული ხელ-ნაწერის შემსრულებელს დიდი თვითნებობა უხმარია, რომ გაეწმინდა ტექსტი ეგზოტიზმებისაგან და ამასთან გაესალამაზებინა ლექსი; თუ რამდენად გადასხვაფერებულია დადიანისეულის ხელ-ნაწერის ტექსტი, — გადამწერის, თუ როსტომიანის შემკეთებლის მელექსის ხელით, — ამას აშკარად გვიჩვენებს შემდეგი თვალსაჩინო მაგალითი, სადაც დადიანისეულ ხელ-ნაწერში სრულიად განდევნილია არაბულ-თურქული ტერმინი „მელუქი“ და მის ნაცვლად ხმარებულია ქარ-

---

3) უთროუთ ესე გაიგონა გრძნეულისა დევისაგან,
შეუზახა: „მურალო დევო, რას კარგს ელი ბედისაგან“,
დევმან ლახტი შეუმზადა, შორე იყო თნევისაგან,
და ფათრათ ფარი თავს დაარქო, წაიქცევის შენე რისაგან...

4) ლახტი დაჰკრა ფალავანსა, ფარი თავსა დაალეწა, და სხვა.

აქვე უთროუთის ამბავს მისდევს ზააქიანი, ანუ ზააქის ამბავი სწორედ ისე, როგორც პროზის თარგმანში და იწყება შემდეგი სათაურით:

აქა პირველი დასაწყისი ზააქისი:
მურდავს ერთი შვილი დარჩა, მას სახელად ზააქ ქვიან,
მას ეშმაკის მანქანებით, მხართა გველი დაასხდიან,
მას ეჩვენა ამხანაგათ ბელზებული მოუდგიანნ,
იგ შეადგა მაცდუნებლად, მისთვის ეტლი ავად რბიანნ.

უკანასკნელი სათაური 229 გვერდზე ხელნაწერისა არის:
აქა ნარიმანისა და არმან დევის ომი. ხელნაწერი წყდება 252 გვერდზე.

თული სრულიად უადგილოდ: 1484-ე ხანის მე-2-ე ტაეპში დადიანისეულს ხელნაწერში მესამე ტაეპის სიტყვები: ,,დროშანი თეთრი მწვანითა მელუქად‘‘, შეცვლილია სიტყვებად: ,,დროშანი თეთრი ჩანს ვითა მზის შუქად, საიდანაც სჩანს, რომ დადიანისეული ხელნაწერი წარყვნილია, რადგან „თეთრი მწვანითა მელუქად დროშანი‘‘ ნიშნავს: ,,თეთრ-მწვანე დროშანი აფრიალებული იყვნენო‘‘, მაშინ როდესაც დადიანისეულის რედაქციის ამ ადგილს (იხ. აქვე, შენიშვნა 13) არავითარი აზრი არა აქვს, რაც აშკარად ამხილებს ყალბის მქნელს. 2412 ხანის მე-2-ე ტაეპში დადიანისეულს ხელნაწერში შეცვლილია სიტყვა ,,არდუმითა‘‘ ,,არმუდითა‘‘-ს სახით, ხოლო ამავე ხანის მე-3-ე ტაეპში სიტყვა ,,არნუმითა‘‘ ,,არმუნითა‘‘-ს სახით. დადიანისეულის ხელნაწერის ერთიცა და მეორე წაკითხვაც, ჩვენის აზრით, წარყვნილი უნდა იყოს, რადგან ლექსსაც ღალატობს და აზრიც არა აქვს. ჩვენის ძირითადის ტექსტის არდუმი კი უნდა ნიშნავდეს ან სროლას (თოფ-ზარბაზნის, გინა ისრის სროლას) და მაშინ უნდა იყოს წარმოებული არაბ.-თურქ. ირთამა, ارتمه-სგან, ან იგი უნდა იყოს ლექსისთვის ხმარებული ,,არდუმი‘‘=არდუმილი, ე. ი. ყვირილი (იხ. ლექს.), აგრეთვე ,,არნუმი‘‘ უნდა ნიშნავდეს ან დახოცილთა სიმრავლეს, გინა შლას, ანუ ხრწნას (იხ. ლექს.) 1338,3 ხანის მე-3-ე ტაეპში სიტყვა ,,გულ-ბანავში‘‘ დადიანისეულის ხელნაწერით შეცვლილია ,,გულბა-შაქარი‘‘-ს სახით, ე. ი. სრულიად წარყვნილია, რადგან ამ უკანასკნელი სახით სიტყვას აზრი აღარა აქვს.

1770,3 ხანაში დადიანისეული ხელ-ნაწერი შეცთომით კითხულობს ,,ყოშუმ-ყოშუმად‘‘-ო, უნდა იყოს: ,,ყოშუნ-ყოშუნად‘‘, ისე როგორც 428 № ხელნაწერშია.

1963,3 ხანაში დად. და ა. ო. (1580 №-ი) შეცთომით კითხულობენ: 1-ლი: ,,ფილილითა‘‘-ს, ხოლო მეორე—,,კივილითა‘‘-ს, მაშინ როდესაც 428 და 1505 №№-ები სრულიად ნათლად და გასაგებად კითხულობენ ამ ადგილს სიტყვით ,,ქილილითა‘‘, იხ. ლექსიკონში.

1781,2 ხანაში დად. ხელნაწერი დევის საკუთარ სახელს ,,ოლონ‘‘-ს სრულიად ამახინჯებს და სცვლის კავშირის ,,ოდენ‘‘-ის სახით, და ამნაირად, 428 №-ი ხელნაწერის სწორი წაკითხვის ,,ოლონ ქაჯეთის გვარისა‘‘-ს ნაცვლად, დადიანისეული ხელნაწერი კითხულობს: ,,ოდენ ქაჯეთის გვარისაო‘‘, რაც სრულიად უაზროა.

საზოგადოდ, დადიანისეულს რედაქციას აშკარად ეტყობა ტენდენცია შესცვალოს ნასესხები და უცხო სიტყვები ნამდვილ ქარ-

თულად, თუნდაც ეს უკანასკნელები უადგილოდაც იქმნენ ნახმარნი
ამას საკმაოდ ამტკიცებენ სხოლიოში მოთავსებული ვარიანტები,
როგორც დადიანისეულის, ისე სხვა ხელნაწერებითგან. ამავე დროს
დადიანისეული ხელნაწერის შემსრულებელს ჩინებულად ქონია შე-
თვისებული ნაწარმოების შექმნის დროის მართლ-წერა, რასაც აშ-
კარად მოწმობს ის გარემოება, რომ დადიანისეულის ხელნაწერის
მართლ-წერა სავსებით ამართლებს უძველესის 128-ე №-ი ხელნაწე-
რის მართლ-წერასა.

ზემორე მოტანილ მოსაზრებათა მიხედვით, ჩვენ დავიცავით
ამ ორის ხელნაწერის მართლ-წერა, ხოლო ამ მართლწერის ნორ-
მიდგან გადახვევა ჩვენ აღნიშნული გვაქვს ყველგან სხოლიოში. რად-
გან 428-ე №-ი ხელნაწერი, როგორც ლექსიურის, ისე სტილის მხრი-
თაც, უფრო შეესაბამება ჩვენის ძეგლის შექმნის დროს, ამ ხელნა-
წერის ძირითადი ტექსტისთვის შესწორების დროს, ჩვენ უპირატე-
სობას ვაძლევდით იმ ვარიანტებს, რომლებიც ამ ხელნაწერის ვა-
რიანტებს ადასტურებდა

მაგ., იმ შემთხვევაში, როდესაც 128 და 1505 №№-ების ვარი-
ანტები, დადიანისეულის ხელნაწერის შესაბამ ადგილებთან შედარე-
ბით, აშკარა უაზრობას წარმოადგენდა, ჩვენ შეგვქონდა ძირითადს
ტექსტში, დადიანისეულის ხელნაწერის ვარიანტის მიხედვით, შესწო-
რება, თუ ამის საბუთს იძლეოდა ა. ორბელიანისეული 1580 №-ი
ხელთნაწერი, ე. ი. როდესაც ეს უკანასკნელი დადიანისეულის ვარი-
ანტს იმეორებდა; წინააღმდეგს შემთხვევაში კი, ე. ი. როდესაც ა.
ო.—სეული ხელთნაწერი 128 და 1505 №№-ების ვარიანტს ადასტუ-
რებდა, ჩვენ ყოველთვის უპირატესობას ამ უკანასკნელებს ვაძლევ-
დით. ეს ა. ო.—სეული ხელთნაწერი დიდ ნდობას იწვევდა აგრეთვე
თავისი ზოგიერთი ფორმებითაც, როგორიცაა: „საფადარი“ ან „სა-
ფადი“, წინააღმდეგ დანარჩენი ხელთნაწერების „სფაადარი“-სა, ან
„სფაადი“-სა, ან „სპანდიერ“ „სპანდიატ“-ის ნაცვლად, „შაჰრიარი“
„შარიელი“ ს ნაცვლად და სხვა. მსგავსს შემთხვევებში, ჩვენ უპირა-
ტესობა მივაკუთვნეთ ამ ხელთნაწერის ზოგიერთ წაკითხვასაც. აგრეთ-
ვე ეს ხელთნაწერი მოკლებულია იმ ვულგარიზაციას, რომლითაც
ცნობილია ყველა უფრო გვიან გადაწერილი ხელთნაწერი, ამისდამი-
ხედვით, ჩვენ ხშირად უპირატესობას ვაძლევდით ამ ხელთნაწერის
ორთოგრაფიისა და აშკარა კლასიკურ ფორმებსაც.

აქვე უნდა მოვიხსენიოთ ჩვენის ტექსტის ერთი მძიმე ნაკლიც,
სახელდობრ: „როსტომიანის“ პირველ ნაწილში ჩვენ ძირითადი ტექს-
ტისთვის ვემყარებოდით დადიანისეულს ხელნაწერზე 353 გვერდამ-

დე; მეორე ნაწილში კი, ე. ი. ამ 353 გვერდიდგან დაწყებული, უპირატესობა მივაკუთნეთ 128-ე № ხელნაწერს. ამისი მიზეზი იყო ის, რომ სწორედ იმ დროს, როდესაც ჩვენ დავიწყეთ ჩვენი შრომა, მოხდა წ. კ. გამავრცელებელი საზოგადოების საგანძურ-წიგნსაცავის ჩვენზე ძალიან შორს—სათავად-აზნაურო გიმნაზიის შენობაში—გადატანა და ეს შეუძლებლად ხდიდა ამ საგანძურის ხელნაწერებით სარგებლობას იმ დრომდე, სანამ ისინი ცნობაში არ იქმნა მოყვანილი. ამასთანავე უნდა ვაღიაროთ, რომ ჩვენ, ჩვენის შრომის პირველ ხანაშივე, ვერ გამოვიჩინეთ ჯეროვანი დამოუკიდებლობა და დავემორჩილეთ იმ შემცდარ აზრს, რომლითაც დადიანისეული ხელნაწერი, როგორც თავისი შედგენილობით, ისე სტილითაც, დედანთან ახლო იდგა [1]) მხოლოდ 428-ე № ხელნაწერისა და ე. თაყაიშვილის მიერ გამოქვეყნებული აწერილობის გაცნობის შემდეგ [2]), რომელიც ზემორე დასახელებული მიზეზების გამო ამ შრომის დაწყებითგან ათისთვის შემდეგ მოგვიხდა, ჩვენთვის ცხადი შეიქმნა 428-ე №-ი ხელნაწერისა და მისი მომდევნო 1505-ე №-ის უპირატესობა დადიანისეულის ხელნაწერისწინაშე. 128-ე № ხელნაწერს თავი ბევრი აკლია და იწყება მხოლოდ 1166-ე ხანით (იხ. 323 გვერდზე), ხოლო ჩვენ ვსარგებლობთ ძირითადის ტექსტისთვის და შესწორების დროს მოგვაქვს მისი ვარიანტებიც სხოლიოდ, მხოლოდ 1888 ხანის მესამე ტაეპიდგან (ე. ი.. 353 გვერდის პირველივე სტრიქონიდგანვე). იმ შემთხვევაში, როდესაც რომელიმე ვარიანტი სხვების წინაშე აშკარა უპირატესობის მქონი იყო, შეგვქონდა ძირითადს ტექსტში და ამგვარი შესწორების დროს ვიმოწმებდით, სხოლიოში მოტანის საშვალებით, სხვა ვარიანტებსაც. ამნაირად მივიღეთ წინამდებარე ტექსტი. მეტია იმის თქმა, რომ ერთის რომლისამე ხელნაწერის ტექსტის შეუსწორებლად მიღება, არა სასურველი იქმნებოდა. ამაში ყველა დამეთანხმება, ვინც კი გაიცნობს სათითაოდ როსტომიანის არსებულ ხელნაწერებს, რომლებიც,—რომელიც გინდა აიღეთ,—მრავალგვარი უაზრობით სავსეა. ამიტომაც ჩვენ ხელნაწერების ტექსტის ორიგინალთან შედარებით შესწავლისა და სხოლიოებში მოთავსებული ვარიანტების მოწმობის საშვალებით, შესაძლებლად მიგვაჩნდა

---

[1]) დადიანისეულ 406 № ხელნაწერს, რომლის დასტამბვა განუზრახავს ამ 26 წლის წინად ტფილისში შემდგარს ქართულის ისტორიისა და ლიტერატურის მოყვარეთა წრეს, წარწერილი აქვს ცენზორის ნებართვა 1901 წლის 7 აგვისტოს თარიღით.

[2]) იხ. Е. Т. Описаніе, т. I. вып. II, стр. 361 и 377.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტექსტის ამ სახით გამომუშავება [1]. ყოველის ჩვენი შესწორების შესახებ მკითხველი პასუხს მიიღებს სხოლიოებში მოთავსებული შენიშვნებითა და ვარიანტებით.

აქვე საჭიროდ ვრაცხთ შევეხოთ ორიოდე სიტყვით როსტომიანის მართლ წერასა.

როსტომიანის ტექსტის მართლ-წერაში ჩვენ დავიცავით იგივე წესი, რაც ზააქიანისა და საამიანის ტექსტის შემუშავების დროს.

ჩვენ მიერ ჩამოთვლილს ხელნაწერებში 428 №-ის პირს შეადგენს 1505 №-ში მოთავსებული როსტომიანი; ეს 1505 №-ი და ს. შ. 858 №-ი, როგორც ვიცით, სრულიად ერთი და იგივეა, როგორც მართლწერის, ისე ვარიანტების მხრით, რადგან ერთისა და იმავე პირის ხელით არის გადაწერილი [2]. პირველსა და ამ ორ უკანასკნელ ხელნაწერს შორის ის განსხვავებაა, რომ პირველში ამ უკანასკნელებთან შედარებით, დაცულია, როგორც საშუალო საუკუნის, ისე ალორძინების ხანის, ქართულის საერო მწერლობის მართლ-წერა,

---

[1] ტექსტის ამ სახით გამომუშავების საბუთს გვაძლევს შემდეგი უტყუარი ფაქტები, რომლებიც მოწმობს, რომ ერთს რომელსამე ხელნაწერზე სრული დანდობა და მისი ვარიანტების უცვლელად მიღება ნამდვილსა და უტყუარ ტექსტს ვერ მოგვცემს:

როგორც ვიცით, 428 და 1505 №№ ხელნაწერები თავიანთი ვარიანტებით, დადიანისეულზე უფრო სწორია, მაგრამ ზოგჯერ საჭიროა დადიანისეული ხელნაწერის წაკითხვასაც მიეცეს უპირატესობა: მაგ., 784 გვერდზე, 2978 ხაზში ყველა ხელნაწერი კითხულობს: „შვიდთ ქიშვალთა“; დადიანისეული კი „შვიდთ ქიშვართა“; ეს უკანასკნელი, რა თქმა უნდა, უფრო სწორია, რადგან „ქიშვარი“ ნიშნავს იყლიმს, ჰავა-ადგილს, ქვეყნის ერთს მთავარ კუთხეს, იხ. ლექსიკონი. ამ ადგილასაც ასე უნდა იყოს და არა ქიშვალ, ფალავნის საკუთარი სახელია. 594, 3 ხაზში 4528 №-ი კითხულობს: ვით ქაფარი, სხვები—ვით ფაფარი. აქ არც ერთი ვარიანტი არ შეიძლება მიღებულ იქმნას, მაგრამ 4528 №-ის ვარიანტი მაინც უკეთესია, რადგან იგი არის წარყვნილი ქაფური, რასაც ამართლებს საამიანის ტექსტის დაბეჭვდის შემდეგ აღმოჩენილი პროზაული თარგმანის ხელნაწერი.

[2] ყველაზე სრული 2384 №-ი ხელნაწერი, რომელიც წარმოდგენილია კრებულის სახით და შეიცავს სამსავე ნაწილს,—ზააქიანს, საამიანს და როსტომიანს,—ეკუთნის მე-19-ე საუკუნის დასაწყისს და როგორც მეტის მეტად გავულგარებული, მართლწერის მხრით საყურადღებო არ არის,

რომლითაც ძველი პალეოგრაფიული ოკ უ-ნად იწერება, უკანასკნელებში კი—ნახევარ-ხმოვანი უ-ნი ჩვეულებრივის (ახალი) მართლ-წერის მიხედვით, გამარტივებულია და იწერება ვ-ნად. ამიტომაც— ჩუენ, თქუენ, მოსულა (=მოსვლა), სიყუარული, სიკუდილი, ყუელა, თუალი, ჭურეტა და სხვა პირველში ყველგან უ-ნით, უკანასკნელებში კი ვ-ნით იწერება. 428 №-ის მართლ-წერის, მცირეოდენის განსხვავებით იცავს დადიანისეული 406 №-ი ხელნაწერიც, თუმცა ერთიცა და მეორეც მართლ-წერაში დიდ რყევას განიცდის, რაც აღორძინების ხანის მწერლობის დამახასიათებელია: მაგ., მოჴსენება ხან ჴ-რით, ხან, თითქმის უფრო ხშირად, ხ-ნით იწერება, აგრეთვე სიტყვები: ჩუენ, თქუენ, ჭურეტა, გაკურვება და სხვა. რადგან 428 №-ი ხელნაწერი ყველაზე ძველია და ზაქარიასა და საამიანის ავტორების დროს ეკუთნის, და, ამავე დროს, მის ვარიანტებს სრულიად ადასტურებს 1505 და ს. მ. 858 №№-ები, რომლებიც, როგორც ჩვენ უკვე აღვნიშნეთ, საუკეთესო კალიგრაფისა და გულმართლად გადამწერლის კორნელიუს ჩიჩიკაშვილის ხელით არის შესრულებული, ამიტომ როსტომიანის ძირითადის ტექსტისთვის ჩვენ გამოვიყენეთ 428 №-ი ხელნაწერი, ხოლო ჩვენ დავიცავით მთელის თავისი რყევით ამავე ხელ-ნაწერისა და დად. 406 №-ის მართლწერა.

დანარჩენი ცნობები ჩვენ მიერ გამოქვეყნებული ძეგლისა და მისი ავტორების შესახებ მოთავსებული იქნება ცალკე დამზადებულს ვრცელ გამოკვლევაში, რომლის დასტამბვა ამ ჟამად ქაღალდის ნაკლებობის გამო არ ხერხდება.

დასასრულ ორიოდე სიტყვა ტექნიკური მხარის შესახებაც.

სათაურები, რომლებსაც ხშირად სახელწოდებად „საბოლოო“ უფრო შეეფერებათ, ვიდრე „სათაური“ რადგან ისინი თავების დასასრულში არიან მოთავსებული და აღნიშნავენ უკვე ნათქვამის შინაარსს, (მაგალითისთვის დავასახელებთ 27 და 33 თავებს) ჩვენ უმეტეს შემთხვევაში დავსტოვეთ უცვლელად და მხოლოდ ზოგიერთს შემთხვევაში, რადგან ამას პირდაპირ მოითხოვდა ამა თუ იმ თავის შინაარსი, ჩვენ გადავსვით და შევსცვალეთ (იხ. 84, 301 და 302 გვ. გვ. სათაურები) და, მათი რედაქციის დროს, ჩვენ დავიცავით ტექსტში მიღებული ფორმები. ამგვარი ცვლილების, ან ახალი სათაურების შეტანის შესახებ, ჩვენ ყოველთვის ვათავსებთ ცნობას სქოლიოში.

სქოლიოში, ვარიანტების დართვის დროს, ჩვენ ხშირად ვასახელებთ ორის ხელნაწერის ნომრებს, რომლებიც ერთისა და იმავე

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვარიანტს იძლევიან, რომ ცხად ვჰყოთ ამგვარ ხელნაწერთა რედაქციის ერთი და იგივეობა. (იხ. მაგ. 292 და 324 გვ. გვ.)

ვარსკვლავს ქვეშ მოთავსებულია როგორც ლექსიკონში, ისე საძიებელში, ის სიტყვები, რომლებიც, ან ტექსტის მეორე ტომში ხვდება, ან რომლების შეჯერება და მათთვის შესაფერის ხანათა ციფრების დასმა, სტამბეის სიჩქარის გამო, ვეღარ მოვასწარით.

ზოგიერთს შემთხვევაში ჩვენ სრული საბუთი გვქონდა შეგვესწორებია ძირითადის ტექსტის საფუძვლად დადებულის ხელნაწერის ვარიანტიც, მაგრამ, სტამბეის სიჩქარის გამო, ეს ვეღარ მოვასწარით: მაგ., 752 გვერდზე 2790,3 ხანაში აშკარად ღალატობს ლექსის რითმს „მკლავთ სიმაგრე", აშკარაა, აქ უნდა ყოფილიყო „მკლავთ სიგმირე"—ეტყობა, ლექსის მხრით, ძალიან ბევრი დაჰკარგეს ვერსიებმა სხვა და სხვა გადამწერელი—მელექსის წყალობით. აგრეთვე ღალატობს რითმას 424,4 ხანაში წაკითხვა რითმის დამაბოლოებელი სიტყვის „ვითა ტრამალსა" „ვითა ტრამასა"-ს ნაცვლად. ეს ადგილი რუსთველის მიბაძვით არის დაწერილი, იხ. ვეფხ. ტყაოსანი, 484,4 და, მაშასადამე, უპირატესობაც ძირითადის ტექსტის საფუძვლად დადებულის 4528 №-ი ხელნაწერის ვარიანტს „ვითა ტრამასა"-ს უნდა მიეცეს.

ხალხურ ფორმებს, ვულგარიზმებს, ტექსტის შემუშავების დროს, ჩვენ ყოველთვის უპირატესობას ვაკუთნებდით, რასაც მოწმობს სხოლიოებში მოთავსებული შენიშვნები.

სხოლიოებში ხშირად სასურველად ვერ არის განმარტებული ზოგიერთი სიტყვაც, რომელსაც ჩვენ ლექსიკონში ვასწორებთ.

სტამბისავე სიჩქარის გამო, ხშირად სასვენი ნიშნებიც ვერ არის თავ-თავის ადგილას დასმული, რაც აუცილებლად უნდა გასწორდეს.

ი. ა.

30 დეკემბერი 1915 წ.

ქ. თბილისი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

V

პროზაული საამიანი და ,,შაჰ-ნამე''-ს ვერსიები.

როგორც ზემორე აღვნიშნეთ, ჩვენის ტექსტის მეორე ნაწილი, ანუ საამიანი, წარმოადგენს უკვე ამ ბოლო დროს აღმოჩენილის პროზაული საამიანის გალექსვას. ეს პროზაულის საამიანის ხელნაწერი, ზომით, 31×22 სანტ., ამჟამად შეადგენს საისტ. და საეთნოგ. საზოგადოების კუთვნილებას (იხ. 921 №-ი ხელთნაწერი), დაწერილია კარგს გაქონილს ქაღალდზე მე-17-ე საუკ. ხელით. სამწუხაროდ, თავი და ბოლო აკლია, რის გამო ბიბლიოგრაფიული ცნობები და თარიღი მოსპობილია. ამბავი აქ იწყება პირველს კარშივე სიამეკ მეფისა და მისი ძმების თავადებთან ვაზირობით, რომლის მიზანია გამორჩევა იმისა, თუ როგორ გაანთავისუფლონ ხმელეთი დევთა პატრონის ხაზარანისაგან, რომელსაც უამრავი დევთა ლაშქარი ახლავს.

ამბავი სწყდება ყათილისაგან მანუჩართან წიგნის მიწერით და დევების ამბის შეცვლით (იხ. პროზ. საამიანი, 101a გვ., შეად. ვერსიები, 382 გვერ. ერთი თვალის გადავლებითაც შეიძლება დარწმუნდეს ადამიანი, რომ ბარძიმ ვაჩნაძეს ხელთ ჰქონია სწორედ ეს პროზაული თარგმანი, რადგან გალექსილი სიტყვა-სიტყვით მისდევს პროზის მოთხრობას და ხშირად იმეორებს მის ფრაზებსა და თერმინებს და ზოგჯერ სრულიად უცვლელად იცავს მთელ წინადადებებსაც. ზოგიერთი უმნიშვნელო განსხვავება ერთის ტექსტის მეორისაგან შეიძლება მიეწეროს, როგორც ამას ქვემორე დავინახავთ, მხოლოდ მელექსის თავისუფლებას. მაშასადამე, ჩვენის ვერსიების წარმოშობის საკითხის გადასაწყვეტად საჭიროა ამ პროზაულის საამიანის შესწავლა და გამორკვევა იმისა, თუ საიდან არის იგი ნათარგმნი და რა დამოკიდებულება არსებობს ჩვენის ვერსიების სხვა და სხვა ნაწილებსა და ამ პროზაულს საამიანს შორის.

პირველის საკითხის, ანუ იმისშესახებ, თუ საიდან არის ნათარგმნი პროზაული საამიანი, ჯერ-ჯერობით რისამე გადაჭრით თქმა შეუძლებელია, რადგან შაჰ-ნამეს მიმბაძველთა ნაწერების შემცველი ხელნაწერები და, მაშასადამე, „საამ-ნამე"-ც, ჯერ-ჯერობით გამოცემული არ არის. მაგრამ აქ ერთი რამ არის ეჭვს გარეშე, სახელდობრ ის, რომ ჩვენის ვერსიების მინაგვარი ხალხური გადმოკეთებანი, სათაუ-

რებით „სამიანი" سام نامه, როსტომიანი, رستم نامه ბორზუიანი برزو نامه [illegible] ბეჟანიანი بیژن نامه ბაჰმანიანი, بهمن نامه ფრიდონიანი, فرامرز نامه და სხვა, იცის აგრეთვე სპარსულმა და თურქულმა ლიტერატურებმაც [1]), რასაც მოწმობს მრავალი ჩვენამდი მოღწეული და დღესაც დიდად გავრცელებული, როგორც სპარსეთში, ისე თურქეთში [2]), „შაჰ-ნამეჲ"-ს მსგავსი გადმოკეთებანი. თუმცა, პერჩის აზრით, „შაჰ-ნამეჲ"-ს ამგვარს ხალხურ გადმოკეთებათა შემცველ ხელნაწერებში მე-16-ე საუკუნეზე ადრინდელი ხელნაწერი არ მოიპოება, მაგრამ საგულვებელია, რომ მათი დაწერის დრო უფრო ადრინდელ ხანას უნდა ეკუთნოდეს, რადგან ფირდოუსის ხალხისთვის გასაგებ ენაზე, გადაკეთება ან თარგმნა, როგორც მუსულმანურის აღმოსავლეთის ლიტერატურებში, ისე ჩვენშიაც, უნდა გამოეწვია ახალ ლიტერატურულ მოთხოვნილებათა გაძლიერებას, რომელიც მოხდა სტამბოლის დაპყრობის შემდეგ თურქთა ელემენტის გაძლიერებასთან ერთად მე-15-ე საუკუნეში.

რაც შეეხება მეორე საკითხს, ე. ი. ამ ბარძიმ ვაჩნაძის მიერ გალექსილს პროზაულ სამიანსა და ჩვენის ძეგლის სხვადასხვა ნაწილთა შორის დამოკიდებულებას, ეს, ჩვენის აზრით, საკმაოდ ირკვევა ამ ორისავე ძეგლის სტილისა და ლექსიკონის მხრით შედარებითგანაც. ამ შედარებითგან აშკარადა სჩანს, რომ პროზაული სამიანი და ეს ჩვენი ძეგლი იმ სახით, რა სახითაც მათ ჩვენამდი მოუღწევია, ერთისა და იმავე ეპოქის მწერალთა ნაწერია და, მაშასადამე, ამ ეპოქის გავლენის ქვეშ ახლად შემუშავების დროს, „შაჰ-ნამეჲ"-ს ძველისძველ თარგმანს,—რომელიც, ყოველ ეჭვს გარეშეა, არსებობ-

---

[1]) იხ. ამის შესახებ Wilh. Pertsch. Catalogue. Die Handschriften. Verzeichnisse der Königlichen Bibliothek zu Berlin-Vorwort. Jules Mohl. Livre des rois, წინასიტყვაობა და Hermann Ethé, Grundriss der iarniscsen Philol. II B. II Lif. S.S. 161—207 und folg. აგრეთვე Ch. Bieu-ს კატალოგის დამატება: Supplement to the catalogue of the Persian manuscripts of the British Museum. 196 II سام نامه, 195 II برزو نامه, 199 I بیژن نامه 197 II და 201 III بهمن نامه და სხვა.

[2]) ქ. ტფილისის მკვიდრს, დურსუნ ბეგ ჰასან-ოღლის ვორონცოვის ქუჩა, 29. საკუთარს წიგნთსაცავში აქვს ერთი შაჰ-ნამეს ვერსია ადერბეიჯანულს ენაზე, რომელიც ფირდოუსის შაჰ-ნამესაგან დიდად განსხვავებულს რედაქციას წარმოადგენს.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

და [1]), —უნდა განეცადოს მეტის-მეტად დიდი ცვლილებანი, როგორც შინაარსის, ისე გარეგანის ფორმის მხრითაც.

მოვიტანოთ ამის შესახებ თვით მოსაზრებანი:

ა. როგორც პროზაულისა და გალექსილი სააშიანის, ისე როსტომიანის ენაშიაც, ძველ კლასიკურ ნაწარმოებთან შედარებით, ხშირად გვხვდება წმიდა თურქულ-არაბული სიტყვები, რომლებიც სრულიად ეუცხოება ფირდოუსის ენას. მაგ. სააშიანში ხმარებულია თურქული ბეგლარ-ბეგი, ან ილა-ყალა (იხ. პროზითი სააშიანი 79 ხ.), ამბალალი, ბეშბალალი და სხვა, აგრეთვე როსტომიანშიც ვხედებით წმინდა თურქულს, ან ისეთ არაბულ სიტყვებს, რომლებიც თურქულშიაც ჩვეულებრივ იხმარება: იხ. მუსუნი, შოროჯალი, ბუთა, ან არაბულ-თურქული მოარაჯე, მელუქი, კუბო ყალმაგი, ყაბახი და სხვა, რომლებიც „შაჰ-ნამე"-ს ენამ არ იცის.

ამგვარი ფაქტები, ჩვენის აზრით, იმის მაჩვენებელია, რომ შაჰ-ნამეს ქართული ვერსიები, იმ სახით, რა სახითაც ჩვენამდის მოუღწევია, უნდა იყოს გამომუშავებული კლასიკურის ხანის მომდევნო დაცემის ხანაში შექმნილ ახალ მიმდინარეობათა გავლენის ქვეშ.

ამიტომაც, ფრიად საგულვებელია, რომ ორივე დასახელებული ძეგლის, ვერსიებისა და პროზაული სააშიანის, წარმოდგენილი სახით გარდაქმნა ეკუთნოდეს სწორედ იმ ეპოქას, როდესაც თურქულის ლიტერატურისა და ცხოვრების გავლენის ქველები შემოიჭრა ჩვენში თურქთა ალორძინების ხანის იმ თავითვე, ანუ, სახელდობრ, მე-16 საუკუნის პირველსავე წლებში.

ამგვარ მოსაზრებას ადასტურებს ის გარემოებაც, რომ ალორძინების ხანის ქართველები, სპარსული ლიტერატურის ნიმუშებთან ერთად, იცნობენ თურქულის ლიტერატურის ოქროს ეპოქის საუკეთესო წარმომადგენელს შირ ნავაის. ასე, მაგ., ბარამ-გურიანის წინასიტყვაობაში მე-17 საუკუნის პირველის ნახევრის პოეტი ნოდარ ფარსადანის ძე გვაუწყებს [2]) შემდეგს:

„ნავაის ეს ამბავი ჩალათურისა ენითა უთქვამს, და მისებრ მელექსე სხვა ვინმეა ვიაზრენითა, კვლავ ჯამის უთქვამს სპარსულად" და სხვა, საითგანაც სჩანს, რომ ალორძინების ხანის მწერალ-

---

[1]) იხ. ნ. მარრი. ორიოდე სიტყვა „შაჰ-ნამე"-ს ქართული თარგმანის შესახებ, ივერია 1891 წ. № 132.

[2]) იხ. ჩვენი წერილი „ბარამ-გურიანი, საქ. გაზეთი 818 №-ი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თათვის თურქული ლიტერატურის ნიმუშებიც ადვილ ხელმისაწვდომი ყოფილა.

მაგრამ აქ საქმე ის არის, რომ ძველს კლასიკურ მიმართულებას ჩამოშორებულსა და ძველის ირანისაგან გონებრივ საზრდოს მოკლებულს, ძალზე დაბეჩავებულს ქართველს აღარ შეეძლო წინანდელი შემოქმედებითი უნარი გამოეჩინა ამ საერთო დაცემის ხანაში. მან დაჰკარგა, ძველს პოლიტიკურ ძლიერებასთან ერთად, ძველის ირანული ლიტერატურის გავლენის ქვეშ შექმნილი თვით შემოქმედების ძალაც, რომელიც მე-12 საუკუნის კულტურულის აყვავების ხანაში თავისებური ქართული გენიალობით აღიბეჭდა რუსთველის უკვდავს ქმნილებაში.

მაგრამ დღესაც, ამ დაცემის ხანაშიაც კი,—რუსთველის ქნარის ძლევა-მოსილობამ იმდენად ძლიერი გავლენა მოახდინა სულიერად დაკნინებულის ქართველის პოეტურ შემოქმედებაზე, რომ ჰან შესძლო რუსთველის მიერ ჩამოყალიბებულის ძველი პოეტურის ფორმის რამდენადმე შენარჩუნება. ამისთვის მან კიდევაც გამოსძებნა შესაფერი მასალა, რომელიც აღმოჩნდა იმ დროს კიდევ საკმაოდ დაცულს ფირდოუსის „შაჰ-ნამე"-სი და მის მიმბაძველების პროზაულს თარგმანებში. დღეს უკვე უტყუარი ფაქტი გვაქვს იმისა, რომ ამგვარი პროზით ნათარგმნი ამბავი იმ დროს ბევრი იქნებოდა:

«საქართველოს ეს ამბავი დარჩომოდა ძველის-ძველი»-ო,

გვაუწყებს „ზააქიანი"-ს გამლექსავი მეფის მღივანი მამუკა.

თქმა არ უნდა, ამგვარი თარგმანები ძალზე დაზიანებულიც კი იქნებოდა: „სხვაც ბევრი აკლდა ამ წიგნსა პირველთა თარგმანულთაგან"-ო, გვეუბნება როსტომიანის მელექსე-კოპისტი ხოსრო თურმანის ძის პირით.

მაშასადამე, საგულვებელია, რომ ძველის ხელ-ნაწერის ყოველგვარი ხარვეზი შეივსებოდა სხვა და სხვა გადამწერის, თუ მწიგნობრის ხელით, და, ამგვარს შემთხვევაში, ამბავიც ახლდებოდა და ხელნაწერის ენაცა და ფორმებიც იცვლებოდა.

საკვირველი არ არის, თუ ამასთანავე ძველის-ძველი თარგმანების სტილიც ახლდებოდა და, თანამედროვე გავლენის საშვალებით, ენაში შედიოდა ახალი ელემენტები, როგორიცაა ეს თუ ის ცნება, ანუ უცხო თერმინი, იმ ენითგან, რომელსაც მეტი გავლენა ჰქონდა ამ ძველი ამბების შემკეთებლის ენაზე.

იმიტომაც, ვიმეორებთ, იმ საკითხის გამორკვევა, თუ საიდან

ეროვნული
ბიბლიოთეკა

არის თარგმნილი ჩვენი ვერსიები, დღემდის აღმოჩენილის ნიმუშების მიხედვით, მეტის-მეტად ძნელია.

უპირველესად ყოვლისა ჩვენ ხელთ არა გვაქვს ის ლიტერატურა, სადაც უნდა ვეძებოთ მათი ორიგინალი, რადგან „შაჰ-ნამე"-ს მიმბაძველთა და გადმომკეთებელთა ნაწერები, როგორც ჩვენ ზემორე ვთქვით, დღემდის გამოცემული არ არის. ჩვენის ვერსიების, ისე როგორც პროზითის საამიანის, შესწავლით კი ვერას გავხდებით, რადგან რომლისამე ენისაგან ნასესხები ტერმინებისა და ცნებათა ძეგლის ტექსტში არსებობა ამ მხრით ძნელად თუ რასმე ამტკიცებს. პირიქით, ამ ბოლო დროს აღმოჩენილი პროზითი საამიანი მჭევრმეტყველურად მოწმობს, რომ რომლისამე ენითგან ნასესხები უცხო სიტყვები ხშირად თვით მთარგმნელს, ანუ გამლექსავს, ეკუთნის, და რომ თვით ნათარგმნის ძეგლის ორიგინალთან მას არავითარი კავშირი არა აქვს.

მოვიტანოთ მაგალითები:

საამიანში ვკითხულობთ:

შოლანი ექნა მეფესა, ისიც არ აკლდა არზია,
მან კაცმან ხოჯით მიართვა სამ ფალავნის არზია.
იკითხავს სიხარულითა, ჯერცა მჯდომია, არზია,
და ფაიქსა ტანსა შემოსა [illegible] არა არძია[1]).
შვილნი იკმნა და სხვა...

გალექსილ ამბავში, რომლის პროზითი სახე დაცულია ჩვენი პროზითი საამიანის ხელნაწერით და რომელსაც სიტყვა-სიტყვით მისდევს ჩვენის ვერსიების მეორე ნაწილი, ანუ ბარძიმ ვაჩნაძის საამიანი, ჩვენ მოველოდით, რომ მელექსე ამ ამოწერილ ადგილსაც არ უღალატებდა და სავსებით დაიცავდა, როგორც ფრაზების, ისე სიტყვების მხრით, პროზითს საამიანთან არსებულ მსგავსებას. მაგრამ ეს ასე არ არის. აქ მელექსე სრულიად სცვლის პროზითის მოთხრობის ადგილს და ამდიდრებს თავისი მხრით თურქ-არაბული სიტყვებით თავის შრომას.

ამ ადგილის შესაფერ ადგილას პროზითს საამიანში [2]) ჩვენ ვხვდებით შემდეგს სურათს:

---

[1]) იხ. ვერსიები, 60 გვ., 187 ხაზი.

[2]) იხ. 89 b გვ. მე-7-ე სტრიქ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

„კელმწიფე ფერიდონ სავარძელშიგან იჯდა, და მრავალნი მეჩანგენი უსხდეს და გამოასუენებდა. აგრე წიგნის მიმღები კაცი წადგა და ჩოქით წიგნი მიართუა. კელმწიფემან წიგნი წაიკითხა. გაეხარნეს ასრე რომე უფროსობა აღარა იქნებოდა. მერმე მისნი შვილნი იხმნა სალამ, თური და ერაჯა და სხვა.

როგორც ვხედავთ, აქ, პროზაულს სამიანში, აღარა სჩანს აღარც თურქ. სიტყვა „შოლანი“ აღარც არაბული სიტყვები „არზია“ და „არზია“ და სხვა.

აქ ავტორს სრულიად თავის გემოზე შეუცვლია ეს ადგილი და იქ, სადაც „ფერიდონ მეფე სავარძელშიგან გართოდა მოსვენებასა“, იგივე ფერიდონ მეფე შოლანს უმართავს ხალხს მოსამადლიერებლად, და უკვე ამ შოლანზე წარსდგება ჩოქით მას წინაშე სამის მოციქული.

სწორედ აგრეთვე იქცევა „როსტომიანი“-ს გამლექსავეც და ამდიდრებს თავის შრომას ძნელად გასაგები და იშვიათი სიტყვებით, როგორიცაა „არნუმი“, ან „არდუმი“:

„მერმე დახტა გამოიდო, მეზარადთა დეწდა მითა,
გმით აური გავსილიყო, მტერთა ზედა არდუმითა.
პილოთა სული აღარ ედგა დანაკოდთა არნუმითა,
და გზა არა აქვს წამოსავლად, ავსილიყო ხორთუმითა“.

ფირდოუსს კი, (იხ. Vullers, 372 გვ., 893—895 ლექს.) ეს ადგილი ასე მარტივად აქვს გადმოცემული:

„ამოიღო გურზი და იწყო ღუღილი, ჭექრი ცახლა მისი ხმისაგან გრგვინვით სავსე, ამ სარდალთ მჭედლის კვერის ხმაურობისაგან აღარ აქვს აღარც დევს სული, აღარც სპილოს გონება, მთა-და ველი მოფენილი იყო სპილოს ხორთუმით, სულ დახოცილებს ხედავდი რამდენიმე მილის“ სიშორეზე და სხვა.

აგრეთვე იქცევა იგივე მელექსე 1484 ხანაში, სადაც იგი, ორიგინალის წინააღმდეგ, ამდიდრებს რითმებს ნასესხები სიტყვებით „ს ა ლ უ ქ ა დ“, „ბ ო ლ უ ქ-ბ ო ლ უ ქ ა დ“, „მ ე ლ უ ქ ა დ“ და „ჩ ა უ ქ ა დ“ და სხვა. შედ. Vullers, 186 გვ., 1034—1037 ლექსები.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ავტორის ანუ გამლექსავის მსოფლ-მხედველობას გარდა, ან ძველის თარგმანების ტექსტში დიდ ცვლილებას ახდენდა აგრეთვე ამა თუ იმ გადამწერლის მიერ მისთვის გაუგებარი ადგილების შეცვლით წაკითხვა, ანუ უკეთ წარყვნა. ამ მხრითაც დიდი ცვლილება უნდა მოსხდარიყოს პირველი თარგმანის ტექსტში.

ეს ნათლად ირკვევა ჩვენის ვერსიების ენაში დაცულის ზოგიერთი საკუთარი სახელების ორიგინალის საკუთარ სახელებთან შედარებითგანაც.

ამ შედარებითგან ცხადად ჩანს, თუ როგორ შეცვლილა და გადასხვაფერებულა ყვიც მელექსეთა ხელით, და ხშირად საკუთარ სახელადაც კი ქცეულა, წარყვნილი სიტყვები. მაგალითისთვის იხილეთ ლექსიკონში საკუთარი სახელები: „თაქორი", „ჰუი-ჰუინ", „ჯიონ", „ილონ", „ქულურ", „ქაქუთი" და სხვები, რომელთაგან ზოგიერთი, როგორც, მაგ., „თაქორი" და „ჰუი-ჰუინ" სრულიად წარყვნილა და არ არსებულ სახელებადაც კი ქცეულან. (იხ. საკუთარ სახელებში). ყველა ეს მაგალითები აშკარად მოწმობს, რომ ძველის-ძველი ქართული თარგმანების ტექსტი დროთა განმავლობაში თანდათან იცვლებოდა, როგორც გამლექსავის, ისე კოპისტის, ხელით.

მაგრამ, თუმცა ყველა გადამკეთებელი, თუ გამლექსავი, ერთნაირად სცვლის ჩვენის ძეგლის ამა თუ იმ ადგილს, მაინც კიდევ შესაძლებელია „როსტომიანი"-სა და ჩვენის ძეგლის სხვა ნაწილების გამლექსავთა შორის შევამჩნიოთ ერთი დიდი განსხვავება.

სახელდობრ, როსტომიანისა და ზაალიანის გამლექსავები სარგებლობენ ფირდოუსის „შაჰ-ნამე"-ს ქართული პროზაული ვერსიით, მაშინ როდესაც საამიანის დამწერი ფირდოუსის ერთ-ერთი წინამძველის ნაწარმოების ქართულის თარგმანის მხოლოდ გამლექსავი უნდა იყოს.

როსტომიანის გამლექსავი, რომელიც კვალ და კვალ მისდევს ფირდოუსის ნაწარმოებში მოთხრობილს როსტემის თავგადასავალს, როგორც „შაჰ-ნამე"-ს ყველა ჭეშმარიტი ხალხისთვის გადმომკეთებელი, სარგებლობს უკვე მიღებული მანერით, ე. ი. საკუთარის მსოფლ-მხედველობის, თუ ერუდიციისა, მიხედვით, ასხვაფერებს ზოგიერთ ეპიზოდებს და, იმავე დროს, სრულს ნებას აძლევს თავის თავს შეამოკლოს, ან გადააკეთოს ორიგინალის ეს თუ ის საინტერესო ადგილი.

ამ მხრით ყურადღების ღირსია ის, რომ როსტომიანში, ისე როგორც ახლად აღმოჩენილს პროზაულ საამიანში, ძალიან ნაკლები

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ადგილი უჭირავს მეფეთა საქმეებს, იქ ხშირად თითქმის სრულიად არაფერია მეფეთა ცხოვრების შესახებ. წინაალმდეგ ფირდოუსის მეფეთა წიგნისა, რომელშიაც მეფეთა ისტორიას განსაკუთრებული ყურადღება აქვს მიქცეული. მაგრამ, ამავე დროს, როსტომიანის გამლექსავი დაწვრილებით, ზოგჯერ უმეტ-ნაკლებოდ, მოგვითხრობს, და თითქმის უფროც აჭიანურებს ზოგიერთ ეპიზოდს, როგორიცაა საამ ფალავნის სიზმრის ზმანება, ან ზაალ რუდაბესა და ბეჟან-მანიჟავის რომანული თავგადასავალი.

ამიტომაც როსტომიანის გამლექსავი, რომელიც საკმაოდ ვრცელ ადგილს უთმობს ამა თუ იმ რომანულ ეპიზოდსა და ფალავნების რკენას, იმავე დროს მეტის-მეტად ამოკლებს მეფეთა წიგნის ისტორიებს და ხშირად მთელს გვერდს ერთი სტრიქონის საშვალებით გადმოგვცემს, რაც, რა თქმა უნდა, თითქმის შეუძლებლად ჰხდის შაჰ-ნამეს შინაარსისა და მოქმედ პირთა ვინაობის გაგებას, ფირდოუსის წიგნის არა მცოდნეთათვის.

გადმომკეთებელის ხელი ატყვია როსტომიანის იმ ადგილებსაც, სადაც ზოგჯერ უადგილოდ არის ნახმარი თერმინები: მაგ., ბაბრაბიანს, ვეფხის ტყავის კაბას, რომელიც ირანელთა უძველესის ზეპირგარდმოცემით, როსტემის ხელით მოკლულის საშინელი მხეცის, ლომის მოსისხლე მტრის შირ შერზეს, ტყავს წარმოადგენდა, როსტომიანში იცვამს არა მარტო როსტემი, არამედ მისი პაპა (ბაბუა) საამიც, როგორც პაპის ნაანდერძებ სამოსელს. (იხ. შაჰ-ნამეს ვერსიები 1974,1 ხანა და შეადარე Vullers, მე-2-ე ტომი, 953 გვერდი.

კიდევ მეტის ყურადღების ღირსია ის გარემოება, რომ როსტომიანში გვხვდება უცხო გავლენის საშვალებით შემოსული თეოლოგიური და ფილოსოფიური თერმინები.

ეტყობა, ქართულმა ცხოვრებამაც, საქართველოს დაცემის ხანის იმთავითვე, განიცადა გავლენა იმ ეპოქის მიმდინარეობათა, როდესაც აკადემიკოსის ნ. მარრის თქმით, ახალი მუსულმანური ცხოვრება შეჰქმნეს სელჯუკებმა ხალხურის სარწმუნოებრივი ბრძოლისაგან მოქანცულის ქრისტიანობის ოფიციალურის ეკლესიის ნანგრევებზე. ამ დროს უკვე თურქულს სისხლში შერეული იყო ქურდთა მასსა მისი თეოლოგიური და სარწმუნოებრივი ჰქვლებით.

ამით აიხსნება, ჩვენის აზრით, როსტომიანში ევხიტების მოძღვრების საშუალებით გავრცელებული, და ქურდ-იეზიდების კულტურულის გავლენის დამახასიათებელი, ბოროტ სულთა სახელები სამოელ და სატანა, რადგან ქურდ-იეზიდებს, როგორც არკვევს აკა-

ეროვნული
ბიბლიოთეკა

დემიკოსი ნ. მარრი, საუკეთესოდ ჰქონდათ შეთვისებული ეს ევნიტების მოძღვრება სულთა შესახებ [1]).

ჩვენს ქართულს ცხოვრებაში შემოჭრილის მწიგნობრული გავლენის ქვალის მაჩვენებელია აგრეთვე როსტომიანში, წინააღმდეგ ორიგინალისა, ქსენონ ეპიკურელის ხსენება, (იხ. 2680 ხანა), რაც შეიძლება ახსნილ იქმნას ჩვენში მხოლოდ ეპიკურელთა მოძღვრების გავლენის ნიადაგზე.

ამნაირად, ეტყობა, როსტომიანის გამლექსავს, რომელიც თავის შრომაში მიჰდევს ფირდოუსის „შაჰ-ნამე“-ში მოთხრობილს რუსტემის თავგადასავალს, ჩინებულად ჰქონია შეთვისებული ფირდოუსის შაჰ-ნამეს გადმომკეთებელთა სამწერლო მანერა.

მის კალამს როდი ეტყობა ფირდოუსის შაჰ-ნამეში მოთავსებულის, რუსტემის შესახევი, მოთხრობის მთავარის გზიდან გადახვევა: იგი მხოლოდ ამოკლებს ფირდოუსის ნაწარმოების იმ ნაწილს, რომელიც მეფეთა ისტორიას ეხება, და, ამავე დროს, შეაქვს პირადის ერუდიციისა და მსოფლ-მხედველობის დამახასიათებელი ცნებები და თერმინები [2]).

იმავე კათეგორიის, რომელსაც ეკუთნის როსტომიანის გამლექსავი, შეგვიძლია მივაკუთნოთ ჩვენის ვერსიების პირველის ნაწილის, ანუ ზაქიანის, გამლექსავი მეფის მდივანი მამუკაც.

როგორც ვიცით, პროზითი საამიანის პირველს ნაწილში მეტის მეტად ვრცელი ადგილი უჭირავს ზააქის თავგადასავალს და, მასთან ერთად, ბუმბერაზ-ფალავნების ზღაპრულ გმირობათა მოთხრობას. უამრავი ფალავანი ამ პროზაული საამიანის ზააქის შესახებს ეპიზოდში გაყოფილია ორს მოწინააღმდეგე ბანაკად, ე. ი. წარმოდგენილია ზააქის ან მომხრეებად, ან მოპირდაპირეებად, ხოლო არსადა

---

[1]) Н. Марръ. Еще о словѣ Челеби. стр. 34, прим. 1, ibid. 36 стр.

[1]) რასაკვირველია, ეს ყველა გამლექსავის შესახებ არ ითქმის. ზოგიერთი მელექსე, თუ კოპისტი, რომლის მიზანი იყო ხარვეზების შევსება, ანუ უკეთ წინა მელექსეთაგან დატოვებული ადგილების ჩამატება და პირველი თარგმანების ნაკლის ასე თუ ისე შევსება, რადგან ამათივე სიტყვით, «სხვაც ბევრი აკლდა ამ წიგნსა პირველთ თარგმანულთაგან»,— სიტყვა-სიტყვით სთარგმნიდა ორიგინალიდგან, მაგრამ რადგან მუზა არა სწყალობდა, მეტის-მეტად ტლანქი და სტილის მხრითაც შეუწყნარებელი ლექსი გამოუდიოდა (იხ. ჩვენი შენიშვნა სხოლიოში 505 გვ. შენიშ. მე-8-ე

ეროვნული ბიბლიოთეკა

სჩანს შამუკას გალექსილს ზააქიანში, თუმცაღა ბარძიმ ვაჩნაძის საამიანი ამ შამუკას ნათქვამი ზააქიანის ბუნებრივს გაგრძელებას წარმოადგენს. ეს გარემოება კი, ჩვენის აზრით, იმის დამამტკიცებელია, რომ ზააქიანის გამლექსავმა ხეფის მდივანმა შამუკამ ისარგებლა არა შაჰ-ნამეს მიმბაძველის შრომით, არამედ თვით ფირდოუსის შაჰ-ნამეში მოთხრობილის ზააქის შესახები ამბის მოკლე ვერსიით.

ამნაირად ცხადია, მელექსეს, ზააქიანის დასაწერად, წიუმართავს მიღებულის პოეტური ნაწერისათვის და, ამ მიზნის განსახორციელებლად, წინ აურჩევია ის მზა პოეტური მასალა, რომელსაც იძლევა ფირდოუსის ნაწარმოები, და, გადმომკეთებელთა ჩვეულებისამებრ, მიუცია თავისი შრომისათვის შესაფერი სახელი „ზააქიანი“.

შემდეგს მელექსეს, ბარძიმ ვაჩნაძეს, კი მიზნად დაუსახავს დაეწერა, როგორც ამ ზააქის ამბის ბუნებრივი გაგრძელება, საამის შესახები თავგადასავალი, რაც აშკარად სჩანს მისივე ნაწარმოების ამ მოკლე შესავალითგან [1]:

«აწ დღესადა [2]) ვთქუა ამბავი სამის გმირთა-გმირისა,
დიდთა მეფეთა გვარისა და პირველ ნოჳს ძირისა,
ჭოიამარის თუჴლისა და ნარიმანის შვილისა,
და ბრძენი კამს მისად მაქებრად,—გმარჯვა ენა-ჴარისა».

ამ მიზნის განსახორციელებლად მას აუღია იმ დროს არსებული პროზაული საამიანი და სიტყვა-სიტყვით გაულექსია იგი იმ ადგილიდგან, სადაც სწყდება ზააქიანი, ე. ი. შანუჩარის სიკვდილამდე.

მაგრამ აქ ჩვენ გვაქვს უკვე საქმე არა თვით ფირდოუსის შაჰ-ნამეს გარდმომღების, არამედ მისი მიმბაძველის ნაწარმოების ვერსიით სარგებლობასთან.

ამას ნათლად გვიშლის ჩვენის პროზაულის საამიანის ანალიზიც.

როგორც ვიცით, ფირდოუსის გავლენა სპარსულს ლიტერატურაში უმთავრესად იმაში გამოიხატა, რომ მისი მიმბაძველი მგოსნები ჩხრეკენ და იყენებენ სიუჟეტად ისეთს ძველ-ირანულ ზენდურ-ფაზენდურ და ფალაურ თქმულებებს და ლეგენდებს, რომლებიც დარჩენოდა ფირდოუსის, მაგრამ რომ უფრო საინტერესო გაეხადათ მათ მიერ მოპოვებული სიუჟეტები, მათ შეჰქონდათ მათში საკუთარი

---

[1]) 39 გვ., 115 ხანა, შესავალი.

[2]) ე. ი. აქამდის ამბად იყო, აწ კი ლექსად ვთქვათ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფანტაზიის ნაყოფიც, ე. ი. მათის დროის დამახასიათებელი ზოგიერთი მოვლენები. ამასთანავე ისინი ფირდოუსზე უფრო მეტად სარგებლობდენ ირანის სადევ-გმირო ამბების ნიადაგზე შექმნილი აუარებელი ზღაპრებითაც. ამნაირად ძველი ირანული ეპოსი თანდათან გარდაიქცა ჯერ საეპიკო ამბებად, ხოლო შემდეგში კი ზღაპრად, სადაც მთელი ადგილი ბუმბერაზების რკენასა და მათს დევ-ქაჯებთან და ავსულებთან დაუბოლოებელ ბრძოლას ეჭირა [1]).

ამგვარ მიმბაძველთა საუკეთესო ილიუსტრაციას წარმოგვიდგენს ჩვენი ქართულ ენაზე არსებული სპარსული მოთხრობა ყარამანიანიც, სპ., قهرمان نامه რომელიც აგრეთვე ფირდოუსის „შაჰ-ნამეჲ"-ს მიბაძვით არის დაწერილი და გადაგვიშლის სხვა და სხვა ბუმბერაზების დევებსა და ავსულებთან დაუსრულებელ ბრძოლას. ეს ნაწარმოები ეკუთნის ფირდოუსის ჭეშმარიტ მიმდევარის აბუ-ტაჰირ-მუჰამედ ბენ ჰასაკ ბენ-ალი-ბენ მუსა-ტარსუსის [2]), რომელმაც თავისი ნაწარმოების სიუჟეტად უძველესის ირანელთა მეფის ჰუშანგის შესახები სადევგმირო ამბები გამოიყენა.

ჩვენი პროზაული და გალექსილი საამთაენებიც შინაარსით სრულიად იგივეა, რაც ყარამანიანისა და სხვა მსგავს მიმბაძველთა ნიმუშები, აქაც საამის გარშემო შემოკრებილის ირანის ძველის-ძველი ფალავნების თურანის სხვადასხვა ზღაპრულ ბუმბერაზებსა და მათ მხლებელს დევთა და ქაჯთა დასებთან დაუსრულებელის ბრძოლის ამბავია, სადაც მთელი ადგილი ამ ზღაპრულ მოპირდაპირეთა რკენას უჭირავს.

ამნაირად ცხადია, რომ აქ წარმოდგენილის შაჰ-ნამეს, ანუ მეფეთა წიგნის, ვერსიების სხვა და სხვა ნაწილთა შორის მხოლოდ ის განსხვავებაა, რომ ზააქიანისა და როსტომიანის გამლექსავები თავიანთს შრომაში მისდევენ ფირდოუსის ქმნილების შინაარსს, ანუ მას იყენებენ თავიანთი ნაწარმოების მასალად, საამიანის გამლექსავი ბარძიმ ვაჩნაძე კი სარგებლობს შაჰ-ნამეს მიმბაძველის ნაწარმოების საამ-ნამეს ქართული პროზაული ვერსიით.

საზოგადოდ, ეტყობა, ჩვენის ძველის ავტორებს საუცხოვოდ აქვს შეთვისებული შაჰ-ნამეს ხალხისთვის გადმომკეთებელთა მანერები: ისინიც, გადმომკეთებელივით, იღებენ თავიანთი ნაწარმოებისთვის

---

[1]) იხ. Jules Mohl შაჰ-ნამეს თარგმანის წინასიტყვაობა.

[2]) იხ. ამის შესახებ Herm. Ethé Grundriss der Iranischen Philologie, II B., S. 318.

შაჰ-ნამეს, ანუ მისი მიმბაძველების ამა თუ იმ მთავარ ეპიზოდს, რომელიც ცნობილია სპარსულს ლიტერატურაშივე ცალკე სათაურებით, როგორიცაა: საამ-ნამე, როსტემ-ნამე, ზაჰაქ-ნამე, და, ამავე დროს, შინაარსის გასავითარებლად, სარგებლობენ, როგორც თვით ფირდოუსის, ისე მისი მიმბაძველების ნაწერებით, რაც ჩვენ ნათლად დავინახეთ ზააქიანისა და საამიანის ავტორების შრომათა ახლად აღმოჩენილს პროზაულ საამიანთან მოკლე შედარებითგანაც.

VI

ირანული ეპოსისა და „შაჰ-ნამე"-ს გავლენის კვალნი ჩვენს წარსულსა და ლიტერატურაში.

ჩვენი ვერსიები ქართული ლიტერატურის ისტორიისათვის, მეტის-მეტად ღრმა ინტერესს წარმოადგენს, რადგან „შაჰ-ნამე"-სთან, ანუ მეფეთა წიგნთან, მჭიდროდ არის დაკავშირებული ჩვენის საერო ლიტერატურის წარმოშობისა და ზრდა-განვითარების ისტორია.

ამიტომ, საჭიროდ ვრაცხთ, —მოკლედ მაინც, შევეხოთ, როგორც საერთოდ, ირანულის ეპოსის, ისე, კერძოდ, ჩვენის ძეგლის გავლენას ჩვენს წარსულსა და ლიტერატურაზე.

ყოველ ეჭვს გარეშეა ის, რომ ჩვენის ისტორიის უძველესი ხანა განუწყვეტელი კავშირით არის გადაბმული ირანის საგმირო ხანასთან და, მეტი არ იქნება, თუ ვიტყვით, რომ ირანის სადევ-გმირო ამბებზე აღიზარდა და გაიშალა ჩვენის წარსულის გმირული სული. ამისი უტყუარი საბუთია, როგორც ეს უკვე გამოვსთქვით, ჩვენის წარსულის ლეგენდარული ხანა და ძველი საგმირო, ანუ ნახევრად ისტორიულ პირთა შესახები თქმულებები, რაც შემოუნახავს ჩვენთვის უძველეს მატიანეს ქართველ ბუმბერაზთა—ვახტანგისა, ფარსმანისა და სხვათა შესახებ [1]).

„შაჰ-ნამე"-ში წარმოდგენილის ძველის-ძველის სადევ-გმირო ამბებისთვის ჩვენი ქვეყანა რომ საუკეთესო ნიადაგს წარმოადგენდა, ეს ნათლად სჩანს სხვადასხვა, როგორც აღმოსავლეთურ, ისე ელინურ, თქმულებათა ჩანასახითგან ჩვენს უძველეს ქართულ ლეგენდებსა და

---

[1]) იხ. ჩვენი „ვეფხის-ტყაოსანი", მე-22-ე გამოც. წინასიტყვა, XXX გვ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ისეთს როთულ თქმულებებში, როგორიცაა პრომეთეოსის თქმულებისებური კავკასიის ქედზე მიჯაჭვული ამირანის შესახები ქართული ამბები, ვახტანგ გორგასალი, როსტომის შესახები თქმულებები, ქართლის ცხოვრებაში დაცული „შაჰ-ნამე“-თი ცნობილ მეფეთა და ბუმბერაზთა სახელების უძველესი ზენდურ-ფაზენდური და ფალაური წაკითხვანი: სპანდიატ, ვაშტაშაბი (იხ. ლექს. საკ. სახ. გოსტაშაბი), აფრიდონ, ოლონ (იხ. ლექსიკ. საკ. სახელ.). ამისთვის საკმაოა გადავავლოთ თვალი ქართლის ცხოვრების უძველეს მოთხრობებს, სადაც ჩაქსოვილია და განუწყვეტელი კავშირით გადაბმული „შაჰ-ნამე“-ს ამბები ზაჰაქის, ანუ ბევრასფის, ფერიდუნის, ეროჯის და სხვათა შესახებ [1]). შაჰ-ნამეს რომ შვენივრად იცნობდენ ქართველები მე-12-ე საუკუნეზე ადრე, ამის უტყუარ საბუთს ვპოვებთ ჯერ კიდევ შავთელისა და ჩახრუხაძის ხოტბებში [2]).

„შაჰ-ნამე“-ს როლი ქართული ლიტერატურის ისტორიაში რომ დიდია, ამას მჭევრმეტყველურად ამტკიცებს მასში წარმოდგენილ მეფეთა ყველა სახელის პოპულიარობა: ჩვენს ისტორიულ წარსულში „შაჰ-ნამე“-ს გმირთა ეპითეთებსა და სახელებს ატარებს ბევრი სახელოვანი ისტორიული პიროვნება: ვახტანგ გორგასალი, გოჯასპირ (გორჯასპი), გივ, მანუჩარ, უშანგ, ფეშანგ, ნოდარ, ოთარ, ზაალ, ზალდასტან, ქაიხოსრო, სიამ, შიოშ, ქექაოზ, აფრასიობ (ვულგ. აფრასიონ), ზურაბ, როსტომ, ნარიმან, ბეჟან, საამ, მანიჟავ (ვულგ. მანიჯარ), ქეთევან, გულანდამ, ფერიდუნტ და ყველა სხვა საუკუნოების განმავლობაში ეროვნულ სახელებად ქცეულან, ისე როგორც ვეფხის-ტყაოსნის გმირთა სახელები.

ირანული გავლენის უტყუარ კვალს ვპოულობთ ჩვენის უძველესი ქართველი თემის როგორც არქეოლოგიურ ნაშთებში, ისე სალიტერატურო ძეგლებშიაც.

მაგ., სვანეთში დაცულია უძველესი ლომის, გინა ვეფხის, სახედროშები, რომლებსაც თურმე სვანები გაიმძღვანდენ წინ მტერზე სალაშქროდ წასვლის დროს. სვანურის დროშის ერთი ამგვარი ნიმუში ინახება საქართველოს საისტ. და საეთნ. საზოგადოების საგანძურში, იხ. 52-ე №-ი ვიტრინა, 277 №-ი ნივთი. იგივე სვანები

---

[2]) იხ. აქვე და შდრ. „ვერსიები“ 3 გვ., 1 ხაზა, და 1 და 2 შენიშვნები.

[3]) იხ. ნ. მარრი, ორიოდე სიტყვა „შაჰ-ნამე“-ს ქართ. თარგ. შესახებ, ივერია 1891 წ. № № 132, 133 და 135.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხატავდენ ქსოვილებზე ვეფხის სახეს, როგორც მამაცისა და „ვეფხებრ-ლომ-გულის“ მეომრის სიმბოლოს, იხ. აქვე: მე-14-ე ვიტრინა, მე-60-ე №-ი ნივთი, წარმოადგენს ფერადის ძაფებით ნაქარგს ტილოს ქისას, რომელზედაც ამოქარგულია ვეფხის სახე და წარწერა მე-14—15 საუკ. ხელის მინაგვარი ასოებით:

„ქ. ვეფხებ ლომ-გულმა ზომითა ბარს ჩასრული ვარდი ბადა,
ვარდი ხელობის ლომს ეძებს გაჭრილა ვინ ვარდი ბადა“.

იხ. ცნებათა საძიებელში „დროშები“ და შედ. „ვეფხის სახე დროშა“, 428,ბ. სულ რომ არა იყოს რა, ეს ძლიერი ირანული გავლენა წარმოდგენილია მთელის თავისი რეალობით არსებულს ოქროს ეპოქის საერო ლიტერატურაში.

ჩვენი საერო ნიმუშები, რომლებსაც საფუძვლად უდევს ეს თუ ის საერო თქმულება,—ისეთებიც კი, რომელთა მსგავსს ვერა ვპოულობთ მთელს სპარსულს ლიტერატურაში,—აშკარად მოწმობენ, რომ წყარო მათი წმინდა ირანულია.

მე უკვე აღვნიშნე, რომ „ვეფხის-ტყაოსნის“ მთელის ამბის მონახვა შეიძლება სხვა და სხვა სპარსული ნიმუშებითგან ამოღებული ისეთი ეპიზოდების შეერთებით, რომლებსაც გასაოცარი მსგავსება აქვთ ტარიელის თავგადასავალთან [1]).

ასე გაშინჯეთ, ის ვეფხის-ტყავიც კი, რომლის სახელსაც ატარებს რუსთველის უკვდავი ქმნილება, არის აგრეთვე რუსტემ პილოტანის სამოსელიც: მაგ. „შაჰ-ნამე“-ში, იხ. Vullers, t. 2, 953 გვ., 1464 ლექსი, ვკითხულობთ:

یکی جامه دارد ز چرم پلنگ   بپوشید بهبر اندر آید بجنگ
همی نام ببر بیان خواندش   ز خفتان وجوشن فزون داندش

რაც სიტყვა-სიტყვით შემდეგია:

ერთი სამოსელი (კაბა) აქვს (რუსტემს) ვეფხის ტყავისაგან, იცვამს ტანსა და გადის ბრძოლად. მას უწოდებს იგი სახელად ბაბრიანს, რომელიც მას ხაფთანსა და ჯავშანს ურჩევნია (ხაფთანსა და ჯავშანზე მეტად სცნობს მასო). ამ სამოსელს پلنگ زچرم —ზი ჩარმი ფალანგ—ვეფხის ტყავისაგან, სხვა ადგილას, იცვამს რუსტემი და გადის ببر بيان—ბაბრ-ბაიან ბაბრ—მართ ვითა ვეფხი (—თვითვე ვეფხი) ბრძოლად.

მაგრამ „ვეფხის-ტყავს“, რომელსაც ატარებს ტარიელ სარიდანის ძე, რუსტემ პილოტანის ბაბრაბიანთან შედარებით, მეტი სიმ-

---

[1]) იხ. ჩვენი „ვეფხის ტყაოსანი“ მე-23-ე გამოც. XXVI გვ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბოლიური მნიშვნელობა აქვს, ე. ი. რუსთველი უფრო მეტად უსვამს ხაზს მის მნიშვნელობას, რადგან ვეფხი, რომლის ტყავისგანაც ტარიელს „ტანსა კაბა ემოსა“, ულმობელის მიჯნურის განსახიერებაა: აქ თითონვე პოეტი აძლევს მას ამგვარის სიმბოლოს მნიშვნელობას შემდეგი სიტყვებით:

„რომე ვეფხი შვენიერი სახედ მისად დამისახავს,
ამად მიყვარს ტყავი მისი, კაბად ჩემად მომინახავს“-ო.

ან და:—

„იგია ჩემი სიცოცხლე უწყალო ვითა ჯიქია,
და მისი სახელი შეფარვით ქვემორე მითქვამს მიქია“-ო.

ამ ნაირად ჩვენს წარსულსა და ძველს საერო ლიტერატურაში მთელის თავისი სიცხადით არის წარმოდგენილი, როგორც საერთოდ, ირანულის ეპოსის, ისე, კერძოდ, „შაჰ-ნამე“-ს გავლენა, და ამიტომაც ჩვენ მიერ ამ ჟამად გამოქვეყნებულის ძეგლის დიდი ისტორიულ-ლიტერატურული ინტერესიც ყოველ ეჭვს გარეშეა.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ხელნაწერთა საძიებელი

ხელნაწერები, რომლებითაც ვსარგებლობდით ტექსტის შემუშავების დროს.

1) ზააქიანის ძირითადი ტექსტისთვის 4528-ე №-ი=Е. Т. Опис. т. II, вып. III, стр. 487.

2) წ. ქ. 1505 №=Е. Т. Оп. т. I, вып. II, стр. 364—365. და მისი პირი საქ. მუზ. 858-ე №-ი=Е. Т. т. II., вып. III, стр. 544—545.

3) წ. ქ. 2384 №=Е. Т, Оп. т. I, вып. II, стр. 370—371. საამიანის ტექსტისთვის იგივე ხელნაწერებია, რაც ზააქიანისთვის.

როსტომიანის ტექსტისთვის:

1) ძირითადი ტექსტისთვის 428-ე №-ი=Е. Т. Оп. т. I, вып. II, стр. 361, რომელსაც სრულიად ეთანხმება 1505—№-ი და საქ. მუზ. 858-ი №-ი.

2) დად.—დადიანისეული 406-ე №-ი=Е. Т. Оп. т. I, вып. II, стр. 358—359.

3) წ. ქ. 1580-ე №-ი=Е, Т. Оп. т. I, вып. II, стр. 347—358=ალექსანდრე ორბელიანისეული=ა. ო.

4) წ. ქ. 1505 და ს. მ 858 №№=Е. Т. იხ. აქვე, ზემორე, ზააქიანის ტექსტისთვის.

5) 2) საისტორიო და საეთნოგრაფიო საზ. საგანძურის 461—№-ი, რომელიც წარმოადგენს სხვა და სხვა ნაწარმოებთა კრებულს, სადაც შედის როსტომ ზურაბის შესახები ეპიზოდიც.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ტექსტების სათაურთა საძიებელი

ნაწილი პირველი

1) ზააქიანი 1--36
2) შესავალი 3
3) ამბავი ზააქისი 10
4) აქა ზააქს ეშმაკი მამის სიკვდილსა ურჩევს და მოაცთუნებს . . . . ,,
5) აქა ზააქს მკარზედ გველები ამოუსხდა . . 15
6) აქა აფთიონ თავის ცოლს სიზმარს ეუბნების . 16
7) აქა ზააქ აფთიონ დაიჭირა და თავსა სჭრის . 18
8) აქა ქუნდრუ ზააქს ფრიდონის ამბავს ეუბნების . 27
9) აქა ფრიდონ კელ-მწიფემ ზააქ დაიჭირა და მისი ცოლებიც გვერდსა ჰყვანდა არინოზ და შარინოზ 31
10) აქა გათავდა ზააქის ამბავი და ფრიდონ გაკელმწიფდა 33

ნაწილი მეორე

1) საამიანი . . . . 37—298
2) შესავალი 39
3) ნარიმანის სიკუდილი.
4) ფრიდონ კელმწიფე საამ ფალავანს იამანთ მეფესთან მოციქულად აყენებს იამანთ მეფის სამის ასულის შვილებისთვის სათხოვნელად 42
5) აქა საამ ფალავანი ფრიდონ კელ-მწიფესთან წამოვიდა. 45
6) აქა საამ ფალავანი საროუშა კელმწიფესთან წამოვიდა ქალების სათხოვნელად იამანეთს 49
7) აქა იამანელთ კელმწიფე საამ ფალავანს მიეგება . 52
8) აქა საამ ფალავნისაგან ფრიდონთან წიგნის მიწერა . 36

ეროვნული
ბიბლიოთეკა

64) აქა საამ ერანს მივა, ჟუნდა ფეშანგს მიესწრას საომრად 256
65) აქა ფეშანგისა, ქიშვადისა და ყარანის ომი . . 257
66) აქა ფეშანგისა და საამ ფალავნის ომი . . . 262
67) აქა მანუჩარ კელმწიფე ნადირობს 265
68) აქა თუნდის და რომბინის თათბირი და ერანს დევის გაგზავნა ჯაშუშად 266
69) აქა რომბინისა და თუნდის გალაშქრება ერანელთა ზედა 270
70) აქა მანუჩარ კელმწიფისაგან დევთ მისვლის ცნობა . 273
71) აქა ყათილ და მისი ვეზირი ვაზირობენ . . 279
72) აქა ყათილისაგან მანუჩართან წიგნის მიწერა და დევების ამბის შეთვლა 280
73) აქა საამისაგან დევის მოციქულის თილამიჯის გალაკვა და წიგნის დახევა 284
74) აქა საამ ფალავანისა და დევების ომი და საამისაგან გამარჯვება 289
75) აქა საამისა და რომბინ დევის ომი და რომბინისა და თუნდის სიკუდილი საამისაგან 290

ნაწილი მესამე

როსტომიანი

1) შესავალი 301
2) დასაწყისი როსტომიანთა. ამბავი მანუჩარ კელმწიფისა და საამ ფალავნისა 302
3) აქა საამ ფალავნის სიზმრის ზმანება . . . 310
4) აქა დარამ ფალავნისაგან მერაბის ასულის როდამის ქება და ზაალის გამიჯნურება 342
5) აქა საამ ქარქისარიდამ მობრუნდა გამარჯვებული მანუჩარის წინ 401
6) აქა მანუჩარ კელ-მწიფე ნადიმად დაჯდა და საამის გამარჯვება იამა. 405
7) აქა მანუჩარ კელ-მწიფესა ზაალის საქმე მოეგონა და მას იგონებს 422
8) აქა ზაალ ვეზირებს მამის საქმეს უჩივა . . . 332

ეროვნული ბიბლიოთეკა

9) აქა სამ ფალავნისაგან წიგნის მიწერა კელ-მწიფის მა-
ნუჩარის წინაშე 437
10) აქა ამბავი ზაალისავე კელ-მწიფეს წინაშე წასვლისა . 460
11) აქა ზაალ გამოსცადეს სათარგმანებელითა სიტყვითა
და ყუელა სცნა 465
12) აქა გამოცნობა ზაალისაგან და პასუხის შექცევა . 467
13) ზაალისაგან რა ეს გაიგონეს დია მოეწონათ . . 468
14) აქა ქორწილი ზაალისა და როადამისა . . . 482
15) აქა წავიდნეს ზაულისტანისაკენ სახლსა საამისასა . 485
16) აქა დაბადება როსტომისა და ნახვა სინდუხტისაგან . 497
17) აქა როსტომისაგან თეთრის პილოსი მოკულა. . . 502
18) აქა როსტომისაგან ვაჭრად წასვლა თეთრს მთაზედ,
ნარიმანის სისხლის ძებნად 507
19) აქა როსტომისაგან სამახარობლო წიგნის მიწერა ზაა-
ლის წინაშე 520
20) აქა სიკუდილი მანუჩარ კელმწიფისა და ძისა მისისა
ნავზარისა მეფედ დასმა. 513
21) აქა ფეშანგ მანუჩარის სიკუდილი დაიდასტურა და მა-
მის მოკულა მოეგონა, თუალნი ცრემლითა აევსნეს
და გული ჯავრით აუდუღდა 516
22) აქა ნავზარს საამ შინ დაეთხოვა ნუზლისათვის და ლაშ-
ქრისათვის და რა შინ მივიდა, მოკუდა. ეს არის ამ
ჟხანოსა სოფლისა საქმე 519
23) აქა ერანელთ საკელმწიფო კაცს ძებნა დაუწყეს და
არჩევდეს 539
24) აქა პირველი ომი როსტომისა და გამარჯვება . . 556
25) აქა როსტომს საჯილდოვოდ შირაზი და ხორასანი
მისცეს 565
26) აქა ქაიყუბადის შვილის ქექაოზის, გაკელმწიფება. სა-
მოცდაათი წელი იბატონა 570
27) აქა ქექაოზისაგან წასვლა მაზანდარას, აღება და მორ-
ბევა და თურის დევისა და ერანელთა კელთ დაპყრობა 583
28) აქა თეთრმა დევმა ერანელთა ზედა მცველნი დააყენა. 589
29) აქა წასვლა როსტომისა მაზანდარას თეთრის დევის
მოკულა, ქექაოზ კელ-მწიფის და ირანელთა თავადთა
გამოკსნა. 596
30) აქა იპრიანა ღ-თან ქექაოზ კელ-მწიფისა და ერანელთ
დავსნა. გათავდა თეთრი დევის დღე როსტომის კე-

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ლითა 628
31) აქა ქექაოზისაგან მაზანდარელთან წიგნის მიწერა და მოციქულის გაგზავნა, როსტომისაგანს თეთრი დევის მოკულის შეთვლა და მაზანდარის ამოწყუეტა . – 632
32) აქა როსტომისაგან მაზანდარელთან მოციქულად წასულა მის მაგიარად და ორთა ჭანდართ მოგლეჯა და ქულურის კელის გამტვერება 638
33) აქა ქექაოზ კელმწიფისა, როსტომისა და მაზანდარელის ომი და ქექაოზის გამარჯვება . , . 643
34) აქა გათავება მაზანდარელის დევ როსტომის კელითა . 653
35) აქა წასულა ქექაოზისაგან მარბისტანს და არმავენელისა და მისი ამბავი 661
36) აქა კელმწიფისაგან არმავენელის ასულის გამიჯნურება. 668
37) აქა არმავენელისაგან ქექაოზ კელმწიფისა და ერანელთა თავადთა დაპყრობა , ... 676
38) აქა როსტომისაგან არმავენელთან წიგნის მიწერა. . 680
39) აქა ქაოზ ცაში გასულა მოინდომა, ჰ დიდი უგუნურება! 692
40) აქა ერანელთა თავადთაგან თურანის მძლვარსა მისულა ნადირობად და მუნ დიდი ომი აფრასიონისაგან . 698
41) აქა მის ლომ-კაცისა, ჯავარ-სრულისა, პილოტანისა, ფალავნისა ზურაბისა საწუთროს მჭირავისა დაბადების ამბავი და როსტომისაგან მოკულა . . . 708
42) აქა ამბავი დასაწყისი როსტომისა და ზურაბისა. . 708
43) აქა თუმიანისაგან ლომ-კაცისა ზურაბისა შობა. . 715
44) აქა ზურაბისაგან ერანს წასულის დაპირება და აშპარტავანთა და არა ღირსთაგან სიტყუათა საუბარი . 717
45) აქა წიგნი აფრასიობისა ზურაბს წინაშე, ხვაჯით სავსე 720
46) აქა ზურაბისაგან ციხის ომი. 726
47) აქა ქაოზისაგან ზურაბის მისვლის ცნობა და დიდათ წყენა და გაფიცხება ერანელთაგან ამა საუბარსა ზედა 727
48) აქა გოდერძისაგან გამწყრალის როსტომის დაბრუნება და კელმწიფეს წინაშე მოყვანა და მისგან შეწყალება და ნათქუამის შენდობა და გულ მხიარულად მეჯლიშის ქნა 731
49) აქა როსტომისაგან კარავში შეპარვა და ზანდარაზმის მუშტით მოკულა . , . . . 739
50) აქა აფრასიობის დავედრებული ნიშანი მოიკმარა ომან 743

ეროვნული ბიბლიოთეკა

51) აქა ზურაბ ჴელ-მწიფეს დიდი ავნო . . . 751

52) აქა პირველი ომი როსტომისა და ზურაბისა . . 753

53) აქა მზის ჩასულამ გაჰყარა ორნივე საწუთროს დანაღუ-ლების მომლოდნენი 757

57) აქა როსტომ გივს ზურაბის ქებას ჟანზომს დიდად შე-პირვებული 759

58) აქა ამა ანდერძსა ავედრებს როსტომ ძმასა მისსა ზა-ვარს ზაალს წინაშე და დედასა მისსა გვერდით მისსა —შვილისა სისხლისათვის, ვითა ირემი წყურვილისა-თვის, მომსურნე—და სისხლი დალვარა . . 762

59) აქა პირველი რკენა როსტომისა და ზურაბისა და ზუ-რაბისაგან როსტომის დაცემა 765

60) აქა როსტომისა და ზურაბის რკენა და მამისაგან შვი-ლის სიკუდილი 769

61) აქა ცნობა ერანელთაგან ზურაბისა როსტომის შვილო-ბის და როსტომისაგან ზურაბის მოკულა, ვაი წყეუ-ლო სოფელო! 773

62) აქა როსტომისაგან ომანთან მოციქულობის შეთულა და ვაზირის გაგზავნა და მისის ჴელით თურანისაკენ მშვი-დობით გაგზავნა 776

63) როსტომისაგან ჴელ-მწიფის ნოშთაროს მძივის თხოვნა. 778

64) აქა ზურაბის შავ-დედისაგან მის ლომ-კაცის შვილის სიკუდილის ცნობა 784

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ნაწილი პირველი.

ზააქიანი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

შ ეს ა ვ ა ლ ი.

1\. გეხვეწები გონიერთა, ვინც [არა ხართ თვ]ისა[1]) მკვლელი!
ამას ყური მოუპყარით, —ბრძენნი იყოთ, ანუ ხელი:
საქართველოს ეს ამბავი დარჩომოდა ძველის ძველი[2]).
და თუმც იცოდეს ჩემგან უკეთ, რად არ მიჰყო ერთმან ხელი?!

---

[1]) პოეტი გულისხმობს ზააქისაგან მამისა და თავისიანების მოკვლასა.

[2]) აქ მელექსე აშკარად გულისხმობს ზააქის შესახებს ძველის-ძველს ამბავს, რომელიც დარჩენოდა საქართველოს. ზააქის შესახები ამბები რომ ძველის დროიდანვე არსებობდა ჩვენში, ამას, სხვათა შორის, მოწმობს ჩვენი მატიანე „ქართლის ცხოვრება“. ამ წყაროში ვპოულობთ ცნობებს იმავე პირთა შესახებ, რომლებზედაც მოგვითხრობს ფირდოუსი. აფრიდონ, რომელმაც შეკრა ჯაჭვით გველთა უცალი ბევრასფი, და დააბა მიუვალ მთაზე, არის იგივე შაჰ-ნამეს ფერიდუნი, რომელმაც მიაბა ზაჰაქი (სპარს. ضحاک ქართ. ზააქი). ღემავენდს. ძე მისი ირეჯი არის ირანის მბრძანებელი ირეჯი (სპ. ایرج—ქართ. ერაჯი), ძმათა სელემ და თურისაგან მოკლული, ქეკაპოსი არის იგივე კაი კაუსი (სპარ. کی کاوس), შიოშ—სიაუშ (სპ. سیاوش), ქაიხოსრო, კაი ხოსრაუ (სპარ. خسرو); არა ნაკლებ ყურადღების ღირსია, რომ ირანის ზოჰაკი (ზააქი) აქ წოდებულია „ბევრასფ“-ად (სპ. بیوراسپ), სწორედ ისე, როგორც შაჰ-ნამეში, იხ. სპარს. ტექსტი, Vullers, გვ. 28, სტრ. 8—11. იგივე ითქმის სხვა სახელების, როგორც მაგ. სპარსთა მეფის ვაშტაშაბის, რომელიც იგივეა, რაც გოსტაშაბი (სპ. گشتاسپ) და მისი შვილის სპანდიატ რვალის (სპ. اسفندیار), არდაშირის (სპარს. اردشیر) ანუ ბაამანის (სპ. بهمن), და სხვათა შესახებ. დაუმატეთ ყველა ამას როსტომის შესახებ თქმულებათა მთელი ციკლი, რომელიც დაუცავს ქართველი

ეროვნული ბიბლიოთეკა

2. ვერ შეემართა შავთელსა[1]) და ვერცა სერგის თმოგველსა[2]),
ვერცა მანუჩარს მწერალსა[3]), ტკბილის სიტყვისა მკობელსა:
[ე]რიდებოდეს[4]) სიტყუასა უშვერსა[5]) და საგმობელსა,
[და ვი]სცა[6]) გკითხავთ ამბავი, თქვენცა ჰხედავთ გაუწყობელსა.

3. შოთამ გალექსა ტარიას[7]) და ავთანდილის[8]) ქებანი,
ნესტანჯარს[9]) უქო ციმციმი, თინათინს მოვანებანი[10]),
მათ მოაკმარა გონება და მისნი ტკბილნი მცნებანი,
[და სხვ]ად[11]) არად სცალდა, მათ ზედა იმღერდა, ვითა ებანი[12]).

ერის ფანტაზიას, რომ ცხადად წარმოვიდგინოთ ძველის ხააქიანის შე-სახების ამბის არსებობა ჩვენში და, მაშასადამე, სარწმუნოდ მივიჩნიოთ მელექსის სიტყვები: „საქართველოს ეს ამბავი დარჩომოდა ძველის ძველით“.

¹) შავთელი — ნ. მარრის გამოკვლევით, არის აბდულ-მესიანის დამწერი.

²) სერგის თმოგველი — მას მიაწერენ ვისრამიანის თარგმანს.

³) აქ პოეტს სახეში უნდა ჰყავდეს ნანუჩა ციციშვილი, „ვეფხის-ტყაოსნ“-ის გაგრძელების შემთხზველი.

⁴) ერიდებოდეს, შეად. ბ. თაყაიშვილის მორიდებოდეს.

⁵) უშვერი — უტიფარი, ურცხვი, უზრდელი.

⁶) ე. თაყაიშვილი კითხულობს „ვისცა“; მართლაც, აქ პოეტს უნდა თქვას: „თქვენც, ვისაც კი გიკითხავს მისი ამბავი, იცით, თუ როგორ გაუწყობელია“.

⁷) ტარია შემცირებითი ტარიელ, იხ. ჩვენი „ვეფხ. ტყ.“ ლექსიკ. საკუთარი სახელები.

⁸) ავთანდილ, იხ. ჩვენი „ვეფხ. ტყ.“ ლექსიკონი, საკუთარი სახელები.

⁹) ნესტანჯარ არის შემცირებული ნესტან-დარეჯანი, იხ. „ვეფხ. ტყ.“ ხ. 1526, ტ. 2.

¹⁰) მოვანება, იხ. ჩვენი „ვეფხ. ტყ.“ ლექსიკონი. ბ. ე. თაყაიშვილი ამ სიტყვას ასწორებს ყ-რის ჩართვით: მოყვანებათ(!), (იხ. Описаніе, т I, вып. II, გვ. 368, სტრიქ. მე-2).

¹¹) ბ. ე. თაყაიშვილი კითხულობს: „თლად არად სცალდა“ — ჩვენის აზრით კი აქ უნდა ყოფილიყოს „სხვად“ და არა „თლად“, რადგან

ეროვნული ბიბლიოთეკა

4. თჳით კახთა მეფე თემურაზ¹) ყოველთა უკეთესია:
[მსმ]ენელი, გამომეტყუელი მისგან ვინ უკეთესია?!.
[ამა] სოფელს სიმეხთლით დახვარი მას არ სთესია,
და [ზა]ლიხან²) აქო, ლეილი³),—მან არ ინდომა ესია.

მელექსის აზრი აშკარაა: მას სურს სთქვას: სხვისთვის არ სცალოდა,— მათ ზედა იმღერდა, ვითა ებანით.

¹²) ეს ხანა ხელ-ნაწერში ამ სახით არის:

შოთამ გალექსა ტარიას და ავთანდილის ქებაო,
ნესტან-ჯარს უქო ციმციმი, თინათინს მოვანებაო,
მათ მოაკმარა გონება და მისნი ტკბილნი მცნებაო,
[და სხვ]ად არად სცალდა, მათ ზედა იმღერდა, ვითა ებაო.

მაგრამ ჩვენ შევსცვალეთ ისე, როგორც ტექსტშია მოყვანილი, შემდეგი მოსაზრებებით:

ა) ხელ-ნაწერის ის ადგილი, სადაც ლექსის დამაბოლოებელი მარცვლები უნდა ყოფილიყო მოკვეცილია და რითმის დამაბოლოებელი ხმოვანები „აო“ წაწერილია შემდეგში წაწებებულს ქაღალდზე.

ბ) ჩვენ უზერხულად მიგვაჩნია, თუ არ ლექსისთვის: „მისნი ტკბილნი მცნება“, ან და „იმღერდა, ვითა ება“. უფრო საგულებელია აქ ყოფილიყოს საკრავის სახელი „ებანი“, ვიდრე ება, (თუმცა, არ ვუციღობლობთ, ესეც საგულვებელია, თუ სახეში მივიღებთ რუსთველის პოემის ისეთ ადგილს, როგორიცაა: „მჭვრეტელო, გულსა ეტყოდი, ნუ ახსნები, იქ ები“-ო, იხ. ხ. 1527, ტ. 4). რაც შეეხება დანარჩენ ტაეპებს, იქაც უფრო მოხდენილი გამოდის „ქებანი“, ვიდრე „ქება“, აგრეთვე თინათინის შესახებაც „მოვანებანი“ აჯობებს, ვიდრე „მოვანება“.

¹) სახელი თაიმურაზ არის სპარსული طهمورث.

²) კახთა მეფე თეიმურაზ I სახელოვანი მელექსეა. ქართველი მელექსენი მას უწოდებენ „რუსთაველის მეჯუფთარე“-ს. მან სთარგმნა „იუსუფ უზულეიხა“ სპარსულით (ქართ. იოსებ-ზილიხანიანი).

³) ლეილ-მეჯნუნიანიც თეიმურაზ I სთარგმნა სპარსულით; პოემის შესახებ იხ. ჩვენი „ვეფხ. ტყაოსნის“ ლექსიკონის საკუთარ სახელებში სიტყვა „მიჯნური“.

ეროვნული ბიბლიოთეკა

5. [ბრძ]ენი ვინცა ხართ, გასინჯეთ ეს ჩემი დანაწყრობა:
[ზაა]ქიანი[1]) გავლექსე და ფრიდონისა[2]) ქველობა,
ჯიმშედს[3]) და მეფე‍ს აფთიონს[4]) ავად არ უნდა კსენება,
და სალიმ[5]) და თურიმ[6]) ძმა მოჰკლა, ჯოჯოხეთს ყოფნა ინება.

6. მეფის მდივანმან მამუკამ[7]) ვთქუი[8]) ესე ზააქიანი,
[მარ]გია[9]) ესე სასმენლად,—კაცი ვინცა ხართ ჭკვიანი.

---

[1]) ზააქიანი—ზააქის ამბავი: ზააქი—სპ. ضحاک—ზოჰაქ.

[2]) ფრიდონ—فریدون—ქართლ. ცხოვრ. აფრიდონ—آفریدون.

[3]) ჯიმშედ—სპ. جمشید.

[4]) აფთიონ—სპ. آبتین—აბტინ.

[5]) სალიმ—სპარს. سلم.

[6]) თური—სპ. تور.

[7]) ეს მამუკა მდივანი უნდა იყოს მანუჩარ დადიანის (ე. თაყაიშვილით—ლევან დადიანის?) ერთი იმ ტყვეთაგანი, რომლებიც მან წამოასხა ქართლის მეფე სიმონზე ოფიშკვითის ბრძოლაში გამარჯვების დროს, (იხ. ქართლის ცხოვრება, ტ. 2, გვ. 195). 1505 №—ხელ-ნაწერი ჯერჯერობით არის ერთად ერთი, რომელსაც დაუცავს ზააქიანის შესავალი. სამწუხაროდ, სათაური, რომელშიაც გადამწერელი იუწყება ზააქიანისა და საამიანის ავტორთა ვინაობის შესახებ, დაფლეთილია და მისი ნახევარზე მეტი ნაწილი მოსპობილი სრულიად. მაგრამ აზრით და არსებულის ბიბლიოგრაფიული ცნობების მიხედვით, შესაძლებელი ხდება ამ საინტერესო ადგილის დაახლოებით აღდგენა.

აი ეს ადგილიც:

(კარი) პირუელი დასაწყისი (ზააქიანთა).....
[ესე ზააქიან]ი ნათქომი არის მამუკა [მდივნისა, ნარიმანის] სიკუდილ[ამდი].
[და მას] უკანით საამის ანბავი ბარ[ძიმ ვაჩნაძის ნათ]ქვამი.

ამ ნაირად, ამ ნახევრად შენახულის სათაურის მიხედვით, ცხადი ხდება, რომ ზააქიანის გალექსვა ეკუთვნის მეფის მდივანს მამუკას, რომელსაც გაულექსია ზააქიანი და ფრიდონის ქველობა ნარიმანის სიკვდილამდე (იხ. ხ. 115), და „მას უკანით“, ე. ი. ნარიმანის სიკვდილის ამ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ოდიშს ტუშედ ვიყავ, გავლექსე, მე თავს უშავ ზიანი,
[და] ვინცა შენდობა მიბძანოთ, თქუენი არ იყოს ზიანი.

7. ქება ვით ვჰკადრო მე ლომსა და მზეებრ მანათობელსა,
კელ-მწიფეს, პატრონს, დადიანს ლევანს ოდიშის მფლობელსა[1]),
[მისთა მებრძოლთა] სიუხვით და ჴელმითა დამაშურობელსა,
[და მისთა ერთგულთა] ლხინსა[2]) და ორგულთა დამამკობელსა.

8. [კელ-მწი]ფის მანუჩარის ძე არის მტერთა მზარავი.
[ლევან არს მისი სახელი, მტერთა სრვად დაუ]ფარავი,
[ვი]სა მორჩი[ლობს დაშქარი მინდორის] დამაჯარავი,
[და ზნე]-უკლები და მამაც[ი, საწუთრო-გაუ]მწარავი[3]).

9. ისპა[თა][4])-გათავებული საქ[მით ყოველთა[5]) მე]ტია:
მისი ისარი საკრძითა ყოველთა და[მყლ]ეტია,

ბიდან დაწყებული მისი შრომა განუგრძვია ბარძიმ ვაჩნაძეს, რომელსაც გაულექსია საამიანი.

*) ჩვენ ვიცავთ ამგვარს მართლ-წერას 4528 № ხელ-ნაწერის მიხედვით.

*) მარგი—შეადარეთ ამ ადგილს ვეფხის ტყაოსნის ხანა 19, ტ. 2.

[1]) ლევან დადიანის და მამა მისის მანუჩარ დადიანის შესახებ იხილეთ Brosset-ის ქართლის ცხოვრება, ტ. 2, გვ. 194—201.

[2]) ე. თაყაიშვილი თავის „Описаніе“-ში т. I, вып. II, გვ. 368 ამ ტაეპს ასე კითხულობს: [და მის ერთგულთა] ლხინისა(?) და ორგულთა დამამხობელსა, 1505 № ხელ-ნაწერს კი შემოუნახავს ჩვენთვის „ლხინსა“ და არა ლხინისა.

[3]) ეს ხანა ჩვენ აღვადგინეთ „ვეფხის-ტყაოსნის“ შემდეგის ხანის მიხედვით:

„მამა ჩემი ჯდა მეშვიდე, მეფე, მებრძოლთა მზარავი,
სარიდან ერქვა სახელი, მტერთა სრვად დაუფარავი და სხვ.
იხ. ხ. 259.

[4]) შეად. 2936,3. ან და, შეიძლება, აქ იყოს პატიჟ-გათავებული, რადგან გვგონია, რომ აქ ნაქები პირის მორჭმულობაზეა ლაპარაკი. ასოები „ისპა“ გარკვევითაა ხელ-ნაწერში, იხ. 1505 №-ი.

[5]) საქმით ყოველთა მეტია, ე. ი. ძლევა-მოსილი გმირია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოსპარაზენდ[1]) ვერვინ სჯობს,—მჭვრეტელთა გამცეტია!
და თუ ამაზედან შემტყუვნოს, თავს შემქმნეს რეტია!

10. [ვერვინ შემართებს][2]) წყენასა, სხვათა სჭირს მისგან ძალანი,
მისი მებრძოლი გაბეგრა, თავს აძევს მათგან ყალანი[3]),
[მისსა მკ]ლავსა, ვერვინ დაუდგამს კლდე ტინი, ვერცა სალანი[4]).
[და] . . . .

---

[1]) სპარაზენი—სომხ. *սպառազէն*—აბჯროსანი, აბჯარ-ცმული.

[2]) ან და ვერვინ კადრებდა.

[3]) ყალანი—ბეგარა იხ. ლექს.

[4]) ამ მე-10-ე ხანას აკლია ერთი ტაეპი, ასე რომ 1505 № ხელნაწერის მიხედვით ეს ხანა დაუთავებელი უნდა იყოს. ეს ხანა საინტერესოა იმ მხრით, რომ იგი გვაძლევს ცნობას იმის შესახებ, თუ როგორ ესმოდათ რუსთველის სიტყვები: „მისი ვერ გასძლნეს პატიჟნი ვერ კაენ, ვერცა სალამან“. ჩვენ მიერ გამოთქმულმა აზრმა, რომ აქ სალა კლდეს უნდა აღნიშნავდეს (იხ. ჩვენი ვეფხის ტყაოსნის ლექსიკონი, ძველი საქართველო, ტ. I, გვ. 182), გამოიწვია პატივცემული აკადემიკოსის ნ. მარრის მეტად სერიოზული ბაასი. სახელდობრ, მან ამ საკითხს უძღვნა თავისი შრომის: Т. Р. XII, Вступительн. строфы Витязя въ барс. кожѣ“ მთელი ოთხი გვერდი (XLI—IIILIV), სადაც იგი, ჩვენის აზრის წინააღმდეგ, „სალა“-ში ხედავს სპარსულის თხზულების „სალამან და აბსალ“-ის გმირს—„სალამან“-ს.

პატივცემულის მეცნიერის პირადი ავტორიტეტი საკმაო იყო ჩვენის აზრის უარსაყოფელად. მაგრამ შემდეგი გარემოებები თითქო ეწინააღმდეგებოდა ბ. მარრის აზრს: ა) რუსთაველი ადარებს ჭირის გამძლე გმირის ყოფას კლდესა და ქვითკირს: „ჭირსა შიგან გამაგრება აგრე უნდა ვით ქვითკირსა“. ან და: „მას კორცილი არ გასძლებს სხვა კიდეგანი ქვისაგან, 1077, 4. ბ) რუსთაველი ხმარობს მეორე შემთხვევაშიც პირდაპირ „სალა“-ს და არა „სალამან“-ს სწორედ იმავე აზრით, როგორც საკამათო ადგილას, იხ. ხანა 1600, 4. „უბრძანა: „თქვენთვის მტირალსა ყოლა რად მიჩნდეს სალა მე“, იხ. ჩვენი „ვეფხის ტყაოსნის“

11. [ყოველთა][1]), საყვარელია, ვამოწმებ ღმრთისა ცხოველისა:
[ლომებრ გულადი], ამაყი, მშვენებითა სჯობს ყოველსა,
[ქვრივთა და] ობოლთ მოწყალე, მრავალსა მისცემს მთხოველსა,
[ვისცა მტერ] ექმნას, ნატრიდეს მინდორში თხასა მძოველსა!

12. [პატრონი] მიბრძანეს, გავლექსე ამბავნი ხააქისანი[2]),
ტკბილთა სიტყვათა შეწყობა, მოკლედ ამბის თქმისანი.
[ხოტბისა რიგი] არა კამს პატრონთა წინა ყმისანი:
და ვიქმ ამა ძნელსა საქმესა, თუ ძალი შემწევს ღვთისანი[3]).

13. პირველ უნდა კელ-მწიფენი სამართლითა იქცეოდეს:
ავი საქმე გარდაუშვას, კარგსა ჩანგრძლად ექცეოდეს,
ნაოკარი[*]) ააშენოს, კარგი არსად იქცეოდეს,
და ღმერთი ამას დაიმადლებს,— განკითხვას მისსა ოდეს.

ლექსიკონი, ძველი საქ. ტ. I, გვ. 149. ვეფხ. ტყაოსნის ხელ-ნაწერების ვარიანტები ადასტურებენ ბ. ბარრის მსჯელობას სალამან-ის შესახებ, ხოლო „კაენ"-ის ნაცვლად უძველესი 599 №-ი ხელ-ნაწერი იცავს „რამინ"-ს, დანარჩენები კი—„ყაენ", ანუ „კაენ"-ს, იხ. ჩვენი 22 გამოცემა: 1267, 4. სალა, 1500, 4 სალამანის ნაცვლად, უნდა იყოს შემცირებითი, შეად. ტარია.

[1]) ჩვენ ამ მოკვეცილ სიტყვებს ვავსებთ „ქართლის ცხოვრების" ცნობათა მიხედვით.

[2]) ხელ-ნაწერში (№ 1505)—ამბავი ხააქიანი,—რითმის მიხედვით. ჩვენ გვგონია, აქ უნდა ყოფილიყოს ხააქისანი.

[3]) ამ ხანის შემდეგ ხელ-ნაწერში მოთავსებულია შემდეგი სამ-ტაეპიანი ხანა:

. . . . . . ულირსსა მონება სამება ერთ-არსებისა...
. . . . . . მოწმობა მამათა მუნ დასებისა.
. . . . . . დამხსნას ჯოჯოხეთს კელ-ჰყოს საჩმილთა ვსებისა.

ლექსიკა და აზრიც მეტად ულაზათოა, და, ამიტომ, ჩვენ ვარჩიეთ მხოლოდ სხოლიოში მოგვეხსენებია ამ ხანის შესახებ.

*) შეად. ხ. 53, ტ. 2.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

14. თქუენც გასმია, ზააქ რა ქნა: უმალ თავის მამა მოჰკლა.
უბრალონი ჴელ-მწიფენი აფთიონ[1]) და ჯიმშედ მოჰკლა
სხვა მრავალი ქუეყანისა გულისათვის კაცი მოჰკლა,
და სული ეშმაკს მიაბარა, დღენი მისნი შეამოკლა.

ამბავი ზააქისი.

15. ზააქ იყო მუხვარდის[2]) ძე ფალავანი გამოთქმული,
თვ[ისის მამის სამსახურ]თა გამოთავება მეტად სრული.
[ტახტი ქონდა საბა]ტონოდ, სხვა ქალაქი ბევრი, სრული,
[და ეშმაკის მანქანებით] გარდუბრუნდა იმას გული.

აქა ზააქს ეშმაკი მამის სიკვდილსა ურჩევს და მოაცთუნვებს.

16. [მას მიუვიდა ერთი] კაცი იბლისი[3]) და ავის მქნელი.
[მამის მოკვლას დაა]ჯერა, მიუქცივა მისკენ გული,
[„ზააქს ესე რა] უქნია", იმას კვირობს ყოველი რჯული:
[ძლიერმა და ჭკვა-მოდ]ლილმა ეშმაკს მისცა მისი სული"!?

17. [ზააქ კითხა იმ] ეშმაკსა: „ვის ასმია მამის მოკვლა?!"
[მან თქუა: „რად გიჩნს], რა იტყვიან, შვილმა თვისი მამა მოჰკლა!"
[სხვა ერანში] საჴელ-მწიფოდ შენგან მეტი არვინ ვარგა".
[და ბატონობა] მოინდომა, საჴელ-მწიფო მით დაჰკარგა.

---

1) ხელ-ნაწ. აფთიმონ. (1505 №-ი).

2) სპარს. مرداس—მურდას.

3) სპარს. ابلیس—იბლის—ეშმაკი.

18. [„შენგან კიდე] ფალავანი[1]) სხვა არ არის ერანშიგან[2]).
[მამა შენი] ბერი არის, გეგმარების აწ რამიგან?
[შენ თუ] არას გამიწყრები, იმას მოვჰკლავ მე გზაშიგან".
და ზაალ ქემაკს ასრე უთხრა: „მე ნუ გამრევ მაგაშიგან!"

19. ზაქ დაართო ქემაკს ნება, უთხრა სიკუდილი მამისა!
დღეს შეიმოკლებს ამათა, წარწყმედასაცა[3]) ჭლამისა.
[მ]ას გრძლად ეგონა სოფელი,—არის ერთისა წამისა![4])
და ქემაკმან ფიცხლავ გაბედა სიკუდილი[5]) მისის მამისა.

20. ქემაკმან თრმო გათხარა, მის უცხო არ იქნებოდა,
შიგან დახვარი დაასო, კაცი ვერ მოურჩებოდა,
ზაქის მამა აბანოს წავიდა, იარებოდა,
და რა ცოტა წავლო, ჩავარდა, იმავ[6]) წამს სული ჰლებოდა.

21. რა მოჰკლა ზაქის მამა, ქემაკი გაუხინარდა,
ზაქ ტიროდა, მოსთქვამდა: „ეს რა ვქენ!"—მეტად ინანდა.
—„რა მამეწვენა[7]) გამცერად, ნეტარ ვინ იყო, ვინ არდა?!"[8])
და გლოვა გაუშვა, ტახტზედა დაჯდა და ჭირსა იბანდა.

---

[1]) ფალავანი—სპარს. پهلوان — ფაჰლავან.

[2]) ერანი—სპარს. ايران — ირან.

[3]) ხელ-ნაწ. (№ 1505)—წარწმენდასაცა.

[4]) შეად. „ვეფხ. „ტყაოს." ხ. 0.1, ტ. 3.

[5]) მართლ-წერას ვიცავთ № 4528 ხელ-ნაწერის მიხედვით, 1505 № ხელ-ნაწერში „სიკვდილი".

[6]) ხელ-ნაწერში—იმამ.

[7]) პრეფიქსის მო-ს ნაცვლად 1505 №-ი ხელ-ნაწერი ხშირად ხმარობს მა-ს.

[8]) ვინ არდა—აქ პოეტი ბაძავს რუსთაველს, მაგრამ მეტად უხერხულად: „ვინ არდა"-ში, უკანასკნელი მარცვლით „და"-თი რუსთაველი გულისხმობს ფორმას „დამქოლოს", მაშასადამე, „და" აქ არის პრეფიქ-

22. ეშმაკმან შეჰკრა ზააქის მზარეულების გუნდია.
იმათ საჭმელი წაუხდა, ვერცა ქნეს კარგი პურია,
სულ ნამზადისი წაუხდა, რაც რომე სანუკვარია[1]),
და მიართმენ შეჭირვებულნი, თითვან[2]) გულ-დადაგულია.

23. რაც საჭმელი მოუტანეს, მას იმა არად არა[3]),
მზარეულნი[4]) აცემინა და გაჰყარა კარის გარა,
ის იბლისი კიდევ მოვა, მოუწყვენა სხვათა გვარა,
და ზააქს ეხმა, მან დატუქსა და უბრძანა ძმობა გარა.

24. —„წადი, ჰკითხე იმა კაცსა, თუ რა იცის მან ზნენია?“
ჰკითხეს: „ვაჟო, სითგან მოხვალ, ანუ იცი რა ზნენია?!
იმან თქუა თუ: „საფრანგეთსა მე ვისწავლე სულ ზნენია,
და მზარეულად სულ კარგი ვარ, სხვაცა ბევრი მჭირს ზნენია*).

სი, რომლის განმეორებას ჩვეულებრივ ვხვდებით „ვეფხის ტყაოსანში“, (იხ. ვეფხ. ტყ. ლექსიკონი, ძველი საქართველო, ტ. I, გვ. 193—194). აქ სიტყვები „ვინ არდი“ შეგვიძლია გავიგოთ მხოლოდ „ვინ არის“ აზრით. იხ. და შეად. ვეფხ. ტყ. 521,2.

[1]) სანუკვარი—სასურველი; სასიამოვნო და სახარბიელო საჭმელი: ტკბილეულობა.

[2]) ფორმას „თითვან“ ხმარობს საუკეთესო ხელ-ნაწერიც № 4528.

[3]) უარყოფითი კავშირების განმეორების შესახებ, იხ. ძველი სასაქართველო, ტ. I. გვ. 192, ვეფხის ტყაოსნის ლექსიკონი.

[4]) ხელ-ნაწერში—მზარეული, ჩვენ კი ვამჯობინებთ: მრავლობით რიცხვს, რადგან შემდეგი ზმნა „გაჰყარა“ მოითხოვს დამატებას მრავლობით რიცხვში.

*) მეფის მდივანი მამუკა, რომელსაც ზააქიანი და ფრიდონის ქველობა გაულექსია, არც თუ დიდის უნარისა და ნიჭის პატრონი ყოფილა, რასაც მოწმობს ამგვარი უნაირო და ულაზათო ლექსები, სადაც ყოველი რითმა ერთისა და იმავე სიტყვით (ამ შემთხვევაში „ზნენია“-თი) ბოლოვდება.

25. სამზარეულოს საჭმელსა შევამკობ სულა მე კარგა[1]),
კელ-მწიფის სამებელსა მე გავაკეთებ სრულ კარგა,
მზარეულებსაც დავუზრდი, რომელი რომე არ ვარგა,
და ზააქ კელ-მწიფევე, ამ სიტყვამ სულით კორცამდის დაჰკარგა.

26. ზააქს ჰკადრეს: „მზარეული მოგვივიდა მეტად კარგი“.
ეს იამა კელ-მწიფევესა, შეუგზავნა კაცი ვარგი[2]),
მზარეულთა შემოუძღვნეს[3]), დაუყენეს მისი ბარგი.
და საჭმელებსა ქნა დაუწყო, მოამზადა მეტად კარგი.

27. ზააქს მოართვა საჭმელი, მოეწონა და იამა.
ჭამა გარდასწყდა სიძღომდე, წავიდა, მეტად იამა.
მალე მოჰქარდა ძილამდის[4]), ეს ნამეტნავად იამა,
და თქვა: „ამას პატივს მიუბერობ“, — კლდის წმინდით იამა.

---

[1]) ამ ხანამდის ჩვენთვის შემოუნახავს ზააქიანი ჯერ-ჯერობით ერთად-ერთს 1505 № ხელ-ნაწერს. ამ ხანიდან დაწყებული კი გვაქვს ერთი მდარე მე-XIX-ე საუკუნის დასაწყისის ხელ-ნაწერი 2384 №-ი. რომ ეს ხელ-ნაწერი არ იყოს, შეუძლებელი იქნებოდა ზააქიანის აღდგენა, რადგან 1505 № ხელ-ნაწერის ფურცლები დაკარგულა და მასში სრულებით აღარ არის 63 ხანა, სახელდობრ: 31—94. 94—109 ხანამდი 1505 №-ს გადარჩენია ერთი დაფლეთილი ფურცელი, რომელსაც შემოუნახავს 16 ხანა, ხოლო 109 ხანიდან დაწყებული 139 ხანამდი ისევ აკლია 1505 № ხელ-ნაწერს, რის გამო იძულებული ვართ მარტო ერთად-ერთი 2384 № ხელ-ნაწერით ვისარგებლოთ.

[2]) ხელ-ნაწერში (1505 №)—კარგი, ხოლო ჩვენ გვგონია აქ უნდა ყოფილიყოს ვარგი, შეად. რუსთველის „ვინცა ისმენს კაცი ვარგი“, ხ. 19, ტ. 2.

[3]) 1505 №—მზარეულთან შემოუძღვნენ, 2384 №—მზარეულთა შემოუძღვნენ. ფორმას შემოუძღვნენ მე ვასწორებ 4528 № ხელ-ნაწერის მართლ-წერისა და ფორმათა მიხედვით.

[4]) 2384 № ხელ-ნაწერში ძილამდინ, 1505 №—ძილამდი, ხოლო ჩვენ ყოველს შემთხვევაში ანგარიში უნდა გავუწიოთ იმ გარემოებას,

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

28. უბრძანა მან მზარეულსა: „წყალობა გინდა ჩემგან რა?“
ამდენსა მოგცემ, თუ გინდა დათვლა შეგეძლოს შენ არა.
ეშმაკმან ჰკადრა: „წყალობა მე სხვა არ მინდა თქვენგან რა.
და მიშველოს მკარს თუ მაკოცნინებ, წყალობა მინდა სხვა არა.

29. ზააქ თქვა: „მაგას აგრე ვიქ“, — გარდაიდო ფიცხლავ მკრები;
ეშმაკმან ნახა, იამა, მან გამოანთო თვალები.
აკოცა ზააქს, დაუგდო საქმენი გასამწარები.
და ფიცხლავ განქარდა ეშმაკი, ვერ ნახეს გზა და კვალები.

30. რა აკოცა, ფიცხლავ გაჰქრა ის ეშმაკი იბლისა,
ვერ ვინა სცნა, სით წავიდა, ან ნიშანი ის რისა?!
არ ასმია კაცთა ძესა, რომ ნაქმარი ეს რისა?
და მკარზედ გველნი ამოუსხდა, თქვეს თუ: „ნეტარ ეს რისა?!“

31. ჰაქიმნი[1]) სჭრიდეს, ახლავე ის უფრო გაიზრდებოდა[2]).
პირსა დაუწყეს დოკანი და ყურსა ეწადებოდა.
ზააქს მათით სევდით ძალიც არ მოუნდებოდა,
და ისევ იბლისი მივიდა, მის უცხო არ იქნებოდა[3]).

რომ მელექსე მე-XVII საუკუნეში სცხოვრობდა. ამიტომაც ჩვენ ვიცავთ 4528 № ხელ-ნაწერის ენის ფორმებსა და წართლ-წერას, ამ უკანასკნელი ხელ-ნაწერის შემდეგ კი ჩვენ უპირატესობას ვაძლევთ 1505 № ხელ-ნაწერს.

[1]) 1505 № აქიმნი, 2384 №—ჰაქიმნი, სპ. حكيم—ჰაქიმ.

[2]) ხელ-ნაწერში—„გაიხდებოდა“, მაგრამ თუ სახეში მივიღებთ იმ გარემოებას, რომ 2384-ე № ხელ-ნაწერი ეკუთნის მე-XIX-ე საუკუნის პირველ ნახევარს და სავსეა ვულგარული ფორმებით, მაშინ საბუთი გვექნება შევიტანოთ მსგავსი შესწორებები, მით უმეტეს, რომ ამის საბუთს გვაძლევს 4528 № ხელ-ნაწერიც, რომელიც მთარგმნელთა თანამედროვე პირის ხელით არის შესრულებული და, მაშასადამე, დაწერის დროის ენისა და მართლ-წერის საუკეთესო მაჩვენებელია.

[3]) ამ 31 ხანიდან დაწყებული 94 ხანამდი დაკარგულია № 1505 ხელ-ნაწერში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

აქა ზააქს მკარზედ გველები ამოუსხდა.

32\. მან ზააქს მოახსენა: „შენ თუ მოსვენება გინდა[1]),
დღეში ორ-ორს კაცს მოჰკლავდე, სხვა მის მეტი არა გინდა.
მათსა ტვინსა გაუკეთებ, სხვა საშველი არ ერგება,
და როგორც სჭამენ, დაწყნებიან, მოსვენება შენც გერგება!“

33\. ორი კაცი მოიყვანეს, მოჰკლეს ტვინი ამოართვეს.
რა აჭამეს გველებს ტვინი, ყურის ღოკვას ჩამოუსხნეს;
მოისვენეს, მკრებზედ დაწვნეს, დაიძინეს მათ, იამეს,
და ქება უთხრეს იმ იბლისსა ხელ-მწიფესა, ესიამეს.

34\. ამაშიკან წელიწადი გამოვიდა,—დიდი ხანი,
მძლავრობითა დაიჭირა საჴელ-მწიფოთ სრულ ერანი,
ჩინეთი[2]) და მაჩინეთი[3]), ხატაეთი[4]), თურქისტანი[5]),
და გველის შიშით ეუმობოდეს, ვინც ვინ იყოს, შორით, სხვანი.

35\. გაძლუმდა[6]), მძლავრობითა მან დაიწყო ავის ქნანი,
თაყვანს სცემდეს ხელ-მწიფენი, მოდიოდეს სხვაგნით სხვანი[7]),

---

[1]) ხელნაწ.—გინდა მოსვენება, რადგან ზომის წინააღმდეგი იყო, ჩვენ ეს ორი სიტყვა ერთი-მეორის ადგილას გადავსვ-გადმოვსვით და მივიღეთ ჩვენის მელექსის დამახასიათებელი რითმა.

[2]) ჩინეთი—სპარს. چین—ჩინ.

[3]) მაჩინეთი—სპარ. ماچین—მაჩინ. — ჩინ-მაჩინი ჩინეთის სახელმწიფოა.

[4]) ხატაეთი—თურქ.-ოსმ. خطا ანუ خطای—ჩრდილოეთის ჩინეთი.

[5]) თურქისტანი—სპარს. ترکستان.

[6]) 2384 №—გაზალუმდა.

[7]) 2384 №—თაყვანს სცემდნენ ხელ-მწიფენი, მოდიოდნენ სხვაგნით სხვანი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მან გაიწყო ტახტ-გვირგვინი, სავარდე[1]) და ტურფა[2]) სრანი[3]),
და სრულ ქვეყანა[4]) მან შეიპყრო, ვინცა იყო ტახტოსანი[5]).

36. ჯამშიდს დასძლია თმითა, აჯობა მისით ხერხითა[6]),
მართლა არ მოჰკლა წყეულმა, გაჰკვეთა შუა ხერხითა!..[7])
ტვინით გველები დაასძღო უბედურისა ფერკითა,
და აფთიონიცა მან მოჰკლა არ გულ-მწყიფურის წესითა!

აქა აფთიონ თავის ცოლს სიზმარს ეუბნების.

37. აფთიონ ნახა სიზმარი,—ზააქს ვერ მოურჩებოდა:
დედოფალს ფრანგის უბრძანა, ძილშია რაც ზმანებოდა:
„შენ ორსული ხარ ვაჟზედა, ფრიდონ სახელად ზდებოდა[8]),
და მთაში გაზარდე, ამ რიგად არვისგან გაზრებოდა.

38. ეგ ჩემი შვილი მისისხლებს, პირველად მოჰკლავს[9]) ზააქსა.
სხვა გრძნეულებს[10]) და დევებს[11]) არსად გაუშვებს, არ, აფსა.

---

1) სავარდე პირდაპირი თარგმანია სპარსული „გულისტან"-ის— گلستان.

2) სპარს. طرفه—ტურფაჰ.

3) სრა—სპარს. سرا.

4) 2384 №—სულ ქვეყანა.

5) ტახტოსანი—მეფე.

6) ხერხი—ოსტატობა.

7) ხელსაწყო იარაღი, რომლის საშვალებით ხერხავენ ხეს.

8) 4528 № ხელ-ნაწერშიც ხშირად ვხვდებით ფორმას: მიზდევს, ნაცვლად მისდევს.

9) 2384 №—მოჰკლამს.

10) გრძნეული—ჯადო, კუდიანი.

11) დევი—სპარს. ديو.

უმალ ქალაქსა წაართმევს, კარგ ბედს მოუღის, არ ავსა,
და ჯიმშედის დასაც წაართმევს, სულ დაიჭირავს[1]) სარავსა[2]).

39. ზააქს ორმოში ჩააგდებს, არ გაუშვირავს მას კარგსა,
ჟამანის[3]) მთაში გაგზავნის, დღეს გაუთენებს მას ავსა,
ერანს და თურანს[4]) წაართმევს, ტახტსა, სარავსა ქალაქსა,
და გამორჩეულდებისა[5]), მოიტანს, — შენ დღესა ნახავ არ ავსა!

40. რა მე მომკვლენ[6]), მასუკანით შენ გექნები მეტად დია.
რა შეიტყო, ფიცხლავ წადი, შენ იარე ღამე, დია,
მთაში კაცი დაგიხვდება ღვთის მოყვარე მეტად დია,
და მას ჯოგი ჰყავს მრავალ-გვარი, შვენიერი ტურფა დია.

41. ფრანგის[7]) რა ესმა ატირდა, მოსთქვა ჴმით[8]) მშვენიერითა:
„შენ უკან ჩემი სიცოცხლე დასაწვავია ცეცხლითა.
სოფელსა ყოფნა რად[9]) მინდა, თავსა მოვიკლავ ჴელითა,
და თუ დამიჯერებ, წავიდეთ, მთასა მივმართოთ რბენითა".

42. აფთიონ თქუა[10]): „ღვთის ბრძანებას კაცი შესცვლის იმას ვერა,
თუ გათენდა, ჩემი დღენი მომეშალა, მზისა მზერა,
ვერც ციხე და ვერც მოყვარე[11]) მე დამიხსნის სიკუდილს[12]) ვერა,
და ყოველ კაცზედ გაჩენილა გარდასახდელად[13]) ეს ბეგარა.

1) 2384 №—დაიჭირამს.
2) სარავი—სპარს. سرای.
3) ჟამანი (თუ დემავენდ?)—სპარს. دماوند.
4) თურანი—სპარს. توران.
5) 2384 №—გამორჩეულდების(?).
6) 2384 №—მომკვლენ.
7) ფრანგი—სპარს. فرانگ.
8) 2384 №—ხმა შვენიერითა.
9) 2384 №—რათ.
10) 2384 №—სთქვა.
11) 2384 №—მოყვარე.
12) ibid—სიკვდილს.
13) 2384 №—გარდასახდელათ.

43. ერთხელ რაზმით[1]) კვლავ შევებმა, თუ რამ არის ჩემი ღონე,
განგებაა—დღესაც მამკლავს, ამის მეტი რამც ვიღონე?
შენ იქ წადი, რომ გასწავლე, დამიჯერე, გაიგონე,
და მსახურებდე იმ ღვთის კაცსა, თავი შენი დაამონე".

44. რა ესე თქვა აფთიონმა, შეიყარა ფიცხლავ ახლა,
მას ლაშქარი მოეწონა, ერთობილნი, როგორც ნახა.
შეეკაზმა, ცხენზედ შეჯდა, ზააქისკენ გზანი დახა.
და ზააქს ესმა, მოეგება, მას იამა, არ იახა[2]).

45. ნაღარას[3]) ჰკრეს, აარივნეს[4]), შეეტიეს ერთმანერთსა,
ჰკაფეს, კოცეს. ერთმანერთსა არას ღონით არ გაექცა[5]),
შუბი, ლახტი, ხმალ-ისარი, იმ დღეს ორსავ ბევრი ეცა.
და აფთიონი ჩამოაგდეს, ზედით რისხვა მას დაეცა.

აქა ზააქ აფთიონ დაიჭირა და თავსა სჭრის.

46. მკარ-შეკრული მიიყვანეს ზააქის წინ უპატიოდ,
სხვა ლაშქარნი გარდიხვეწნეს[6]), რას იქმოდნენ[7]) უპატრონოდ?

---

1) რაზმი—სპარს. رزم—რაზმ.

2) ეწყინა—ან მწუხარების გამომთქმელი გულით ნასრომლია, ს. მ. 858 №—ლახა.—იახა. ამ 44 ხანის მე-2-ე ნახევრიდან ზააქიანი შემოუნახავს საეკლ. მუზეუმის 858 № ხელნაწერსაც.

3) ნაღარა—არაბ.-სპ. نقاره სამხედრო მომწვევი საკრავი, წინწილასავით. نقاره—ნაღარა, ზედენ—ნაღარის კვრა

4) 2384 №—აირივნეს, 858—შეუტიეს, აერივნენ ერთმანერთსა.

5) ეს ადგილი წარყვნილია 2384 № ხელ-ნაწერში და იკითხება ასე: „კაფენ, ხოცენ ერთმანერთსა, არას ღონით არ გაქცევა“(?!); ამ გარემოებამ გვაიძულა ამ სახით აღგვედგინა ეს ადგილი, რომელიც აკლია 1505 № ხელ-ნაწერს, 858 № ხელ-ნაწერშიაც წარყვნილია ეს ადგილი.

6) 858 №—გარდეხვეწნეს, რას იქმოდენ...

7) 2384 №—იქმოდნენ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ერთმანერთის გასწრობოდეს[1]), აშლით ვლიდეს[2]) უთავბოლოდ[3]),
და ვინცა დარჩა[4]),—არ გაუშვეს, მას მოუპყრეს[5]) უზენაროდ.

47. აფთაიონს თავი მოჰკვეთეს, ტვინი აჭამეს გველებსა,
ვინც დაირჩინეს,—იმათაც უპირობს არ გაშვებასა,
ურანგის რა ესმა, მოსთქვამდა, იტყვის: „ვაჲ ჩემსა ბედსა!
და ნეტამცა მომკლა ახლავე, ან არ ვშობე დედასა!“

48. მოსთქმიდა: „თვალად ტურფაო, კედ-მწიფევ გამორჩეულო,
ტანად სრულო და ლომ-გულო, ჭკვით შემკულო, რჩეულო,
შენთა ერთგულთა მოლხინევ, ნადიმს[6]) ხშირად ჩვეულო,
და საბოძვრის უხვად გამცემო, არ სიძუნწის ჩვეულო!“

49. მოსთქვა, იტირა მრავალი, ნაცარი გარდაიყარა[7]),
ძაძა ჩაიცვა და ჭრელი, კარგი, სულ გარდაიყარა,
თმა მოიტუსა[8]) ცეცხლითა, არამც თუ ფერი იყარა,
და ტირილი არა გასწყვიტა[9]), იმავ წამს სულ აიყარა.

50. წავიდა, სადა აფთაიონს ებრძანა[10]), მთის ძირსაო[11]),
არვის გაანდო სხვას კაცს[12]), მისთვის ვინ იტყვის ძვირსაო[13]).

---

1) 2384 №—გასწრობოდენ, 858—მიუსწრობდეს.

2) 2384 №—მიდის(?!), № 858 №—მიღის.

3) 858 №—უთაბუნოდ.

4) 858 №—დარჩა, სხვები—დარჩათ.

5) 858 №—მიეპყრენ.

6) ნადიმი—არაბ.-სპ. ლხინი, წვეულება.

7) ხელ-ნაწ.—გარდააყარა(?).

8) ტუსვა—ვულგ. ტრუსვა (იმერეთში)—ალზე თმის, გინა ჯაგრის, ან ბურტყლის მოწვა, ან მორუჯვა.

9) ხელ-ნაწ.—გაწყვიტა.

10) ხელ-ნაწ.—ებძანა.

11) ხელ-ნაწ.—ძირასა—ვასწორებთ „ძირსაო“-დ, რადგან ამ ხანის მე-3-ე და მე-4-ე ტაეპებს ეწინააღმდეგება.

12) 2384 №—არვინ გაანდოს სხვა კაცსა(?!). [მე-11-ე.

13) ხელ-ნაწ.—„ძვირასა“, ვასწორებთ „ძვირსაო“-დ, იხ. შენიშვნა

ფრიდონზედ ორსულად იყო, ჟამი მოვიდა ძრვისაო,
და რა დაიბადა, ესე იქმა, მეტად მჯობის სხვისაო!

51. იამა. ჯოგის პატრონსა[1]) მან მიაბარა გაყვა,
წყალობა ბევრი უქადა, წიგნი მისცა და არზია[2]),
ქედსა უწყობდა პატივით, აკვანში უწვა, არწია[3]),
და ფრანგი იქავე წარვიდა, ვერავინ მისცა არზია.

52. ალაპი[4]) უყუეს აფთაონს ჴელ-მწიფურისა წესითა,
ეფისკოპოზი[5]) აწვიეს ქრისტიანობის წესითა.
ჟამი სწირეს და იდღეცეს მათის კრებულის წესითა,
და თვალ-მარგალიტსა მიართმენ,—სავსეს ოქროსა თეფშითა[6]).

53. კვლავ გასცა უნჯარიშო უდაბნოს მონოზანზედა[7]),
ქვრივსა და ობოლს უბოძა[8]), ვინც გლახა[9]) ვლიდა მთაზედა,
სხვაც გასჩინა ალაპი,—ვინც გაივლიდა გზაზედა,—
და ფრანგი იქავე წავიდა შვილთან, იმავე მთაზედა.

54. აწ მოვიდა ზააქის წინ ორი ესე მღვთისა კაცი,
მოახსენეს: „ჴელ-მწიფევო, ჩვენ ვართ მაგა ვეშაპის[10]) კაცი,

---

1) პატრონი—(ლათ. patronus,i).

2) არზი—عرض—თხოვნა, საჩივარი, პეტიცია, რაპორტი.

3) 2384 №—არწივა(?!).

4) ალაპი—ბერძნ. ἀγάπη.

5) 2384 №—ეფისკაპოზი, 858—ეფისკოპოზი.

6) ხელ-ნაწერში (2384) ეს ადგილი მეტად უნაიროდ არის წარმოდგენილი და იკითხება ასე: და თვალ-მარგალიტსა მიართვენ, სავსე ოქროთი(?) თეფშითა, 858 №—მიართმენ სავსეს ოქროსა თეფშითა. თეფში—არაბ. طبشي—თათრ. تبسي და ან სპარს. تبشى.

7) მონოზანი—ბერძნულია,

8) შეად. ს. 11, ტ. 3, 858 №—ქვრივსა, ობოლსა.

9) გლახა—მათხოვარი.

10) ვეშაპი—სომხ. վիշապ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

58. შარინოზ თქუა[1]): „ჴელ-მწიფეო, რა გეწყენა მაგისთანა?“[2])
შენმან ერთმან შეკრთომამან შეგვაშინა მეტად[3]) ჩუენა.
ზაალ თქუა თუ: „რა გიამბო, არ მინახავს ამისთანა.
და სამმა ვინმე ფეჰლავანმა თავსა ლახტი დამიშინა.“

59. რა უამბო მათ სიზმარი, მათცა მეტად გაუკვირდა[4]),
დაღონდეს და ვერა თქუეს რა, თუალთა ცრემლი გარდმოსცვივდა.
შარინოზ[5]) თქუა: „ადვილია!“ — დიად კარგა გაუშირდა.
და თქუა: „მოასხით, მერამლენი!“[6]) ორნივ დანი მას გაპირდა.

60. მათ უამბეს[7]) ეგ სიზმარი, რამლსა[8]) ჩაჰხედეს[9]) მართლა, ჰკითხეს,
სადაც იყო მერამლენი, ყოვლს ქუეყანას[10]), ფიცხლავ იხმნეს,
„შეიტყობენ უსაცილოდ“, — მართლის გულით მათ იკითხეს.
და ვინცა იყოს თქუენი მტერი, — ყოვლს ქუეყანას მოიკითხეს.

61. მოასხნა[11]) მან მერამლენი, რაც სადა უყუდესა[12]).
იმათ უამბო სიზმარი: „გასინჯეთ, თუ რა ესია.
მართლა გასინჯეთ[13]) ეს საქმე, როგორცა თქუენი წესია.
და რას მემტერების[14]) ისინი, ან რა იმათი წესია?!“[15])

---

1) 2384 №—ჰთქვა.
2) 2384 №—ამისთანა, 858—მაგისთანა.
3) ხელ-ნაწ.—მეტათ.
4) ხელ-ნაწ.—მეტათ გაუკვირდა.
5) შარინოზ—სპარს. شهرناز—შაჰრინოზ.
6) მერამლე—იხ. რამლი ქვემოთ.
7) ხელ-ნაწ. შეცთომით—უამბე.
8) რამლი—სპ. رمل—სამკითხაო.
9) 858 №—ჩაჰკედოს.
10) ხელ-ნაწ.—ქვეყანას, იქვე 858—...ყოვლს ქვეყანას ფიცხლავ იხეს.
11) ხელ-ნაწ.—მოასხა.
12) 2384 №-ი—რაც საცა.
13) 858—გასინჯეთ, 4528—გაშინჯეთ.
14) მემტერების ისინი—შესმენილის მხოლოობითი რიცხვი მრავლობითის ნაცვლად.
15) წესი—სომხ. ծէս.

ეროვნული ბიბლიოთეკა

62. რამლის ნაჭხედეს, შეიტყვეს[1]), ზააქ ტახტიდამ გასულა,
სხვა მერამლენიც იქ იყვნეს[2]), და არცა ზააქ წასულა,
რადგან შეიტყვეს, უანბეს, სამთავე ერთად აწ სულა,
და ზააქის მორჭმა-დიდების სრულად*) ერთობით წასულა.

63. მოახსენეს: „ჴელ-მწიფეო, გვეშინიან მართლის თქმანი:
ეგ სამნივე ფალავნები, თურმე არის ტახის ძმანი,
შენად მტერად გამოჩნდების, მათ არ უნდა შენი ზავნი,
და მამა მათი შენ მოგიკლავს, სხვაც ბევრი სჭირს შენგან ავნი.

64. ამისთვის გემტერებიან, მამა მოგიკლავს უბრალოდ[3]),
სრულ საბატონო წაგირთვამს და მიპყრობიხარ უწყალოდ[4]),
გარდახვეწილან მამითა, მთაზედ ასულან უბრალოდ,
ჲ ტახტსა ჲ გვირგვინს წაგართმენ ჲ შენცა მოგკვლენ უწყალოდ[5]).

65. რა ეს ზააქ გაიგონა, თავი[6]) ჯავრით გაუტეხა,
მეტის ჯავრით[7]) უჭკოდ[8]) გახდა, თვალთა ცრემლი მოუდინა,
ჯავრიანი ცრემლის დვრიდა, გულს ცეცხლი მოუკიდა,
და გაუმწარდა იმას ყოფა და აღარცა ინადიმნა[9]).

---

[1]) 1505 და 858 №№—შეიტყვეს, 2384—შეიტყეს.
[2]) ხელ-ნაწ.—იყვნენ.
*) 858 №—სულა.
[3]) 858 №—მოგიკლავს ავათო.
[4]) 858 №—და მიპყრობიხარ ავათო.
[5]) 858 №—და ტახტსა და გვირგვინს წაგართმენ და შენ მოგ-პყრან ავათო. ამ 64 ხანიდან დაწყებული ბოლომდი შენახულა ზააქიანი და საამიანი საუკეთესო ხელ-ნაწერში 4528 №, რომელიც ეკუთვნის ზააქიანისა და საამიანის გამლექსავთა თანამედროვე პირის ხელს.
[6]) 4528 №—თავი, 2384 №—გული.
[7]) ჯავრი—სპ. جور, 858 №-ში ეს ტაეპი მე-3-ედ არის, ხოლო მე-3-ე მე-2-ედ.
[8]) 4528 №—უჭკუოდ. 2384 №—უჭკუო, 858 №—უჭკოთ.
[9]) 858 №—ინადირნა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

66. გულშიგან ბრჭობს[1]): „როგორა ვქნა, რა იქნების ჩემი დონე,
იმ სამისა ფადავნისა ვერა საქმე მოვიგონე,
მოსვენება[2]) გამიმწარდა, როგორც ესე გავიგონე,
და დღივ და ღამივ იმასა ვეძებ, სხვა მის მეტი რამც ვიგონე?!"

67. ზააქ ეძებდა მუნ ფრიდონს, სრულ[3]) ჴმელეთს იარებოდა,
ქრთამსა გასცემდა მრავალსა, მტერსაცა ემოყვრებოდა,
ჴმელეთი მოვლო მან აქათ, ზღვას ნავით იარებოდა,
და მისი ვერა ცნა[4]) ამბავი, კულავ უფრო გაშმაგდებოდა.

68. ზეცითა მღვთის განგებასა წინ ვერვინ დაუდგებოდა,
ზააქს ფრიდონის სევდითა[5]) ძილიც არ მოუნდებოდა,
აწ ამაშიგან ჴელ-მწიფე ფრიდონცა გაიზრდებოდა,
და მერამდლეთ მართლა შეეტყოთ, ზააქს რაც გარდახდებოდა[6]).

69. ღმერთმან ფრიდონ[7]) მოუვლინა ზააქს მისად გაქრობად[8]),
მოიდეძ ბარად წამოვიდა მამის სისხლის საძებრად,
ძმებმან ლოდი დაუგორვეს, არ ეწყრა მას ვნებად,
და მძინარესა გაუღვიძა, უკმოდგა თავის ნებად[9]).

---

1) ბრჭობა—მსჯელობა: 4528—ბრჭობს, 2384 №—ჰრჭობს.

2) ხელ-ნაწერებიც—მოსვენება.

3) 858 და 2384 №№—სულ.

4) 858 და 2384 №№—სცნა, იქვე 858 №—კვლა.

5) ეს ხანა 2284 და 858 ხელ-ნაწერებში ასე იკითხება:
ზეცითა მაღლის განგებას წინ ვერვინ დაუდგებისა:
ზააქს ფრიდონის სევდითა ძილიც არ მოუნდებისა,
აწ ამაშიგან კელ-მწიფე (2384—ხ-ნით) ფრიდონცა გაიზრდებისა,
და მერამლეთ მართლა შეიტყვეს, რაც ზააქა გარდახდებისა.

6) სევდა—სპარს. سودا.

7) 4528 №—ფარონ(?).

8) 4528 №—გაქრევებადა.

9) 858 №-ს ეს ხანა და შემდეგი აკლია: მათს ადგილზე ცარიელი ქაღალდია დარჩენილი. მიწერილია მხოლოდ ტაეპთა დამაბოლოებელი სიტყვები: ეტყობა, გადამწერელსაც არ ქონია სრული ხელ-ნაწერი.

70. სარაჯ ქალაქს მივიდა ფრიდონ ღვთივ-საფარველიანი,
მას ქავა წინ მიეგება,—დროშა თან ახლავს სვიანი,
სხვა ერანელი მრავალი და გივი სახელიანი,
და აწ ზააქს ღმერთი შერისხდა, დღე უბნელდების მზიანი!

71. დარბაზის შიგან შევიდეს მეტად ტურფადა გებულს[1]),
ქვეშ ორხოსა მოჰფინენ, ოქსინო გარდაგებულსა[2]),
ჯამშედის დანი იქ უსხდეს,—მთვარეს გავს განათლებულს?
და ფრიდონს სალამად მომართეს[3]),—სამოთხით გვანან რებულს!

72. მათ ფრიდონ წინ მიეგება, სართის მგზავსი რებული[4]),
ორნივე გვერდა დაისვა[5]). სიტურფით არის ქებული!
მოშაითნი და მუტრიბნი არ იყუნეს სულ-დალებული[6]),
და იმ დღის ნადიმს და შვებასა[7]) ენა ვერ იტყვის კრებული!

73. ერთსა კაცსა ქენდრუ ერქვა იმ ქალაქის მოურავსა,
წადგა, ფრიდონს ესალამა, ქებას ჰკადრებს მეტად სრულსა,
რა შარანოზ[8]) დაინახა, შიში ჰქონდა მისი გულსა,
და ფრიდონ მეფეს მოართმიდა[9]), რაცა უნდა, სანუკვარსა.

74. ქენდრუ ღამით გაიპარა, ცხენს შეჯდა კარგსა მავალსა,
ზააქისა ერთგულია, არ გაინდობს მისთვის ავსა,
მეტის მეტი სიმალითა დაედარა იგი ქარსა,
და რაც ენახა,—მან უკლებლად ყველა ჰკადრა ჴელ-მწიფესა.

---

1) 858 №-ი—დარბაზთა შიგან... ტურფათა გებულსა.
2) 858 №-ი—ქვეშე ოქსინო მოფინეს, ტურფათ რამ გარიებულსა.
3) 858 №-ი—სასალმოდ მომართეს.
4) 858 №-ი—ქალნი წინა მოეგებნეს, სართსა მსგავსნი რებულნი.
5) 858 №-ი ფრიდონმა გვერდსა დაისა.
6) 858 №-ი—ტკბილად იმღერდეს, მუტრიბთა არა ქნეს სულ-და-[ლებული.
7) 858 №-ი—მის დღის ნადიმის შექცევას.
8) 4528 №-ი—შარნავაზ, იქვე 858 №-ი—რიდი ჰქონდა მისი გულსა.
9) 858 №-ი—მოერთმიდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

75. ზაალს ჰკადრა: „კელ-მწიფეო, შენზედ ბრუნავს ეტლნი ავნი;
სარავს ქალაქს შემოვიდა სამი ვინმე ფალავანი“¹).
ზაალ თქუა თუ: „სტუმარნია, მათ დახუდომა უნდა კარგი“.
და მოლარეთა უბრძანებდა: „გაიღევით²) მინდორის ბარგი!“

76. ქუნდრუ³) გულმან ჰკადრა: „კელ-მწიფევ, რას ბრძანებ, ჩვენ შე-
ჯიმშიდის დათა ორთავე იმათი⁴) ნდომა შესვლია, [გცვლია?!
ორნივე გვერდსა უსხედან და საყუარელი შესვლია,
და საყუარელითა ლხინობენ, მეტად ნდომაცა შესვლია.

77. ქუნდრუ⁵) ჰკადრა: „აწ სტუმარსა პირ-მთვარესთან რა კელი აქუს!“
სათმრალა მოკაზმულან, მძიმე ლახტი მათ კელთა აქუს,
თქუენ გექებენ მოსაკლავად, იმათ საქმე სხუა არა აქუს,
და სრული ტახტი და გვირგვინი, სრა ქალაქი, მათ კელთა აქუს.

78. მარინოზ და არნავაზი⁶) თავს დაუდებს კალთა ზედა,
იქით და აქით უწვანან ორნივე მისსა მკლავზედა,
ზაალ გაუწყრა ქუნდრუსა: „მაგი ხარ მეტად იქმაზედა.“
და „ხასი უნდათ სტუმარი, რომ იქცეოდეს ჩვენზედა“.

79. მე მოგახსენებ, ახლავე დამქარი შემოიყარე,
ვინც იყოს კარგი, რჩეული ვეზირი, შემოიყარე,
საქმე გამინჯე ჩვენთანად, გულს ჯავრი უკუიყარე,
და ნადარასა ჰკარ, წავიდეთ, დილას, თქუენც გამოიყარე.

80. ქვების ღმერთმან დაგიხსნას, გიბოძოს თქუენივ ტახტია,
ჯაჭვი-ჯავშანი ჩაიცვი, სარტყელს ჩაიბჯარ ლახტია,

---

¹) 858 №—სრასა ქალაქს შემოვიდა ფალავანი ვინმე სამნი.
²) 858 №—თქვენ გაიღეთ.
³) ქუნდრუ 4528 №—სპ. كندرو, 2384 და 858 №№—ქუნდრავ.
⁴) 858 №—იმისი.
⁵) 2384 და 858 №№—ყველგან ქუნდრავ.
⁶) არნავაზ—სპ. ارنواز, 858 №—არინოზი.

თავადებს მიეც საჭურჭლე, გულშიგ არ ჰქონდეს ზადია,
და არ იქნას,—ჩუენ დავიკარგოთ, ჩინეთის ზღვასა გაღმა[1]).

აქა ქუნდრუ ზააქს ფრიდონის ამბავს ეუბნების.

81. ქუნდრუსაგან რა ეს ესმა, ზააქს გული აუდუღდა,
ნამეტნავის ჯავრისაგან, ვით ცეცხლზედ ქვაბი, დუღდა,
ამას იტყვის: „იმათ დავკოც, ანუ ჩემი დღე გათავდა!“
და პირ-მთვარენი მოიგონა, თვალთა სისხლი გადმოვარდა[2]).

82. შეკაზმული ჯავრიანად ლაშქარშიგან[3]) შემოვიდა,
ფალავნებს[4]) მოახსენა: „ვაიცა, ჩემი დღე მოვიდა!“[5])
რასაცა ვინ მოიწარგებით, ღვთით ნაცვალს გარდვიხდი და,
და ნაღარას ჰკრა, გამოვიდა, ვით შავი ზღვა, წამოვიდა.

83. სარაჯს მოვიდენ, დაბარგდენ, გარშემოერტყუენ ქალაქსა,
ღმერთი შერისხდა ზააქსა, ავს ბედს მოელის, არ კარგსა!
ფრიდონს უამბეს: „მოვიდა! ღმერთი იქს თქვენსა ნებასა!“
და ქავსა და გიოს უბრძანა: „შეებით ზაქის ლაშქარსა!“

84. ქავამ დროშა გაიმძღვანა, გით მოვა ყირილითა,
თურანელთა დაუძახა: „თქუენ მამრჩენებით ახლა რითა?!

---

[1]) 858 და 2384 ხელ-ნაწერებში ამ ტაეპს ამ სახით ვხვდებით:
„და არ იქნას ჩვენი დაკარგვა, ჩინეთის ზღვაში გაღია“.

[2]) ეს მე-81-ე ხანა ხელ-ნაწ. 1505 და 2384 №№ ასე იკითხება:
ქუნდრავისგან რა ეს ესმა ზააქს, გული აუდუღდა,
ნამეტნავის ჯავრისაგან ლაშქარშიგან შემოვიდა,
ამას იტყვის: იმათ დავკოც, ანუ ჩემი დღე მოვიდა,
და პირ-მთვარენი მოაგონდა, თვალთა ცრემლი გარდმოსცვივდა.

[3]) 4528 №—ლაშქარშიგა.

[4]) 1505 №—ფალავნებისა, 4528 №—ფარვანებსა(?).

[5]) 4528 №—გათავდა, ლექსთ-წყობას ეწინააღმდეგება.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

არ გაგიშვებ თქვენ ცოცხალსა, თავებს დაგჭრი ჩემი ხმლითა!
და შეიბნეს და ჩამოჭყარეს, მკუდარი ყრია, რიყე ვითა!..

85. ქავსა, გაილ[1]) გაუმარჯვა, თურქნი ყრიან ზაქისანი[2]),
ზეცით ღმერთი გაურისხდა და ანგელოზნი ღვთისანი[3]),
ზააქ არის ვეშპის სახე და წყეულის გველისანი,
და გველნი ასხენ მკარსა ზედა, გესლი ახლავს ვეშპისანი[4]).

86. მობრუნდეს გამარჯვებულნი ქავა, გაი ფალავანნი,
ქელ-მწიფეს წინ შემოვიდეს, გარდიხადეს მათ სალამნი,
ფრიდონს წინა დგას ქაიშარ[5]), მასთან ყისი ფალავანი[6]),
და ერანელნი სულ ერთობით, ფალავნები სხვა მრავალნი[7]).

87. ფრიდონ დალოცეს ქელ-მწიფეს და ქებას შეასხმიდიან,
მეჩანგენი და მემუღნე[8]) ამოსა გმასა ჭყურიდიან,
უბნობდეს[9]) გამარჯვებულნი, სადგომისაკენ მიდიან,
და გამოისუენეს ლხინითა, ამოდ და ტკბილად ზმიდიან.

88. დაღამდა. ზააქ დალონდა, გულს მოედვა ალია:
მას მოაგონდა ხორ-მთვარე, შარინაზ მზისა დარია,
არნავაზის გონებამ სრულა ჭკუით გარდარია[10]),
და მისთვის გამწარდა საწყალი, არ მისცა კარგი დარია.

---

1) 2384 №—ქაარზ, გიოზ.

2) 2384 №—თურქნი ყრან ზააქისანი(?).

3) 2384 №—ანგელოზნი მას ღვთისანი.

4) 2384 №—და გველნი ასხნა მხრებისაგან, გესლი აჰლამს ვეშაპისანი.

5) 858 №—დგას აშქაშ და თავადები სხვა მრავალნი.

6) 2384 №—აშქაშ, 4528 №—ქიაშარ, იხ. ლექსიკონი. 1505 №—ფრიდონს წინა დგას აშქაშ და თავადნი მასთან სხვანი.

7) 4528 №— . . . ფალავნები, ვინცა არის ერანელნი.

8) 4528 №—მემოღნე, 858—მემუღნე; მუღნი—არაბ. مغنی.

9) ხელ-ნაწ. 1505, 2384 და 858 №№—უბნობდენ.

10) 858 და 2384 №№—სულ ჭკუისაგან არია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

89. ღამით მარტო შეეკაზმა, ტანს ჩაიცვა საომარა[1]),
ჴმალი[2]), ლახტი საგდებელი, წინ ჩაირჭო მან ხანჯარი[3]),
არვის უთხრა კარვიელსა, გაიარა მარტო კარი,
და ციხეშიგან შეიპარა, სადაც მარტო ფრიდონ არი[4]).

90. ზააქს სწყევლიდა მარინოზ პირითა ელვარებითა:
—„ძმა ჩემი ჯიმშედ მოგვიკლა ეშმაკის მანქანებითა!
ჩვენ წამოგვასხა ძალითა, არამც თუ ჩვენის ნებითა,
და აწ გვიხსნა იმ გველისაგან[5]) ღმერთმან მისისა ნებითა.

91. ზააქ იყურებს ამასა, ცნობა აქუს[6]) დაკარგულია,
ალმასის ფერი ხანჯარი ჴელით აქუს გამახულია,
წინ არ წამოდგა, ყითამცა არვისგან განზრახულია[7]),
და რა ფრიდონ ნახა,—„ვინ არის? ეშმაკის დასახულია?!“

92. მარინოზ თქუა: „ღვთის შემცოდე ზააქ არის ჩუენი მტერი“,
მისის ჴელით წამჴდარია ჴელ-მწიფე და ბევრი ერი,
ამას ჩუენდა დასაჴოცლად ხანჯარი აქუს ცეცხლის ფერი[8]),
და მარინოზს და კულა არნავაზს წაუვიდა შიშით ფერი[9]).

---

[1]) შეეჭურა.

[2]) 2384 №—ხმალი.

[3]) 2384 და 1505 №№—ხანჯალი, 4528—ხანჯარი, სპ.— خنجر —ხანჯარ.

[4]) 1505 და 2384 №№—სადაც რომე ფრიდონ არი.

[5]) 2384 №—და აწ გვიხსნა მისის გველისაგან ღმერთმან...

[6]) 1505 და 2384 №№—აქვს, 4528 №—აქუს.

„ამას აბჯარი როგორა დაუდგამს, არა ვიცითა,
და ვისცა[9]) ჰკრავს, უსაცილოთა მოჰკლავს[10]) ჴელითა მისითა!

1716. „აღარ წავალ სადღოროსას", —მეფე ბრძანებს, —„სრულად ვმარის!"
მშვილდოსნობით მამასა ჰგავს, ფალავანი სამ[11]) არის:
სავადარო უმართლეა[12]), სარტყელის შერტყმა მისი არის,
და დიდს ნარიმანს გიდეტა სჯობს[13]), თუ ასეთი სხვათა არის?!

---

1) დად.—გვერდსა.

2) დად.—მოყუებოდა, 1505 № —მიყვებოდა.

3) ბუთა—თ.-ოსმ. بوته —ბუთა—მიზანში ამოსაღები ნიშანი. იხ. ლექსიკ.

4) ა. ო.—დაერჩივნეს, სხვები—დაერჩია.

5) დად.—ყუელმან(?!).

6) ა. ო.—შესტყორცნა.

7) 1505 და 428 №№—ჭანდართშიგან, ა. ო. და დად.—ჭანდარ-[შიგა.

8) დად. ესვა.

9) ა. ო. და დად.—ვისაც.

10) დად.—უსაცილოთა მიკლავს ჴელითა მისითა.

11) დად.—მამა არის.

12) დად;—უმართლია.

13) 1505 და 428 №№—საჯილდოობს, ა. ო.—ესე სჯილდოობს(?!).

1717. მეფემან ბრძანა: „ზუფინი[1]) და გურზი მოიხმენითა[2]),
უმძიმესი და უსრულე ზარდახშანი[3]) მოიხსენითა,
ფარნი გილანეთს ნაქმარნი[4]) ოთხნივ აქ მომართვენითა,
და კმალნი ინდოეთს ნაქმარნი, აბჯარნი[5]) ჩაიცვენითა!“[6])

1718. მერმე უბრძანა ზალდასტანს: „აწ ომის ჟამი გაადგა,
ჩაიცვი ტანსა აბჯარი, გურზი და ზუფი*) აიღე
უბრძანა ხუთსა[7]) თავადსა: „სრული აბჯარი დაიდე!
და წინა ფარები დაიდგით, ზუფინი მისცენ წაიღე!“

1719. ოთხი ფარი დაარჩიეს[8]), იგ დაუდგეს ზალს წინა.
მან ზუფინი შემოსტყორცა, ყუდას შიგან[9]) გაარბინა,
მიწაშიგა დაიკარგა, ეძებს, არსად არ აჩინა[10]).
და ერთობილით მოეწონა[11]), მისნი მჭვრეტნი გააკვირნა.

1720. მეფე ბრძანებს[12]): „აწ ამისა ომი არვის შეუძლია,
აწ იმითაც გამოვსცადოთ, აბჯარშიგან როგორ მძლეა,
გორჯასპის თესლი არის, ნარიმანსაც უფრო მძლეა,
და მან აბჯარი ტანს ჩაიცვეს, კლდია მისცეს ზუფინია.

---

1) ზუფინი—სპ. زوپین ჟუფინ—სასროლი მოკლე შუბი.
2) ა. ო.—გურზი მოიხმენითა(?), გურზი, სპ. گرز—ლახტი.
3) ა. ო.—ზარდახშას, დად.—ზარდახშა.
4) დად.—ფარი გილანეთს ნაქმარი, ოთხი...
5) დად., 1505 და 428 №№—კმალი ინდოეთს ნაქმარი აბჯარი...
6) დად.—ჩააცვენითა(?).
*) ზუფი აქ იგივეა, რაც ზუფინი.
7) დად.—სხუათა თავადთა.
8) დად.—დაარჩივა.
9) ა. ო.—შიგან.
10) დად.—ეძებს და არა იჩინა.
11) ა. ო.—ერთობითა მააწონა.
12) ა. ო.—ბრძანა.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

1721. მას გუარამ შეუტია[1]), ერთხელ უყივლა[2]) ყრით.
ზალდასტან ცხენი გაქუსლა, სარტყელს სტაცა ქედით,
ზე უნაგირსა მოკადა, მეფისკენ მიაქუს რბენით,
და სიცილით წინა მიადგა, მადლი ჰყუა[3]) ქედ-გამაგრით.

1722. მეფე ბრძანებს: „არ მინახავს მე კაცთაგან[4]) ეგზომ ომი,
შავით დედას ის შემოსავს[5]), ვისცა უნდა მისი ომი:
არ იქნების ამ ძალისა[6]) ნიანგი და ხვადი ლომი!"
და დალოცა და წამოვიდა[7]) დარბაზისკენ ცხენსა მსხდომი[8]).

1723. ქედ-მწიფე ლაჟდა ტახტზედან მით უებრითა ტანითა.
ფალავნისათვის[9]) გვირგვინი ოქროსა სამარღანითა[10]),
ტანისამოსი, სარტყელი, მარგალიტით-თუალითა
და შემკული, შეზავებული ფეროზითა და ლალითა[11]),

1724. ჯაჭვ-მუზარადი, ტაიჭი ოქროს აკაზმულითა,
ბარგისტანი და ჯავშანი[12]) კმალ-დროშა ლომ-სახელითა[13]),

---

[1]) ა. ო.—შეუტია, დად.—გვარამ მას შემოუტევა.

[2]) ა. ო.—ჰყივლა(?).

[3]) ა. ო. - ჰყაუს.

[4]) დად.—კაცისაგან.

[5]) ა. ო.—შავით დედას შეუმოსავს, ვისაც უნდა მისი ომი, დად.—შავით დედას ადრე შემოსს.

[6]) დად.—ძალითა.

[7]) დად.—დალოცა და წამოვიდა. 1505 და 428 №№—დალოცეს და წამოვიდნენ.

[8]) დად.—მჯდომი.

[9]) დად.—ფალავანთათვის.

[10]) სამარღანი, იხ. ლექსიკ.

[11]) ა. ო.—თვალითა.

[12]) დად.—ხვაფთანი.

[13]) დად.—კრმალ-დროშა, შტვირ-ნაღარითა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლახტი, ზუჯინი, ხვათვანი[1]), დიდი იმედი გულითა,
და ფალავანს წინა[2]) პასუხი ნათლად შესთვალეს[3]) სულითა:

1725. „რაცა გკითხა, პასუხი მე წიგნად მომიწერია:
მას პილოტანის ზალდასტანის ყუავით*) საწადელია,
დასტური მივეც, შეირთოს მან მისი[4]) საყვარელია,
და სარო-ტანი და პირ-მთვარე არს მისი შესაფერია.

1726. სადაცა შენი კმა ისმის, იდგეს უზაბარია[5]),
ამელზედ ლომი და ნიანგი ზღვაშიც[6]) ფერ-გრითმით არით,
ნურას დაზედავ ამისთვის, ზააქთა გვარი[7]) არით,
და ლომ-გულად—სარო-ტანისთვის[8]) თუ შესაფერი არით.

1727. და ვიამე*), რა ვნახე ტან-სარო, ასაკიანი.
ლომის ქვეყნის რაც მართებს, შემკობილია ზნიანი.
ნადიმს, სიხარულშიცა, მეტად გულ-ნათელიანი[9]),
და საწადელ-აღსრულებული[10]) მოგივა ზააღ შვენიანი!“

1728. ბელ-მწიფეს ეთაყვანა ზალდასტან[11]) და გამოვიდა.
სამს წიგნი მიუწერა, თავის სრასა რა მოვიდა[12]):

---

[1]) 1505 და 428 №№—ხუფთანი.
[2]) დად.—გვერდი(?).
[3]) დად.—მისწერა.
*) ვიცავთ ხელ-ნაწერის მართლ-წერას.
[4]) დად.—მან მისგან საყვარელია.
[5]) ა. ო.—უზანბარია, 1505 და 428 №№—უზებარია
[6]) დად.—კმელზედა ლომი, ნიანგი ზღვაში, 1505 და 428 №№—ამელზედ და ნიანგნი ზღვაშიც.
[7]) დად.—ზაქაიანთ გვარი არით, 1505 და 428 №№—ზააქთა გვარი არით, ა. ო.—ზააქთა გვარის არით.
[8]) დად.—ლომ-გულის სარო-ტანისა.
*) 1505 № და ა. ო.—დია კაი მე.
[9]) ასეა დად.-სულში, 1505 და 428 №№—ნადიმსა სიარულშიგან მამყოლთა გულ-ნათლიანი, ა. ო.—ნადიმსა სიარულშიგან მამყოფა გულ-ნათლიანი(?).
[10]) ა. ო.—და აჯა აღსრულებითა. [ვიდა.
[11]) დად. და 1505 №—ბელ-მწიფესა ეთაყვანა ზაალდასტან, გამო-
[12]) დად.—თავის სრასა შემოვიდა.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

„სახელ-დიდო ფადლაყანო, გულით[1]) სევდა ამოგვიღა!"
და ეს ამბავი[2]) მოახსენა, თვითონ აღარ წამოვიდა:

1729. „ძალის მოკლება; სიბერე, მუხლი მუხლს აწყინა.
და კუდ-ტკბილად დაგვლოცა, თუალთ ცრემლი წამოვლინა,
დიდი წყალობა, იმედი, მის პირით[3]) ამოვლინა.
და არცა რას მე დავიყოვნი, ამბავი ჭკადრე[4]), ჭე[5]), წინა!-

1730. წიგნი მისცა და წავიდა ფაიქე[6]), ვითა ქარითა.
ფიცხლად იარა. მივიდა, სად ლომი საამ არითა.
მან მოახსენა ყოვლი[7]) ზაალის მეფ ნაქმარითა.
და რა წიგნი ნახა, გავაყვა საამ*), პირ-ნათლად არითა.

1731. მერაბს და სინდუხტს ამბავი წიგნად[8]) უბრძანა, არ ენით:
„შეწყალებული ზაალისტან მოგივა, შეიყარენით[9]),
ორნივე მოვალთ თქვენს გვერდით[10]); ლხინითა გაიხარენით.
და ნულარა სჭმუნავ, სევდანი გულისა გაიყარენით"!..[11])

1732. მერაბს ესმა ეს ამბავი, გაუმხნი გაექარნეს,
რადგანაცა მის მართებდა, აგრე დიდად გაეხარნეს.

---

1) დად.—გულის, ა. თ.—გულთა.
2) დად.—ამბავი, სხვები—ანბავი.
3) ა. თ.—პირთა.
4) დად.—გკადრე.
5) 1505 №—ღე.
6) დად.—ფაიქი, სხვები—ფაიკი.
7) ა. თ.—ყოვლი, სხვები—ყოველი.
*) ა. თ., 1505 და 428—ზაალ(?).
8) ა. თ.—ანბავი წიგნათ.
9) დად.—გაიხარენით.
10) ასეა ა. თ.-სა და დად.-სეულში, 1505 და 428 №№—თქვენს წინა.
11) დად.—ნულარა სჭმუნავთ ნაღვლითა, სევდანი გაიყარენით

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ქორწილისა სამზადებლად მჭიკნიბარნი შეიყარნეს,
და თავადთა და ლაშქართათვის საწვევლად კაცნი არნეს.

1733. მაშინ დაიწყეს მზადება ჴელ-მწიფურთა წესითა:
დარბაზნი მოაკაზმანეს სტავრითა უკეთესითა,
ხატაური და ბერძნული ჭრელითა უმრავლესითა[1].
და მათ დაამშვენეს, მოჭკაზმეს[2]) სამოთხის უტურფესითა.

1734. აბრეშუმისა ორხოვა[3]), მანასაჯური[4]) საფენი,
ალამი ჩინეთს ნაქმარი, მარგალიტითა ნაკერი,
მუნ ერთი ტახტი ოქროსა, თუალ-გუარითა[5]) ნაფენი,
და მას ორნი ფერჯი[6]) ზიბარჯი[7]), ორნი ფერხთის საფენი[8]),

1734. დიდროვანი იაგუნდნი, მარგალიტი[9]), ისხდეს სხვილნი[10]),
ფერიზი და ტურფა ლალი, ზურმუხტზედა[11]) შეწყობილი,

---

[1]) ასეა 1505-სა და 428 № №-ში, დად.—ჭურჭლითა უმრავლესითა, ა. ო.—ჭრელია უკეთესითა(?).

[2]) დად.—შეამკუეს, 1505 და 428 № №—შეჭკაზმეს.

[3]) ა. ო.—ორხოა, 1505 და 428 № №—ორხუვა.

[4]) მანაჯაური, იხ. გვ. 420, ს. 1539, ტ. 3, შენიშვნა მე-9-ე. ეს სიტყვა დად.-სეულს გარდა, ყველა ხელ ნაწერებში წარყვნილია: ა. ო., 1505 და 428 № №—მანსაუჯერი.

[5]) დად.—თუალ-გოვარითა.

[6]) ა. ო.—ფეჯი, 1505 №—ფერხი.

[7]) დად.—ზუბარჯი; ზობარჯი ანუ ზობარჯადი, იხ. გვ. 378, ს. 1384, ტ. 3, შენიშვნა მე-10-ე.

[8]) 1505 და 428 № №—ნაფენი.

[9]) 1505 და 428 № №—იაგუნდი მარგალიტი..., დად.—მარგალიტნი, იაგუნდი.

[10]) 1505 და 428 № №—ისხდა მსხვილი.

[11]) დად.—ზუბარჯზედა.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

როდამისთვის გამოიღეს მუნ გვირგვინი შემკობილი,
და უკომლოის ნაკვერცხლის¹) იაგუნდნი გვანან²) თლილნი!

1735. რა როდამ გამოვიდა, მას ეგონეს³) მუნა კვლის,
მას საყურნი ანათობდეს⁴), მუქნი ადგეს⁵) ბროლის ყელს,
სადტე ტკავი შემშვენოდა სარო-ტანსა შემკობილსა⁶),
და კაცის თვალნი ვერ განსცდიან⁷) მისთა მუქსა, ტანის ზრდილსა⁸).

1736. „ესე სჯობს მზესა მშვენებით!“ ფიცვიდა, ვინცა ნახის⁹).
ბუდის ნადუელი გაჰქარდის¹⁰), მჭურეტელთა სულ-თქმა-ახის¹¹).
მან გაანათლის დარბაზი, ნაქმარი ყუელა დახის¹²).
და არ შეუძლია მხატვარსა დახატვა მისის სახის!¹³)

1737. ზაალ მივიდა დარბაზსა, არავის გაუმჟღავნათ.
შინა შევიდა უწყვრად, მამასა ეთაყუანათ,
მან მამა ყელს მოეხვია, აკოცა, წაიყუანათ,
და ბევრცა¹⁴) დაისვა ტახტზედან¹⁵) ზალდასტან ბოლოტანათ.

---

¹) დად.—უკვამლოისა იაგუნდისა, ა. რ.—უკომლოისა ნაკვერცხლისა, 1505 №—უკვამლოისა ნაკვერცხლისა

²) დად.—ზურმუხტები გვანცეს თლილნი.

³) დად.—ეკიდა.

⁴) დად.—საყური ანათობდა.

⁵) დად.—უდგეს.

⁶) დად.—მას ყუავილი ვითა ველსა.

⁷) დად.—ვერ განსცდიდეს.

⁸) დად.—მისა მუქსა, ტანსა მზდელსა.

⁹) დად.—ფიცვიდა, ვინცა ნახესა, 1505 და 428 №№—ფიცვიდა, ვინცა ნახვიდა.

¹⁰) დად.—განქარდა.

¹¹) 1505 და 428 №№—ახვიდა(?).

¹²) 1505 და 428 №№—დახვიდა(?).

¹³) 1505 და 428 №№—სახვიდა.

¹⁴) დად.—ბევრდსა.

¹⁵) დად. და 1505 №—ტახტზედა.

1738. ჰკადრა მოკითხვა მეფისა და წიგნი გაუმართა მან.
გამართა¹), ქებს აქოცა, კვლავ მადლი გარდიხადა მან.
წაიკითხა და იმა, ბერი გავაყდა სალამან²).
და ზაალს რაც ჰქმნა, უფლისა მამასა დაუთვალა მან.

1739. სამ ბრძანა: „დავეკაზმნეთ ქუაბულისტანს წასასვლელად³),
ფიცხლავ სპანი შეგვეყარნენ⁴) მენ ხანისა⁵) დაუზმელად.
მას დღეს შეჰკრა ლარ-საჭურჭლე, რაცა უნდა წასახმელად⁶),
და იმავ ღამეს გაარჩინა. მერმე დაჯდა ნადიმს მსმელად.

1740. დამქარნი და დიდებულნი დიდას მეფის კარს მიდგეს⁷).
ყვირო-სტვირსა შეუბერნეს⁸), ნაღარასა ყუელგან სცემდეს⁹).
კარავსა და სრა-ფარდაგთა, გამოიღეს, აჭკიდებდეს¹⁰),
და ცხენთა შესხდეს დაკაზმულნი, ქუაბულისკენ წამოვიდეს¹¹).

---

¹) დად.—მიართვა.

²) დად.—გულ-მხიარულ-ყო სალამან: გაჭირების ლექსია; ალბათ პოეტს სურს თქვას: საამი გავაყდა, როგორც სალამანიო.

³) ა. ო.—ქობულისკენ, 1505 და 428 №№—ქაბულისკენ დავეკაზმნეთ წასასვლელად.

⁴) ა. ო.—ფიცხლად სპანი შეგვეყარნეს.

⁵) ა. ო.—მუნ ხანისა, დად. და 1505 № —ზეალე ხანის.

⁶) დად.—მას დღეს შეჰკრა ლარ-საჭურჭლე, რაცა უნდა წასახმელად და როგორც ესე გაარჩინა, მერმე დაჯდა ნადიმ-მსმელად. ა. ო.—მას დღესა გასცა ურიცხვი, ვინცა უნდა წასახმელად(?) და იმავ ღამეს გაარჩინა, მერმე დაჯდა ნადიმს მსმელად, 1505 და 428 №№—დღეს გარდასცა ლარ-საჭურჭლე, რაცა უნდა წასახმელად და მას ღამესა გაარჩინა...

⁷) ასეა დად. სეულში, ა. ო.—მეფის სრასა მოდგენ, 1505 და 428 №№—მეფის სრას მოადგენ.

⁸) ასეა დად.-სეულში, ა. ო.—ყვირო-სტვირსა, 1505 და 428 №№—ყვირო-სტვირსა შეუბერეს.

⁹) 1505 № და ა. ო.—სცემდენ.

¹⁰) ა. ო. და 1505 №—აჭკიდებდენ.

¹¹) დად.—ქუაბულისტანს დაკაზმულნი წამოვიდეს, ა. ო. და 1505 №—დაკაზმულნი ქვაბულისკენ (ა. ო.—ქობულისკენ) წამოვიდნენ.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

1741. მერანს გვერდით მახარობლად გაუგზავნეს დიდებული.
წინა სინდუხტ გაეგება, გაუნათლდა ახლად[1]) სული.
მახარობელს ტანს ჩააცმევს, მისცეს ოქრო მალრიცხული,
და მუნ გამოდგეს[2]) ქუაბულელნი, იყუნეს კარგათ[3]) დაკაზმული.

1742. მერანს ცხენი მოუყვანეს[4]), საამისწევნ თავნი არნეს,
თავადნი და დიდებულნი გაჰყვეს, თანა წაიტანეს,
მიეწურნეს მხიარულნი[5]), უჭურეტდეს და თვალნი არნეს[6]),
და ახლოს მიდგეს, ერთმანეთის[7]) ჩამოხვდეს და ესალამნეს[8]).

1743. დალოცეს, ქება შეასხეს. უქებდა მათ მგზავრობასა.
თავს მუშკი გარდააყარეს, სცემდეს ყოელნი[9]) ნობასა.
ქალაქს შევიდნეს[10]), ჭირობენ არ აქვს მასპინძლობასა.
და მათნი მჭურეტელნი ნატრიდეს იმათის სიძე-რძლობასა!

1744. მოქალაქეთა სახლშიგა ოქრო და მუშკი დაჰყარეს,
მუნ ზეალისთვის საჭურეტლად დარაჯაგები[11]) აჰყარეს.

---

[1]) დად.—განუნათლდა ახლა.

[2]) დად.—გამოვდგენ.

[3]) ა. ო.—იყვნენ კარგათ, დად.—იყუნეს ყუელა, 1505 №—იყვნეს კარგა.

[4]) 1505 და 428 № №—მოუყვნეს.

[5]) ა. ო.—მიეწიენეს მხიარულნი, დად.—მიეწურნეს მხიარულთა.

[6]) დად.—უჭურეტდეს და წაიარნეს.

[7]) დად.—შესაყრელად.

[8]) 1505 №—უსალამნეს.

[9]) სხვა ხელნაწერები—ყოველნი.

[10]) დად., 1505 და 428 № №—შევიდნენ.

[11]) ა. ო. და 1505 №—დარიჯაგები, დად.—დარაჯაგები დარაჯაგი, იხ. ლექსიკონი.

მაღლა ზღუდეს წამოდგეს[1]), ფლური ტაბაკს დაჰყარეს[2]).
და ვის[3]) ახლოს წაუვიან, მათ თავს გარდააყარეს.

1745. მერაბის სრას ოქროს ტახტი თუალ-მარგალიტიანა[4])
სამისთვის, ერთი ზაალს — ოქროს საჭურჭლიანია. —
მაზედ დასხდეს. მესტუმრეობს მერაბ ბრძენი, ჭკვიანია.
და მწუხარ-ხარმულს მოილებდეს ოქროს ტაბაკიანია.

1746. იაგუნდი ბროლის ჭიქა მუნ წამოდგეს სადგინენი,
ლალის თასი, ოქროს ჯამი, უამრავი[5]) საფუენი.
ბალშიაშნი[6]), მომღერალნი, მოშაიინი, მეჩანგენი,
და რაც მეჯლისში მათ გამართეს, ვერ იქმოდეს[7]) კაცთა ძენი.

1747. სამის თვის იტყოდეს, ზაალს აქებდეს ენით.
ასაკობა და შვენება გასინჯეს ფალავნურით[8]),
იხარებს სანდუხტ, უჭურეტდა გულით მხიარულით,
და კარგი ნაკითხა-სასირუჯე, ტანი-ხე დანერგულით.

1748. სანდუხტ ადგა, მოახსენა სამს სიტყუა მათი სახე:
„საფადარო[9]), სახელ-დიდო, გმირო მზის მონასახე!..
ერთგულთა და მოყუარეთა შენ ლხინი ხარ, მტერთა—მახე,
და აწ თუ ბრძანებთ, თქუენის ძის ზაალდასტანის ვარდი ნახე!“

---

1) დად.—მაღლა ზღუდეთა წაადგეს.

2) დად.—ფლური ტაბაკზედ დაჰყარეს.

3) 1505 და 428 № №—ვინც.

4) 1505 და 428 № №—მერაბის სრასა ოქროსა ტახტი, თუალ-მარგალიტია.

5) დად.—უმარავი(?), 1505 და 428 № №—უმრავლესი.

6) 1505 №—ბალშიაშნი, იხ. ლექსიკ.

7) დად.—ვერ იტყოდეს.

8) დად.—ფალაურითა, 1505 და 428 № №—ფალავნარითა.

9) დად. და 1505 №—სფაადარო

1749. სავაჭარი ფიცხლად[1]) ადგა, წამოვიდა[2]). მას უჭვრეტდეს.
მოლარენი თუალ-გუარის[3]) ოქროს თეფშზედ[4]) დაუდგენდეს.
სანდუხტ წინა წამოუძღვა: რომელსამს გვერდით სტავრას ფენდეს.
და რა შევიდა, რძალი ნახა, საამს თუალნი გაურელდეს.

1750. მარგალიტი და გუარი[5]) მას თავს გარდააყარა,
მოიკითხა და დალოცა, თუალთა მოჰკლენდა[6]) ვეღარა.
ვითა წესია, რცხვენოდა, როდამ მზემ[7]) თავი დახარა.
და ტანის ზრო, პირის სინათლე, მისუზრი[8]) არის აღარა!..

1751. ჰაერი მზესა უღრუბლისა ჰგავს იმის სინათლესა,
თმა ეღვარე სიმზეით[9]) მრავალ-გეცს საგდებელსა,
ბაგენი და საყბარნი—ფერით ვარდსა გაუშლელსა,
და კბილნი წყობით—მარგალიტსა დაცმულსა და შესაბმელსა[10]).

1752. ქალს მოუკიდა როადამს[11]) სანდუხტ შექ-მონასხვა,
საამს მიჰყვარა:—„ჰე ლომო, აწ თქვენი რძალი ნახეა!"
ქალი ჩაუდვა ქალშია[12]), ალვისა მტოთა სახეა,
და:—„თქვენი მიწაა, ღმერთითგან საკადრად[13]) შეინახეა!"

---

1) 1505 №—ფიცხლავ.
2) 428 და 1505 № №—წამოვიდა, დად.—წამოვიდეს.
3) დად.—თუალ-გოვარსა.
4) დად.—ოქროს თეფშსა.
5) ა. ო. და დად.—გოვარი. [ლენდა.
6) დად.—თუალი მოპლიჩა, ა. ო. და 1505 №—თვალთა მოჰ-
7) 1505 და 428 № №—როდამზემა, დად.—როადამ.
8) ა. ო. და 1505 №—მისუზროვ.
9) ასვა დად.-სეულზი, ა. ო. და 1505 №—სიმზვესა.
10) დად., 1505 და 428 № №—დასაცმელად შესაბმელსა, ა. ო.—დაცმულსა და შესაცმელსა(?).
11) ა. ო.—როდამსა, დად.—რუადამს.
12) 1505 №—ხ-ნით.
13) ა. ო.—ღლეისგან საკადრად, დად.—ღლე იქით პატივით.

1753. სავადარმან საიმედო სინდუხტს ჰკადრა: „როდესმე ვნახავ,
ამას იქით გაუთავებ, ჩემსა მზესა მაზედ ვსახავ[1]),
რაცა უნდა აუსრულებ, ავის[2]) თუალით არა ვნახავ,
და საწუთროსა შეწყენითა სულის ოდნად[3]) შევინახავ.

1754. ღმერთიმცა არის მათი მწე, დღეს ვისგანც გავიხარენით!..
აწ ერთად დავსხნათ[4]), რომელნი სიძე-სძლად[5]) შევაჯუარენით,
საწუთროშიგან მრავალ-ჟამ თქუენ მორჭმით გაიხარენით.
და ნაყოფიერად შვილითა, ლხინითა, დაითვარენით!..“

1755. ადგეს მერაბ და ზალდასტან, სადამდ სუფრა აჰყარეს,
ზაუდელ-ქუაბულდისტნელთა ოქსინოები დაჰყარნეს,
ოქრო, მუშკი და ლალია როდესმე გარდაიყარეს,
და როდამის ელვარებამან დარბაზით[6]) შუქნი აჰყარნეს.

1756. სინდუხტ ყელსა მოეკიდა, ორნივ დასხნა[7]) ტახტსა ზედან,
დალოცა თუ: „ყელ-მწიფურად თქუენმცა სუფევთ ამაზედან:
ნიადაგმცა ხართ[8]) შეუჭირველად თქუენთ ორგულთა, მტერთა, ზედან;
და ერთმანეთსა შუშვენიან მაღლად მსხდომნი ზურმუხტზედან!“[9])

---

[1]) ა. ო.—მზეღა ვნახავ.

[2]) ა. ო.—ავით თუალით.

[3]) ა. ო.—ოდნათ.

[4]) ასეა ა. ო.-ში, დად. და 1505 №— დავსხათ.

[5]) ა. ო.—სიძე-ქალს, დად.—სიძე-რძლად.

[6]) დად.—დარბაზის შუქნი.

[7]) ა. ო.—დასხა.

[8]) დად.—ხართ ნიადაგ შეუჭირვოდ, 428 და 1505 №—ხარმცა ნია-დაგ შეუჭირვლად თქუენთ.

[9]) დად.—ტახტსა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

1757. ერთი ტახტი სამისთვის შეკაზმული კელ-მწიფული[1])
მაზედა ზის[2]) მოყდენილი პილოტანი—ლომა-გული.
მერმე ზე დგას სამასპინძლო*), —სინდუხტ ალვა დანერგული.—
და მით მოიდეს სანუკვარი[3]), გაძღებოდა კაცთა გული.

აქა ქორწილი ზაალისა და როდამისა**)

1758. იგ ორნივე სართ-ტანნი დალოცეს და ერთგან დასხეს.
ზაულ-ნიმროზ-სისტანელნი, მუნ თავადნი შემოსხეს.
ვეზირნი და მთურავნი შიგ ჩარივნეს[4]), რჩევით დასხეს,
და სანუკვარი ჩაურიგეს[5]), ხოშ-გუარი[6]) ღვინო ასხეს.

1759. იაგუნდის, ლალის მუნ თასნი[7]), ფეროზისანი,
ბროლის კოკები ჩამოდგეს, ჭურჭელნი ზურმუხტისანი,
სხვილი[8]) კოკები, ოქროსა ტაბკები, სადაფისანი,
და სუფრა არ დაძრეს, ხუთს დღეს მუნა სხდეს შუქნი მზისანი.

1760. ერთმანერთსა გამოჰკვეთიან[9]), ითრობოდეს ამა ზმითა,
ზე-მდგომელთა დოსტაქანი დალივიან ღვინის სმითა[10]),

1) დად.—კელ-მწიფური.
2) ა. ო —მაზედ მისი.
* დად.—მასპინძელი.
3) დად.—სანუკარი.
**) ეს სათაური ა. ო.-ში არ არის.
4) 1805 №—შიგ ჩარივეს, რჩევით დასხეს, დად.—დასხეს.
5) ა. ო.—სანუკვარნი ჩაუყარნეს.
6) ასეა დად.-სეულში, ა. ო.—ხოშ-გვარი, 428 და 1505 № №—ხოშგუარი.
7) ა. ო. და 1505 №—თასი.
8) 1505 №—მსხვილი, ა. ო.—სახელ-კოკები(?).
9) ა. ო.—გამოჰკვეთან.
10) ა. ო.—ზე-მდგომელნი დოსტაქანსა დალევდიან ღვინის სმითა.

მუტრიბნი და მომღერალნი არ გასწყვეტდეს[1]) ჩანგს კურითა,
და უცხო ფერად იქცევიან მოშაითნი ფიცხლად[2]) ქნითა.

1761. სამს მთავართვეს კლიტენი სამთვის საჭურჭლისანი,
წინ ანაწერი დაუდვეს საზითოდ როდამისანი[3]):
ეწერა ფერად-ფერადნი ზარდახშა-საჭურჭლისანი.
და გული განცვიფრდა[4]) მსმენელთა და თუალნი მწიგნობრისანი![5])

1762. ოქროს სარტყლითა ნაკაზმი ყმები და მოახლეებია,
ბარგის მზიდავნი პილონი[6]), მრავალი აქლემებია,
ყათარი[7]), ახოსალარი[8]), რიქიფი[9]), მუქიფებია[10]),
და ოქროს ლაგმითა შემკული მარქაფა ტაიჭებია.

1763. მას აქათ[11]) ჯოგი, პირუტყვი—სიმრავლე ვერ დათუალეს![12])
მისაცემელი გაიყვდა. მწიგნობართ[13]) მოიცალეს.

---

[1]) 1505 და 428 № №—არ დასწყნარდეს ჩანგის კვრითა.

[2]) 1505 და 428 № №—ფიცხლავ.

[3]) ასეა 1505-სა და 428 № №-ში, დად.—როდამის საზითოსანი, ა. ო.—საზითვო როდამისანი.

[4]) ა. ო.—გაჰკვირდა, 1505 და 428 № №—განცქვიფრდა: 1505 №-ი დიდის გულ-მოდგინებით არის გადაწერილი 428 №-იდან, ასე რომ პირველი სავსებით იმეორებს უკანასკნელის შეცთომებს.

[5]) დად.—მკითხველისანი.

[6]) ასეა დად.-სეულში, ა. ო. და სხვები—სპილო.

[7]) ყათარი, იხ. გვ. 427, ხ. 1561, ტ. 1 და შენიშვნა მე-4-ე.

[8]) ახოსალარი, სპ.—اخورسالار—მეჯორე.

[9]) რიქიფი, არაბ.—رقيب—მეთვალყურე, მხრუნველი.

[10]) მუქიფი, არაბ.—موكب—მავკიბ—შეიარაღებულ პირთა კრება.

[11]) ა. ო. და დად.—აქეთ.

[12]) დად.—ჯოგი პირუტყვთა სიმრავლით ვერ დათუალეს.

[13]) 1505 და 428 № №—წერისგან, დად.—წიგნისგან.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მერან და სინდუხტ, ზალდასტან და როდამ ყთაყუანსა,
და აგრეთვე მათნი ლაშქარნი უკუდგეს[1]), ქსადამნესა[2]).

1764. სამ მერან გარდიწვია[3]), რა სალამი გარდიკადეს[4]).
სინდუხტ როდამს წინ მიუჴდა[5]), შემოქმედსა მადლი ხადეს[6]).
კუდავ წამოდგნეს[7]) საღვინენი,—თუალით ვერა[8]) გაიცადეს!—
და მუტრიბთა და მომღერალთა ტკბილნი ჴმანი გაისხნეს[9]).

1765. მათ დარბაზი საზაფხულო კულა[10]) იცუალეს მერვეს დღესა.
მოჰკაზმეს და დაამშვენეს, თუ სთქუა: „სჯობდა[11]) სამოთხესა!“
სიხარულით მოისუენეს, მაშიგ იყუნეს ერთსა თუესა.
და მერმე ძოწის კარვებითა შიგან[12]) ჩადგეს სავარდესა.

1766. მოისუენეს[13]) ნადიმითა,—მე ვერ ვათქმევ[14]) ენასა!..—
ყაბახსა[15]) და ბურთობასა იქმენ, ცხენთა დგენასა[16]).

---

1) ა. ო.—უკუდგნეს.

2) 1505 №—ეთაყვანესა.

3) ა. ო.—გარდიწვივა.

4) ა. ო.—რა სალამნი გარდიხადნეს.

5) დად.—მიუჯდა, გურულ-მეგრული ფორმაა.

6) ა. ო.—ხადნეს.

7) დად.—წამოდგეს.

8) 1505 და 428 № №—ვედარ.

9) ასეა 1505 №-ში, დად.—გაიხარნეს, ა. ო.—გაიხსნესა(?).

10) 1505 და 428 № №—დარბაზნი საზაფხულო, დად.—დარბაზი საზაფხულოდ კოლავ.

11) ა. ო.—სჯობდეს.

12) დად.—შიგა.

13) 428 და 1505 № №—მოახსენეს.

14) 428 და 1505 № №—მე ვერ ვიტყვი ენითაო.

15) 428 და 1505 № №—ყაბახთა; ყაბახი—თ.-ო.—قباق—ყაბახ-ისართა მიზანში სროლა, მიზანში ამოღება ბურთის.

16) 428 და 1505 № №—დგენითაო.

აშუამაკას[1]) ისრადიან, ზალდასტან სჯობს ყველასა[2]),
და სამ მერანს გაეფიცა, იქმენ წიგნის წერასა[3]).

1767. „ვაყუჩნეთ ბრძანებით მორჩილნი მანუჩარ კელ-მწიფისანი:
მტერის მტერნი[4]) ორნივე—მათისა ორ-გულისანი,
მოყვრისა ლხინნი მუდამად, მჭუქები ერთგულისანი!“[5])
და რა ესე პირი დაასრულეს, ზეადგეს მექნი მზისანი.

აქა წავიდნეს ზაულისწვანისაკენ სახლისა საამისასა.

1768. მეპილოვენი მოასხეს, ჯორ-აქლემები ყოვლი[6]),
ფერად-ფერადი აჰკიდეს საჭურჭლე აწ უპოვლი[7]),
აურაცხელი ვარსკვლავთა[8]), კაცთაგან შეუპოვლი.
და წამოდგეს გვერდა სახლოდ დამქარი, მონა, მჯველი[9]).

1769. ყრიმული[10]) ალვის კუბო მათ დაადგეს პილოზედა,
თავს ფარშამანგი ოქროსა, გვარი ისხდეს[11]) მაზედა.

---

1) ა. ო.—აშუამაქსა, სხვები—აშუამაგსა: აშუამაგი, თ.—რბევით, გაქცევით ისრის სროლა.

2) 428 და 1505 №№—ყველათაო.

3) 428 და 1505 №№ წერითაო.

4) ა. ო.—ეს სიტყვა წარყვნილია.

5) ა. ო.—მოყვრისა ლხინნი ორნივე და უჩენი ერთგულისანი, დად.—ორნივე მჭუქები ერდგულისანი. 1505 და 428 №№—მუდამად ორნივე მჭუქები ერდგულისანი.

6) დად.—მეპილოვენი და ჯორი, აქლემებია, ყოველი, 1505 №—მესპილოენი.

7) ა. ო.-ში ეს ადგილი წაფხეკილია.

8) 1505 და 428 №№—ვარკვლავთაგან აურაცხელი.

9) დად.—მუნ უთვალავი.

10) ა. ო.—პარარპიმელი(?), სხვები—ყრიმული.—წარმომდგარია საკ. სახელისაგან ყირიმი, თ. قرمز—ყირიმი.

11) ა. ო.—თავს ფარშამანგი ოქროსა გვარი ხშირათ სხდეს მაზედა, დად.—ფარშამაგი ოქროსა გოვარი ისხდეს.

ოქრო-ქსოვილი ბერძული[1]) მოხვეულ-იყო სრაზედა,
და ზურმუხტის ტახტი შიგ[2]) დადგეს, ზაალ და მზე სხდეს მაზედა.

1770. ტან-სარო როდამ, ზალდასტან, შიგან კუბოსა დასხნესა[3]),
მერაბ და ცოლი იმისი,—სამ, ტაიჭთა[4]) შესხდესა.
ყოშუნ-ყოშუნად ლაშქარნი თანა დროშებით[5]) გაჰყვესა,
და ქორ-მავარდენი, ავაზა,—მინადირობდენ[6]),—თან ჰყვესა.

1771. წინ ერთი კაცი გაგზავნეს, ზაალის დედას ახარეს.
მახარობელი შემოსეს, თავს ოქრო გარდააყარეს.
დაკაზმინა დარბაზნი სისტანისა[7]), მუნ შეიყარნეს.
და შესხდეს წინ მისაგებებლად[8]); ქალაქი ბუკთა[9]) აჰყარნეს.

1772. მოეგებნეს, ესალამნეს, გარდაჰყარნეს მარგალიტნი[10]).
მუნ შეიქნა სიხარულნი ქალაქშიგან[11]) აჰა ფედიდნი!
მუტრიბთა და მომღერალთა ხმა გახშირდა მეტად დიდნი[12]),
და ერ-ჯალაბნი[13]) შეურიდიყო, ვერ იხედრეს მცველთა ხიდნი[14]).

---

[1]) 1505 და 428 №№—ბერძნული.

[2]) ა. ო.—ზე ადგეს.

[3]) ა. ო.—შიგა კუბოსა დასხნესა, სხვები—დასხესა.

[4]) დად.—ტაიჭსა.

[5]) დად.—ყოშუმ-ყოშუმად ლაშქარი, დროშები, ა. ო.—ხშირ-ხშირად ჯარი მორთული. ყოშუნი, იხ. გვ. 278, ხ. 1015, ტ. 3, შენიშ. 11.

[6]) დად.—მინადირობენ.

[7]) 1505 და 428 №№—დაკაზმეს სრანი, დარბაზნი, სისტანი, ა. ო. და დად.—სისტანსა.

[8]) დად.—მისაგებავად.

[9]) დად.—ბუთა, ა. ო.—ბუკთა, 1505 და 428 №№—ბუკით.

[10]) დად.—გარდაჰყარეს, 1505 და 428 №№—მარგალიტნი შენაყრილნი.

[11]) დად.—ქალაქშიგა.

[12]) 1505 №—მომღერალთა ხმა გახშირდა მეტათ, დად.—მუტრიბთა და მოშაირთა ხმა..

[13]) დად.—მუნ ჯალაბნი.

[14]) დად.—მცველთა ვერ იხედრეს ხიდი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

1773. ზაადს დედა მოეგება ტან-სარო, პირით[1]) მთვარითა.
გვერდ ახლავს ჯარი ხადუმთა, მიგა ქცევითა წყნარითა.
ალვა-ამბარი ეკმევის და მუშკი მუჯამარითა[2]).
და გოარი გარდაეყარა დადმან ეკლდითა ჯანითა[3]).

1774. აჭკადა[4]) და პირს აკოცა, მას შეადგა შუქი მზისა.
მოეკიდა, წინ მიუძღვა[5]), შევდეს კარი დარბაზისა.
სამი ტახტი შეკაზმული მუნა იდგა ძვირ-ფასისა,
და მათზედ ისხდა მარგალიტი, იაფობდა გოარისა[6]).

1775. შუასა[7]) ტახტსა ზედ დასვა ვარდისა დასამწიფოსა,
ერთზედა სამ და მერამ, მარჯუენით, სახელ-მწიფოსა.
სამის ცოლი და სინდუხტ, მარცხენით, საარიფოსა.
და მაშინ ჰგავს იგი დარბაზი ედემსა მოსაკრიფოსა!..

1776. თავადნი და დიდებულნი ყოველნივე[8]) შეიწვივნეს,
სადაცა ვის[9]) ეფერების, ერთმანერთი გარდიწვივნეს[10]),
მუტრიბთა და მომღერალთა რვა დღე დიდნი მოაწივნეს[11]).
და იცუდიან დარბაზები, სანუკვარნი სხუა იქცივნეს[12]).

---

[1]) ა. ო.—პირად მთვარითა.

[2]) ა. ო.—ალვა უდი და მუშკი ეკმევის მუჯამბარითა—წარყვნილია, დად.—...ეკმევის, და მუშკი მუჯამბარითა, 1505 და 428 №№—ალვა-ანბარი ეკმევის და მუშკი მუჯამარითა—ეს უკანასკნელი სწორია.

[3]) ა. ო.—და მან ხშირათ გარდააყარა თვალ-მარგალიტი ჯამითა(?).

[4]) ა. ო.—წაფხეკილია.

[5]) დად.—მოეხვია, წინ შეუძღვა.

[6]) ა. ო.—იეფობდა ძვირ-გვარისა.

[7]) ა. ო.—წაფხეკილია.

[8]) ა. ო.—ყველანივე, დად.—ყოველივე.

[9]) დად.—ვინ.

[10]) დად.—გარდიწვიეს.

[11]) ა. ო.—მოაწივნეს, დად.—მოიწვიეს.

[12]) დად.—სანუკარი სხუა იქციეს, ა. ო.—სანაკვარნი სხვა აქციენეს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

1777. მას უკანს[1]) სავარდესა ჩავიდიან, დგანან სვიან,
მათ ჩანგები კელთა ჰქონდის, მოედანშიგ[2]) ბურთობდიან,
გავიდიან ნადირობად[3]), ავაზანი[4]) კელთა ჰყვიან,
და სორდულებისა[5]) ადევნებდეს[6]), თვითან ისრით სისხლთა ღვრიან[7]).

1778. მშვილდოსან-ფალავნობითა[8]) ზაალ მეტობდა მათზედა[9]).
იგ მეუყვარდა ლაშქართა, ზაალ[10]) მოსწონდათ ჰკუაზედა.
აგრეთვე ზნე-კეთილობით, ყოფა-ქცევასა[11]), ზმაზედა.
და სიდედრ-სიმამრთა როდესმ არ ნახეს ავსა თვალზედა[12]).

1779. რა ორი თვე გამოვიდა, სამ[13]) შვილსა ეუბნების:
„მაზანდარას წასვლა მინდა, ჩემი გული აქ არ დგების,
სხვა ქვეყანა უკეთესი ჰმელეთზედა არ იქნების[14]),
და უსაზომოდ[15]) მოიქწონა, ქება მისი არ ეკების!..

---

[1]) ა. ო.—მასა უკან, დად.—მას უკანის.

[2]) დად., 1505 და 428 №№—მოედანში.

[3]) ასეა დად.-სეულში, სხვები—ნადირობას.

[4]) ა. ო.—ავაზ-ფრინველ(?)

[5]) სორდულები, თ.-ოსმ.—سنقر—სუნყურ.—ერთგვარი მიმინო. შავარდენი.

[6]) ა. ო.—ადევნებენ, 1505 და 428 №№—ადევნებდენ.

[7]) ასეა ა. ო.-სეულში, სხვები—თვით ისრითა სისხლი ღვრიან.

[8]) ასეა დად.-სეულში, 1505 და 428 №№—მშვილდად და ფალავნობითა, ა. ო.—მშვილდითა-ფალავნობითა.

[9]) 428 და 1505 №№—მაზედა.

[10]) დად.—მამას მოსწონდა ჰკვაზედა, ა. ო.—მოსწონდა ზაალ ჰკვაზედა.

[11]) დად.—ყოფა-ქცევითა.

[12]) ა. ო.—და შვილის მამამან არ ნახა როდესმ ავსა თვალზედა.

[13]) ა. ო.—მამა.

[14]) 1505 და 428 №№—სხვა ქვეყანა ჰმელეთზედან უკეთესი არ იქნების.

[15]) ა. ო.—უსათუოდ.

1780. როდეს დავკოცნე სკსარნი[1]) და სიმაგრენი დავშალენ[2]),
გრძნეულთა ჰქონდა ქადაჯნი[3]), ქუეყანა მათგან დავსცალენ,
ჩემგან დაჭირვა იამა, კელთ მამულნი დავათუალენ[4]),
და მართებს, მოგვართუან ხარაჯა, წელნი თვეურად დავთუალენ[5]).

1781. წელიწდის თავსა მართებდა, სამი თუ მეტი არისა.
გამოჩნდა ვინმე მოსარჩლე, ოდენ[6]) ქაქუთის გუარისა.
ჩემად ადარად სცადიან, წასვლა საქნელი არისა,
და თქუენ აქა გამოისუენე[7]), წავალ უფიცხე[8]) ქარისა".

1782. ბრძანებს: „წავალ უსაცილოდ, ხვალ არ გნახავ მზისა მუქთა,
თან წავიტან დიდებულთა მუნ, აბჯართა არ სუბუქთა,
აქლემსა და პილოებსა[9]), ნალარასა[10]), სპილენძ-ჭურთა,
და თავადთა და ფალავანთა[11]) საომრად დაკაზმულთა!"

1783. სამ მეჯდა და წავიდა ლომ-გული, ტან-ნაკუეთიანი.
მერაბ და სიძე იმისი თან გაჰყუნეს[12]) პირად მზიანი.

---

[1]) დად.—როდეს დავპოცე საგსარნი, 1505 და 428 № №—დავპოცენ სანგსარნი, ა. ო.—დავზოცენ სანგსარნი.

[2]) დად.—დავშალე.

[3]) ა. ო., 1505 და 428 № №—ქალაქი.

[4]) ასე 1505 და 426 №№-ში, დად.—მამული ჰელთ დავათვალენ, ა. ო.—მამული კელთა დავთვალენ.

[5]) დად.—მართებს მოგვართუან, ურიცხვნი წელნი თვეულად დავთვალე, 1505 და 425 № №—თვეულად.

[6]) დად.—ოდენ ქაქუთის გუარისა.

[7]) ა. ო.—გამოისვენეთ.

[8]) დად.—უფიცხლე.

[9]) ა. ო.—სპილოებსა, დად.—პილოვებთა.

[10]) დად.—ნალარათა.

[11]) დად.—და თავადთა და დიდებულთა, ა. ო.—და ფალავანთა თავადებსა.

[12]) დად — გაჰყუენ

სახელ-მწიფოსა საქმესა სწვრთის. ზაალ ისმენს ჭკვიანი[1]).
და ორსა ფარსანგსა იახლეს[2]) მერაბ და ზაალ სვიანი.

1784. სათადარმან დააბრუნა[3]), სისტანისკენ თავნი არნეს,
დალოცეს და ესალამნეს, წამოვიდეს, გაიყარნეს,
შინ მოვიდნეს[4]), პირ-მთუარენი ნახეს, ერთგან[5]) შეიყარნეს.
და ერთი კვირა მუნა იყუნეს. მეჯლიშითა[6]) გაიხარნეს.

1785. მერაბ სიძეს დაუთხოვა: „აწ გაგვიშვი, წავალთ შინა!..
თქუენი გაყრა მეძნელების. ვთქუა, მავ გულმან რა[7]) ილხინა?!.
მივალ, ვნახავ სახლსა ჩემსა, მე ვსცნობ, უზამს რასა ვინა.
და რა გვიბრძანო[8]), კიდარაზებ, კულა მოვიდე თქუენსა წინა!“

1786. სინდუხტისათვის ზანდუხჩა სავსე გუარით[9]) ფრქვეული,
ტაჯ-ყაბაჩა[10]), საბურავი, ყოველი ფერი[11]) სამკაული;
მერაბსა და თავადებსა[12]), ვინცა ახლავს ქუაბულელი,
და გაუგზავნა ლალ-ბადახში სახელ-მწიფო, მადრიმული.

---

[1]) ა. ო.—სახემწიფოსა საქმესა სწრაფ ისმენს ზაალ ჭკვიანი, 1505 №—საჰელ-მწიფოს საქმეს სწვრთნის, ისმენდა ზაალ ჭკვიანი.

[2]) დად.—ორსა ფარსანგსა თან გაჰყუეს, ემთხვივნეს ვარდსა იანი, ა. ო.—ორს ფარსაგამდის იახლეს...

[3]) დად.—სთაადარმა დააბრუნვა.

[4]) დად.—მივიდეს, ა. ო.—მოვიდეს.

[5]) ა. ო. და დად.—ერთად.

[6]) დად.—მიჯლიშითა.

[7]) ა. ო.—...თქვა: შავ-გულმან არ ილხინა; 1505 და 428 № №—თქუენი გაყრა გვეძნელების, ვთქუა, შავ-გულმან რა ილხინა?!., დად.—მეძნელების.

[8]) ა. ო., 1505 და 428 № №—გვიბრძანებ.

[9]) დად.—გოვარითა, ა. ო.—სინდუხტისათვის ზანდუხჩა სავსე გოვარით ფრქვეული, სხვები—სინდუხტისთვის ოქროს ტახტი გუარითა გაფრქვეული.

[10]) 1505 და 428—ყაბარჩა, დად.—ყაბარჩი, ა. ო,—ყაბაჩა. ყაბაჩა, იხ. ჩვენი ვეფხ.-ტყ.-ის ლექსიკონი.

[11]) ასეა ა. ო.-ში, სხვები—ყოვლისთანა.

[12]) 428 და 1505 № № და დად.—მერაბისთვს, თავადთათჳს.

1787. აჰკიდეს და*) გაემართნეს, ნაწუქები წამოვიდეს.
მხიარულნი, გულ-ნათელნი ქუაბულისტანს შემოვიდეს.
ტახტი დახუდა ყამ-კეთილი, სახლსა შინა რა მოვიდეს.
და როდამცა დაარსულდა, რა სამი თუ გამოვიდეს.

1788. დამძიმდა. „დონე წავლისა[1]) უგავს შეკრულთა გუნდითა[2]),
მუცელი უგავს სავსესა წითლითა იაგუნდითა.
ზიდვა აღარა შეეძლო, ვეღარ დაიძრა მუხითა.
და დაწვის, ატკივნის მუცელი, ბასრისა გურდემლი უც ვითა[3]).

1789. ლალისა ლაწუნი[4]) როადამს ზაფრანის ფერად გაუხდეს.
ვერც დაწვის, ვერც დაიძინის[5]), მას მუხლით ძალნი წაუხდეს[6]).
დედას აცნობა: — „მიშველე!“ — სული უფსკრულსა ჩაუხდეს,
და ფერდზედა ედვის ბალიში, ტირს, ცრემლსა წყარნი**) გაუხდეს!

1790. მიუწერა: „ულონოდ მე მოვკვდები, მნახე მალე!
დაარჩიე აქიმები, მოიტანე, მოდი ხვალე,
დაავედრა მოციქულსა: „თვი ქარსა დაათუალე!
და სადაც იყო, დედაჩემსა[7]) წიგნი ხელთა მიათუალე!“

1791. რა მივიდა მოციქული, ტახტზედა ზის სინდუხტ მზია[8]).
წიგნი ნახა როადამის[9]), მას ეწყინა მეტად დია.

---

*) ა. ო. — მადლი ჰკადრეს, გაემართნეს, ნაჩუქები წამოვიდნეს.

[1]) დად. — წასვლისა.

[2]) ა. ო. — ბუნდით შეკრულითა, დად. — კუნდითა. ხუნდი — ბორკილი.

[3]) 1505 და 428 № № — ბასრი გურდემლია უცვითა, დად. — ბასრი გურდემლი უც სულდითა(?), ა. ო. — ბასრისა გრდემლი უცვითა.

[4]) 1505 და 428 № № — ლალის ლაწუნი, როადამს — ზომას ლალობს.

[5]) 1505 და 428 № № — ვერ-ვერ...

[6]) 1505 № და ა. ო. — ხ-ნით.

**) ასეა ა. ო.-ში, სხვები — ცრემლ-საწურნი.

[7]) 1505 და 428 № № — დედა-ჩემი.

[8]) ა. ო. და დად. — მზეა.

[9]) 1505 და 428 № № — როდამისა.

ესე ბრძანა: „ორსულობას ოდენ როგორ შეუძლით,
და თუ სხუა რამე არ დაერთო?.. ესე ჩემგან საზრია“!..*)

1792. ორნი ბრძენნი მოახლენი[1]) მუნ აქიმნი, მეცნიერნი,
იკმნა, შინა შემოასხნა[2]) ჭკუიანნი და გონიერნი[3]),
მათ უსტარი წაუკითხა როდამისგან მონაწერნი,
და თუ უშველოთ, მე შემოგზდო ას ნაკეცად თქუენი ფერნი.

1793. სინდუხტ შეჯდა, წამოვიდა, თან აქიმნი წაიტანა,
ზაულისტანს მოიწია, ქალაქისა კართა თანა.
წინა ზაალ მოეგება, ჩამოჴდა და აკოცუნა,
და მოიკითხეს ერთმანერთი, წინ მიუძღვა როდამთანა[4]).

1794. დედამან ნახა როდამ დამჭკნარი, გაყვითლებული,
როგორ შვენოდა პირველად, არ ისრე აყუავებული.
სინდუხტს ეწყინა, შეიქნა გულითა შეჭირვებული.
და თუალთაგან ცრემლი გარდმოზდის[5]), ტიროდა ვაგლახებული.

1795. მოიკითხა: „ვით გასრულხარ, დედის თუალთა სინათლეო!..
სად არს შენი ელვარება[6]), ლაწუი-ვარდი, პირი-მზეო?!.
გვერცა[7]) მსხდომთა შენი შუქი გულსა ადგის[8]) ნათლად დღეო.
და აწ მიბრძანე, როგორა ხარ, ჴმელთა შუქო, მზეთა მზეო?“..[9])

---

*) ეს ორი უკანასკნელი ხანა წარყვნილია ა. ო.-ში.

[1]) დად.—მონახულნი, 1505 და 428 №№—მოახლენი.

[2]) 1505 და 428 №№—იხმო, შინა შემოასხა.

[3]) ა. ო.—მეცნიარნი, დად.—მეცნიერნი, 1505 №—გონიერნი, 428 №—მეცნიარნი... გონიარნი—ლექსთ-წყობას ღალატობს.

[4]) დად.—წინ შეუძლვა როდამს თანა.

[5]) ასეა დად.-ხელში, 428 №—გარდმოდის, ა. ო. და 1505 №—გარდმოსდის.

[6]) 1505 №—ელვარობა.

[7]) 1505 № და დად.—გვერდსა.

[8]) ასეა დად.-ხელში, ა. ო., 1505 და 428 №№—ადგა.

[9]) დად.—მზეთა-მზეო, 1505 და 428 №№—ზესთა-ზეო, ა. ო.—ზეთა-ზეო.

1796. როდამ ეგრე მოახსენა[1]): „ვერცა რა მე შემაგნია,
რადგან მიც, მოუძლავარ, სიმძიმითა ტანი გლდია,
ზე აღდგომა, ვერ[2]) ავიტან, ჭკავს, ტუჲასა ზგავი ძია,
და თუ დაიძრვის, გარდამაქცევს[3]), დავბნდები და მკუდარი ვძია[4]).

1797. სინდუხტ იტყვის თუ: „გათავდა აწ[5]) ნათქუამი ბასტანელთა:“[6])
„—გვარჯასპის და ზაქიანთა ნათესვი—გმირი კმელთა,
აღმოსავლით დასავლამდის იგი დაკოცს ყუელგან[7]) მტერთა,
და მას ვერავინ ესწორების!“—უწინვე[8]) თქუეს მერამდეთა.

1798. მეეტლეთათვის[9]) ეკითხა მანუჩარს გამოცნობითა,
ისრევ მათ უთქუა, ყუელაი მეეტეთ დასტურობითა:
„დაიბადების ყმა-შვილი“, მათ მეეტლეთა ცნობითა
და „ვერ დაეხსნების[10]), მანამდი თუ მოჰკუდე[11]) გარჯილობითა!“

1799. როდამ დედას მოახსენა: „აწ რომ ნახდეგ, მეცხრე თვეა.
სისავსითა ვერსა ვსჭამ[12]), არა მძინავს, ასე დღეა.
გულსა შიგან მამემშვევის[13]), სტომაქი მაქვს მე სავსეა,
და მივეწურე სასიკუდილოდ, მეტი აღარ შემიძლია.

---

1) დად.—როუადამ ეს მოახსენა.

2) 1505 და 428 № №—ვერ ავიტან

3) 1505 №—და თუ გაიძვრის, 428 №—გაიძურის, გადამაქცევს.

4) დად.—მკუდარი დია, 428 №—ვძია.

5) დად.—სინდუხტ თქუა თუ: „აწ გათავდეს ვეპ ნათქუამი ბასანელთა.

6) ხელ-ნაწერები—ბასანელთა, უნდა იყოს ბასტანელთა, ვასწორებთ.

7) დად.—ყოვლგნით.

8) დად.—უწინა.

9) 1505 და 428 №№—მეეტლეთათვის, დად.—მესტროლაბთათვის.

10) დად.—დაიხსნების.

11) დად—მოვკუდე

12) დად.—არას შევსჭამ.

13) დად.—მომშვევითა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

1800. სანდუხტ დადონდა, მოასხა, ესე აქიმთა გაანდო.
საძალ-სათრობი წამალი მათ გახსნეს კარგი და სანდო.
მუშკ-ფადაური, შაქარი, ხაშხაში ურთეს და სალდო[1]).
და საბუჟებელი წამალი აჭამეს ძუალთა დასალბო.

1801. დაიძინა. მოისუენა, ოდენ ცრემლნი[2]) აღარ სდიან.
რა მოჰქარდის[3]), მისთანავე ახლად რძითა ახურიტიან,
საძილოთა[4]) კარუელი ძუელი[5]) ღვინო შეასუიან,
და შობამდისა ესე უყვეს, ყოვლთა დღეთა ესე ქნიან[6]).

1802. მას შეექმნა ძნელი ტეხა, რა შობის დღე მოვიდა.
სიკუდილსაცა მიუწურა, სთქუა თუ: „სული ამოვიდა!“
დასტიროდა დედამთილი, სანდუხტ ხოჭით შემოვიდა.
და ზალდასტანსცა მოახსენეს, ჰანახავად წამოვიდა.

1803. მას მოეკრის ფასკუნჯი და ფრთენი სიმურღისანი.
დაკუდრულობა წამლისა[7]) ტკბილისა გამზრდელისანი,
ცეცხლზედა დადვა, ამაღლდა მუნ კუამლი ნაგრტენისანი*).
და ღ̃თსა შესტირის, მოსთქუემდა: „ვა[8]) წაედეს შუქნი მზისანი!“

1804. ფრთესა[9]) კუამლი აედინა, ერთი ჟამი გამოვიდა.
ფიცხლავ გული გაუხურდა[10]), ფასკუნჯიცა წამოვიდა.

---

1) ხაშხაში, სპარს. — خشخاش — ყაყაჩო, სალდო, მცენ.
2) 428 და 1505 № №—ცრემლი.
3) 1505 №—მოჰქონდის—წარყვნილია.
4) 428 და 1505 № №—საძილოთა.
5) დად.—ძნელი(?).
6) 1505 და 428 № № —შობის ღღემდის. ასრე უქვეს.
7) დად.—სწავლისა.
*) ა. ო.—ნავრტენისანი.
8) 1505 და 428 № №—ღ̃თსა შესტირის მოთქმითა, ვა წახდეს, დად.—ღ̃თსა შესტირის მოსთქუემდა. ვაი...
9) დად.—ფრთასა.
10) დად.—პ-რით.

ვით ღრუბელი სწვიმარი, ქუხილითა ჩამოვიდა.
და მზისა შუქი აღარა ჩანს, სისტანს ქალაქს რა მოვიდა.

1805. ზაალდასტან გაეგება, ილოცვიდა, იდგა დიდხს.
მადლი მისცა, ეთაყუანა, მამა ვითა, მოიკითხა.
„რად შექნილხარ შეჭირვებით?“ ფასკუნჯურად გკრე ჰკითხა.
და როადამის ავად ყოფნა[1]) მოახსენა, რაცა ჰკითხა.

1806. სიმურღმან[2]) მისცა იმედი: „ნუ სჭმუნავ, გული გაამე!“
ჭანგითა მისცა ბალახი: ,,დანაყე, ფიცხლავ გააკმე,
მარჯუენა ფერდი[3]) გულდოვნად გაუპე, ბრალი დაცათმე.
და გამოიყვანონ, შეჭკერე, აყარონ გბე დაცადმე!“[4]).

1807. მოდი მისცა და ასწავლა. ფასკუნჯი უუბნებოდა,
—არვის ესმოდა. უჭურეტდეს[5]). ყუელასა გაურგებოდა,
მისა შევიდა ზაალდასტან, წინ სინდუხტ მოეგებოდა.
„და სიმურღის იმედს გვიბრძანებ?“[6]) ტირილით უუბნებოდა.

1808. უბრძანა თუ: „ნუღარ სტირი, რა[7]) მამესწრა მე გამზრდელი!“
იკმეს ფიცხლა მათ აქიმი—ბერი კაცი, ქუაბულელი.
მან წამალი შარბათითა[8]) შექნა იგივ სათრობელი,
და შეასვა, და დაეძინეს, ვერ შეიტყვეს,—იყო მთელი[9]).

---

[1]) დად.—ყოფა.
[2]) დად., 1505 და 420 № №—სიმრუღმან.
[3]) დად.—გვერდი.
[4]) დად.—აყარონ წყლულსა და სათმე.
[5]) 1505 № უჭვრეტდენ.
[6]) დად.—„სიმრული რას იმედს გვიდებს“, ტიროდა, ეხვეწებოდა.
[7]) დად.—რომ მომესწრა.
[8]) შარბათი, არაბ. شرب — ლიმონადი, სასაქმებელი, სიროპი, ტკბილი.
[9]) 1505 და 428 № №—და შეასვა და დაეძინა, ვერ შეიტყო, იყო მთელი.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

1809. მარცხნივ გვერდს მიაწვინეს, არ აზრობდეს როდამს მთელსა.
მას აქიმსა გამოცდილსა ალმასს მისცემს ზაალ კელსა[1]).
მარჯვნივ ფერდი გაუხივე[2]) მზისა შუქსა, მთვარე მთელსა,
და ხუადი[3]) ლომი გამოჰკვეთოთ, მე დავური საკურნელსა[4]).

1810. აქიმმან ფერდი გაუპო სოფლისა მნათობელსა.
ლომისა ლეკვი აცირდა, არა ჰგავს დასათმობელსა.
მათ აიყუანეს, იამა, შეხვიეს გასათბობელსა[5]).
და ფიცხლა[6]) შეკვრეს, ჟურიან წამალსა საკურნებელსა.

1811. როდამ ფიცხლა გაამთელა[7]), ჯერ სიმურდი არ წავიდა,
მოლმან მისგან მონაცანმან, სისხლიც არსად გამოვიდა[8]).
მას დახურეს საკარმანგი[9]), ქუალთა ოფლი გამოვიდა.
და ზალს[11]) ფასკუნჯი ეუბნების, ოდენ ხანი გამოვიდა;

1812. „ძლიად და გულად აჯობებს ეგ შენი შვილი პილოსა:
ისარსა მჯუსა კლდეშიგან გაავლებს, დასწუავს ნილოსა[10]),
უზაბარსა და ნილოსა[12]), ღრუბელსა დასჩრდილოსა,
და ზღუას აადუღებს შიშითა, გურზითა დალეწს[13]) პილოსა.

---

[1]) დად.—ზაალ მისცემს ალმასს კელსა.

[2]) დად.—გაუხიე.

[3]) 428 და 1505 № №—მხვადი.

[4]) დად.—სამკურნალსა.

[5]) დად.—დასათბობელსა.

[6]) 1505 და 428 № №—ფიცხლავ.

[7]) 428 და 1505 № №—ფიცხლავ გამთელეს

[8]) დად.—მოლმან მისგან მოტანილმან არცა სისხლი გამოსდინა.

[9]) დად.—საკარმანგი—იხ. ლექს.

[10]) დად.—ზაალს—ზომას ღალატობს.

[11]) დად.—პილოსა.

[12]) დად.—ნიანგსა, სხვები—ნილოსა.

[13]) ა. ო., 1505 და 428 № №—გრუზითა დასწვავს.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

აქა დაბადება როსტომისა და ნახვა სინდუხტისაგან.

1813. დედოფალი შემოვიდა, დომ-ნაკუეთი სინდუხტს მისცეს.
რა აჰკვანდა, ჰგავს ცისკარსა. შემოქმედსა მადლი მისცეს.
იგ სიმურღს დოეყვიდიან, მივიდეს და თაყუანი სცეს.
და ვაჟი ახლად წაახვიეს, დედას გვერდი საწოლს მისცეს.

1814. კვლა მისცა ერთი სიმურღმან:—„ზალდასტან, კვლა გეწ-
ცეცხლსა აკმევდი ასრევე, დადონდე, დაცაგეწიროს[1]), [როს!
ამ ვაჟსა კარგად აწოვე, ძიძა მრავალი გეწიროს,
და სხუის კაცის ტომსა არა ჰგავს, აძლებდი[2]), შეცაგეტიროს!“...

1815. აფრინდა და მოიმადლა მუნ სიმურღი შეკაზმული.
უწყრეტდიან, ივეირვებდეს. გაუნათლდა[3]) ზაალს გული.
ბრძანა: „გუმართებს სიხარული, სინდუხტ ზე დგას შეკაზმული,
და ჩემი როდამ მოუბარი, ვნახო ერთხელ თუალ-ახმული!“

1816. ზალდასტან ბრძანა: „მოჰკაზმეთ საჯდომი სარაჯებია!
როდამს საძილი წამალი ჯერეთ არ მოჰწირვებია.
მეტრიბნი იხმნა[4]), უბრძანა: „მეჯდომი მოსხლებია!“
და საკელ-მწიფოს ტახტზედა დარბაზს[5]) სხდეს დედოფლებია.

1817. როდამს ზედა ხალასისა[6]) ოქროს კუბო გადაადგეს.
მძიმედ, მოთუალ-მარგალიტეს. მისნი მუქნი გულსა ადგეს.

---

[1]) 428 და 1505 №№—როდესაც დაცაგეწიროს.

[2]) დად.—ალებდი(?).

[3]) 428 და 1505 №№—გაუმაგრდა.

[4]) ასეა ა. ო.-ში, 428 და 1505 №№—უხმო, დად.—იხმო.

[5]) 428 და 1505 №№—საკელ-მწიფოსა დარბაზთა ტახტსა...

[6]) დად.—ხალასასი.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ჭრელი სტავრა მოახვიეს. მეჩანგენი გარე ადგეს.
და იყო დიდი სიხარული. იმღერდიან, არცა ადგეს.

1818. როდამს მოჭქარდა წამალი მაშინ, სიძნელე ბანგისა[1]).
ჴელი მოივლო მუცელსა, ჴმა გაიგონა ჩანგისა.
ლომისა ლეკუი ატირდა, ნაკუეთი სალამანგისა[2])
და თუალნი ახუნა როადამ, ტანი ჴე დასძრა[3]) დანგისა[4]).

1819. შეიძრა და გადაბრუნდა, საუბარი იძრა ამან:
„ასე ძნელის ჭირისაგან დამარჩინა მიხსნა რამან!"
სინდუხტ ადგა, აიტაცა ლომ-ნაკუეთი ვაჟი ამან
და როდამს გვერდით მიიყვანა. პირ-მთუარესა აჭკადა მან[5]).

1820. როდამს მისცა ლომ-ნაკუეთი სანახავად სანატრელი:
,,—აჰა, დედის სინათლეო, აქანამდის შენი მრჯელი!..
შემოქმედსა მადლი მიეც, ნაცვლად ეს გვაქვს მაწყინელი,
და ალვის ხესა ამისებრივ შტო მოესხა,—ამის ჴელი"[6]).

1821. დედოფალმან მიულოცა[7]), თავს გუარი[8]) გარდაჰყუარა.
მუნა მეოფმან ხადუმებმან აგვატირნა აწ ადარა.
გარდაყრილმან მარგალიტმან ტანტის ფერგი[9]) დაცაჰფარა.
და ალვ-ამბარი გმეორდა, მუშკმან კუამლი ატაჰყარა.

---

[1]) ბანგი, სპ. بنگ—ბანგ—დამათრობელი მცენარე, მათრობელა; ტკბილი და დამათრობელი წვენი.

[2]) დად.—სალამანგი, სხვები—სალამანგი. იხ. ლექს.

[3]) დად.—ზე დაძრა, 1505 №—ხე დაძრა.

[4]) დანგი, იხ. ლექს.

[5]) 1505 № და დად.—აზადამა.

[6]) ასეა 428-სა და 1505 № №-ში, დად.—ალვის ხესა ნაყოფი შტო მოესხა ამისებრი.

[7]) დად.—მოიცალა(?).

[8]) დად.—გოვარი.

[9]) 428 და 1505—ფეხი

ეროვნული ბიბლიოთეკა

1822. როდამ შვილი გაიცადა, გაიხარა, მოისუნა.
ღ'თის[1]) სახელი კურთხევით მან მრავალჯერ მოიხსენა:
„სიხარულად შემიცვალე ტირილი და ცრემლთა დენა!“
და რაც გარდაჰხდა მისი საქმე, დედამ ყუელა მოახსენა.

1823. როსტომ დაარქუეს მამინვე, თქუეს ნაკუეთია კმარისა.
არირსა[2]) ზედა დახატეს ნაკუეთი სახე-მარისა.
მას გაუსინჯეს ჴელ-ფერჴი ნარჩი, ალვის ზრდილისა,
და დედამან სუფევ ქალთ მისცა,—არ არის სახე შვილისა!..

1824. „მკერდი, ჴელ-ფერჴი, შეჭკერეთ, თქუენ შეახამეთ გვამითა:
ვეშპის სახე მკლავზედა მაგით აბრეშუმითა,
წინა მზე, მთუარე უკანა, თქუენ გული გითქუამს ნუ მითა.
და ვითა ცოცხალი, მოჰკაზმეთ ტან-საცმელითა, ქუდითა!“

1825. ნადიმად მჯდომი ზალდასტან აზრებს ალვის ხეთ.
ჩუენ ჴელოვანი, ჭკუიანი, მხატვარი მომინახეთ[3]),
ნაკუთიანობა, მკერდ-მკლავი ვაჟის კაც ნახეთ.
და მახარობელი გაგზავნე საამს წინ, ეგე სახეთ!

1826. მათაც ცნან, ალვის ხისაგან ნერგი კეთილი მოვიდა,
ნადიმად მჯდომი ყუელასი სინჯვად[4]) მაზედა მოვიდა.
მოეწონა და უკუირდა, თქუეს ღ'თის ბრძანება მოვიდა,
და მისი მიმტანი შემოსა, ახუქა, წაცამოვიდა.

1827. მოაბადთა მოახსენეს: „არს ძველითგან თქუენი გუარი!..
რჯულ-წმინდათ, იგ' იქნების ფალავანი ტანა სწორი!

---

[1]) 1505 №—მლეთის, 428 №—მხთის.

[2]) არირი—არაბ. حرير—აბრეშუმეული.

[3]) დად.—ჩუენ ჴელოვანი მხატვარი, ჭკუიანი, მომინახეთ.

[4]) დად.—ნახვად.

რძითა უნდა გარგად ძღება, ვერ დარჩების ჩიტით ქორი.
და ბევრი ძიძა დაიჭირე, არას გარგებს ერთი, ორი!“

1828. ათი ძიძა დაირჩივეს დიდებულთა—ყველა გვარი,
როსტომისთვის გასაზრდელად[1]) მათ უბოძა საბოძვარი,
შვილთა მათთა დასარჩენლად უნდა რაცა სანუკვარი[2]).
და—„სხვა ძიძები დაიჭირეთ, ჩემი როსტომ თქვენი არი!“
[გედთა[3]),—

1829. როდამს გვერდით გატაგზავნა,—„საჭურჭლე გაქვს სრულად
სიმურღმან თქვა: „ძღება უნდა აწ, კუდავ გვითხრეს[4]) მეცნიერთა.
რაცა უნდა, ნუ დაუჭერ, გაუჩინე შვილის მზრდელთა;
და რაც უნდოდა, როდამს მისცა, აავსებდა უჩვი გედთა.

1830. ზაალ მისწერა მამასა მისი ამბავი ცნევისა:
„სიმხიარულე, დიდება, ჰე, ნუმცა დაგელევისა!..
შენთა[5]) ორგულთა თავები ფერხთ ქვეშმც მოგექცევისა!..
და ღმერთმან გვიბოძა დიდება, გვირგვინი ზეცით ძლევისა[6]):

1831. თქვენ წახვედით, მასუკანით როდამცა დაორსულდა.
ქმუსის თვისა რა შეიქნა, დამძიმდა და დაუძლურდა[7]).

---

[1]) ა. ო.—როსტომშედა გასაზრდელად, 428 და 1505 №№—როსტომისა გასაძღებლად.

[2]) დაღ.—სანუკარი.

[3]) დაღ.—რუადამს გვერდი გაგგზავნი, საჭურჭლე გაქუს სრულა ამელთა.

[4]) დაღ.—ჰკითხეს

[5]) ა. ო.—თქვენთა.

[6]) ეს ხანა დაღ.-სეულში ასე იკითხება:

ზაალ მისწერა ამბავი მისი მამასა ცნეული,
სიმხიარულე, დიდება ნუმც ოდეს გაქუს დალეული,
შენთა ორგულთა თავები ფერხთ ქუეშე გყავს მოქცეული,
და ღ~თნ გვიბოძა გვირგვინი, დიდება ზეცით ძლეული.

[7]) 428 და 1505 №№—დაორსულდა, ა. ო.—დასურულდა.

„მობის ჟამსა“,—ვთქუი,—„მოკუდების!“ მისთვის გული დამი-
[წყლულდა.
და მე ფასკუნჯი მამკონდა, ზემოვე ვთქუი ყველა სრულ და.

1832. ზაალ საქმე როსტომისა სამს ყველა მიუწყრა,
იგი სახე გაუგზავნა, დედა-მათმან რომ შეჰკრა:
,,ის იზრდების ამ ნაკუთით, თქუენსა ბედსა მართებს ჯერა!“
და წაიკითხა, შემოქმედსა თაყუანი სცა, დაიჯერა.

1833. სახე ნახა, გაუკვირდა ასაკი და ნაზარდობა,
ქარქისტნისა ქუეყანასა მან დაუწყო ახლა წყობა.
მათი[1]) ურჩი არვინა ჰყავს, მტერზედა აქუს ამაყობა,
და მხიარული წამოვიდა[2]), შემვენოდა თამაშობა.

1834. სამის მოსვლა[3]) შეიტყო, რა გამოვიდა ნილოსს.
მან გაჰყვა კუბო აუგო, ზედან დაუდგა პილოსს[4]).
მაშიკან დასვეს უძრავად ნებასა, იჯდა ჩრდილოსა.
და მაღალი სარის ოდენი ჰკავს მთასა უდგილოსა!..

1835. ერთმანერთსა მიეწყურნეს. მოჰყუებოდა ტან-აუშო[5]).
როსტომ მიგა პაპისაკენ, ტანსა ეცვა საარმუშო[6]),
აკოცა და მოეხვია საამ, დიდხან არ გაუშო,
და—„შემოქმედმან მოგამშორვოს, აგი თუალი მტერთა უშო!“

1836. მერმე შესხდეს, წამოვიდეს. სისტანს ქალაქს შემოვიდეს.
მათ ლხინითა მოისუენეს, ნადირობდეს, ღვინოს სმიდეს.

---

[1]) დად. და ა. ო.—მათი ურჩი, 428 და 1505 № №—იმათ ურჩი.
[2]) 428 და 1505 № №—წამოვიდნეს.
[3]) 428 №—მოსულა.
[4]) ა. ო.—პიროსა(?).
[5]) ა. ო.—მიჰყვებოდა ტან-აუშო, სხვები—მოჰყვებოდა.
[6]) დად.—სარამუშო, ა. ო.—სარმუშო, 1505 და 428 № №—სა-არმუშო. საარმუშო, იხ. ლექსიკონი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გმირულსა და ფალავნურსა როსტომს ზნესა ასწავლიდეს.
და როგორაცა შეჰფერობდა[1]) ხელ-მწიფურად აგრე ზმიდეს.

1837. მართ ამაშიგან გამოკლდა[2]) რვა წელიცა სამყაროსა.
როსტომ ისწავლა ზნეობა, გვანდა მაღალსა საროსა.
მის მშვილდსა ვერვინ მოზიდნის,—მათისავე დასადაროსა.
და ცხენი ვერ ჰზმოდეს[3]) მზიდავი ადგილისა წასაყვანისა.

1838. სამ[4]) წავა მაზანდარას, როსტომ მამას შეავედრეს.
ზაალ, მერაბ, დედოფლებმან[5]), სისტანს ამოდ გაიხარეს
მერმე მერაბ დაეთხოვა, ქაბულისტანს წამოვიდეს.
და ამაშიგა წელიწადნი ხუთნი სხვანი გამოვიდეს.

აქა როსტომისაგან თეთრის პილოსი მოკვლა.

1839. დღესა ერთსა ბრძოლის ჟამით ღვინოს სვემდეს[6]) სავარდესა.
„მზის მსგავსო[7]), სახელოვანო!“ [8]) ზაალისტან მეილს ეტყოდეს.
„გულოვანთ ტანსა შემოსე[9]), ერთგულთა თავი უწინდეს!“
და როსტომ ცხენი და ეგმ გასცა, ლაშქარნი[10]) იხარებდეს.

[1]) დად. და ა. ო.—შეჰფეროდა
[2]) 428 №—მართ ამაშიგან გამოჰკლდა, 1505 № გამოსცდა, დად.—ამაშიგა გამოკლდა.
[3]) დად.—ჰპოვეს.
[4]) დად.—სამ, 428 და 1505 № №—საამ წავა.
[5]) დად.—დიდებულმან(?).
[6]) ა. ო., 428 და 1505 № №—სვემდეს, დად.—სმიდეს.
[7]) ასეა დად.-სეულში, ა. ო.—მზგავსო, 428 № მგზავსო, 1505 №—ყველგან მსგზავსო.
[8]) ა. ო.—სახელოვანო.
[9]) ა. ო.—გულოვანთა ტანს შემოსეს.
[10]) დად.—ლაშქარი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

1840. სუფაბანდ¹) გამოიხვენა²), წავიდა სადგომისაკენ.
„თაამთან³), პილო აეხსნა!“—ძახილი ისმა კართაკენ⁴).
გულოვანთ⁵) გული ადუღდა, წყენა შეიტყო კაცთაკენ,
და მან მძიმე ლახტი აიღო, სირბილით მივა მათთაკენ⁶).

1841. ვინცა ვინ იყო კარის მცველ, ყუელა კარის უჭირვებდეს⁷),
„დამე, პილო ახსნილა, გვეშინის!“—მოახსენებდეს.
პირ-ნათელს ფალავანსა უხუცესნი⁸) არ უმზებდეს.
და მეშტი შემოჰკრა, გაგორდა⁹). სხუა ყუელა გაქცეოდეს.

1842. რკინის კარსა ლახტი ჰკრა, ვინც ნახა, ეკვირვებოდა,
სამყუდრუვდ პილოს მიმართა, ჰკავს თუ ზღუა ადუღდებოდა¹⁰).
მან ნახა, გაგულისებით ფერკთ ქუეშე¹¹) მიწა დრკებოდა.
და მოასხლოვანნი დამფრთხალნი ცხურებს მგლურებ შერეოდა¹²).

---

¹) სუფაბანდ, მთავარი ციხე, იხ. ლექსიკ.

²) ა. ო.—გამოისვენეს.

³) ა. ო. და 428 №—თაამთაან პილო აეხსნა. თაამთან, სპ.— تهمتن —იხ. ლექსიკ.

⁴) 428 და 1505 № №—კაცთაკენ, ა. ო. და დად.—უ-ნაროლდ: კაცთაკე, სადგომისაკე.

⁵) ა. ო.—გულოანთ, სხვები—გულოვნის.

⁶) დად. და ა. ო.—კართაკე.

⁷) ა. ო.—უჭირველდეს, 428 და 1506 № №—უჭირვილდეს, დად.—ყუელა კარსა ეჭიდების.

⁸) ა. ო. და 1505 №—უხუცესნი, სხვები—უხუცესი.

⁹) დად.—გაამგდო.

¹⁰) დად.—ადუღდებოდა.

¹¹) 1505 №—ფეხთ ქვეშე, ა. ო.—ფერხთა ქვეშ.

¹²) ასეა დად.-ხელში, 428 და 1505 № №—საზელოვანი დამფრთხალან, ა. ო.—და სახელოანი და მფრთხალი ფერ-მგლურ ცხვარშია რეოდა.

1843. თამთან ხვადსა ლომსავით შეუზახნა, შეეშინდა[1]),
მაკრა გულოვნად მიმართა, სივაჟის ქარი ქროდა,
გაგულისდა, პილო ნახა,—მას, მთა ვითა, მიმართვიდა[2]).
და მთვრალი პილო ფალავანსა როსტომს ვითა ეომოდა?![3])

1844. თამთან[4]) თავსა გურზი დაჰკრა, მაღალს ტანის წაუქცევდა[5]).
ათრთოლდა იგ მთა უსვეტო, ერთის კურით მოკუდებოდა.
როსტომი მოვალს, მზე ვითა, საწოლსა მოისვენებოდა[6]),
და ზაალს ახარეს: „ერთის კურით პილოს კინწი მოსწყდებოდა!“[7])

1845. რა ზაალდასტან ეს ამბავი გაიგონა, გაუკვირდა:
„როსტომის მგზავსად პილოსა ფალავანი ვინ მოჰკლვიდა?!.“[8])
ჯერეთ იმა არ ესახა, სიხარული გაადიდა.
და ბრძანა: „როსტომ მოიყვანეთ, სიხარული გაგვიდიდა!“[9])

---

[1]) დად. და ა. ო.—თამთან ხვადსა ლომსავითა შეუზახნა თუცა ყოლე შეეშინდა—წარყვნილია, 428 და 1505 №№—თამთან ხვადსა ლომივითა შეუძახა, შეეშინდა.

[2]) ა. ო.—მომართვიდა.

[3]) ა. ო.—ეომვოდა.

[4]) დად.—როსტომ.

[5]) დად.—წააქცევდა.

[6]) ეს მესამე ტაეპი ყველა ხელ-ნაწერებში ერთნაირად უაზროდ არის წარმოდგენილი: დად.—როსტომს მომავალს მზე ვითა, საწოლსა მოისვენებდა, ა. ო.-ში ამ ხანის ტაეპებს თავები მოხეული აქვს. ჩვენის აზრით, აქ უნდა იყოს: როსტომი მოვალს, მზე ვითა, საწოლსა... მოსვენებოდა, ა. ო.—მოისვენობდა.

[7]) დად.—პილოს კირწი მოსტყდებოდა.

[8]) 428 და 1505 №№—ნილოსისა პილოს ხლვისა როსტომს მგზავსსა ვინ მოკლევდა(?!), ა. ო.—...მამის მზგავსსა ვინ მოჰკვლიდა, დად.—როსტომის მგზავსად პილოსა ფალავანი ვინ მოკლევდა?! ჩვენ ლექსისთვის ფორმას „მოკლავდა“-ს ვასწორებთ „მოკლვიდა“-დ. საზოგადოდ, ეს როსტომისაგან თეთრი სპილოს მოკვლის შესახები ლექსები ძალიან სუსტია.

[9]) 428 და 1505 №№—ბრძანა, როსტომ მოიყვანეს, მღვთისა მადლი მან ადიდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

1846. უთხრა: „ხვალის დღემის დეგუთ!" — ყელ-ყურზედა აკოცადა[1]).
„აწვე ჭანგი გაგიმახავს[2]) და გულთუნად შექმნილხარდა.
მარტვილობით[3]) შეგეტყობის: „შენი სწორი არვინადა,
და მგლავ-კასური არვის აქვს, ვერც შენებრივ ტანადადა[4]).

1847. აწ სადამდის შენის მოწითვების კმა გავიდეს,
იარაღი წელთ შეირტყი[5]), ნარიმანის სისხლს ეძებდეს.
ცხენ-მალედ[6]) წადი, იარე, რა მიხვიდე მაღალს მთამდეს[7]),
და ერთს მთას ნახავ, — რომე თავი სიმაღლითა ღრუბელთ ჰქონ-
[დეს[8]).

1848. მის სიმაღლესა თუარი ვერსით ვერ გარდაფრინდების.
თიხის ფარსანგის სიმაღლე, თუალი არსაით შესწვდების!..[9])
სავსე წყარო, უწყვილითა კაცსა სვლდა მოჭქარდების.
და თიხ-ფარსანგი თავის სიპრტყე[10]). მთაზედ ბევრი ხენი დგების.

1849. იმაზედა უმეცარი სულიერი ბევრი არის.
ჴორციელსა ვის უნახავს, სიმაღლისა ის რომ არის[11]).

---

[1]) ხელ-ნაწერებში — აკოცებდა; ჩვენ ვასწორებთ ასე ლექსისთვის.

[2]) დად. — მოგიმახვავს, 1505 № — გაგიმახავს.

[3]) მარტვილი — ყრმა — მარტვილობა — სიყმე, სიყმაწვილე.

[4]) ხელ-ნაწერებში: დად. — ტანადობდა, ა. თ. — 428 და 1505 №№ — ტანადობა. ამ სახით ვასწორებთ.

[5]) 1505 № — იარაღი შემოირტყი, 428 № — იარაღი შეირტყი, ა. თ. და დად. — იარაღი წილთ შელთ(?!) შეირტყი.

[6]) დად. — ცხენ მალე წადი.

[7]) დად. — მთადეს.

[8]) ასეა ყველა ხელ-ნაწერებში. უნდა ითქვას, რომ ამ ადგილას ლექსები მეტის-მეტად დუხჭირია, რითმებიც ნაძალადევია, ხშირად ლექსთ-წყობაც ირღვევა. ეს მელექსე სხვა პირი უნდა იყოს, რადგან ხოსრო თურმანიძისთანა მოხდენილი ლექსი ამას დიაღაც არა აქვს.

[9]) დად — თვალი არსით არ შეხვდების.

[10]) დად. — სიპრტყე.

[11]) 1505 და 428 №№ — ის რომ არის.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ერთი გზა და ერთი კარი რომ იმაზედ მაგრად არის[1]).
და ციხის ოდნად მაღალია, იგი ღ̃თის ბრძანებით არის[2]).

1850. ნარამან რომე ყოფილა უძლეველთ ფალავანთ მჯობია.
ფრიდონ მეფის ბრძანებითა იმა მთასა მიჰდომია.
დღივ და ღამ, ერთის წელიწადს, ყოფილა დიდი ომია,
და გრძნეულმან ციხით ქვა დასცა, მან მოჰკლა ხვადი ლომია.

1851*). მათ ლაშქართა გაქცეულთა მოუმართეს ხელ-მწიფეს.
სამ ცნა თუ: „იგი ლომი შამბში ყოფით გაამძღეს.
დაიწყეს გლოვა-ტირილი, ჭირი ჭირსა მომატეს.
და ერთს კუირასა ბნელი დაღვეს, ერდო-კარი დაიკმეს[3]).

1852. მათ უბრძანა ფალავანმან ლაშქრის შეყრა, მერვეს დღესა.
არე-მარენი[4]) აივსო, ლაშქარნი ადგეს[5]) ციხეს.
დიდხანს იყუნეს, მის[6]) ციხისა შესავალი ვერ ჰპოვეს[7]).
და სულდგმული იმ კარს ვერ შევა, არცა ვინ გამოუშვეს.

1853. რაგინდ დიდხან ყოფილიყვნეს, ციხეს ვერა დააკლეს:
უომლად გამობრუნდეს, სისხლი ვეღარ იკითხეს[8]).

---

[1]) ასეა ა. ო.-ში, 428 № — რომე იმაზედა არის.

[2]) 428 № — იგ მღ̃თის ბრძანებითა არის, ა. ო. — და ციხისაგან უფრო მაგრად მღ̃თისა ბრძანებითა არის.

[*]) ეს ხანა არ არის 1505 სა და 428 №№ ხელ-ნაწერებში.

[3]) ა. ო. — ერდო-კარი არ იღესა.

[4]) 1505 და 428 №№ — არე და მარე.

[5]) 1505 და 428 №№ — ლაშქარი ადგა.

[6]) დად. — იმ ციხისა.

[7]) დად. — პოვესა, ა. ო. და 428 — ვერ ჰპოვესა.

[8]) ა. ო. და დად. — სისხლი ვერ მოიკითხესა.

„—არ გაგვიცუდდეს[1]) თათბირი, ვაჟო, აგვაზმავ დრო არს.
და ქარავანს თანა გაგატან, — ფალავნად ვერვინ გიცნასა!..[2])

1854. გმართ შვილო, შენი თავი მას თეთრს მთაზედ[3]) მიაგდე.
მათი ფესვი, საძირკველი, ავის მქნელი, ამოაგდე;
ჯერ სახელი არვინ იცის, ჩემი სევდა გამოაგდე!“
და როსტომ ჰკადრა: „მორჩილი ვარ, მაგ ჯორს დნხინად შემო-
[ვაგდე!“[4])

1855. ზაალ უთხრა: „შვილო, ნუ იქ, რაც არ გითხრა, მისკენ კიდე,
თავი შეჰქენ მეაქლემედ, ქარავანსა გაჰყვიდე,
იმ ქვეყანას კარგად გავა[5]), ყათარს მარილი აჰკიდე,
და ციხეშიგან შეითვე საჭმელი უმარილო არის კიდე.

1856. რა მარილი დაინახონ, დიდმან, წვრილმან, შენ მოგნახონ!“
ესმა რა როსტომს[6]), მათზედა საომრად გაემართოს,
სათმარი დაემზადოს, ცოტა კაცი წაიტანოს,
და ფალავანთ ნათესავმან სიხარულით მთას მიმართოს.

აქა როსტომისაგან ვაჭრად წასვლა თეთრს მთაზედ, ნარიმანის სისხლის ძებნად*).

1857. რა მივიდა[7]) ციხეზედა, მეთვალყემან დაინახა.
მათს უხუცესს სირბილითა მიმართა და აღარ ნახა.

---

1) 1505 და 428 №№—არა გაცუდდეს.

2) 428 №—გიცნოსა.

3) 428 №—თეთრსა მთაზედა.

4) დად.—გამოვაგდე, ა. ო.—გამოვადგე, 428 №—შემოვაგდე.

5) 428 №—ესმა როსტომს რა მათზედა, დად.—რა ესმა როსტომ მათზედა...

6) 1505 და 428 №№—გადის.

*) ეს სათაური დად.-სეულსა და ა. ო.-ს ხელ-ნაწერებში გადატანილია იქ, სადაც იწყება 1862 ხანა.

7) დად. და ა. ო.—მივიდა, 1505 და 428 №№—მივიდნენ.

თქუა: „ქარავანი მოვიდა. ციხის სათნდესა, ახა!..
და ვეჭუ, მარილი მოიტანეს[1]), თუ მიბრძანებ, წავალ—ვნახა".

1858. გამოგზავნა უხუცესმან სირბილითა ერთი კაცი.
მუნით როსტომს მოეგმართა, ჩამოვიდა იგი კაცი.
„ქარავანთა უხუცესო, მე მიამბე!"—ჰკითხავს კაცი.
და რა აჰკიდა აქლემებსა, ჩემსა პატრონს ვჰკადრო კაცი.

1859. როსტომ უთხრა: „წადი, თქუენსა უხუცესსა მოახსენე:
სრულ საპალნი[2]) მარილია", დაგვაყენოს, „გაიგონე!"
უხუცესსა გაეხარნეს, გაეცინეს[3]) მეტად გონე,
და უბრძანა თუ: „მოახსენე გააჩვენით კარი, ლონე[4]).

1860. ძირიდამან ციხეს მივა, ესმა ომისა მძებნელსა.
ვიწროს კარზედა[5]) რა მიდგა[6]), თუალნი მაზედან დარჩესა.
უხუცესთან რა მივიდა, როსტომ მიწას აკოცებსა,
და უხუცესსა მრავალს უძღვნის, დიდ-წურილამდის ავსებსა[7]),

1861. უხუცესმან თქუა: ცოცხალიმც[8]) თქუენი პირი ნათლად არი!..
დაგვიმადლე და შევიძღვნ, რაცა შენი ძღვენი არი[9]).

---

[1]) ა. ო.—ვეჭობ, მარილი იყოსო, და ვეჭობ რომ მარილი არის.

[2]) ა. ო.—საპალნი, სხვები—საპალნე.

[3]) 428 №—გაეხარდა, გაეცინა.

[4]) ა. ო.—გახსენითა კარი, ლონე, 428 №—ბრძანა თუ: მოახსენე, გააჩვენით სარგი ლონე, დად.—...მოახსენით, გააჩვენით კარი ლონე.

[5]) ა. ო., 1505 და 428 №№—კარზედა, დად.—გზაზედა.

[6]) დად.—რა მიდგეს.

[7]) 1505 და 428 №№—ბევრს მისცემსა, დად.—აავსებსა

[8]) ა. ო.—ცოცხლადამც.

[9]) ა. ო.—რაც რომ თქუენი ძღვენი არი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ყუელა ურიდლად[1]) მოჰკრფა დიდი, წურილი, ვინცა არი[2]),
და მარილისათჳს ოქროსა მისცემენ,—რაც თუალი არი[3]).

1862. რა დიდამდა, ციხოვანთა[4]) როსტომ დაუწყო ომია.
პირი ციხის თავს მიაპყრა, მიუკდა[5]), ვითა ლომია.
გულოვნად რაზმის მიერწყუელნი ყმანი მის ზედვენ რომია[6]),
და რა ციხის თავმან შეიტყო, როსტომს დაჰკვიდა ომია.

1863. კრმლის ელვა ღამეს ანათობს თხუთმეტ დღის მთუარესავითა[7]),
მიწანი წითლად ელვვდეს ბადახშურს[8]) ლალებსავითა.
საავდროს ცის სიწითლეს დაემგზავსა სისხლთა ღურითა[9]).
და ოთხი ადლი მიწა დავლო თავმან გურზის შემოკვრითა.

1864. რა ციხოვანთა შეიტყუეს სიკუდილი უხუცესისა,
ყუელასა ომი მოუნდა მის როსტომ პილოტანისა.
თამთან კმალ-მოწუდით მიუკდა, წკჳს ისმოდა დახტისა.
და მათ ერთობილთა თავები მიწასა ენარცხებისა.

---

1) ა. ო.—ურდულად(?).

2) დად.—ყუელა ურიდლად მოვიდა დიდ-წვრილამდი საცა არი.

3) ა. ო. და დად.—და მარილისათვის ოქროსა მისცემენ რაც თვალი არი, 428 №—და წონითა თუალი არი..., ვასწორებთ ასე.

4) 428 №—ციხუანთა.

5) 1505 №—ხ-ნით.

6) „რომია“ აქ ლექსისთვის უხმარია პოეტს, რადგან ძალიან გაჭირებია რითმა.

7) ა. ო.—პრმლის ელვა ღამეს ანათებს თხუთმეტის დღის მთვარევითა, დად.—ამოწვდილისა კრმლის ელვა ღამეს ანათობს, მზე ვითა, 428 №—კლმის.

8) 1505 და 428 №№—მიწანი წითლად ელვვდა ბადახშურს ლალებსავითა; დად.—ბადახშანს. ბადახშან, სპ. بدخشان—მხარეა, სადაც საუკეთესო ხარისხის ლალი იცის. ბადახშანი—საუკეთესო ლალი.

9) დად.—საავდროს ცასა წითელსა დაემგზავსა სისხლის ღვრითა, ა. ო.—საავდრო ცის სიწითლეთ დაემსგავსა სისხლთა ღვრითა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

1865. მზემ ჰმელეთი დაამშვენა. ნახეს[1]) აღარვინ იყუნეს:
ნახეს, ზოგნი დაკოცილნი და ზოგნი მალულნ იყუნეს[2]).
მთიარეს გულდოვანთა და[3]) დაკოცეს, ვინც ჰპოვეს[4]).
და თამთან ერთი სახლი ნახა, იმ ვიწროს ადგილს იყუნეს.

1866. სიპს ქვაზედ ამოჰზარდა[5]) მისსა ოსტატსა მაზედა.
რკინისა კარი გაეწყო, გურზი შემოჰკრა მაზედა.
კარი დალეწა, შინ შევა, ნახა გუმბადი რაზედა.
და მთვარესავით ოქროს მელნით ნაწერი იყო სრაზედა[6]).

1867. მეტისა გაკვირვებით როსტომ იგმინა ბაგეს.
თქუა: „არ მინახავს მისებრივ, კაცთა რა რიგად აგეს?!.
ოქროს ქანი[7]) და ზღვის თვალი, მგონ, მაზედ გადააგეს“!..[8])
და მამას წიგნი მისწერა, რაც საქმე მუნ გააგეს[9]).

აქა როსტომისაგან სამახარობლო წიგნის მიწერა ზაალის წინაშე.

1868. „პირველად დიდება ღ̃თსა—მზე-მთუარის შემოქმედსა.
ღ̃თისაგან ლოცვასა ვჰკადრებ[10]) ზაალს გმირთა უხუცესსა,
თქუენი მუქი ანათებდეს, ვით მასკულავი[11]), მუნ არსეს!..
და მე, თქუენითა ბრძანებითა, მიველ მთის სიმაგრესა[12]).

---

[1]) 1505 და 428 №№—ნახა.
[2]) დად.—ზოგნი დამალული იყუნესა.
[3]) დად.—მათ.
[4]) დად.—ჰპოვესა.
[5]) ა. ო.—სიპსა ქვაზედო აეგო მისსა ოსტატსა მაზედა.
[6]) 428 №—და მთუარესავითა ნაწერი მელნითა იყო სრაზედა.
[7]) ქანი—არაბ.-სპარ., იხ. ლექს.
[8]) ა. ო. და დად.—სრულ წააგესა.
[9]) 428 და 1505 №№—რაცა საქმე გააგესა.
[10]) ა. ო.—მღ̃თისაგან ლოცვას ვიკადრებ(?), 428 №—შევჰკადრებ.
[11]) ა. ო.—ვარსკვლავი.
[12]) ა. ო.—მიველ მთასა იის ფანდესა(?).

1869. მაღალს მთას უმაღლეს იყო, რაცა მწადდა, აგრე ჰქონა,
ზოგნი დაჰკოდეს უსულოდ, და ზოგნი გაუქცევნა[1]),
ოქრო და ვერცხლი, საპალნე, ხუთასი ათასად ჰქონა.
და ტან-საცმელ-ქუეშ-საგებლისა[2]) ანგარიში ვერა ჰქონა.

1870. აწ მიბრძანოს ფალავანმან სწადული, რაცა არი.
ტანი მისი მხიარულად, სული მისი ნათლადმც არი...
ესე ესმა, გაგზავნილი წამოვიდა, ვითა ქარი.
და მან იარა დღე და ღამე. მოვა, სადაც ზაალ არი.

1871. წიგნი ნახა მან შვილისა, ლოცვას მისა ფალავნისა[3]).
დღენი ახლად გაუახლდეს, გაეხარნეს ზალდასტანისა.
მოკითხვისა წიგნს მიუწერს შვილსა, მისსა შესაკვანსა...
და:—„ნარიმანის სულთ ნათელთ, მტერი შენგან დაიწვასა!..

1872. რა ეს წიგნი წაიკითხო, ქართველს შეჯე, წაღამოდი.
შენის პირის მოშორვებით მკუდარი ვქუვარ უსულოდი.
რაც გებრძანა, აქლემები გამოგზავნე ათასოდი,
და უკეთესი წამოიღე, ციხე დასწვი, კლდე და ლოდი!“[4]).

1873. წიგნი ნახა, გაეხარნეს, არჩევს საკეთო რაც იყო[5]):
კრმალი, ლახტი, ოქროს ქუდი, ქამარი და, რაცა იყო,
თუალ-გუარი[6]) სახელ-მწიფო, მარგალიტი, რაცა იყო.
და აჰკიდეს და წამოიღეს. სრულ უკლებსა დია ეყო.

---

[1]) ა. ო.—გავაქცუნა.
[2]) ა. ო. და დად.—ქუეშ-საგებლისა, 1505 და 428 №№—ქვეშ-[საფენისა.
[3]) ა. ო. და დად.—წიგნი ნახა, შვილსა ლოცავს უსწოროსა ფალავანსა.
[4]) 1505 და 428 №№—ხე და ლოდი, ა. ო.—ქვა და ლოდი, დად.—კლდე და ლოდი.
[5]) ასეა ა. ო.-ში, 1505 და 428 №№—წიგნი ნახა, გაეხარდა და დაარჩივა კარგი იყო, დად.—წიგნი ნახა, გაუხარდა.
[6]) დად.—თვალ-გოვარი, ა. ო.—თვალ-გოარი.

1874. სეფაბანდს ცეცხლი მოუდგეს, გუამდი ცათ შემისწუდებოდა[1]).
მხიარულნი წამოვიდნეს. როსტომ ქართველსა ჰყვებოდა.
რა შეიტყო მოსლვა[2]) მისი, ზაალ წინ მიეგებოდა.
და ბუკსა ჰკრეს და წინწილასა[3]), რა რიგადცა ეგებოდა.

1875. რა შვილისა პირი ნახა, ზაალ ქუდსა ქნევდა.
თავს ოქროთ გარდაავარა, სამის სრას შევიდოდა[4]).
მდაბლად[5]) აკოცა მიწასა, რა როსტომს წინ მოვიდოდა[6]).
და მას წინ დედა მოეგება, ყელ-ყურზედან აკოცებდა.

1876. მახარობელი გაგზავნეს, სამს წინა მივა ვლითა.
სამ წიგნი წაიკითხა, გაიშალა, ვარდი ვითა.
მახარობელს ბევრი მისცა, იგ აავსო საქონლითა.
და ვინცა ახლდა, შეიყარნეს, გაიხარეს ჭამა-სმითა.

1877. წიგნი მისწერა: „ღმრთისა ლეკვი ხარ გულოვნობითა.
ბარტყი ხარ გაუძლომელი ჯერ დედის ძუძუს წოვნითა[7]).
ვერც გამაძღარხარ ჯერეთა[8]) მამისა სათუთობითა.
და ეს საქმე საკვირველი ჰქენ შენითა მარტვილობითა.

1878. როსტომისაგან არ არის ეს საქმე საკვირველია:
ღომს მშველად[9]) დაეჭირების ზაალ და მისი შვილია.

---

[1]) დად. და 428 №—შესწორდებოდა.

[2]) 1505 №—მოსლვა.

[3]) 1505 და 428 №№—წინწილითა, ა. ლ.—წინწილათა, დად.—წინწილასა.

[4]) დად.—საამის სრას შემოვიდა.

[5]) 1505 და 428 №№—დაბლა, 428 №—მოსულა.

[6]) დად.—რა როსტომ წინა მოვიდა.

[7]) ა. ლ.—გაუმაძღარი ჯერ დედის რძისა წოვნითა, 1505 და 428 №№—ბარტყი ხარ გაუმაძღარი ჯერ დედის რძითა წოვნითა.

[8]) 428 და 1505 №№—ჯერეთინ.

[9]) 428 №—შველად.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მრავალი გამოუგზავნა, წავიდა გაგზავნილით,
და ფალავნის გულსა იამა, ვინც ეხლა[1]) მოწიფულით.

1879. აქ მანუჩარ ავად გახდა საწუთროს[2]) დანერგული.
ნავზარ იხმო, წინ მოისვა:—„შვილო, ვიყავ მე მორჭმული,
ასოცდაათს წელიწადს გამარჯვებით მოვლენილი,
და საჭურჭლე და საკელ-მწიფო მოვიმატე მე მამული.

1880. აწ მე გავალ ამ სოფლით, სამართლით იქცეოდი!
რაცა ჩემგან[3]) მოგენახოს, გასცემდი და მას იქმოდი,
გაქუს და არა დაგაკლდების,—კელ-მწიფურსა წესსა მოდი,
და რაგინდ ხანგრძლად[4]) ცოცხალ-იყო, შენც ამასა მოელოდი!“

აქა სიკუდილი მანუჩარ კელ-მწიფისა და ძისა მისისა ნავზარისა მეფედ დასმა.

1881. მოაღებინა გვირგვინი მან, ნავზარს თავსა დაარქო,
მას ათაყუანა ლაშქარი, მეფედ დალოცა და აქო.
მოუალს გზასა წავიდა, ლუსკუმს[4]) ლოგინი დააგო.
და ნავზარ გაავლო გვირგვინი, პირი მიწასა დაარქო.

1882. მუნ შეიქნა დიდი გლოვა, ტირილიან ლაბურითა[5]).
მერმე თავი გაუტენეს კელ-მწიფესა ქაფურითა[6]),

---

[1]) ა. ო.—ახლდა.
[2]) დად.—საწუთოსა.
[3]) 428 №—ჩემგნით.
[4]) 428—ხანგრძლივ.
[4]) ლუსკუმა—სირ. გლუსკმა,—კუბო, იხ. ლექსიკ.
[5]) ლაბური—იხ. ლექს.
[6]) ქაფური, არაბ. كافور—იგ. მნიშვ.

კუბოთშიგან შეასვენეს, ბნელი დასცეს საბურითა[1]),
და ცხრას დღეს ისხდეს იმაშიგან მტკივნეულნი შავ-გულითა[2]).

1883. გლოვა გახსნეს, გამოვიდეს, ნავზარ დასვეს ტახტსა ზედა,
საჭურჭლენი მოიარნეს, სხუა ბეჭედი დასხეს ზედა,
მოლარენი დაუცუადნა, ზარდახშანითა[3]) გარდასწურდა,
და არ იყურა შეგონება, ლაშქართ ზედა არ გასცემდა.

1884. არვისთანა[4]) ნადიმობდა, არცა გამოისვენებდა,
მას ლაშქარი უკუ-უდგა[5]), აღარავინ მსახურებდა.
სამ ცნა თუ: მეფე მოკუდა, მას ეწყინა, ვით მართებდა,
და გარდიხივნა საყელონი, გულ-მდუღარედ იტირებდა.

1885. ქარქისნით წამოვიდეს[6]), ერანისკენ გზანი ტკეპნეს,
მოვიდნეს[7]) და დიდებულნი წინ ლაშქარნი გაეგებნეს,
ერთმანერთსა მიუმტკივნეს[8]), ბროლის მკერდნი დაიდებნეს[9]),
და ნავზარისკენ საჩივარი ერთპირობით გაუბედნეს.

1886. სამისკენ მოისმინეს, შესხდეს, შინა წამოვიდეს,
წინა ნავზარ გაეგება, ჩამოკდეს[10]) და ცრემლსა დურიდეს,
სულ-კურთხევით მოიხსენეს, ერთმანერთსა აუტირდეს,
და კელ-მწიფობა მიულოცეს[11]), ცხენთა შესხდეს, გზასა ვლიდეს.

---

1) ა. ო.—კობოშია შეასვენეს, ბნელი დასცეს საბურვითა.
2) ა. ო.—იმაშია მტკივნეულის შავ-გულითა. 1505 და 428 №№—
3) ა. ო. და დად.—და ზარდახშათა [მტკივნეული.
4) ა. ო.—არავისთან.
5) ა. ო.—მას ლაშქარნი უკუდგეს.
6) 1505 და 428 №№--წამოვიდა.
7) ა. ო. და დად.—მოვიდა, 428 და 1505 №№—მოვიდნეს.
8) დად.—მიუტირნეს
9) დად.—და იდებნეს(?), ა. ო.—ბროლისა მკერდნი დაალბეს.
10) დად.—ჩამოკდა.
11) ა. ო.—მიულოცა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

1887. სამ დაუდვა იმედი დაშქართ მოსაწონითა:
„მე ურჩევ ნავზარს ყუელასა სიტყუათა შესაკონითა:
რაცა თქუენ გინდა, მას ვაქნევ, ბოძებით მოსალონითა,
და გაუგრდგუდდით, ნაწყენსა ნურცა თქუენ დაიხსოვნითა!“

1888. საკედ-მწიოვონს სრას ჩამოკიდეს, ეგმეოდა მუშკი, გონა[1]),
დაშქართა და დიდებულთა ნაუბარი მოეკონა,
ადგა, ნავზარს წინ მიუჯდა, სამ ყუელა გააკონა,
და შეანანა მომდურვება, ბრალობითა[2]) შეაკონა:

1889. „მას მაღალსა კედ-მწიფესა ზნე-უხობა ჰქონდა კედთა,
სიუხვითა მომტკემედი ზღუასა გუანდა, სრულად კმელთა,
იგ გადიდდა სამართლითა, მოურიდა ყუელგან მტერთა,
და რად დაგვაწუდა მამის მცნება, გაერიდე რადგან მტვერთა?!.“[3])

1890. ნავზარ დია შეარცხვინა და შენდობა მოითხოვა:
„ას ნაკეცად გარდავიკდი, ვის აკლია, რაცა მთხოვა,
ვიქ რასაცა მიბრძანებენ, ვიმასწავინძლებ, გინცა მოვა,
და დამავება შევინანო, ჩემის გულით არ ამოვა“.

1891. მოვიდა სამ, შეჰფიცა დაშქართა, მოქადაქეთა:
„ვიქნები თქუენი თავდები, ნავზარ იქს აწ სიკეთეთა“[4]).
წინა წაუძღვა დაშქართა, ჰგავს, შუქსა მთიებთა[5]),
და გულა ეთაყუანეს, დადოცეს, ნავზარ იქს მუნ სიამეთა[6]).

1) ა. ო.—მგონა.

2) ა. ო., 1505 და 428 №№—ბარობითა.

3) 428 და 1505 №№—და რად დავვიწყდა შეგონება, გაერევი რადღა მტვერთა, ა. ო.—გაერევი რადგან მთვერთა.

4) ა. ო., 428 და 1505 №№—აწ სიამეთა, დად.—მუნ სიკეთითა.

5) ა. ო.—გავს შუქთა არს მთნათენთა, 1505 და 428 №№—ჰგავს შუქთა მთეფინეთა(?).

6) 428 და 1505 №№—სიეფეთა, ა. ო.—სიამეთა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

1892. ნავშარ აიხუნა[1]) კლიტენი მაშინვე საჭურჭლეთანი,
გასცა განძი და ჯუარი[2]) მან მონაგები დღეთანი,
სრულად აავსნა[3]) ლაშქარნი, ყოვლგნით მოსულნი თემთანი,
და უმისოდ ვერვინ გასძღებოდა, მას ჭემობდეს ტომნი ძეთანი.

აქა ფეშანგ მანუჩარის სიკუდილი დაიდასტურა და მამის მოკულა მოეგონა, თუალნი ცრემლითა აევსნეს და გული ჯავრით აუდუღდა.

1893. თვითან მანუჩარს მოკლა თურ-სალიმ, ვითა ნადირი,
მამისა მკულელნი ბიძანი კიდევ ახსოვდეს სატირი,
უმეღკან აცნობა ლაშქართა ფეშანგ, დაიწყო ქადილი:
„და სისხლი ვიძებნო, წავიდე, მამა-ბიძათა ნადინი!"[4])

1894. მამა მამიკლა[5]), ამავსო მე ობლობისა ნისლითა,
ჩემი ქუეყანა საკვლედ[6]) გაჭკალა[7]), მორწყო სისხლითა,
მღთითა[8]) მეც უყო პასუხი, მიკალ ჩემითა მისვლითა[9]),
და ჩემთა ლაშქართა ერანი სრულ გაასწორონ ქუსლითა.

1895. აღზვართ ეგრე[10]) მოახსენა: „ჰკე მაღალო კელ-მწიფეო!..
თუცა[11]) მოკუდა ერთი კაცი, ერანია ისევეო[12]),

---

1) ა. ო.—აიხსნა.
2) ა. ო. და დად.—საჭურჭლე.
3) ა. ო.—აავსნო(?).
4) ეს ნანა აკლია 428 და 1505 №№ ხელთნაწერებს
5) დად.—მომიკლა.
6) ა. ო.—თ-ნით.
7) ა. ო.—გახადა.
8) 1505 №—ხვთითა, დად.—ღთითითა.
9) 428 №—უ-ნით.
10) ა. ო.—ავლზართ—წარყვნილია, 428 №—ალზვართ, იხ. საკ. სახ.
11) 428 და 1505 №№ თუმცა.
12) ა. ო.—ისევე ძეო.

მათ დამქართა საფადარი[1]) სამ არის მტერთა მძლეთ,
და ბერი მგელი რაზმაზანი ყარან ერანს ზესთა-ზეთ[2]).

1896. გურასპის იცნობ[3]) როგორა სადამ ომსა დაგწვა გული...
თუ რაზდენსა დიდებულსა მან გაუპო გურითა[4]) გული?!.
ვირემ ერანს მივიდოდეთ, დაგვხუდენ ომად დაკაზმული[5]),
და კარგი ვერა ვისქმოთ რა, ჩვენ შეგვექნას სინანული.

1897. რა აფრასიობს ეს ესმა და გაიგონა ძმისაგან:
—„ჩვენცა მათებრნი კაცნი ვართ დაბადებულნი ღ´თისაგან[6]).
სამ, ყარან და გურასპი არ ნაშობია კლდისაგან*),
და მოეკიდების აბჯარი, მათცა ევნების ხმლისაგან!“

1898. საფადარსა ვისს უბრძანა[7]): „აწ დამქარი დავამზადოთ[8]):
დაკაზმულნი შევიყარნეთ, ბარგი ერანს ჩამოვკიდოთ[9]),
ჩვენ ავიღოთ პაპის სისხლი, მისა წითლად[10]) გაცვაკადოთ,
და ნავზარ მოვკლათ, დიდებულთა სისხლი ველთა გარდავვდე-
[როთ!“

1899. „ვაჟი არის აფრასიობ“,—ფეშანგ ბრძანა,—„ერთობ მძლია:
მისთა შვილთა საფადართა დამქართაგან აქო დია.“
აღზვარდ იტყვის: „ყარანსაც სჯობს მისი[11]) მოკლვა შეუძლია,
და რა დგომისა ჟამი არის, აწ დამქარი შეგვეყრას!“

---

1) ასე ა. ო.-ში, სხვები—სფაადარი
2) ა. ო.—და ბერი მგელი რაზმთმწყობელი ჰყრიან ერანს ზეთა-ზეთ.
3) ა. ო.—გურასპი იცნობ.
4) ა. ო.—ვ-ნით.
5) 428 №—დამზადებული—წარყვნილია.
6) 428 № ღმრთისაგან.
*) 428 №—ქვისაგან.
7) ა. ო.—საფადარსა ვისას უბრძანა.
8) ა. ო.—დავამზადნოთ.
9) ა. ო.—ჩამოეკადნოთ.
10) 428 №—სისხლად.
11) 428 №—ვეჟუ.

1900. გაჰპირდეს და წამოვიდეს[1]), სპაადარი ვისი მისი,
ბაჰრამ[2]), სიამ[3]),—აღზვართ[4]) იყო ფალავანი მოყმე[5]) მისი,
თურან, მაზელ, ჩინ-მაჩინი, სიყალბელი, საბერძ მისი[6],
და ას ოთხმოცჯერ ათასი,—ერანს სისხლთა დაღვრის ისი[7]).

1901. დიდებულნი ტახტოსანნი—მატრონები გვირგვინისა,
წავიდეს და კმა გახშირდა სპილენძ-ჭურთა ტაბლაკისა[8]),
ზროხა გუდთა შეუბერნეს[9]), მიწა იძვრის სიმრგვლე ცისა[10]),
და ჯინჭველთაგან უმრავლესი—ვერ დაიტევს სიბრტყე[11]) ცისა.

1902. ერანელს კელ-მწიფესა კმა მიესმა, ურანის[12]):
„აფრასიობ შეიყარა, ჩუმზედ მოვა თურანია!“[13])
არ ეტევის, აუვსია კლდე, კაპანი, მინდორნია[14]),
და ნავზარს ჰკადრეს: „დაშქართათვის შენცა კაცი გაგზავნია!“

---

[1]) 1505 და 428 №№—წამოვიდნენ.

[2]) ბაჰრამ—სპ. بهرام—იხ. საკ. სახელები.

[3]) სიამ, იხ. საკ სახელ.

[4]) ა. ო.—ხან ალზვართ, ხანაც ალზვარდ.

[5]) ა. ო.—ბაჰრიმან, სიამ, ალზვართ, ფალავანი მოყმე მისი, 428 №—ბარამ, სიამ, ალზვარ იყო, სფაადარი მომკრე მისი.

[6]) თურან, მაზელ, ჩინ-მაჩინი, სიყალბელი, საბერძმისი, იხ. საკუთარ სახელებში.

[7]) ა. ო.—ას ოთხმოცი ათასი ერანელთ სისხლსა დაღვრისა.

[8]) ა. ო.—სპილენძ-ჭურთა-ტაბლაკნისა.

[9]) ასეა ა. ო.-ში, სხვები—შეუბერეს.

[10]) 428 და 1505 №№—მიწა იძვრის სიგურგულე ცისა.

[11]) 428 №—სიპრტყე.

[12]) ა. ო.—თურანია.

[13]) ა. ო.—ურანია.

[14]) ა. ო.—კლდე, კაპანი, ტყე, მინდორნია—ლექსით-წყობას დალატობს.

აქა ნავზარს საამ შინ დაეთხოვა ნუზლისათვის და ლაშქრი-სათვის და რა შინ მივიდა, მოკუდა. ეს არის ამ უხანოს სოფლის საქმე*).

1903. სამ ნავზარს დაეთხოვა: „შინ გამიშვი, ზაალს ვნახავ:
მაზანდარით ჩემი მოსვლა არვინ იცის[1]), სულთქმა-ახავ,
ზალდასტანს და ქუაბულდელთა თან მოვიტან, გზასა ვლახავ,
და ვირ ურანის სამზღვარს მოვლენ, გიახლები, თქუენვე გნახავ.

1904. ასეთი არის სოფელი და მისი მონასახენი:
შინა მივიდა, მოცაკუდა. ტირიან მიწა და ხენი!
საჭურჭლე დიდებისაგან მას ოდენ გაჰყუა სახელნი[2]),
და ქუაბულელ-ზაულისტნელნი ტირიან მოვაგლახენი.

1905. არვის სცალდა ნავზარისთვის, სუელონი გარდიხივნეს,
ამ ამბვითა აფრასიაბ, — თურანელთა, — არა ივნეს:
სცნეს და ფრთენი მოუზარდნეს, მაღლა ცამდის აიწივნეს.
და ჰკრეს ქოსსა და ნაღარასა ჯეონს[3]) ადრე მოიწივნეს.

1906. ჯეონს[4]) დაიცა კარვები გასკუდავთა უმრავლესია,
ასი ათასი ჭაბუკი, — რაცა უგულოვნესია,
სიამ ხაზარანს ახლდნა[5]), სისტანს გაგზავნა ესია:
და „გარ მოადექით ლაშქარსა, რაც ციხე უმაგრესია!“[6])

---

*) ეს სათაური არ არის ა. ო.-ში.
[1]) ა. ო.—არა იცის, 428 და 1505 №№—არვინ იცის.
[2]) 428 № - სახენი.
[3]) ჯეონი. სპ. جيحون—ჯეჰონ, იხ. ლექსიკონი
[4]) ა. ო.—ჯეონ.
[5]) ა ო.—აახლნა, 428 და 1505 №№—ახარა.
[6]) 428 და 1505 №№—ციხე რაც მოუმაგრესია.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

1907. ნავზარს ესმა:—„სამ მოკუდა!“—სეფედთანი გარდიხივნა,
თავს ნაცარი გარდიყარა, ერანელნი აატირნა:
„აღარა ჰყავს მათი ზურგი, თავი მისი გაამჩივნა,
და ახლავს ცოტა მეომარი, თურქთა გული არ ატკივნა.

1908. ციხის ძირს, პირის-პირ, დადგა კალმა მდინარესა,
აფრასიაბ ძმასა უთხრა მხიარულმან მცინარესა:
„ფეშანგს წიგნი მიუწერე, ანათობდი იმ არესა“.
და გაუგზავნეს აქანამდის ბედსა ჩვენსა მძინარესა.

1909. დამბადებლის შეწევნითა გამარჯვება ჩვენკენ ჩანს.
სამ იყო—ერანელთა უმაგრებდა ზურგის ძვალსა,
მისგან იყვნეს მეომარნი, მოირთვიდეს მისგან ძალსა,
და წაჰკვეთ მათსა გულ-მწიფესა გზასა, ხანგრძლივად მოუვალსა[1]).

1910. ნავზარ შეურიდი ლაშქრითა ციხის ძირსა მდგომია,
არის ასი-ოცი ათასი, ეს ჩვენი ვერ[2]) სათმია!
ყოვლგნით, ტყე ვითა ლაშქარი, მას გარე შემოსდგომია,
და ვერსად წავგვიდა ბედ-მლაშე, ჯერ შეკვავს ვერ მოგდომია!“

1911. დაწერეს[3]) და დაუგზავნეს, რა დაასრულეს ესე პირი,
ბარმანს უთხრეს: „ნავზარს უყავ, ერანისკენ წადი, მზირი[4]).
სისტანს ვერსით წაგვიდეს, შეჰკარ ჯეონის პირი,
და მარჯვენით აფრასიაბ უთქს გზა აქვს კლდეთა დაჭერილი[5]).

1912. ნავზარ სცნა,—დიდი ლაშქარი სისტანისკე წავიდა,
ყუელგან მზირი გითქს გზაზედა, ზღუანი შეკვრეს ნავიდა[6]).

---

[1]) 428 და 1505 №№—მოუვალსა.
[2]) 428 და 1505 №№—არ.
[3]) ა. ო.—დასწერეს და გაუგზავნეს...
[4]) ა. ო.—ნავზარისა იყავ ერანისკენ მზირი.
[5]) ა. ო.—დაჭირული.
[6]) ა. ო.—ნავითა, 428—ნავიდა.

რა გაიგონა, ეწყინა,—საგონებელსა ჩავიდა[1]),
და შეჭირვებული რაზმაზან[2]) მუნ ყარაულად გავიდა.

1913. ვისის მცველს ერქვა ბარამან,—სათავადრობითა დღეისა,
მან აფრასიობ დალოცა:—„მიუჯე ჩემისა ნებისა!
ერანელთ ვსთხოვთ მუქარა, ვნახოთ ვინ გამომყუებისა?
და ვინცა შემებმის, მაზედან გლახ დედა ატირდებისა!“

1914. დაუმადლა აფრასიობ. სათავადრობით დალოცვიდა,
რახსსა შეჯდა[3]) შეკაზმული, მობრუნდა და წამოვიდა,
სახელობით იზახოდა[4]). მუნით ვერვინ გამოვიდა,
და ვითა მგელი, მომშეული, ლომავითა მობრდღვინვიდა.

1915. ყარანის ძმას ყუბად ერქვა,—ბერიკაცი ჭკვიანია,
შერცხვენდა და გამოვიდა შეკაზმული, კრმლიანია:
„მარჩვენია, აღარ ვიყო, დღე არ ვნახო მზიანია,
და აუკითა სიცოცხლესა,—მოვკუდე პირის წყლიანია!“

1916. ნავზარ უბრძანა: „სახელი ნიადაგ შენი ფერია:
ხარ ქამ-გამოვლდით, ნაცადი დღეთაგან, თუმცა ბერია!“[5])
ჰკადრა: „სუფევდი მრავალჟამ, ვარ თქუენთა ფერთა მტუერია
და მოვკუდე,—ომითა სახელი დამრჩებისა, მე მირჩევნია!“

1917. ესე თქუა და მოიბრუნდა, ბარმანისკენ წამოვიდა,
ბარმან[6]) შუბი შეაძგერა, მოკლა, ცხენით ჩამოვიდა,

---

[1]) 428 და 1505 №№—ჩავარდა.

[2]) რახმახან, იხ. საკ. სახელები.

[3]) 428 და 1505 №№—იჯდა.

[4]) 428 და 1505 №№—ძ-ლით.

[5]) 428 და 1505 №№—დღეთაგან ძალითა ოდენ ბერია, ა. ო.—ის ქამ-გამოვლილით ნაცადი დღეთაგან, თუნცა ბერია.

[6]) 428 და 1505 №№—ბარამ.

გატარცვა და ცხენსა შეჯდა, ლაშქართაკენ წამოვიდა,
და თავი ჳბა სახრტილშჳლდან, აფრასიობს წინ მოვიდა.

1918. ლაშქართა და დიდებულთა ბარმანს[1]) უთხრეს დიდი ქება.
ერანულთა ტირილი აქუს[2]), ნავზარს დიდი შეჭირვება,
ყარანს ძმასა ყუბადისსა—თავსა ცემა, ვაგლახება,
და ბრდღვენავს, ვითა მთვრალი პილო[3]), უმძიმს მისა მოშო-
[რება[4]).

1919. ცხენიდამ ჩამოიჭრა, საყელონი გარდიხივნა,
თმა და წვერნი დაიგლიჯნა[5]) ყუბად[6]), მოთქუა, აგვატირნა.
მერმე ცხენსა გარდაჰკიდნა[7], სისხლის ძებნა გაცაპირნა[8]),
და ნავზარს ბევრი მოაკსენა, არ სიტყუანი[9]) დაუძვირნა.

1920. შემოგუეხვივნეს[10]), მიწის პირი ლაშქრითა ავსილა,
ამასღამ[11]) კავალ სათმრად, სადა ბარამან[12]) გასულა,
სწვენ, თარჯმობენ და ჰკოცენ, ქვეყანა ჩუენი დავსილა,
და მე მისი სისხლი დავლევარო, თავი მოვიკლა ან სულდა[13]).

---

1) 428 და 1505 №№—ბარამს.

2) 428 და 1505 №№—აქვსთ.

3) 428 №—სპილო.

4) ა. ო.-ში ეს ტაეპი წარყვნილია.

5) დად. და 828 №№—თმა და წვერი დაიგლიჯა.

6) 428 №—ყუბად.

7) დად. და 428—გარდაჰკიდა.

8) 428 და ა. ო.—გააპირნა.

9) დად.—არა სიტყვა.

10) 428—შემოგუეხვივნიან, დად.—შემოგვეხვევიან.

11) ასეა ა. ო.-ში, დად.—ამაზღამ, სხვები—ამაღამ.

12) ა. ო.—სად ბარამან დვას და გასულა ლექსთ-წყობასაც და-ლატობს და არც აზრი აქვს, დად.—სადა ბარმან დვას, გასულა.

13) 428 №—სულა, ა. ო.—სრულა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

1920. მე აჯართა მოვიმსტუებ და ციხეთა ამბავსა გსცნობ[1]),
გვერცა[2]) ადრე გიახლები, მოსვლისათვის[3]) ნუ სდარაჯობ!
ნავზარ ჰკითხა, ვიყო აქა[4]), თუ წავიდე, როგორა სჯობ?
და ყარან ჰკადრა: „თურქნი ომსა ნუენსაც მოვა, ნურა სჩქარობ!

1921. ვერ მოგესწრა[5]), ციხე გახდავს, შედი, მტერი ვერას გავნებს.
ესე თქუა და უკ-მობრუნდა, ყარანისგან გაიკვირებს[6]),
ბარმანისკენ წამოვიდა, წინა კაცსა მიაგებებს[7]),
და ყარან კრმალი[8]) გარდუქნივა, სისხლი ველთა გარდაასჩქებს[9]).

1922. ყარანისგან აფრასიობ ნახა, ლაშქრით შეუტევდეს[10]),
ლაშქარნი შემოეხვივნეს, სალამომდის იგ ებრძოდეს[11]),
ყარან კულა ნოდარს მომართა, ძმის სევდით გული ეწოდეს[12]),
და ნოდარს თუალთ ცრემლი სდიოდეს, დანახვაც გახარებოდეს[13]).

1923. უთხრა: „ამდენად სასმის სიკუდილი არა მწყენია,
ყუბადის[14]) სული ნათლადამც არს, საწუთრო აგრე მქნელია[15]),

---

1) 428 №— ვცნობ
2) დად.—გვერდსა.
3) 428 №—უ-ნით.
4) დად —აქავ ვიყო
5) 428 № —მოგესწარ.
6) დად.—იკუირვებდეს.
7) ა. ო. და დად.—წინა კაცნი მიაგებნეს.
8) 428 და ა ო.—ბმალი. [გადასჩქეფს.
9) 428 და დად.—და ყარან ბმალი გარდუქნია, სისხლი ველთა
10) 428 №—ყარანისგან აფრასიობ ნახა, ლაშქართ შეუტევდა.
11) 428 №—ლაშქარნი შემოხვეოდეს სალამომდი იგ ებრძოდა.
12) დად.— ყარან კულავ... ეწოდა.
13) 428 №—ცრემლი სდიოდა... გახარებოდა.
14) 428 №—თ-ნით.
15) დად.—სული ნათლად არს, საწუთრო ასრე მქნელია, 428 №—ნათლადამც...

ზოგთ შეაწყვენს, ზოგთ აამებს,—ჩუენცა ასრე მიგვაჩნია[1]),
და უარან აგრე მოაკსენა: „ქალ-მწიფეუმცა დღე-გრძელდის!"

1924. ერანელთა რაზმი გაწყუეა, რა ფეშანგის შვილმა ნახა,
ცხენის ტერფით მზე დაბნელდა, მზის სინათლე ვერვინ ნახა.
აფრასიაბ ქოსსა დაჰკრა და ლაშქართა შეუძახა,
და სისხლის ღუარი აადინა, „შეჰკარ, შეიპყარ", —იძახა[2]).

1925. სითაც პირი ვქენ, ლაშქარი ფურცელ ვით[3]) ჩამოვყარე,
ბოლოჟამ ღამემ გაგვყარა, ჩუენგან[4]) ზიანი არე,
ამ საუბრისგან ნაგზარი გულ-ნაღვლიანი არე[5]),
და კაცს უთხრა: „ტუსი და გოსტამ მამისხენ, შვილნი არე[6]).

1926. ეულს მოუხვია შვილებს, უთხრა ეს საუბარია:
ბრძანა თუ: დღეს მამეგონა მამის ნაუბარია.
მიბრძანა: „თურქია, ჩინელთა, ურიცხვი მოვა ჯარია,
და ზიანი დაუმართებს ერანელთ სპათა ბევრია!

1927. აწე ქალ-მწიფის ბრძანება მე დღეს ამიკლა, იცით!
სპარსეთს მიმართეთ[7]) აქათით ისპაანს ცოტას კაცით,
ლაშქართ[8]) ნუ შეატყობინებთ, გეგბის მოიხვთ ამათ,
და ფრიდონის ნათესაობა სრულ არ ამოსწყვდეს ამით!

---

1) 428 №—ჩუენც სიკუდილი მიგვაჩნია

2) დად.—ერთ პირობით შემოჰკვებენ, ჩუენი საქმე გაეზრახა,
და სისხლის რუნი ადინა, შეჰკარ, შეიპყარ იძახა.

3) დად.—ფურცელს ვით, ა. ო.—ლაშქარნი ფურცელსავითა ვყა-[რენა.

4) დად.—ჩუენგან ზიანი არის.

5) დ. დ.—ამ საუბრისგან ნაგზარი გულ-ტკივნეული არის.

6) 428 №—მამისხი შვილი არე.

7) 428 №—სპარსეთს მიუმართეთ(?), დად.—სპარსეთ მიმართეთ.

8) დად.—ლაშქარს.

1928. აჲს გხედავ, ტახტ-გვირგვინი მიწასითანა გასწორდებოს-
ორნივ შვილნი კალთაშიგან ჩაისხა და ატირდებოს[1]),
ველს მოუშვდა ნადულიანი, გაუშვა და იქ დადგების,
და ნოდარ სამსა დღესა შიგან ამ წესითა იქ იქნების[2]).

1929. ავრასიობ შეიყარა, ბუკსა ჰკრა და ნაღარასა,
ლაშქარი ზღვასავით ღელავდის[3]), მიწის პირსა დაჰფარავსა,
ავრასიობ ნავზარისა რა ძეთ წასვლა შეიტყოსა[4]),
და ვისის შვილი ლაშქარითა წაუყენა უკან მასა[5]).

1930. ყარანს ესმა, ვითა გეფხი იგ შეკვდა ნოდარს წინა.
„სპანი გაუყენებია!“—ჰკადრა,—„გამარჯულთათვინა“,
ველს მოჰკიდებს,—„საძირკუელი ამოგვიგვარდების ჩუენა,
და ჩუენ ზაზირა[6]) მრავალი გვაქუს, გულს იურვის ნურავინა!

1931. მე წავალ, ტუსის და გოსტამს მივეშველები, ახედენ[7]),
სპარსთა დედანი თურქთაგან უპატიონი არ დაგდენ[8]),
შუალამ ყარან და სპათა ციხის გამოვლით დახედენ[9]),
და ცოტა გზა წამოიარეს, ბარამსა უკან შეხედენ.

1932. რა ბარამან სპანი ნახა, ყარან რაზმისა მორეწყულმან,
ტანსა აბჯარი ჩაიცვა, რაზმი აწყო გულოვანმან,

---

1) ა. ო.—ატირდების.
2) დად.—და ნოდარ სამსა დღესა შიგა გაუშვა და იქ იქნების.
3) დად.—ღელვდეს, ა. ო.—ღელევდის, 1505 და 428—ღელევდა.
4) 428—შეიტყუისა, ა. ო.—შეიტყვესა.
5) 428—მას უკანსა.
6) ზახირა, იხ. ლექს., დად.—შეცთომით—დახირა.
7) 1505—მივეშურები, ახედენ, დად.—მივეშველები.
8) დად.—უპატიონი არ გაგდენ, 428—უპატიურად.
9) დად.—შუალამ ყარან და სპანი ციხით გამოვლენ, დახედენ, 1505—შუალამ ყარან და სპათა ციხის წამოვლით დახედენ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რა ბარამან დაინახა, იქიდამან მომართა მან,
და ვით პილონი[1]), შეაძგერნეს, აქიდამან მიმართა მან.

1933. ბარმან[2]) მიმართა, უკივლა, ხელთა აქუს ხრმალი ლესული;
ვის მოგწყუენა[3]) სიცოცხლე, გასწირე თავი და სული!
ვით ლომმან, შემოუზახნა: „ვარან ვარ, შეკრბეს ვერ სული!“
და ყუბადის[4]) სისხლის მძებნელი და სცადე ლახტი ბერძული[5]).

1934. მძიმე ლახტი ბარმანს[6]) დასკრა, ორნივ თუალნი წამოსცვივდეს,
მუზარადნი[7]) დაულეწნეს, ტვინი თმასა[8]) გაერივნეს,
შიგ ჩაიჭრა დამქარშიგან, ერთმანერთისა დაერივნეს,
და ვინცა დახუდა შესაბმელად, ჰკოცდა, სულნი დაელივნეს[9]).

1935. მობრუნდა და წამოვიდა ციხეს და მამულზედა,
ქუეყანანი გაათრთხილა, მოამკვრა ამაზედა[10]),
გასცა უხვად საომარი მან აბჯარი დამქარზედა,
და ყარან გვერცა[11]) აღარ ახლავს, ნავზარ ტირის ამაზედა.

1936. „ვარან აქა აღარ მოვა“, ერანელთა ესე[12]) ოქუიან,
ზოგნი დაეთხოვებოდეს[13]), ზოგნი მალვით წავიდიან,

1) 1505—სპილონი.

2) ა. ო.—ბარმან მიმართა, 428, 1505 და დად.—ბარამ.

3) ა. ო.—ვის მოგწყინა სიცოცხლე.

4) ა. ო.—ყუბათის.

5) ა. ო.—ბერძნული, დად.—ბერძული.

6) დად.—ბარამს

7) ა. ო.—მუზარათნი.

8) დად.—თმანი ტვინსა, 428 და 1505—თმაში გაერივნეს.

9) ა. ო., 428 და 1505—ჰოცდა, სული დაელივნეს, დად.—კოცან, სულნი დაელივნეს.

10) ასეა დად.-სეულში, 1505 და 428—ქუეყანანი გაამაგრე, მოაფრთხილე ამაზედა, ა. ო.—ქვეყანანი გაამაგრნა, მოაფრთხილნა ამაზედა.

11) დად. და 1505 გვერდსა.

12) 428—ასე თქუიან. [დეს.

13) ა. ო. და დად.—დაეთხოვებოდეს, 1505 და 428—დაეთხოვებო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რაცა დღენი გამოვიდის¹), მას ლაშქარნი დაუმცრდიან,
და ვერცა ციხეს შეემწყუდიენეს, სისტანს წასვლა გაჰპირიან²).

1937*). ვისის უთხრეს³): „ყარან სადმე ლაშქარშიგან შეპყრულა,
მას მრავალი უკოცია, ველი⁴) სისხლით შეღებულა!"
მას სიკუდილი ბარმანისი გაუმჟღავნეს არა სრულა,
და ვისი მივა შესატყობად, ჯერედ⁵) ნავზარ არ წასულა.

1938. ნახა ლაშქარი კოცილი და დროშა წანაქცევია,
შვილი სისხლითა შესვრილი, მკუდარი თავ-დანამსხვრევია,
ზედა დაეცა, ტიროდა, ცრემლსა გლახ სისხლი რევია,
და ცხენსა დაკრა, მოჰქონდა სისხლშიგან მოთათრევია⁶).

1939. რა ავერასით შეიტყო, თითსა იკბინა კბილითა.
ვისსა უბრძანა: „გამაგრდე, ჰამს, სიკუდილისა შვილითა,
ვეფხი ვერ მოირჩეს ქავის შვილის ყარანის შუბითა⁷),
და შენგან წასვლა სჯობს, შვილისა სისხლი ეძიეთ დენითა!"

---

¹) დად.—გამოვიდეს.

²) დად.—და ერთს ციხესა შეეგაწყუდიენეს, ერანს წასვლა გაჰპირიან, 428—წასულა გაჰპირიან.

*) ამ ხანიდან დაწყებული ა. ო.-ს აკლია ათი ხანა. 1937—1946.

³) დად.—ვისს უამბეს.

⁴) 1505 №—ველნი.

⁵) 1505 და დად.—ჯერეთ, 428—ჯერედ.

⁶) ეს ხანა დად.-ხელში ამ სახით არის:

ნახა ნაკოცი ლაშქარი და დროშა წაქცეულია,
შვილი სისხლითა შესვრილი, მკუდარი ტვინ-დათხეულია,
ზედა დაეცა, ტიროდა ცრემლსა გლახ სისხლი რევია,
და ცხენსა დააკრა, მოჰქონდა, სისხლშიგა მოთრეულია.

⁷) ამ ხანის მე-2-ე და მე-3-ე ტაეპები დად.-ხელში ასე იკითხება:
ვისსა უთხრა: „გამაგრდე ჰამს თქუენის შვილის სიკუდილითა,
ვეფხი ვერა მოურჩების, ქავის შვილს ყარანს შუბითა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

1940. ვისიმ სპანი შეიყარნა სპარსეთისკენ წამოვიდა[1]),
მეორეს დღეს მტვერი ნახეს, ყარან სპარსეთსა მივიდა[2]),
თურქთ სპასალარი უძღვების, მან დროშა ნახა შავი და[3]),
და ყარან და მისნი ლაშქარნი წინ მიეგებნეს, წავიდა.

1941. რა რომ ვისმან ყარან ნახა, მასვე წამის გაუძახა:
„ჰგეია თესლო, ტახტ-გვირგვინი მიწასთანა გაგილახა[4]),
ზაულისტანს, ქჳაბულისტანს[5]), ყარნუჯამდი ჩუენი ახა,
და აწ შენ ვისით[6]) ზურგით იბრძვი, შენ გელმწიფე სადა ახა.

1942. ყარან უთხრა: ,,საწუთროზედ ჭკუდავი არვინ მორჩების:
არ შეიურვების, საწუთრო კაცსა არ გაუთავდების;
ეტლის საქმე აგრე, თქუენსა თავსაც გარდაკლდების[7]),
და მაგ საქმეს ყურსა ნუ უგდებ, ღ̃თის ბრძანება მგ მოჰკლდების[8]).

1943. მე ყარან ვარ, რა გავფიცხდე, პილო დამიდგების ვერა,
იგ ნახეა ომის დღესა, შენსა შვილსა უკავ მერა:
შენცა გიზამ იმ საქმესა, ჩემსა ნაკრავს უდგამ ვერა,
და მათ ლაშქართა მარჯუენით, მარცხნით ანათობდა მთვარე ვერა[9]).

---

1) დად.—ვისმან სპანი შეიყარნა, სპართ ქუეყანას წავიდია(?).
2) დად.—რა ყარან სპარსეთს მივიდა
3) და დროშა ნახა შავიდა.
4) დად.—გაილაკა.
5) ზაულის ქუაბულისტანამდი.
6) დად.—ვისის.
7) 1506 და 428—თქუენს თავსაც გარდაავლების.
8) დად.—და მაგ საქმეს ყურს არ მიუგდებ, რაც ღ̃თსა სწადს, იგ მოკლდების.
9) ეს ხანა დად.-სეულში ასე იკითხება:
მე ყარან ვარ, ომის დღესა შენსა შვილს უყავ, თქუი, მე რა:
იგ ნახეა, ომის დღესა, პილო ვერ დამიდგამს ვერა,
შენცა იმ საქმესა გიზამ, ჩემს ნაკრავს დაუდგამ ვერა,
და მარჯვენითა და მარცხენით ლაშქრით მზე ნათობდა ვერა.

1944. შეიბნეს. სისხლისა ღვარსა[1]) ცხენ-კაცი მოჰქონდა ვითა!
სჭათ თავი ასრე ცვიოდა[2]), ზაფხულის ფურცელი ვითა[3]).
ანაზდად[4]) ყარან მიმართა ვისის მძიმითა ლახტითა[5]),
და ვისიმ ვეღარა დაუდგა, ფიცხლა გაექცა ცხენითა.

1945. გმირი ყარან და ლაშქარი ვისის[6]) უკანა წაუდგეს,
მრავალი სახელ-დებული მათის კელითა დაკოცეს[7]),
ბედ-მლაშე, ქედ-უკუღმართი იგ თურანელნი გაიქცეს,
და ვისი და სხუა თურანელნი[8]) აფრასიობს წინ მივიდეს.

1946. შელამდა. ნავზარ გაპარვით წავიდა, აცაიყარნეს,
უკანა თურქნი გაუდგეს[9]), შეიტყუეს, რომ გაიპარნეს.
წინ აფრასიობ ლაშქრით უთქს, და შუაზედ შეიყარნეს[10]).
და ისრისა წვიმა დაასხეს, თქუეს, ვერა გაცაიხარნეს[11]).

1947. კრმალ-აფთი[12]) გამოიწვადეს, დაკაზმულია ფარითა,
ლახტითა სცემდეს, იზახდეს[13]): „ჰკარ, მოჰკალ, შეიპყარითა!“
ცხენთა კვივილი გახშირდა, ველნი აივსო მკუდარითა,
და ორგნითვე ბევრი იკოცა; თურქთათვის მზე ჩანს დარითა.

---

1) დად.—რუსა.
2) 428 №—სცვიოდა.
3) 428 №—ფურცელსავითა.
4) 428 და 1505 №№ ანაზდათ, დად. ანაზდა.
5) ლახტი, იხ. ნასესხ. სიტყვები.
6) დად.—ვისსა.
7) დად.—მათის კელითა დაიკოცნეს, 1505 №—ხ-ნით.
8) ასეა1505 და 428 №№-ებში, დად.—და ვისი და თურანელნი—ლექსთ-წყობას ღალატობს.
9) დად.—წაიყარნენ.
10) დად.—წინ აფრასიობ ლაშქართა უთქს, შუა შემოეყარნეს.
11) დად.—თქუეს, ამათ ვერ გაიხარნეს.
12) ა. ო.—კმალ აფთარნი, იხ. ლექს.
13) დად. და 428 №—იძახდეს.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

1948. გავიტანდეთ ნაომარი მათი, გვანდა აღსასრულსა:
მზისა-მთვარი აღარა ჩანს, დაებნელა ორთქლის[1]) სულსა,
ვერა ვხედავთ ერთმანერთსა, გვიდამებდა მტვერი გულსა[2]),
და მიწა სისხლსა შეედება, ჰგავს სულა გაწითლებულსა[3]).

1949. ერანელნი გულ-მესისხლედ იბრძოდეს და სისხლსა ღვრიდეს,
თითოს მიხუდის ასი კაცი, ერანელთა ჩამოჰკრიდეს,
ვერ დაუდგეს გასაქცევლად, გაემართნეს გზასა, გლიდეს,
და ჩამოყარეს დიდებულნი, ნავზარს ჴელსა შეუპყრიდეს.

1950. წესია ამა სოფლისა ხან-გრძლად არავის გაჰყუების,
გარდუბრუნდების საწუთრო, კაცი ანაზდად წაგდების,
ნაომართსა მოუთქს[4]) აღმართი, ლხინსა ტირილი დახუდების,
და ქონება-საჭურჭლისაგან თანა არავის წაჰყუების[5]).

1951. რა მობრუნდეს თურანელნი, ერანელნი ტყუედ მოყუანდეს[6]),
აფრასიაბს წინ მისხნეს, მკარ-დაკრულთა მიიყუანდეს.
ყარან ახლდა, შინათ მოვა, მისნი სპანი თანა ყუანდეს,
და მგელი ვითა, შეერივა[7]), თურანელნი თხათა[8]) გვანდეს.

1952. ვისიმ[9]) უთხრა: „ცუდად იბრძვი, ერანია დამჯობილი,
ნავზარ ჩვენ გვყავს მკარ-შეკრული, თავადები შეპყრობილი"[10]).

---

[1]) დად.—ორთქლსა, სულსა.

[2]) დად.—ვერა ხედვენ ერთმანერთსა, უღამებდა მტვერი გულსა.

[3]) ა. ო.—მიწა სულად შეედება, გავს სისხლით გაწითლებულსა, დად.—და მიწა სისხლით გაიწითლა, გავს მინდორი შელებულსა.

[4]) ა. ო. და დად.—მოუთქს, 428 და 1505 №№—მოაქვს.

[5]) ა. ო.—თანა არავის რა გაჰყვების, დად.—ჩაჰყუების.

[6]) დად.—რა მობრუნდეს, ერანელნი თურანელთა ტყვედ მოყუანდეს.

[7]) დად.—შაერივა, 1505 №—შეერია.

[8]) 1505 და 428 №№—თხასა.

[9]) დად.—ვისიმ, 428—ვისმან.

[10]) ა. ო., 1505 და 428 №№—ნავზარ ჩვენ გვყავს შეპყრობილი, ერანელნი მკარ-დაკრულნი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ესე ესმა, სხუა ყუელაი[1]) ნახა მუნა[2]) დაკოცილი,
და თურქთა ფრენდა, ლომი ვითა[3]), უზებარი[4])—ალვა-ზრდილი.

1953. დაფრიწა და შიგ კავარდის, დახტით მოკლის, დახუდის ვინცა,
აფრასიაბ, ტახტ-გვირგვინი ერანელთა ჰქონდა ვისცა;
მოკრიფა და ჯორ-აქლემი გაუგზავნა ფეშანგს, მისცა,
და ნავზარ, ნაცულად ბარმანისა[5]), მოსაკლავად ვისის[6]) მისცა.

1954. ათას-ორასი თავადი კელთა ჰყავს ერანელია,
შიშველდა[7]) მოასხმევინა, დაკრული ჰქონდა[8]) კელია,
ჯალადთა[9]) მისცა:—„დაჰკოცეთ,—აწ სისხლი დასაღურელია,
და ფეშანგს მივართვათ[10]), მანცა[11]) სცნას[12]), ძე ჩემი რისა მქნე-
[ლია!“

1955. მათ ითხოვეს ზენაარი[13]), მუკლ-დაყრილნი შეეხვეწნეს[14]):
„ღ˝თან მოგცა გამარჯვება, ჩუენ კლიტენი დაგვეღეწნეს!
პატრონი გვყუა, ვახლდით მასა, ბრძანებითა მათ შეგვედეწნეს[15]),
და ტახტი დაგრჩა, ვართ მონანი, მტერნი[16]) ყურსით კარდვე-
[ხუეწნეს.

[1]) დად.—ყოველი.
[2]) დად.—მუნვე.
[3]) დად.—ვითა ლომი.
[4]) ა. თ.—უხანბარი, 428 №—უხებარი.
[5]) დად.—ბარმანისთვის, ა. თ.—ბარმანისა.
[6]) 428—ვისსა.
[7]) დად.—შიშველნი.
[8]) დად.—ჰქონდათ.
[9]) დად.—ჯალათთა; ჯალათი არაბ.-სპარ.—იხ. ლექს
[10]) დად.—მივართვათ, 428 №—მიმართვით.
[11]) 1505 და 428—მაინცა(?!).
[12]) დად.—ცნას.
[13]) დად.—მათ ითხოვეს ზენაარი.
[14]) 1505 და 428—მუხლნი წინა მიუყარნეს.
[15]) დად.—პატრონი გვყავს, ვჭალით იმას, ბრძანებითა მან შევე-ლეწნეს, ა. თ.—პატრონი გვყვა, ვახლდით მასა, ბრძანებითა მათ შე-[გვლეწნეს.
[16]) დად.—მტერი.

1956. ზედა ალზვარდ[1]) შემოესწრა, ავრასიობს მოახსენა:
„ერანელნი დიდებულნი ამათ[2]) მეტი დაჰკოცეხა,
შემოქმედსა ეწყინების, ამათს[3]) სისხლსა დაღური შეხა,
და სხუა ვინდა ჰყავს, სამატრონო[4]) ტახტ-გვირგვინი დაგურჩა
[ჩუენა.

1957. მე დაჭედილნი მიბოძენ[5]), სარავს დავაბათ ყელად,
სისტან-ზაული ავიღოთ, წინ მოგიყენო ტყუეულად[6]),
თუ შემოგფიცონ, ნუ დაჰკოცთ, გმსახურონ შენ[7]) მონეულად,
და თუ რა დაშავდეს ამათა[8]), მე გიზღო ათასეულად!"

1958. მოუსმინა ძმასა ალზვარდს[9]), ერანელნი მიაბარა[10]),
თან ლაშქარნი წაატანა, სარახსს წიგნი მიუწერა[11]):
„ბორკილები შეუყარეთ, არამცა ვინ გაეპარა[12]),
და ჩუენი საქმე ავად მოხდეს, მამულითა გაგვაქარა!"[13])

1959. ხაზარან, სიამ დაჰკაზმნეს[14]), თან ლაშქარი წაატანა[15]),
ქაბულისტანს[16]) შემოადგეს, მერაბ ძღვენი გაუგზავნა,

---

1) ა. ო.—ალზივარდ, დად.—ალზვართ.

2) 1505 და 428 №№—ამის მეტი.

3) დად.—ამათ.

4) დად —საბატონო.

5) დად.—მე დაჭერილნი მიბოძენ, ა. ო.—მე დაჭედილი მიბოძენ, სარას დავაბამ ყველად(?), ა. ო.—მიბოძე.

6) ა. ო.—სისტან-ზაულ ამოვილოთ, წინ მოგიყენო ტყუილად. დად.—სისტან ზაული აილე, წინ მოგიყენნე ტყუეულად.

7) დად.—თქუენ.

8) დად.—ამითა, 1505 და 428 №№—ამათი.

9) ა. ო.—ალზვარდს, დად.—ალზვართს.

10) დად.—მიაბარნა.

11) ა. ო.—სარახსს წიგნი მიუწერა, დად.—სარავს წიგნი მიუწერნა.

12) დად.—გაგეპარნა.

13) დად.—გაგაქარნა.

14) დად.—შეეკაზმეს, 1505 №—დააკაზმეს(?), ა. ო.—ხაზარან-ზიამ [დაჰკაზმნეს.

15) დად.—თან ლაშქარნი წაიტანეს.

16) 1505 №—ქაბულისტანს—უფრო სწორია.

რაცა მათი სანდომია, მან სიტურფანი შეუთვალნა,
და გამარჯვება მიულოცა, თავი საყმოდ დაათვალნა.

1960. საილათოდ ატყუებდა[1]), მოითხოვა მათგან ზავი:
„მის დიდისა კელ-მწიფისა ვარ ზაქის ნათესავი,
ჩემი არის ინდოეთი, ვერ წამიღონ საყმოდ თავი,
და ქაბულისტანს მისთვის ვდგავარ, მოგახსენო, თუ ვსცნა ავი[2]).

1961. მანუჩარის მამისაგან თავს ვერსად გამოვეყობდია[3]),
ფეშანგს წინ ძღვენი გავგზავნე, ბელაქსა შევამკობდია[4]),
ფიცი მიბოძონ, მოვიდე, წინაშე თქუენსა ვჰყმობდია[5]),
და მე ზაულელნი არ მჩანან[6]), თვით ოდენ დავამკობდია*).“

1962. ძღვენი ნახეს ამ ამბავითა, სიამ-ყარანს[7]) გაეხარნეს,
მერაბისა[8]) დაიჯერეს, მასვე წამსა აეყარნეს,
მათ მიმართეს ზაულისტანს, ზაალს ზედა[9]) შეიყარნეს,
და ახლად მამა მოჰკლდომოდა, ძლივ მიწანი[10]) მიეყარნეს.

---

[1]) 1505 №—ატყუებდა.

[2]) ეს ხანა აკლია 428 № ხელ-ნაწერს, ა. ო.—ში კი ამ სახით არის:
საილეთოდ ატყუევბდა, მოითხოვა მათგან ზავი,
მის დიდისა კემწიფისა ვარ ზაქიანთ ნათესავი,
ჩემი არის ინდოეთი, ვერ წამიღონ საყმოდ თავი,
და ქობულისტანს მისთვის ვდგავარ, მოგახსენო, თუ ვინ ავი.

[3]) დად.—თავს ვერასად გამოვეყობდი, ა. ო.—თავსა ვერსით გამოვჰყოფდი.

[4]) დად.—მე ბელაქსა შევამკობდი, ა. ო.—არდამანსა შევამკობდი.

[5]) ა. ო.—ფიცი მიბოძე, მოვიდე, წინაშენ თქვენსა ვხმობდია, დად.—ვყმობდია.

*) 428 №—თავს ვერსად გამოჰყობდია.

[6]) ა. ო.—არა მჩანს.

[7]) ა. ო.—ძღვენი ნახა, ამ ამბვითა სიამ-ყარანს გაეხარნეს, დად.—სიავ-შაამს გაეხარნეს.

[8]) დად.—მერაბისგან.

[9]) 1505 და 428 № №—ზაალზედა.

[10]) დად.—ძლივად მიწა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

1963. მერაბ წიგნი მიუწერა ზაალს გულის ტკივილითა:
„ფალავანო, საწუთრომან ჩუენ აგვავსნა[1]) ტირილითა!
შავი ეტლი გარდაბრუნდა, ერანელთზედ ქილილითა[2]),
და აფრასიაბ ამოსწყვიტა, მარტო მე და შენ ოდენ გვდითა“.

1964. მათ აფრასიაბ მოუკლა, სისხლი დასთხივნა[3]) სადინო,
მოკლეს ნავზარ და თავადნი, თუ ვინმე იყო საჩინო,
ცოცხალნი სარავს დაჭედა, მათი დახსნაა საჭირო,
და გარ მოხვევიან ლაშქარნი, ტახტი ცუდად დგას სატირო[4]).

1965. სწვავენ, ატუშავებენ და ჰკლავენ, ამა წესით არიან,
სისტანს მოვიდა ლაშქარი.—გლოვაც აღარა გვცალიან!—
ჩუენ ასრე ყოფნა არ გვარგებს, ვიტირით,—მათ უხარიან,
და მო, ერთად გამოვარჩიოთ, ჯერ სარავს მრთელნი[5]) არიან.

1966. „წიგნი მიართვი!“—უბრძა მონასა, „ფიცხლავ მიდიოდა!“[6])
რაც იცი, ყველა უამბე, იარე, მიდი, გმირობდა,
ხამის ნუ სდგახარ, წამოდი, საქმე გვქნათ გასაპირობდა.“
და ზაალს ეწყინა უსახოდ, სისხლისა ცრემლი სდიოდა[7]).

1967. თქუა თუ: „უხაროვ სოფელო, მიუნდობელო, უქცეო,
გულმწიფეთა და თავადთა რა ადრე პირსა უქცეო!

---

[1]) დად.—აღგვავსნა, ა. ო.—აგვავსო.

[2]) დად.—ფილილითა, 1505 №—ქილილითა, ა. ო.—შავი ეტლი გამობრუნდა ერანზედა კივილითა.

[3]) დად.—დახსთხია(?), ა. ო.—მათ აფრასიობ მიუკლა, სისხლი დასთხივა სადინო.

[4]) დად.—ცოცხალნი სარავს გაგზავნნა, მათი დაჴსნა არს საჭირო.
და გარ მოსდგომიან ქალაქთა ტახტი ცუდად დგა საჭირო,
ა. ო.—ცოცხალნი სარახსს დაჭედა, მათი დახსნა საჭიროონო(?!),
428 №—ცოცხალი სრასა დაჭედა, მათი დახსნაა საჭირო.

[5]) 1505 და 428 №№—მთელნი.

[6]) დად.—წიგნი უბრძა მონასა,—„ფიცხლავ მიართვი, მიდიოდა.“

[7]) დად.—სისხლის ცრემლითა სტიროდა.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

რად არ გრცხვენიან, მიწაო, მთლით, რად მწვანობ, უქცეო!
და ნავზარის სისხლით მორწყულხარ, ნუ დალური, ნუ დაუქცეო[1]).

1968. დღეის იქით[2]) ლხინთა ნაცულად მოვიკაზმით[3]) ჭირთა რადი[4]),
ტახტად ცხენი, ჭიქად კრმალი[5]), გვირგვინია[6]) მუზარადი,
ვქებნით სისხლი ნავზარისი[7]), ერანელთა დაჭკნა ვარდი,
და ნაცულად მოვჭკლა ავრასიაბ, ქარმან, სიამ, თურქი, მრადი[8]).

1969. მასვე წამს ჯავრიანი სისტანს ქალაქს წამოვიდა,
კარეთ[9]) მყოფთა ვერ შეიტყვეს; ღამით ციხეს შემოვიდა,
მერამ წინად გაეგება, ბრძანებს: „ახლად მზე მოვიდა!“
და ღ´თითა[10]) ჭირი გაადვილდა, ჩვენთა მტერთა დღე მოვიდა.

1970. მშვიდდი ადით ზაბულისტან, ცეცხლნი[11]) სწვენ ნავზარისანი.
ავრასიაბის თვალთა ოვითი შესტყორცნეს[12]) ისარნი,

---

1) დად.-სეულში ეს ხანა ამ სახით არის:
თქვა: „უხანოო სოფელო, მოუნდობელო, უქცეო,
კელ-მწიფეთა და თავადთა, რა ადრე პირსა უქცეო,
რად არ გრცხვენიან, მიწაო, მთლით, რად მწვანობ, უქცეო,
და ნავზარის სისხლით მორწყულხარ, ნუ დალვრი, რად არ უქცეო.

2) ა. ო.—დღეის უკან.

3) დად.—მოვიმზადოთ.

4) რადი, იხ. ლექსიკონი.

5) 1505 და 428 №№—კმალი.

6) დად.—და გვირგვინად.

7) დად.—ვქებნთ სისხლი ნავზარისა, 428 №—ვსძებნთ.

8) დად.—მრუდი.

9) დად.—გარე მყოფთა.

10) ა. ო. და 428 №—მღთითა, 1505 №—მღვთითა.

11) დად.—ცრემლნი, 1505 და 428 №—ცეცხლი.

12) დად.—შესტყორცა ისარი.

სიამ, ხაზარანს და კულბადს, შემასანს—თავი ისარნი[1]),
და სისრულე ნახეს ისრისა, ზაალს აქებდეს ისარნი[2]).

1971. ზაალ ეკაზმის აბჯრითა[3]), მალვით არ განაცხადია,
ნარგისტანისა ცხენსა ზის, ეხურა მუზარადია,
ლაშქართა შიგან ჩაიჭრა, ხაზარანს ვეძებ, თქუა, დია[4]),
და ფრეწდა და ჭკოლდა ლაშქარსა,—კანჯარსა ლომი ხვადია[5]).

1972. ლაშქართა შიგან ზახალი შეიქნა, ატყდა მტვერია,
ხაზარანს ზედა მიუკდა, ვით ქარი, მონაბერია,
მარცხნით კრმალი ჰკრა ზალდასტანს, ბეგთარი[6]) შესაფერია,
და ბანდი[7]) ჩასჭრა და ჩასცვივდა ნაკაზმი დანაფერია.

1973. ქალაქადვე შემობრუნდა, ზაალდასტან მოიძახდა,
ჰკრის, კაფრიწის, ჩამოაგდის, წინა რაცა თურქი დახუდა.
„სხუა ბაბრაბი გამოსცვალდე!“—ციხით მერაბ გარდმოსძახდა.
და დაუჯერა ნაომარმა, წყნარად ცხენით გარდამოხდა.

1974. მოისვენა[8]) და ჩაიცვა ჰაზის ბაბრაბიანი,
აქაო დიომ-გული, სვე-სრული, მერაბ ეკაზმის ჭკვიანი[9]),

---

[1]) დად.—ისარი.

[2]) ამ ჩანას ა. ო.-ში მისდევს შემდეგი ჩანა, რომელიც ჩანართი უნდა იყოს:

შეშინდეს ფიცხლათ სახეთა ზედა დაიფარეს ფარები,
საამის ისარს ესე სჯობს, შუბს უდრის დასადარები,
ზალდასტან სითმე მოვიდა, მეფეთა მოსაკმარები,
და შოიმ შეჰფიცა ხაზარანს: „უცილოდ გავიპარები!“

[3]) დად.—ზაალ შეჰკაზმა აბჯართა(?).

[4]) დად.—ხაზარს ეძებდა, თქვა დია.

[5]) აქაც დად.-ხელში, 1505 და 428 №№—კანჯრისა ლომი ხვადია.

[6]) იხ. ლექს.

[7]) ბანდი, იხ. ლექს.

[8]) ა. ო.—მოიყვანა და ჩაიცვა.

[9]) დად.—ჭკუიანი.

მათნი თავადნი—უშუდანი მეომარნი და ხკიანი[1]),
და რაზმი აწყუეს[2]) და მიმართეს, მიუხდეს[3]) დარაკიანი.

1975. მოვრეწყლთა ლომთა მიმართეს, სპა-ჯარი ახლდა ქუელია[4]),
დაიწყვდეს და ჩაცვივდეს,—კრდმები სისხლის მღვრელია[5]),—
სისხლის ღვარი ადინეს, წითლად შეღებეს ველია,
და ზაალ იძახდა: „ხაზარან, დამალვა რა სახელია?!“[6])

1976. კაფად იძახდა: „გამოდი, ვინ ხარ ომისა მძებნელი!
გულდოვანთ ომი გიჩუენო, მე გაგითენო დღე ბნელი,
ხაზარან მგზავრი ვერ ნახეთ, წავიდეს გზათა მტკეპნელი,
და მერმე იბრძოდა ლომ-გული, მტერთა ლახტითა მფშუნეტე-
[დი!“[7]).

1977. დასტან ნახა რა ხაზარან, დაუძახა: „თურქო, რია!“
მუზარადსა ლახტი დასკრა, ტვინი იმასა გაურია,
ცხენიდამ ჩამოვარდა[8]), თავი სრულად დაუმტვრია,
და თურქთა მოსტყდა ზურგის მძივი[9]), რა იგ ნახეს მომკუდარია.

1978. ზაულისტან-ქუაბულელნი[10]) მოერივნეს ახლად მტერთა[11]),
მათ მომართუეს[12]) აფრასიობს, ფახტევდიან ვითა მტუერთა,

---

[1]) 1506 და 428 №№—ჭკვიანი, ა. ო.—გულ-კლდიანი—ლექსთ-წყობას ღალატობს.

[2]) დად.—ააწყუეს.

[3]) დად.—იბრძოდეს.

[4]) ა. ო., 1506 და 428 №№—ქვეითია—ლექსთ-წყობას ღალატობს

[5]) დად.—მსმელია.

[6]) დად.—იძახდა: „ხაზარან, გამოჩნდი, რა სახელია“.

[7]) დად.—მტერთა ლახვართა მსობელი.

[8]) დად.—ცხენისაგან ჩამოაგდო, ა. ო.—ცხენისაგან ჩამოვარდა.

[9]) დად.—ზურგის ძვალი.

[10]) 428 №—ზაალდასტან-ქუაბულელნი(?).

[11]) ა. ო.—ა. ო. ში მხოლოობითს რიცხვშია ეს ტაეპის დამაბოლოებელი ნათესაობითს ბრუნვაში მყოფი სიტყვები ოთხივე ტაეპის ბოლოში:—მტერსა,—მტვერსა,—ველსა,—კელსა.

[12]) დად.—მომართეს.

მიჰკოცდეს და ჩამოჰყრიდეს, მიდებევდეს წითლად ველთა,
და ზაალ, მერაბ იძახიან, იკმარებენ კარგად კელთა[1]).

1979. ღამას ორ ნაწილამდის მისდევდეს[2]) გალაღებულნი,
მთვარე ჩავიდა, მობრუნდეს მორჭმულნი გამარჯვებულნი,
საჴელით სარგებლიანნი, შავებით[3]) ატავსებულნი,
და გზა-გზა ჰკრეფდიან აბჯარსა, ჰპოიან[4]) გათკრებულნი.

1980. რა მოვიდეს სადგომზედა, ბარგი ჰყრის ხარგაჲსა,
კარვები და ჯორ-აქლემი, ტან-საცმელი სანამესა,
კმა მისვლიყო[5]) ერანელთა, მოვა, ყივის გოსტამესა,
და გამარჯვება მიულოცეს ხარან[6]), ყარან, ქიშვად, ტუსი.

1981. ამაზედა სარაველთა აღზვარდს[7]) წიგნი მიუწერნეს:
„ზაალდასტან ხაზარ მოკლა, საჯადარნი მოამტვერნეს,
დიმი შამას გარდეხვეწნეს[8]), ერანელნი შეიყარნეს,
და ჩვენ მოგვიკლენ, გვემინან, ამ ტყვეთათვის თავნი არნეს.“

1982. აღზვართ შესთვალა: „ვიწყვები მაგ პატიმართა ბრალითა,
ზაალს აცნობეთ, ქვეშ-ქვეშე წიგნითა იდუმალითა,
ზედა მოგვეკლენ ლაშქრითა[9]), ვითა წაგვისხმენ[10]) ძალითა,
და მერმე მოდით და გვაცნობეთ ფერითა დია მკრთალითა!“

---

[1]) დად.—დაკოცეს და ჩამოყარეს, მიდებიდენ წითლად ველთა,
და ჩაალ, მერაბ იძახდიან, იკმარებდენ კარგად კელთა.
[2]) დად.—მიზდევდეს.
[3]) 1505 და 428 №№ მოვედით აცავსებულნი.
[4]) დად.—პოეიან.
[5]) დად.—მისვლიყო, 428 №—მისულიყო (ჟ-ნით).
[6]) დად.—ხარად.
[7]) დად.—ალზვართს.
[8]) დად.—გარდეხვეწა.
[9]) დად.—ზედა მოგვეკლენ ლაშქართა.
[10]) დად.—ვითამ გაგვისხამს ძალითა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

1983. მოეწონა გამორჩევა სარაველთა, აღზვართს აგნეს,
ჩვამიადად შეინახეს, მათ არავის გაუმჟღავნეს[1]),
ერთი კაცი გონიერი ზაალს, წიგნი გაუგზავნეს,
და გამორჩევა დაავედრეს, გაპარული გაათავნეს[2]).

1984. რა გაგზავნილი მივიდა, ზაალდასტანს ეთაყვანა,
თუ სთქუა, განათლდა მთვარულად, მან პირი მოივანა,
შეეკაზმა და წავიდა, თან სპანი წაიტანა,
და ვით მოძულენი, მოუკლეს, მათ სიტყუა გააგონა.

1985. სარაველთა[3]) გამოასხეს მუნ ტყუეები დამიმღული,
პატიმრობით დაჭკნებილნი, მიჯირვებით მკარ-დაკრული;
ნახა ნავზარ, მოეკონა, აუდუღდა ზაალს გული,
და მათ დარჩომა მიულოცა, მოიხსენა მკუდართა სული.

1986. ცხენების შესხდეს, გზა გრძელი წამოვლეს ზაალდასტანისა,
მოვიდეს, მისცეს უფლისა ქუდი, საცმელი ტანისა,
ვისცა ფერობდა, გვირგვინი დასდვა[4]) სავლის ტანისა,
და ერანელთ ვალი დაიდვეს ზაალდასტან პილატანისა[5]).

აქა ერანელთ საკელ-მწიფო კაცს მეძნა დაუწყეს და არჩევდეს.

1987. აქ შეექნა გამორჩევა ერანელთა პატრონისა,
ტუსი თქუეს, და ტუმაზპეც[6]) იყო ნათესავი ფერიდონისა,

---

[1]) 1505 და 428 №№—გაუმჟღავნეს მათ არვინ ეს.

[2]) დად.—და გაპირული დაავედრეს, გამორჩევა გააავნეს.

[3]) დად.—სრაველზედა, ა. ო.—სარახსელთა(?).

[4]) 1505 №—დაადვა, დად.—სარაველთა, ა. ო.—...ტყვეები.

[5]) ამ ხანის შემდეგი სტროფი, რომელიც სხვა ხელ-ნაწერებშია, ა. ო.-ს აკლია.

[6]) 428 №—ტუმბურც, 1505 №—ტუმბულც, დად.—ტუმაზპ.

ოთხმოცისა წლისა იყო, ღ̃თის მოშიში, მქნელი ჭკვისა,
და მოიყვანეს, იგ დალოცეს სახელმწიფოდ ერანისა.

1988. ამაზედა აფრასიაბ აღზვართისთვის გაგულისდა,
ძმასა უთხრა: „ყუელა შენ ჰქენ, სხუას ვაბრალო ესე გასდა?!
არ დამეხსენ,—დამეკოტა თურისა და სალიმისდა[1]),
და მათი სისხლი დამედვარა, შენთვის დანა გულსა მიცდა.

1989. მტერი ოდეს მოვიხედე, დამრჩა, გულარ მამერივა[2]),
შეწირვებით გულის წასვლა ჩემი ლხინად წამერივა[3]),
არ დავკოცე, მას ვინანი, სული მათი დამელივა[4]),
და თერიაყსა[5]) მოსაკლავად აღზვარდის ზარი[6]) გაერივა[7]).

1990. „ვის ასმია უმრავლესი“,—აღზვართ ეგრე უპასუხა:—
„დღეს რომ მოსწყდა ერანელი, მკარ-დაკრულთა[8]) დაჰკოცნულა,
ჯერ ჯეონი ძოწსავე ჰკავს, საწუთროა ეკალ-მუხა,
და ნავზარ დაჭკალ ცხვარივითა, ღ̃თისა უმძიმს აქა, უხა![9])

---

[1]) 428 და 1505 №№—დამეკოცა, თუ რისხვითა გესლი მისდა(?), დად.—არ დამეხსენ დამეკოცა თურისა და სალიმისდა(?); ა. ო.—დამეხოცნეს.

[2]) დად.—მომერივა.

[3]) დად.—წამერია.

[4]) დად.—დამელია.

[5]) თერიაყი (არაბ.-სპ. ترياق)—იხ. ლექსიკ.

[6]) ზარი, იხ. ლექსიკ.

[7]) დად.—გამირივა.

[8]) 1505 და 428 №№—მკარ-დაკრულსა.

[9]) ეს ხანა დად.-სეულს ხელნაწერში ასე იკითხება:
„ვის ასმია უმართლესი“, აღზვართ ეგრე მოახსენა:
დღეს რომ მოსწყდა ერანელნი, მკარ-დაკრულთა დაკოც შენა,
ჯერ ჯეონი ძოწსავე ჰკავს, მიწა სისხლით მოასველა,
და ნავზარ დაჭკალ ცხვარივითა, შენმან სულმან ვით ისენა?!

1991. კბლ-ფურც-დაკრულის თავებს[1]) დასწრიდი, ზროხათა ვითა[2]),
ღ˜თის შიში დაგვიწყებია, ნუ ხარ ცნობითა[3]) ავითა,
მას საუკუნოს ცეცხლითა სრულ დაგწვავს[4]) სადაგავითა,
და რის გაგიკითხოს[5]) უფალმან, პასუხსა გასცემდი ვითა?!"

1992. გაგულისდა აფრასიობ, კბილით კარცი მოაჴჩა[6]),
ვითა ბნელს ჯოჯოხეთს, პირით[7]) კუამლი აღმოაჴჩა,
ჯავრით თუალნი დაუბნელდეს[8]), ბასრი კრმალი ამოაჴჩა[9]),
და წამოხტა[10]) და ძმასა დაჰკრა, თავი ორად გაუჴჩა.

1993. თურანელთაცა ეწყინა, იწამა ერანისათვის *),
ზაალ და მერაბ ჩიოდეს, აღზევრთ მოუკლავს[11]) რისათვის?!
დევის ნაშობმან ძმა მოკლა ჩუენთვის მართლის[12]) თქმისათვის,
და ჩუენ გუმართებს ძებნა სისხლის სანაცვლოდ ნავზარისათვის.

1994. ტუმაზპს[13]) წინა შეიყარნეს ერანელნი, ვინცა დირს,
ქაიანთ-დროშა[14]), ქოს-ნაღარა, პილის აბმენ ყურით სტვირს[15]),

---

[1]) 1505 და 428 №№—თავადთა.
[2]) 1505 და 428 №№—ზროხასავითა, დად.—ძროხა თავითა.
[3]) დად.—საქმითა.
[4]) 1505 და 428 №№—სულ დაგვწვავს.
[5]) დად.—და რა გაგიკითხავს უფალი პასუხსა გასცემ რა ვითა.
[6]) 1505 და 428 №№—მოიხლიჩა.
[7]) კბილით კუამლი ალმოხლიჩა(?).
[8]) დად.—დაუბნელდა.
[9]) 1505 და 428 №№—ბასრი ხმალი ამოხჩა.
[10]) დად.—წამოხლტა, 428 №—წამოხტა... გაუხჩა.
*) ა. თ.—თურანელთაცა მწვეთ იწყინეს, ეწამა ერანისათვის.
[11]) დად.—მოკუდაო, 1505, 428 და ა. თ.—მოუკლავს.
[12]) დად.—ჩუენისა მართლის, ა. თ.—ჩვენისა მართლის.
[13]) 1505 №—ტუმბუზს, 428 №—ტუბუზს, დად.—ტუმაზპს.
[14]) 1505 და 428 №№—ქაინ-დროშა.
[15]) 1505 და 428 №№—ყურო სტვირსა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბარგ-ბარგები წაიტანეს, ფარსის ქალაქს მიდგეს ძირსა,
და ყარაული გაიყენეს, თურქთა უდგა შორის-შორსა.

1995. გვალვიდა და მზისა სიცხე შორსა ქვასა გაუპობდა[1]),
ცვარი წვიმა არ მოვიდა, მოლ-ბალახსა არ ალბობდა,
ნაყოფარ მოკუდა. მასუკანით[2]) მათ შიმშილი დაამკობდა,
და ღვინო ველარ იშოვნიან[3]), პური ძვირობს, უპურობდა.

1996. დიდი სიცხე და შიმშილი[4]) ყველასა მისწორდებოდა,
ხესა ხრწნდიან ცხენები, კბილები გარდასცვივდებოდა,
ცხენისა კორცი ვეცხლითანა[5]) წონად არ იშოვებოდა[6]),
და სალს კლდესა გვანდეს, ექუს თუესა ძვრა ყოლე არ ეტყობოდა[7]).

1997. ჰკადრა ტუმაზმ[8]) მოციქული აფრასიობს[9]) სიტყუა-მძლია:
„უსამართლოდ აგის ქნასა, ჩანს, რაზომი შეუძლია[10]),
ცა გამკმარა, მიწაზედან მოლსა ძირი დალევია[11]),
და შიმშილით მიჭირვებით შენ ლაშქარი დაგდევია[12]).

1998. აწ გავიყარნეთ, სამტერო[13]) კრმალი[14]) ორთავე ჩავაგოთ,
დასწყნარდეს ძველი მტერობა, ფიცით ზავი ავაგოთ.

---

[1]) სიპსა ქუასა გააპობდა, ა. ო.—გავველიდა მზისა სიცხე სიპსა [ქვასა გააპობდა.
[2]) 482 №—მასუკანის.
[3]) დად.—იშოვიან.
[4]) ა. ო.—დიდის სიცხით და შიმშილით ყველასა მისჭირდებოდა.
[5]) 428 და 1505 №№—ვერცხლთანა.
[6]) ა. ო.—ცხენისა კორცი ვერცხლისა წონით აღარც ის იშოებოდა, დად.—წონად არ იშოვებოდა, 1505 №—წინად(?) არ იშოებოდა.
[7]) დად.—ექუს თვემდი ძვრა ყოლე არ ეტყობოდა.
[8]) 1505 და 428 №№—ტუმან, დად.—ტუმაზ, ა. ო.—ტუმბაზ.
[9]) დად. და ა. ო.—აფრასიაბს სიტყვა-მძლეა, 1505 და 428—აფრასიობ.
[10]) დად.—უსამართლოდ ცოდვის ქნასა ჩვენს რაზომი შევძლია.
[11]) დად.—მოლსა ძირი დაელია.
[12]) დად.—დაგდელია.
[13]) დად.—სამტეროდ, ა. ო.—სამტეროდ კმალი.
[14]) 428 და 1505 №№—ხმალი.

გაყოფით გვიჩანს სამზღვარი, თავის-თავისა გავაგოთ[1]),
და დავსჯერდეთ, შვებით დაწყნარდეს, თურა-სალამი დავაქოთ.

1999. ერთი კაცი აღარსაით მოციქული გაუგზავნეს,
საუბარნი გააგონეს ერთმანერთსა, დაუზავნეს[2]),
ქვეყანანი გაასწორნეს, ერთმანერთსა არა ავნეს[3]),
და ერთმანერთსა წიგნი მისცეს, შინასაკენ[4]) თავნი არნეს.

2000. ტუმაზა[5]) კელ-მწიფე ტახტზედან დაჯდა და მოისვენამან,
ღ~თის მოშიში და მოწყალე, მისი ძლევა თქვას ენამან[6]),
მომართულს კარგთა ნავლითა, და მოისვენა გული მან,
და დაწყნარა ყოველი ქვეყანა მაშინ კეთილთა დღენამან.

2001. მაშინ მომართა ყველამან, ვინცა წასული არით,
აშენდა ყოველი ქვეყანა,— ტუმაზა მოწყალე არით.—
ღ~თსა ესვიდა ლოცვითა, გადიდდა სიმდიდრით,
და დასწყნარდა ყოველი ქვეყანა, მგელთანა სძოვდა ცხვარით.

2002. რა აღარსაით მივიდა, ფეშანგ უწერების დიათ:
[2]) დაღ.—და მოახსენა ნიადაგად შენ ხარ ტახტი კელ-მწიფისა(?!).
[3]) დაღ.—გრძლად ცოცხალვარ(?) მტერი თქვენი შიშეული თქვენ-გან არი.
[4]) დაღ.—თქმა დაუწყო გონიერად, მან გაალო სიტყვის კარი.
[5]) 428 №—ჟამი.
[6]) 428 №—თ-ნით.
[7]) დაღ. და ა. ო.—მათაც.
[8]) 428 №—უმრავლესი, დაღ.—უმარავი,—ჩვენ ვასწორებთ.
[9]) ტილისმა, არაბ. طلسم — იხ. ლექსიკ.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

2148. ამას წინათ სირეგუნითა ერანს ტახტი არ წამქდარა,
ქარს ნუ მისცემ საჭურჭლესა, სხუა კელ-მწიფე არსად არა[1]),
თმითა და მამაცობით იხვედრების იგი არა[2]),
და ვინც წასულა მაზანდარას, ბედნიერად არ მამქდარა[3]).

2149. აწ მაზანდარას ნუ წახვალ, არ მოჰკლდეს უარესია!
სათვადარნი გუავს მოხანი,—თქუენნი მორჩილნი ესია,
სისხლშიგან[4]) ხეს ნუ დარგავ, საზრდელად ანადესია,
და ნაყოფად წყევას[5]) მოისხამს, არ კელ-მწიფეთა წესია!"

2150. ბრძანებს მეფე: „არა მეგონის მაზანდარას მე წასვლითა[6]),
მმართებს შენი გაგონება, მონახული მჯობხარ ჭკვითა,
ფრიდონს, ჯიმშედს[7]) მე ვჯობივარ მამაცად და საჭურჭლითა,
და მანუჩარს და ქაიუუბადს[8]) უარე ვარ ნეტარ რითა?

2151. ჩემია ყოვლი ქუეყანა,—ჩემთანა მოაჯენია[9]),
კრმალსა მოვიწუდი, ამოვსწყუეტ, არ დარჩეს კაცთა ძენია[10]),
მაზანდარელნი[11]) დავსცალო, გიწუენო სისხლ-ნადენია[12]),
და კრმლები დავკსნა და დავიჭირა ქალაქსა ხარაჯანია[13]).

---

1) დად.—არად არა.
2) 428 №—იხსენების იგი ვერა.
3) დად.—მომქდარა.
4) დად.—სისხლშიგა.
5) ა. ო.—ნაყოფათ წყევლას.
6) 428 №—უ-ნით.
7) ა. ო.—ჯიმშიტს.
8) ა. ო.—მანუჩარსა და ქეიყუბათს.
9) დად.—ჩემთანა არს მოაჯენი.
10) ა. ო.—კმალსა მოვიწვდი, ამოვსწყვეტ, საცა არს კაცთა ძე-ნია, დად.—კრმალს მოვიწვდი, ავაოკრებ, და ამოსწყდენ კაცთა ძენი, 428 №—კაცის ძენია.
11) დად.—მაზანდარანი, ა. ო.—მაზანდარელი დავსცალო, სისხლ [გიწვენო ნადენია.
12) დად.—გიწვენო სისხლი ნადენი.
13) დად.—კრმლები დავჴსნა და დავქარო ქალაქი, მოხარაჯენი, ა. ო.—ქალაქნი მოხარაჯენია.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

2152. ბედითნი და უტკბინონი იგ არიან ჩემსა[1]) თვალსა.
რაა დევი და გრძნეული[2]), ვინ აკსენებს მათს დამქარსა?!.
მე წავალ, და შენ და როსტომ აქ იყუენით შუა მზღვარსა,
და საწუთროსა დამჭირავნო, შემინახავთ[3]) თქუენ ერანსა".

2153. ზაალს ესმა მეფისაგან საუბარი უმეტრული[4]),
მოახსენა: „ვართ[5]) მონანი, მე გული მაქუს დადადული,
მართლად ბრძანეთ[6]), თუ ტყუილად, მე თავ-ბოლო ვერ ვსცან სრუ-
და შენთვის გვინდა ჩუენ სიცოცხლე, მიწაზედან სიარული. [ლი[7]),

2154. ჭკვა[8]) დავსცადე საუბრითა, მე გონება სრულად მელმის[9]),
თუ სიკუდილი გვამად[10]) ჩავა, კატთა აღარ გაუძლების,
თვალსა ვინმე წამოიგდებს[11]) ნემსით, აღარ ჩაიგდების[12]),
და მამავალს ფათერაკს არსით აღარ წაესულდების[13]).

2155. საწუთრომცა შენსა ზედა ბედნიარად მობრუნდების,
მაგრამ ვაი, თუ სიტყუანი[14]) მოგეგონოს, გული კუდების!..

---

[1]) დად.—ჩუენსა.

[2]) დად.—არ იქნების დევ-გრძნეული, ა. ო.—აპა დევსა, გრძნეულსა.

[3]) დად.—შეინახავთ.

[4]) ა. ო.—უმეტური.

[5]) 428 №—ვარ.

[6]) დად.—მართლა ბრძანე.

[7]) 428 №—ვერ ვსცან მართლა.

[8]) დად.—ჭკუა, ა. ო.—ჭკუა—ლექსთ-წყობას ლალატობს.

[9]) ა. ო. და დად.—მელმის, 428—მელბის.

[10]) დად.—გულად.

[11]) დად.—წამოიყრის, ა. ო.—წამოაგდებს.

[12]) ა. ო. და 428 №—გაიგდების.

[13]) დად.—და მომავალსა ფათერაკსა არსით არა მოევლების.

[14]) დად. და ა. ო.—მაგრამ ვაი თუ ჩემი სიტყვა მოგეგონოს.

შენ ნაქმარი სინანულად, ავ-ცნობობით მოგიკლდების!“
და ვაი, წავდეს ერანელნი[1]), ლხინი ჭირად შეგვეცულდების.

2156. ესალამნეს და გავიდნეს[2]) გულ-წყლულნი დარბაზისაგან,
გვანდეს, რომ იყუნეს[3]) უმზეოდ, უნაწილონი დღისაგან,
ბარმან[4]), გივი და გოდერძი ჩიოდეს პატრონისაგან,
და ტუსი და ზაალ—ორნივე ტირან, იაჯდეს ღ̃თისაგან[5]).

2157. შენ უშველე, მოწყალეო[6]), მოაშორვე მტერთა ვნება,
სად მეშველი აღარა ჰყუეს[7]), ამას უყავ მისი ნება,
ამად[8]) კაცად არ ვახსენებ, არ ისმინა შეგონება,
და მტერთა გული მოაშორე[9]), ამას მიეც ნეტარება[10]).

2158. ქაქაოზ ზაალს უბრძანა: „ძმების მოკლეს ავიდა,
ვერ მოვიშალე მე წასვლა[11])“,—საგონებელს ჩავიდა,—
„ფალავანთათვის გარჯილხარ, გზა მოკლე[12]) გრძელი, ავი და“,
და გამოესალმა თავადთა, სისტანისაკენ წავიდა[13]).

---

[1]) დად.— და ვაი წავდენ ერანელნი, ა. ო.— და ვაიმე წავდეს.

[2]) დად.— გავიდეს.

[3]) დად.— იყუნენ უმზეოდ.

[4]) ა. ო.— ჩარამ.

[5]) ა. ო.— იაჯდეს ღმრთისაგან, 428 №— იაჯდეს ღმრთისავან.

[6]) ა. ო.— მოწყალე ხარ.

[7]) 428 №— ჰყავს, ა. ო.— სად მეშველე აღარ ჰყუანდეს.

[8]) ა. ო.— ამას კაცად არ ვახსენებ, 428 №— ვახსენებთ.

[9]) ხელ-ნაწერები ერთსა და იმავე ფორმას სულ სხვა და სხვა ნაირად სწერენ, როგორც, მაგალ., ამ ხანაში „მოაშორვე“ და „მოაშორე“, ამ შემთხვევაში ჩვენ სავსებით ვიცავთ დედნის ხასიათს, ა. ო.— მოაშორვე.

[10]) 428 № და ა. ო.— „შეამოკლე ნეტარება“ ამ ადგილის აზრს ეწინააღმდეგება.

[11]) 428 №— უ-ნით.

[12]) 428 № და ა. ო.-ში შეცთომით იკითხება „გზა მოკლე“.

[13]) ასეა ა. ო.-ში, 428 №— თავის თავისა მოსალმა(?!), დად.— თვის თვისად მოესალამა, სისტანს, ვით ქარი, წავიდა.

აქა ქექაოზისაგან წასვლა[1]) მაზანდარას, ალება და მორბევა და თურის დევისა და ერანელთა კელთ დაპყრობა*).

2159. ტუსს უბრძანა კელ-მწიფემან, ბარგი მინდორს გაიღეთ რა[2]),
ბნელი ღამე დღედ[3]) მოიქცა, გოდერძიმ თქუა, გატაგდგეთ რა,
ბაბრაბეში კარვებითა ვინ აწონა, სიმძიმეთ რა[4]),
და გაუმართა მაზანდარას, ტახტი მილადს შეავედრა[5]).

2160. მაშინ მილადს სახლი მათი შეავედრა, ერანელნი:
„მტერი სადმე გამოუჩნდეს, შენ შეღებენ წითლად ველნი,
თუ მიგჭირდეს, რისტომ იკმე, ფიცხლავ მოვლენ ზაულელნი[6]),
და იგ არიან ჩუენი ზურგნი[7]), კელ-მწიფის ტახტის მცველნი!“

2161. მეორეს დღეს[8]) გაემართნეს, ქოსსა ჰკრეს და ბუკი ჟუირსა,
მეფე მისა მოკაზმული, გვერცა[9]) ახლავს, ვინცა ღირსა,
გოდერძი და ტუსი ახლავს[10]), უქადებდა ლხინსა დიდსა,
და მათ კარვები აამართნეს ასფერონზის მთისა ძირსა.

---

[1]) 428 №—უ-ნით.

*) ეს სათაური ა. ო.-ს არა აქვს.

[2]) 428 №—გაიღერა.

[3]) 428 №—დღეთ.

[4]) 428 №—სიმძიმე რა, დად. და ა. ო.—სიმძიმეთ რა.

[5]) ა. ო.—და გაეგებნეს სამაზანდროთ, 428 №—და გაემართნეს მაზანდარას, ტახტი მილადს მიაბარა.

[6]) დად.—ფიცხლად იქმე ზაულელი; აწისდა მიხედვით ამ ხანაში დად.-სეული ხელ-ნაწერით ტაეპთა დამაბოლოებელი სიტყვები მხოლოობითს რიცხვშია, ა. ო.-ში ნარყვნილია.

[7]) დად.—ზურგი.

[8]) ა. ო.—მერვეს დღესა.

[9]) დად.—გვერდსა.

[10]) დად —ყუანდა.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

2162. დადგეს აჳსა დევთ ადგილსა, ლომსა გავლად ეშინოდა,
დგას კარვები ბისონისა[1]), დაიფინეს ოქსინო და,
ასრე რომე მიწას პირი ოქროთაგან დაინთქმოდა,
და ბარგისა და კარვისაგან სრულ[2]) საწუთრო შეიძროდა.

2163. ოქროს ტახტი კარვებშიგან[3]), სად ეფინა ოქსინო და,
მაზედ დაჯდა. წინ თავადნი უდგა, არსით ეშინოდა.
სურნელებით სავსე იყო, ჰგავს, მუშკის ქარი ქროდა.
და ღამე ყოველ[4]) გაისვენეს. მუნ მეჯლიში შეიმკოდა.

2164. იაგუნდის თასებითა ლალის ფერსა[5]) ღვინოს სმიდეს,
გაიყარნეს, თავ-თავისად კარვებშიგან წამოვიდეს,
კუდა[6]) სარტყელები დაიმაგრეს, შარიერს წინ მოვიდეს,
და ვით წესია დაშქრობისა, ვაზირობდეს, მას ჩრახვიდეს.

2165. გივს უბრძანა ორ-ათასი მძიმე, კარგი ლახტიანი,
მაზანდარას მოსარბევლად იგ გაგზავნა ფიცხლად ჯარნი,
უბრძანა თუ: „შუელა გოტე, ბერი, ვაჟი, აკნოსანი,
და შიგან დადეგ, წვი და კაფე, მათ დასტეხე რისხვით ცანი[7])!"

2166. გივმან კრმალი[8]) სამესისხლოდ[9]) შეირტყა და წამოვიდა,
ქალ-მწიფისა კარვიდადმან ლაშქარშიგან შემოვიდა[10]),

---

[1]) ბისონი, იხ. ლექსიკონი.
[2]) 428 და 1505 №№—ყველგან სულ, სულა.
[3]) დად.—კარავშიგა.
[4]) დად.—ყოველი.
[5]) 428 №—ფერთა(?).
[6]) ა. ო. და დად.—კულავ.
[7]) 428 და დად.—რისხვა-ცანი.
[8]) დად.—ხან კრმალი, ხანაც კმალი.
[9]) დად. და 428 №—სამესისხლო.
[10]) დად.—კარვიდამე ლაშქარშიგა შემოვიდა, 428 № —კარიდალ-მა(?) ლაშქარშიგან შემოვიდა.

დაარჩივა, ვინცა უნდა, ბრძანა: „მტერთა დღე მოვიდა!“[1])
და გვერც იახლა ფალავნები[2]), ვითა ქარი წამოვიდა.

2167. მოვიდეს და მაზანდარას გრძელი, ლახტი მათ უწვიმეს[3]),
დედათა და ბერ-ყმაწვილთა დაჰკოტდიან[4]), თავსა სჭრიდეს,
ზენაარი არ გაუდეს[5]), აოხრებდეს ქალაქს, სწვიდეს,
და სამსახლსა ურევდიან, თერიაყსა[6]) დასთესვიდეს.

2168. თქუეს: „ქალაქი სამოთხესა ჰგავს ყოვლის სიტურფითა*),
მხევალნია ქუდიანნი და დედანი ხალისითა[7]),
შემკობილნი პირ-ნათელნი[8]) შვენოდიან, მთვარე ვითა,
და ყუელა იყო მოპანტული[9]) თვალ-მარგალიტ-გუარითა.

2169. უთვალავნი საჭურჭლენი[10]),—ტაიჭები ხშირად ების,
აბჯარი და საფენელი—სტავრა ხშირად იშოების[11]),
ოქრო-ვერცხლი უამრავი, ვისცა უნდა, იპოების[12]),
და ჯორ-აქლემი უსაზომო—ანგარიშსა ვინ მიხუდების?!

---

[1]) დად.—დაარჩია, ვინცა უნდა, თქუა თუ: „მტერთა დღე მოვიდა“.
[2]) დად.—გვერდს იახლა ფალავანი, ა. ო.—გვერც იახლნენ ფალავანნი.
[3]) დად.—მაზანდარას კრმალ-ლახტები მათ აწვიმეს, 428 №—ჰმალი, ლახტი მუნ უწვიმეს.
[4]) 428 №—დაჰკოცდიან.
[5]) დად.—მათ ზენარი არ იყურეს, ა. ო.—ზენაარი არ გაუღეს.
[6]) ა. ო.—თარიაყსა.
*) ა. ო.—თქვეს: ქალაქი სამოთხეს გავს ყვავილით და სიტურფითა.
[7]) დად.—ქუდიანი მკევლებია და დედანი ხალასითა, ა. ო.—მხევლნია.
[8]) ა. ო., 428 და 1505 №—პირ-ნათელნი, დად.—პირ-მთვარენი.
[9]) ა. ო.—ულვალავნი საჭურჭლენი, 428—უმრავლესი საჭურჭლენი.
[10]) ყველა ხელ-ნაწერში მოპანტული, ა. ო.—და ყველა იყო მოღრიბული თვალ-მარგალიტ გვარივითა(?).
[11]) დად.—იშოვების.
[12]) დად.—ოქრო-ვერცხლი უმარავლი(?), ვისცა უნდა იპოვების, 428 №—ოქრო-ვერცხლი უამრავი ვისცა უნდა, იშოების, ა. ო.—ხშირად ება,... ...სტრავრა ხშირად იშოება..., ...იპოება. ...ანგარიშსა ვინ მიხვდება.

2170. მათ მოციქული ქექაოზს, ამბავი ქალაქისათ[1]):
— „დავიჭირეთ და ჴელთა გვაქუს, მსგავსია სამოთხისათ[2]),
კაცით სავსეა, ჰირები აბია ნახატისათ[3]),
და ბანოვანებსა ჰირს ბურავს,—ტანი აქუს ალვა-ხისათ[4])!“

2171. ჴელ-მწიფესა ნამეტნავად გაუკვირდა, რა ეს ესმა[5]);
სიტურფე და მოწონება უეტხოვა, სიტყუა ესხვა[6]),
გაუზახა კულა ლაშქარი[7]), სათარეშოდ ზედ დაესხა,
და მაზანდარელს ჴელ-მწიფესა[8]) ჯავრისაგან ბრუ დაესხა.

2172[9]) მაზანდარას შეჭირვებით იყო, თავი ჩამოეგდო,
ერთი დევი გვერც იახლა, მას სახელად არჯანგ ერქო,
ამ ამბავის ცნობისათვის გული ჯავრით მასც აევსო,
და თქუა: „ვაცნობოთ თეთრსა დევსა, გულსა ბუთი ჩუენ ჩავგდევზო!

---

1) ა. ო.—ანბავი ქალაქისანი.

2) 428 №—მგზავსია სამოთხისათ, ა. ო.—დავიჭირეთ და ჴელთა გვყავს, მზგავსია სამოთხისანი.

3) ა. ო.—ნახატისანი.

4) 428 №—და ბანოანებსა თავს ბურავს, ტანი აქუს კვიპროზისათ, ა. ო.—ბანუანებსა თავს ბურავს, ტანი აქვს კიპროზისანი.

5) ა. ო., 1505 და 428 №№—ნამეტნავად გაუკვირდა ჴელ-მწიფე-სა რა ეს ნახა, დად.—ჴელ-მწიფესა ნამეტნავად გაუკვირდა რა ეს ესმა.

6) ა. ო.—ესსხა(?).

7) დად.—ნაუზახა კვლავ ლაშქარი, 428 №—გაუძახა კულა ლაშ-ქარი, ა. ო.—გაუძახა კვლავ ლაშქარნი, სათარეშოთ ზედ დაესხა.

8) ა. ო.—მაზანდარის ჴემწიფესა.

9) ეს 2172 ხანა 428-სა და 1505 №№ ხელ-ნაწერებში ამ სახით არის:
მაზანდარელთ, შეჭირვებით იყუნეს, თავი ჩამოაგდეს,
ერთი დევი გვერც იახლა, მას სახელად არჯანგ ერქუნეს,
ამ ამბვისა ცნობისათვის გული ჯავრით მათ აევსნეს,
და თქუეს: ვაცნობოთ თეთრსა დევსა, ფიცხლავ მოვა აქანა ეს.
ა. ო.—მაზანდარელს(?!) შეჭირვებით იყუნეს, თავნი ჩამოეგდო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

2173. —„ყუელა უსნბე, აწ წადი, ვით ვეფხი გაფიცხებული!
ქაქაოზ შეფე მოგვიკლა[1]), ურანით სხელ-დებული,
თუ არ მიმშველი, ვერას ვიქ, საწუთრო-გამშავებული[2]),
და ცოცხალი ვერვინ მორჩება, წაგვიგა გამარჯვებული[3])“!

2174. თუთარს დევთან ესე ამბავი საინჯა[4]) მიიღო რბენითა:
თქუა: „მოგახსენო ყუელსა[5]), რაცა გუჭირს მტერთა ძლევითა!
მაზანდარელმან სისწრაფე თქუენი მიბრძანა[6]) მე ვითა,
და თუ აწ ცოცხალნი მოგვირჩენ, კულა სრულა დავიქცევითა[7])!“

2175. რა ეს ესმა თუთარა დევსა, ჯავრმან ტვინი გაურეტა[8]),
„თუ მოვიდე, გაუჭირდეს მათ ცოცხალთა მზისა ჭვრეტა[9])!“
თქუა: „ჟამთაგან აროსა გამს[10]) იმედისა გარდაწყუეტა,
და მე დავლეწო ძვალნი მათნი[11]) და დაუწყო ძარღვთა წყვეტა!“

2176. მასვე წამსა შეიყარა, წამოვიდა მათკენ გზასა[12]),
ბნელსა ღამეს ზედ დაესხა, ამით გუანდა კუპრის ზღვასა[13]),
დაკოცეს და შეიპყრობდეს შეგრძნებულთა[14]), ვითა ბრმასა,
და საწუთროსა ვერ ხედვიდეს, იქს იმათთვის დამალვასა.

---

1) დად.—მოვიდა.
2) დად.—საწუთო-გამშავებული.
3) დად.—და ცოცხალი არვინ მორჩების, წაგვიბდა გამარჯვებული.
4) 428 №—საანჯა(?!).
5) დად.—ყოველი.
6) დად.—გვიბრძანა(?!).
7) დად.—კულავ უფრო დაეიძლევითა.
8) დად.—ჯავრმან გული გაურეტა.
9) დად.—ჭვრეტა.
10) 428 №—აროსა ჩანს იმედისა გარდაწყუეტა.
11) დად.—და მე დავლეწო ძვალნი მათნი, 428 №—და მე დავნა-
[ყო ძვალი მათი.
12) დად.—მათკე გზასა.
13) 428 №—კუპრის გზასა(?),, დად.—მათთვის გვანდა კუპრის
[ზღვასა.
14) დად.—შეგრძნებულსა.

2177. გლახ ქაქაოზ კელ-მწიფესა ორნივ თუალნი დასდგომოდეს.
ერანელთა[1]) თავადებსა დაბრმობილსა შეიპყრობდეს.
ვერას ხედვენ, სიცოცხლესა მათსა ოდენ ვერა სცნობდეს,
და „ვა! იმედი სიცოცხლისა გარდაგვიწყდა“, მას უბნობდეს[2]).

2178. ქაქაოზ თავსა აბრალა სარეგუნით მისი ნაქმარი[3]),
თქუა: „ვაჰმე თავი მოვიკალ[4]) და ამოვსწყუიტე ლაშქარი,
ალარას მარგებს, ვინანო, ზაალს შევსთვალოთ ზენარი[5]),
და ეტლი მამქცა უკუღმა—ზუალ-მარიხი მაშ არი[6])!

2179. საფადარის საშინელი რა ეს საქმე დაემართა,
თქუა: „მიჯობდა ვაზირობა საჭურჭლეთა თუალ-გუართა!“[7])
დარჩა ბნელსა, ვერას ხედვენ, მინატრიდენ[8]) იგი მკუდართა,
და იტყოდის: „რად არ დავიჯერე, ზაალდასტან რაცა მწვართა[9])!?“

2180. ერთი კუირა გამოვიდა, თეთრმან დევმან მერვეს დღესა,
ვითა ცამან დაიქუხნა[10]), კუბნების კელ-მწიფესა:

---

[1]) დად.—ერანელსა თავადებსა.

[2]) დად.—მას იტყოდეს.

[3]) 428 №—აქმარი(?!).

[4]) 428 №—თქუა: „ვაი თავი მოვიკალ...

[5]) დად.—ზაალს შევსთვალოთ მას რანი(?), ა. ო.—მასარი.

[6]) 428 №—და ეტლი მამქცა უკუღმა, ზუალ, მარიხი, მაშ არი, დად.—და ეტლი მამქცა უკუღმა, ზაულ, მარიხი, მაშ არი: შესაძლებელია ყველა ვარიანტი წარყვნილი იყოს და „მაშ არი“-ს ნაცვლად უნდა იყოს: „მუშთარი“.

[7]) დად.—თვალ-გოვართა, ა. ო.—თვალ-გოართა.

[8]) 428 №—მინატრიდეს იგი მკუდართა, დად.—მინატრიდენ იგი მკუდართა.

[9]) 428 და 2505 №№—რაცა ზაალ მე დამწვართა, ა. ო.—რად არ დაუჯერე... მამწვართა.

[10]) 428 №—დაიყუირა, ა. ო.—დაიქუხნა, დად.—დაიყუირნა.

„მაღალთა და უსმენელთა[1]), ვაი შენსა სირცხვენსა!
და არ დასჯერდი ტახტსა შენსა, აწ ვერ ხედავ სინათლესა[2]).

2181. მიდით ძალის მანდობითა არ გალახოს ჭია მუნა[3]),
არ დასჯერდი ტახტ-გვირგვინსა შენ, ჭკუამა მოგატყუნა,
შესაფერი საქმე შენი ეტლმან მართლად მოგიბრუნა[4]),
და აგისრულდა გულის ნება, ჭკუა-შეცუდილს რაცა უნა[5])!"

აქა თეთრმა დევმა ერანელთა ზედა*) მყვლელნი დააყენა**).

2182. დევი თარმეტი ათასი მას დააყენა აჯითა[6]),
უბრძანა: „კარგად უფრთხილდით, იყუენით თქუენ დარაჯითა[7]),
მარიარნი და თავადნი—ყუელა დაჰკარით ჯაჭვითა[8]),
და ქატოსა პური აჭამეთ, იცოცხლონ ამა სარჯელითა[9])!"

2183. ტყავ-გვირგვინი[10]), კელ-მწიფისა ტახტი დევსა მოუტანეს[11]),
ერანელთა საჭურჭლენი მაზანდარელთ გაუგზავნეს[12]),

---

1) 428 №—უსმინელთა.

2) ა. თ.—აწ ვერა ხვდე სინათლესა.

3) დად.—არ გალახოს ჭია უნა, 428 №—არ გალახოს ჭია მუნა, ა. თ.—არ გალახა ჭია მუნა.

4) 428 №—ეტლმან მართლად მოგიბერნა, დად.—ეტლმან მართლა მოგიბრუნა.

5) ა. თ.—აგისრულა გულის ნება, გონება მცდარს რაცა უნა.

*) დად.—ერანელთზედ.

**) ა. თ.-ს ეს სათაური არა აქვს.

6) დად.—მათ დააყენა აჯათა.

7) ა. თ.—თქვენცა იყვენით დარჯითა, დად—დარაჯათა.

8) დად.—მარიელი და თავადნი—ყუელა დაჰკარით ჯაჭვითა.
ა. თ.—მარიარნი..., 428 №—მარიერნი და თავადნი—ყუელა [მეჰკარით ჯაჭვითა.

9) დად.—ამ სარჯელითა.

10) დად.—ტყავ-გვრგვნი.

11) დად.—მიათვალეს.

12) დად.—მიუტანეს.

ერთი კაცი დიდებული ამასთანა[1]) წაატანეს[2]);
და არჯანგ ერქუა უხუცესსა, იმასზედა[3]) მიათვალნეს.

2184. შეუთვალა: „ნუ მიზეზობ, კელთა გუუანან[4]) დაჰყრობილნი,
ერანელნი თავადები—ქექაოზ და სპანი სრულნი,
ღამე მთვარეს ვერა ნახვენ, დილას—მზესა, დაბრმობილნი,
და სრულად მისთვის არ დავკოცენ, ამოვართვა რჯითა სულნი[5])!“

2185. საუბარი გაათავა. რა ეს არჯანგ ყურად იღო,
წამოვიდა მოციქული, უამრავი[6]) წამოიღო,
ჯორ-აქლემსა დატვირთულთა არკარიში ძლივ აიღო,
და თვალ-მარგალიტ-საჭურჭლითა და ჯოგითა სავსე იყო[7]).

2186. მათ ერთი კაცი თავადი მორჩა სწუთრო-ნახული,
დევთა[8]) გრძნებამან ვერ აგნო, მართ იყო გამოზრახული[9]),
არ დასდგომოდა[10]) თვალები, იყო ჰირვეულად სახული,
და მას სადმე მიხუდა[11]) კელ-მწიფე—გულ-წყლული, ღვიძლ-
დადაღული[12]).

---

1) ა. ო. და 428 №—ამას თანა, დად.—იმათ თანა.

2) დად.—იმათ თანა წაიტანეს, ა. ო. და 428 №—ამას თანა წა-
[ატანეს.

3) დად.—არჯან ერქო უხუცესსა, მისცეს კელთა.

4) 428 №—გუყუანან, დად.—მკუანან, ა. ო.—გჳვანან.

5) სარჯლით სული.

6) დად.—უმარავი. ეს სიტყვა ყოველთვის დამახინჯებულია დად.-სეულს ხელ-ნაწერში, რაც ამტკიცებს გადამწერლის უვიცობას, ა. ო.—უმრაელესი.

7) ა. ო.—თვალ-მარგალიტ-საჭურჭლითა, აბჯარ-ჯოგით სავსე იყო.

8) 428 №—თევთა(?!).

9) ა. ო. და 428 №—მართ იყო გამოძრახული, დად.—გავს იყო გამოზრახული.

10) დად.—დაზდგომოდა.

11) დად.—სითმე მიხვდა.

12) ა. ო.—...კემწიფე გულ-წყლული, ღვიძლ-დაღული—ზომას ღალატობს.

2187. იგ გაგზავნა მოციქულად ზალდასტან და როსტომს წინა:
„საქმე ჩემი უკუღმართად ეტლმან, ავად, მოაკლდინა[1]),
ვერ გისმინე შეგონება, სირეგვნემან მამაცდინა[2]),
და გულდა მართლა დამემართა, ჩემსა ჭკუას[3]) რაცა უნა.

2188. ტახტ-გვირგვინი უპატრონოდ მტვერთა[4]) შიგან გაერია,
გულ-წყლულსა და საბრალოსა ცეცხლი დამწვავს, გაენია,
დევთა ვყავარ[5]) დაპყრობილი, დამიბნელდა ერია,
და ტკბილი სული გამეყრების გვამისაგან, დამელია!

2189. მამეგონების შენი წვრთნა[6]), ვისუნთქებ[7]) ცეცხლ-მოდებული,
არ მოვისმინე ნათქვამი, ვიყავ ჭკუა-გაცუდებული[8]),
მისად სამუქფოდ[9]) აქა ვსტირ, საწუთრო-გამწარებული,
და დავჰკარგე[10]) ჩემი საჭურჭლე, დამქარი სახელ-დებული!

2190. ვით ყვავილი ზაფხულისა, იეთ გულდა შემკობილი,
ბედმან ჩემმან დევთა მიმცა, მიმათვალა შეპყრობილი,
ანაზდ მეცა შავი ქარი, დამსვა ასრე დამკობილი,
და ერანელნი წავაკლდინე ჩემის ჭკუით ერთობილი[11]).

2191. მოციქული ვერ გიამბობს ჭირთა ჩემთა ნაათალსა[12]):
სარგებელი ზიანად მაქვს დაუჭირდად[13]) მე წამკლავსა,

---

[1]) დად.—საქმე ჩემი უკუღმართი ეტლმან ავად მომიკლდინა.
[2]) დად.—ვერ ვისმინე შეგონება, სირეგვნემა მომაცდინა.
[3]) დად.—ჭკუასა.
[4]) დად.—მიწაშიგა.
[5]) 428 №—ვჰყავარ.
[6]) 428 №—წრთუნა.
[7]) დად.—ვისულთქებ.
[8]) დად.—ჭკუა-გაცუდებული.
[9]) 428 №—სანუქფოთ, ა. ო.—მისად სამუქფოდ აქ ვსტირი.
[10]) დად.—დავკარგე.
[11]) დად.—ჩემის ჭკუითა, 428 №—ჩემით ჭკუით.
[12]) დად.—ნასალამსა, ა. ო.—ჭირთა ჩემთა დანათვალსა.
[13]) ა. ო.—და უჭიროთ, დად.—დაუჭირო.

ჩემი დაჴსნა[1]) ძნელი არის, არ შეირტყამთ თქუენ თუ კრმალს[2]),
და თვარ სიკუდილი დამიძვირდა, შეგრძნებითა მე დამზრმალის!“

2192. რა გაგზავნილი ზალდასტან ნახა, დაჰქრა გულია,
შუჟლა უანბო ტირილით—ნახული-მონახულია,
უღონოდ ჯნახე კელ-მწიფე, გვირგვინი გალახულია,
და თვალნი აევსნეს ცრემლითა ზაალს, უდუღდა გულია[3]).

2193. საყულონი გარდიხივნა[4]), გული სისხლით აევსების,
გული ჰქონდის შეჭირვებით, სადაგავად, ჯაჭვით ების[5]),
არვის უთხრა კორციელსა, არცა ვისგან[6]) იაზრების,
და ნათლის გულით[7]) იგონებდის, თუ ჟამითაგან რა მოკლდების[8]).

2194. მერმე უკმო[9]) შვილსა როსტომს—მეომარს[10]), მტერთა მძლესა:
„ნიანგთა და ლეკვი მებრძოლად მოაბადთა ოდეს გოქუეს,
ერანელნი დიდებულნი მოელოდნეს[11]) ამა დღესა,
და „შვილო, იცი,—დაუმართა ქტლისგან კელ-მწიფესა?!“

2195. თვით კელ-მწიფე და თავადნი მრავალგან სახელ-დებულნი,
შეურცხვენელნი, ჟამ ყოელ[12]) მტერზედან[13]) გამარჯვებულნი,

---

1) 428 №—ყველგან ხ-ნით.

2) დად.—არ შეიბამ თუ შენ კრმალსა, 428 № და ა. ო.—არ შეირტყამთ თქუენ თუ კმალსა.

3) 428 №—და თვალი აავსო ცრემლითა, ზაალს უდუღდა გულია, ა. ო.—თვალნი აივსნეს ცრემლითა, ზაალს უდუღდა გულია.

4) 428 №—გარდიხივა.

5) დად.—გული ჰქონდა სადაგავად შეჭირვებით ჯაჭვით ების.

6) 428 №—ვიზგან.

7) 428 №—მოჰკლდების.

8) დად.—ნათლით გულით.

9) დად.—უთხრა, ა. ო.—იხმო შვილი როსტომ(?).

10) დად.—მეომართა მტერთა მძლესა

11) 428 №—მოელოდენ.

12) დად.—ჟამ-ყოველ, 428—ჟამ-ყოელე(?).

13) დად.—მტერზედა.

დევთა უბიან ერთობით[1]), ტირიან ვაგლახებულნი,
და გრძნეულთა კლდეთა არიან[2]) დამბრმალნი, დატყვევებულნი.

2196. სხვასა საწუთროს შვენებრსა არ ელის დაბადებულსა!
არ საქნელია, რომ მისცე შენ თავი მოსვენებასა,
ტახტი, გვირგვინი, მეფობა აჭირების განქარვებასა,
და ვეშპის ჰარითა კბენილი შენ ბელის[3]) განკურნებასა.

2197. გმართებს, რაში შეიკაზმო[4]), შენ გაიჭრე მისთვის ველად[5]),
კრძალითა მათი ნატყვალი ჰქნა[6]) და გამოსჩნდე სისხლის მღვრელად[7]),
საწუთროს შემოქმედმან შენ დაგბადა მათთვის მჴსნელად,
და ულხინოთა უშველე რა, იყო კლდის ამშერიბელად.

2198. ბაბრაში ტანის ჩაიცვა,—უძიროდ ხენი ირხევის,
შენის შუბისა წვერითა მაღლა დრუბელი იხევის,
მეომრის თვალი თუ გნახავს, შიშითა სრულ[8]) დაიდევის,
და მთა დამდაბლდებისა[9]) მაღალი, ზღვა სისხლად გარდაიქცევის.

2199. შენ მოკეკლეს თეთრი დევი, არჯანგის სისხლს დურიდე[10]),
მაზანდარელს კელ-მწიფესა ცოცხალსავე ძარღუს სწუდიდე[11])".
როსტომ მამას მოახსენა: „მორჩილი ვარ, გზასა ვლიდე[12]),
და გზა არ ვიცი, საომრად მარტო მათთვის სით წავიდე?!"

---

1) 428 №—უბია.
2) დად.—აბიან.
3) 428 №—გულის.
4) 428 №—შეიკმაზო.
5) დად.—და გაიჭრე მათთვის შველად.
6) დად.—ქნა.
7) დად.—სისხლთა მზღველად, 428 №—სისხლის მღურელად.
8) 428 №—სულ.
9) 428 №—და მთა დაირღვევის მაღალი.
10) დად.—ღვრიდე.
11) დად.—ცოცხალსავე ძარღვსა სწვდიდე.
12) ახალი მართლ-წერით უნდა იყოს: „ვვლიდე".

2200. ზაალ უთხრა: „შველა[1]) მათი ნამეტნავად მესწრაფების!
კელ-მწიფის სამსახურად თავსა სწყალობ,—არ იქნების,
გზა გრძელი მარტოსათჳს, ჩემი გული მისთჳს კვდების,
და თუ არ მიხვალ ილათითა, ცხადად მისვლა[2]) არ იქნების![3])

2201. დევნი გრძნეულნი გიგრძნებენ[4]), ვის მტერნი ვერ მოგრეწებიან[5]);
ფაოფრაკის ბადეთა ცნობანი შეგეშლებიან,
თრი გზა არის საშჳრო: ერთს ზღვან მცველნი დგებიან,
და წინ დახუდებიან მებრძოლთა, მართ ცეცხლად მოედებიან[6]);

2202. ერთი გზა არის უმოკლე, თორმეტის დღისა სავალი,
სიბნელით თვალი გატყდების, არის გრძნეული მრავალი,
ლომთა და დევთა სადგური, არის მაცდურთა სავალი[7]),
და მოკლე გზა გამოირჩივე[8]), იყავ ქართულად[9]) მავალი.

2203. დამბადებლის ძალითა საქმე გქონ საკვირველია[10]),
ბედნიერის ბაჟითა[11]) გავლე, გაზომე ბნელია,
დამე მოგექცეს სინათლედ[12]), გერ დღეცვით ცრემლთა მღვრელია,
და ნუ თუ ვნახო ჯერი შენი მშვიდობით სასურველია?![13])

---

1) ა. ო.—შვილო.
2) 428 №—ყ-ნით.
3) ა. ო.—თუ არ მიხვალ ილეთითა, ცხადათ აროდეს იქნების.
4) ა. ო.—გიგრძნებენ, სხვები—გიგრძნობენ, მათ მტერნი ვერ მო-
5) 428 №—მორჩებიან. [რჩებიან.
6) დად.—და წინ დავხვდებიან მებრძოლნი, მართ ცეცხლებრ მო-
ვედებიან, ა. ო.—წინ დავხვდებიან მებრძოლნი, ვით ცეცხლი მოედებიან,
428 №—წინ დახუდებიან მებრძოლთა, მართ ცეცხლად მოედებიან.
7) დად.—ლომთა და დევთა სავალი, არის მაცთური საალი,
8) დად.—გამოირჩიე. [ა. ო.—სავალი, 428 №—სრავალი.
9) 428 №—ქართულად.
10) 428 №—საკვირველია.
11) დად.—ბედნიერითა აბჯრითა.
12) ა. ო.—სინათლით. [სურველია.
13) დად.—და ნუ თუ კვლავ გნახო მშვიდობით შენ, ჩემთვის სა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

2204. ტანი-ხილთ, თავი-გმირი, მკლავი შენი მტერთა[1]) მძლევა,
თუ სიკუდილი საწუთროსა შენი დევთა[2]) ბაზგია,
განგებასა ვერვინ მესცვლის[3]), მას ყოველი[4]) შეუძლია,
და ყოვლსა კაცსა გარდაჰკვდების, რაც ღ~თისაგან[5]) წერილია.

2205. საწუთროშიგან ნახული[6]) ხანგრძლად არავინ დარჩების,
მოკუდების, მისთა ნაქმართა ბოლოდ სახელი წაჰყუების[7]),
არ უნდა კაცსა სიკუდილი, რა სოფლად დაიარების,
და აგი მიუხსნის სირცხვილად, კარგი ყოველი დარჩების[8]).

2206. როსტომ სიტყუა ზაალდასტანს შეუქცია[9]), რაცა უნა,
თავის ნებით ქრისტიანსა არ ჯოჯოხეთს წასვლა[10]) უნა,
თუ სიცოცხლით გამაძღარა, დგას კანჯარი ლომსა წინა[11]),
და მე სარტყელი შამამირტყამს[12]), ღ~თის ძალით წავალ მუნა.

2207. ღ~თისგან[13]) კიდე არვინ მინდა მეშველად და ჩემად მწედა,
მას ტილისმით ვერა არგოს, მოვკლა თეთრი დევი მე და[14]),

---

1) ა. ო. და დად.—მტერთა ძლევა, 428 №—მეტად.
2) ა. ო. და 428 №—დევთა, დად.—დევთგან.
3) დად.—ვ-ნით.
4) 428 №—ყუელაი.
5) 428 №—მღთისაგან, ა. ო.—მღ~თისა.
6) ა. ო. და 428 №—საწუთროშიგან ნახული, დად.—საწუთრო-შიგა მორჭმული.
7) ა. ო.—ბოლოდ სახელი წავლების, 428 №—ბოლოს.
8) დად.—შერჩების; ა. ო.—კარგი სახელი დარჩების.
9) დად.—შეაქცია.
10) 428 №—ყველგან უ-ნით.
11) ა. ო.—ლომთა წინა, დად.—ლომსა უნა(?).
12) დად.—შემომირტყამს.
13) ა. ო. და 428 №—ყველგან მღ~თის, მღ~თისგან.
14) დად.—მას ტილისმან ვერა არგოს, თეთრი დევი მოვკლა მე და, ა. ო.—მას ტილისმით მოვკლა თეთრი დევი მე და.

არცა არჯანგ დავარჩინო,—საინჯ[1]) დუდად, დუნდი, ბედა,
და ვინც ცოცხალან, ერანელნი წამოვასხა აქავედა[2])!"

აქა წასვლა როსტომისა მაზანდარას თეთრის დევის მოკულა, ქექაოზ ჴელ-მწიფისა და ერანელთა თავადთა გამოკსნა*).

2208. „რამ[3]) დაბადა ზღვა და ჴმელი, ჩემად შემწედ ამას ვხადო,
ჩემსა რაშსა მოსასვენოდ უნაგირი[4]) არ მოვკადო.
—არჯანგს ჴელი არ შევუკრა, ზურგსა ტყავი არ ავკადო,
და დუდად რაშით არ გავლაკო[5])?—ძვალთათ[6]) ტვინი გამოვკადო!"

2209. შეჯდა როსტომ და წავიდა, ტანსა ბაბრაბი ჩაიცო[7]),
დევთა-გრძნეულთა საომრად მივა და ლოცვა დაიწყო,
შეჯდა, ზალდასტან თან გაჰყვა, ტირს, გული მისი დაიწყო,
და სავედრებელნი სიტყუანი უთხრა[8]), უფალმან დაიცო.

2210. გარდამოკდეს წყლისა პირსა, ერთმანერთსა ეხვეოდეს[9]),
დასტან ტირის[10]) შვილისათჳს, თვალთა ცრემლი მოსდიოდეს,
ქსადამნეს დიდებულნი, ნახვას აღარ მოელოდეს,
და „თვალ-ერთხილსა და გულ-ნათელსა[11])", თქვეს თუ, „დღენი
დაუმოკლდეს!"

---

[1]) დად.—საინჯ, 428 და ა. ო.—სინჯა.
[2]) დად.—აქა მე და.
*) ა. ო.-ს ეს სათაური არა აქვს.
[3]) 428 №—რა დაბადა, ა. ო.—ვინ დაბადა, დად.—რამ.
[4]) დად.—უნაგირი მოსასვენად.
[5]) 428 №—ხ-ნით.
[6]) ა. ო.—ძვალთა.
[7]) ა. ო. და 428 №—ჩაიცვა.
[8]) დად.—ბრძანა.
[9]) ა. ო.—ეხვეოდენ.
[10]) ა. ო.—ზაალ ტირის.
[11]) დად.—გონიერსა.

2211. როსტომ ზაალს ესალამნა[1]), გაემართა გზასა გრძელსა,
ორი ეჯი ერთად უხნდის, იარების ღამე ბნელსა,
რაშსა მჯდომი გაუწყვეტლად, ღამე ყოელ[2]), დღე-ნათელსა,
და მოუმშია, მინდორს მიხუდა[3]) უწყლოსა და მეტად[4]) გრძელსა.

2212. შეხედნა[5]) და სავსე იყო მუნ კანჯრითა ერთი ველი.
როსტომ რაში გააფიცხა, მას შესტყორცა[6]) საგდებელი,
წასვლის[7]) ღონე არა ჰქონდა, დაიჭირა ფიცხლად მრთელი[8]),
და გარდაკლა და ცეცხლისათვის ისრის პირსა მიჰყო ჴელი.

2213. გარდაკლა, ისრის პირითა[9]) მუნ ცეცხლი დააგუგუს მან,
კაჭაჭი[10]) რამე შეჰყარა, ვერსად იშოვა შეშა მან,
რაშსა წაჰყვარა ლაგამი, შეწვა, შეჭამა ეს მან,
და შიშისა კარსა მშვიდობით ხედვიდა[11]), დაიძინა მან.

2214. დღეში ერთი მას ნალსა პატრონობდის[12]), იყვის მოდა[13]),
პილო ერთსა ნალსაცა ვერ მოსწყვეტდის[14]), ეშინოდა,

---

1) დაღ.—ესალამა.
2) დაღ.—ყოლე(?), 428 №—ყუელა.
3) დაღ.—დია გრძელსა.
4) ა. ო.—მიჰხედა.
5) დაღ. და 428 №—შეხედა.
6) დაღ.—შემოსტყორცა.
7) დაღ.—წავლის ღონე, 428 №—წასვლის ღონე.
8) ა. ო. და 428 №—მთელი, ა. ო.—ფიცხლად.
9) 428 №—გარდაპლა და ისრის პირით.
10) 428 №—კაჭაჭის რამე შეყარა, ა. ო.—კაჭაჭო რამე შეჰყარა, ვერსად იშოა შეშა მან.
11) 1505 და 428 №№—მშვიდობით ხედავდა, დაიძინა მან, ა. ო.—ხედვიდა, დაიძინა მან, დაღ.—დაწვა და დაიძინა მან.
12) დაღ.—პატრონობდა.
13) ყველა ხელ-ნაწერები—იყვის მოდა.
14) 428 და 1505 №№—მოსწყვეტდა(?), დაღ.—მოსტეხდა, ა. ო.—მოსწყვეტდის.

ერთი ჟამი როსტომ ძილად მოისვენა, მოყუიროდა[1]),
და ზედ მოადგა მძინარესა, „ცხენსა[2]) დავნაყ!"— ესე თქოდა.—
[დებული,
2215. თქუა: „შორველ ცხენი დავნაყო!"— დომი ბრჭყობს[3]) სახელ-
ჰაცი ჰელთა შეაგს, მას იქით ძილად წევს უგმარ-დებული[4]),
რამშან რა ნახა, მოუგდა სათმრად აღუღებული,
და თავს ბასრის ტოტი ჩამოჰკრა, საკლავად[5]) გამეხებული.

2216. დაიხვეულნა[6]), შეეჭიდა, ზურგსა კბილით მოეკიდა,
ახუთქებდის[7]) მიწაზედან, მოიქნივის, მედგრად ჰკურიდა,
ვარ[8]) უსულოდ არ გაჰკადა, ამ წესით იმას რჯიდა,
და არ გაუშვა, სადანამდის ლომი მუა არ გაწყუედა.

2217. ადგა როსტომ, იკუირვებდა ლომსა ზედან რაშის ქნასა,
გაუწყრა და ეგრე უთხრა: „შენ არა ხარ, შმაგო, ჭკუასა[9]),
თუ მაგკად ბარგისტანსა, მე მიზემდი, მითხარ[10]), რასა?!
და ვინ მზიდევდა შეკაზმულსა[11]) მაზანდარის ქუეყანასა?!"

2218. მზემან თავი რა ამოჰყო, მან საწუთრო დაამშვენა,
როსტომ ადგა ძილისაგან, შეეკაზმა[12]), მოისვენა,

---

1) დად. ერთი ჟამი როსტომ ძილად მოისვენა, მოყუიროდა, ა. ო.—ერთი ჟამი როსტომ ძილად მოვიდა და მოყვიროდა.

2) დად.—რაშსა.

3) 428 №—ბრჭობს.

4) დად.—უგმრად წევს ძილად დებული, ა. ო.—იქით ძილად წევს...

5) ა. ო. და დად.—საკლავად, 428 №—საკუდავად.

6) ა. ო.—დაიხვეულნა, 428 №—დაიხვეულა.

7) ა. ო. და დად.—ახუთქებდა.

8) ა. ო.—ვით უსულოთ არ გახადა.

9) 428 №—შმაგი ჭკვისა, დად.—ჭკუასა, ა. ო.—შმაგო ჭკვასა.

10) დად.—ნეტარ.

11) 428 №—ვინ მზიდავდა შეკმაზულსა.

12) დად.—შეეკაზმა.

რაშსა შესდგა უნაგირი[1]), იტყვის: „ღმერთო, გესავ შენა!"
და მერმე შეჯდა, გაემართა, მისთვის დასწყდა წყალთა დენა[2]).

2219. ჩავარდა რასმე მინდორსა, თვალნი არ გარდასწვდებოდა[3]),
არსით[4]) ჩნდა მთისა მწვერვალი, არც წყალი იპოებოდა[5]),
არც საძოვარი ბალახი, მით უფრო დაღონდებოდა[6]),
და წყურვილით ულონო ქნილი ძლივ ოდენ იარებოდა[7]).

2220. მისწორდა და წყურვილითა როსტომს ენა დაჰპობოდა[8]),
რაშსა ღონე აღარ ჰქონდა, აქით-იქით[9]) ერწყობოდა,
ჩამოჯდა და წინ ზუფინს[10]) მიიბრჯგენდა[11]), უძლურობდა,
და ღონეს რასმე ეძიებდა, ვით მთვრალი ემცნებოდა[12]).

2221. მერმე ცრემლი[13]) გარდმოსცვივდა, მან მიაპყრა პირი ცასა,
თქვა: „ყოვლისა შემოქმედო, ულონოს მისცემ გზასა!
ჩემი სული მიიბარე, მე ჩამამყსენ[14]) ამა რჯასა,
და კარგს სამყოფსა მიმიყვანე, მომაშორე სატანასა!"[15])

---

[1]) ა. ო.—რაშს შეადგა უნაგირი.

[2]) დად.—წყლისა დენა.

[3]) 428 №—გარდასწვდებოდეს.

[4]) დად.—არსად.

[5]) დად.—იპოვებოდა, ა. ო.—წვერვალი.

[6]) 428 №—მით უფრო იამებოდეს(?!).

[7]) დად.—ულონო ქნილი, ვით მთვრალი ეპენტებოდა, 428 №—გაულონოვდა, ძლივოდენ...

[8]) 428 №—დაპობოდა.

[9]) დად.—იქით-აქეთ, ა. ო.—აქეთ-იქით ერწევოდა.

[10]) ზუფინი—იხ. ნასესხ. სიტყვები, ა. ო.—ზუფინის მიბრჯგინეთა.

[11]) 428 №—მიიბრჯვენდა.

[12]) დად.—ვით მთვრალი ეპენტებოდა.

[13]) ა. ო.—ცრემლნი.

[14]) დად.—ზოგჯერ კ-რით, უმეტესად ხ-ნით, 428 №—ყველგან ხ-ნით, ა. ო.—ჩამომხსენ

[15]) 428 №—მეიყვანე, მოაშორე სატანასა.

2222. იტყვის: „ღმერთო! შარიერნი ერანელნი კარგად ზრდილნი,
აღარ გინდა დასახსნელად დევისაგან დაპყრობილნი,
თუმცა კარგი ვერა ქნეს რა, არ წაუხუნან დევთა სულნი[1]),
და ნუ გასწირავ, იგ არიან ქრისტიანად დანათლულნი[2]).

2223. ესე რა თქვა პილოტანმან[3]), ვეღარ დადგა ფერხთა ზედა:
ვით უსულო, გარდაიქცა მას მეურვალს[4]) მიწაზედა,
ძრვისა ღონე აღარა აქვს[5]), რაში დახტის როსტომსზედა[6]),
და ღ~თის[7]) განგებით მოვლენილმან თხამ წამოვლო ამაზედა.

2224. როსტომ უჭვრეტდა ულხოდ, მიწას ზედან დებული,
გულშიგ ეგრე თქვა: „არ არის უწყალოდ მგზავრი რებული[8]),
ეგების მიჴსნას[9]) უფალმან, სიცოცხლე-გამწარებული,
და მე დამჴსნას[10]) ძნელის სიკვდილსა, არს ჩემთვს მოვლინე-
[ბული?!

2225. შემოქმედს ძალი სთხოვა, — რომ ცოცხალი აღმადგინა! —
მარცხენასა ფეხისი აქვს, მარჯვენით კრმალი დაიბრჯინა[11]),

---

[1]) დად. — არ წაუხვნენ დევთა სული, 428 № — არ წაუხუნან დევთა სული.

[2]) დად.-სეული ხელ-ნაწერით მხოლოობით რიცხვშია შარიელი ერანელი კარგად ზრდილი... დევისაგან დაპყრობილი,... ქრისტიანად დანათლული.

[3]) ა. ო. და 428 № — ესე რა თქვა პილოტანმან, დად. — პილოტანი ვეღარ დადგა...

[4]) დად. — მას მეურვალეს მიწაზედა, ა. ო. — ვით უსულოდ.

[5]) დად. — აღარ ჰქონდა, ა. ო. — ძვრისა ღონე აღარა აქვს.

[6]) 428 № — როსტომზედა, ა. ო. — რაში სტირის როსტომსზედა.

[7]) 428 № — მღთის, ა. ო. — მ~ღთის განგებით მოვლენილი თხა წამოდგა ამას ზედა.

[8]) ა. ო. — გულში თქვა: ესე არ არის უწყალოთა გამგზავრებული.

[9]) დად. — მიხსნა.

[10]) დად. — დამჴსნა, 428 № — დამიხსნას.

[11]) 428 № — დააბჯინა.

როსტომ ნახა მთარელი, რამან ოდენ მოიდხინა,
და ტკბილის თვალით მიხედვიდეს, მიუძღოდა[1]) მათ თხა წინა.

2226. სიცოცხლისა საშოვნელად მათ თხა წინა წაიძღვანეს[2]),
ნახეს ტურფა წყარო რამე, მართ რომ ცოტა წაიარნეს[3]),
თხა მივიდა, სმა დაუწყო, მგსნელსა მათსა დაადარნეს[4]),
და ღმერთსა დიდი მადლი მისცეს, პირი მიწას დაამყარნეს[5]).

2227. თაამთან პირი მიაპყრა, აწ ღმერთი მისგან იქების[6]):
„წმინდა ხარ მოსამართლეო, უცხო არ გაგიკვირდების!
ეს წყალი არა თხისაა, ჩემთჳს განგებით ირების[7]),
და ვინც მიენდობის უფალსა, ავი არ წაეკიდების.

2228. ვიცი, — ღმერთსა შევებრალე, მან მიბოძა მცოდნე წყლისა[8]),
არ უნდოდა წასავლენლად, ქმნა[9]) მოვლენა აქა თხისა,
ვისცა ზურგად მიაჩნა, მას მიხუდების სიპრტყე გზისა,
და თამთან[10]) დაყო წყლისა პირსა—ორი წილი ლოცვა დღისა[11]).

---

[1]) დად.—მიუძღვების, ა. ო.—მიუძღოდა მას თხა წინა.

[2]) 428 №—წაიძღოდეს(?).

[3]) დად.—როგორც ცოტა წაიარეს.

[4]) დად.—დაადარეს.

[5]) დად.—ღმერთსა დიდი მადლი მისცა(?), მიწას პირი დაამყარეს.

[6]) დად.—თაამთან პირი მიაპყრა, აწ ღმერთი ჩემგან იქების, 428 №—თამთან პირი მას მიაპყრა, აწ ღმერთი მისგან იქების, ა. ო.—თამათან პირი მიწასა, აწ ღმერთი მისგან იქების.

[7]) დად.—ეს წყალი არა თხის არის, განგებით ჩემთჳს ირების, ა. ო.—ჩემთვის განგებით იქნების.

[8]) დად.—არ უნდოდა წასავლენლად, ქმნა მოვლენა აქა თხისა, 428 №—არ უნდოდი წასავლენლად, ქნა...

[9]) 428 №—ვინცა ზურგად მიაჩნია, მას მიხუდების სიპრტყე გზისა, ა. ო. და დად.—ვისაც ზურგად მიაჩნია, მას მიხვდების სიპრტყე დღისა.

[10]) და ამან დაყო...

[11]) ა. ო.—თამთან დაჰყო წყლისა პირი ორი წილი, ლოცვად ღირსა.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

2229. თხას უთხრა: „შენი მინდორი მწვანობს—ტურფად ონები[1]),
ავაზის გულსა საავოდ ნუმც ოდეს მოეგონები!
ვინც ცხენით შემოგიტიოს, საწყენლად დასაღონები[2]),
და ისრისამც კიდით გასქდების[3]) და მშვილდი კიდით საქონები.

2230[4]). მე სიცოცხლე გარდმეწყუიტა[5]), გულის ჯანგსა შევკრულვიყავ[6]),
შენის ნახვით[7]) დამარჩინე, სასუდაროდ[8]) გავსრულვიყავ,
ჩემი გული,—სთქუა,—ვეშაპსა შეეჭამა, ჩანთქმულვიყავ[9]),
და განგებამც არს კურთხეული[10]), თვარ უცილოდ მამკუდარვიყავ!“

2231. რაშს უნაგირი მოჰკადა[11]), რა მოისვენა თხისაგან[12]),
მტვერი გაბანა, შესწმინდა[13]) ჰგავს, უნათლეს მზისაგან!
მოისვენა,—და სტომაქი მაშინ გაუძღა წყლისაგან[14]),
და მერმე მოუნდა საჭმელი გარეულსა წყურვილისაგან[15]).

---

[1]) ა. ო.—შენი მინდორი მწვანეობს ტურფად ონები, ონები—ონი, იხ. ლექსიკ.

[2]) დად.—ვინც ცხენით შემოგიტეოს, საწყლად და დასაღონები.

[3]) დად.—გატყდების.

[4]) ამ ხაზის მე-2-ე და მე-3-ე ტაეპები დად.-ხელში გადასმულ-გადმოსმულია.

[5]) დად.—გარდამიწყდა.

[6]) დად.—შეკრულიყავ(?), 428 №—შევკრულვიყავ.

[7]) დად.—შენით ნახვით.

[8]) დად.—სასუდარად.

[9]) დად.—ჩემი გული თუ სთქვა ვეშაპს შეეჭამე, ჩანთქმულვიყავ, 428 №—ჩამთქმულვიყავ(?).

[10]) დად.—კურთხეულ არს, 428 №—განგებამცა კურთხეული.

[11]) დად.—მოკადა.

[12]) დად.—რა მოიცალა თხისაგან.

[13]) დად.—მოსწმინდა, ა. ო.—მტვერი გაბანა, შესწმინდა, 428—დაბანა, შესწმინდა.

[14]) დად.—მოივსო წყლისაგან, ა. ო.—სტომაქნი მაშინ გაეძღო.

[15]) დად.—შიმშილისაგან.

2232. მოისვენა, შეეკაზმა[1]), სანადიროდ გაემართა,
კრმალ-ქარქაში[2]) შემოირტყა, ალვა-ზრდილი აემართა,
ფიცხლად[3]) მოკლა მან კანჯარი, გაიმლიდა ტურფად მკართა[4]),
და შესწვა[5]), საჭმლად არას ეყო, გამოსწოვა ტვინი ძვალსა.

2233. მოვიდა და კულა[6]) წყალი სვა, აპირებდა ძილის ქნასა,
როსტომ დაწვა მუნ საძილოდ, მან მიაპყრა[7]) პირი რაშსა,
—„თუ რამ[8]) ნახო, შენ იქმოდი, რაში, ჩემკენ წამოსვლასა[9]),
და დევ-ვეშაპთა სამყოფია, შენ ნუ ებრძვი ამათ გზასა!"[10])

2234. რაშსა დავედრა რა ესა, დაწვა, დაეძინებოდა,
უძრავად იწვა, ეძინა, თვალი არ გაეხსნებოდა,
რაში სძოვდა[11]) და ფრთხილობდა, მას გვერდით აირებოდა,
და მუა-ღამ ერთი ვეშაპი მორის ოდენ გამოჩნდებოდა.

2235. დიდი, უზომოდ უსახო, იგი ჩანთქმიდა პილოსა[12]),
იგ წყარო თურმე მისია, დის ტურფა რამე ჩრდილოსა[13]),
მას ქონდის[14]) გამოსასვენოდ მინდორსა უადგილოსა,
და ნიანგნი, დევნი, შიშით ზღვას ვერ გამოვლენ, ნილოსა.

---

1) დად.—შეეკაზმა.
2) 428 №—კმალ-ქარქაში.
3) ა. ო. და დად.—ფიცხლად, 428 №—ფიცხლავ.
4) ა. ო.—მოეკიდა ტურფად მკართა.
5) ა. ო.—შეაწვა, 428 №—შეწვა.
6) ა. ო. და დად.—კვლავ.
7) ა. ო.—მუნ საძილოთ, მიაპყრო პირი რაშსა.
8) ა. ო.—თუ რა ნახო.
9) დად.—ჩემკე წამოვლასა, 428 №—წამოსულასა.
10) დად.—იმათს გზასა.
11) დად.—ძოვდა.
12) 428 №—სპილოსა.
13) 428 №—დის ტურფას რამე ჩრდილოსა, ა. ო.—დის ტურფად.
14) დად.—ჰქონდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

2236. რა ვეშაპმან, — ფალავანსა[1]) სძინავს, — გვერდს[2]) რაშა ვლიდეს, —
გაუკვირდა: „ვინ მოსულა, ლომნი ვერა გაავლიდეს![3])
დედამ აწვე მოიგონოს, ტიროდეს და ცრემლსა ღვრიდეს[4]),
და ეს ჩემის ჯანგისაგან, თქვა, „ცოცხალი ვერ წავიდეს!“

2237. სალალატოდ როსტომისთვის იარების ღამეს ბნელსა[5]),
მაშინ რაშსა ჩასანთქმელად მან მომართა ფერ-ნათელსა[6]),
რაშმან ფიცხლად[7]) მოცამართა როსტომს, მისთვის სასურველსა,
და ტერფთა სცემდა მიწასზედან, გაეღვიძნეს სისხლთა მღვრელსა[8]),

2238. გაეღვიძნეს[9]) მას ჭკუიანსა, თავი ჯავრით გაეტენა,
იქით-აქეთ[10]) მიიხედნა, რაშს უბრძანა: „ჰე რა ჰქენა?!
ცუდად რასთვის გამაღვიძე, რად გამიკრთევ[11]) ძილი შენა?!“
და იყურებდა[12]) საუბარსა, მას ვეშაპი არ ეჩვენა.

2239. გული ვეშაპი დამალული სალალატოდ მათკენ იქცა,
რაშმან ნახა მამავალი[13]), როსტომისკენ გამოიქცა,

---

[1]) დად.—ფალავანი.

[2]) ა. ო.—გვერდსა.

[3]) დად.—ვინ მოსრულა, აქ ლომიცა ვერ გავლიდეს, ა. ო.—ვერ-ცა ლომი გაივლიდეს.

[4]) დად.—დედამ აწვე მოიტიროს, ტიროდეს და ცრემლსა ღვრი-დეს, ა. ო.—დედამ აწვე მოიგლოვოს, ტიროდეს...

[5]) დად.—იმალოდა ღამე ბნელსა.

[6]) ა. ო. და 428 №—მაშინ რაშის ჩასანთქმელად მან მიმართა ფერ-ნაკლულსა, დად.—ფერ-ნათელსა ლექსს უფრო უხდება.

[7]) 428 №—ფიცხლავ.

[8]) დად.—გააღვიძებს სისხლის მღვრელსა, 428 №—ტერფსა სცემ-და მიწაზედა, გაეღვიძა სისხლთა მღვრელსა.

[9]) დად.—გაეღვიძა.

[10]) დად.—იქით-აქეთ.

[11]) დად.—გამიკრთე.

[12]) ა. ო. და დად —იყურებდა, 428 №—იყურების.

[13]) 428 №—დამალული(?).

ფრუტუნებს და ტერფსა სცემდა, თითქმის გვანდა, ცა დაიქცა[1]),
და როსტომ ჩქარად წამოიჭრა[2]), ზაფრანის ფერად იქცა.

2240. მოვლო მინდორი მოწყლილმან, აპირობს ლახვართ-ხებასა[3]),
ვერა იპოვა, მოვიდა და მუნვე დაწვა[4]) ნებასა,
რაშსა გაუწყრა, უფრთხვიხარ ღამისა შენ ოცნებასა[5]),
და ძილსა გამიკრთობ, ისწრაფვი[6]) შენ ჩემსა გაღვიძებასა!"

2241. უბრძანა თუ: „ვეღარ გავსძლებ მე ტყუილად ამის ქნასა,
კვლავ ბედითად გამაღვიძებ, მე არა ვიქ, ვფიცავ, სხვასა![7])
ხრმლითა დაგჭრი კართის ძარღუთა[8]), ვერ დამასწრობ სიტყუის
და მერმე წავალ მე ქვეითად მაზანდარის ქვეყანასა!" [თქმასა[9]),

2242. კვლავ დაწვა და დაიძინა შემოსილმან ბაბრამითა,
ცნა ვეშაპმან, დაეძინნეს, დაიქუხნა, ცამან ვითა[10]),
პირსა ცეცხლი მოსცვიოდა, რაშმან ნახა, გაკრთა[11]) მითა,
და გული ორად გაჰპობოდა, გაღვიძებს ვერ შიშითა.

2243. „შევება, მამკლავს უცილოდ!"—რაში ბრჭობს ამას გულითა,
გულმან აღარა დაუთმო როსტომის სიყვარულითა,

---

[1]) დად.—ფრთხვინვიდა და ტერფსა ხცემდა, ამას გავს თუ, ცა და-იქცა, ა. ო.—ფრუსტუნებს(?).
[2]) დად.—წამოვარდა.
[3]) ა. ო.—ჰპირობს ლახვართა ხებასა.
[4]) დად.—მოვიდა, მუნავე დაწვა ნებასა.
[5]) დად.—უფრთხვიხარ ღამისა შენ ოცნებასა, 428 №—დაოცნებასა.
[6]) დად.—ისწრაფი.
[7]) დად.—არასა ვიქ, ვფიცავ, სხვასა.
[8]) ა. ო. და დად.—კართის ძარღვსა, 428 №—კაჩის ძარღვთა, ა. ო.—დაგჭრი კართის ძარღვთა. ვერ დამასწროფ.
[9]) დად.—ვერ მომისწრობს.
[10]) 428 №—სცნა ვეშაპმან, დაეძინა, დაიქუხა, ცამან ვითა.
[11]) დად.—გატყდა(?).

ეროვნული ბიბლიოთეკა

გვრეოდე მისგან წამოვლო[1]), გულითა დადაღულითა,
და კვიოდა, გლეჯდა მიწასა ტურფითა მოქნეულითა.

2244. როსტომს ესმა, გაიღვიძა, იყო თვითან მისი ნება[2]),
დალასტითა ვერა უძლ, არ ეწერა მისგან გნება,
სიბნელესა[3]) შიგან ნახა, ღმერთსა უნდა განქარვება,
და მასრი კრმალი მოიწვადა, სთქვა, დაუწუო ცეცხლმან დება!

2245. შეუძახნა: „თქვი სახელი, კვლა მოხვიდე შენ აქ არის[4]),
რომ საწუთრო ვეღარ ნახო, შენზედ რისხვით შეიყაროს[5]);
უსახელოდ შენი სული ბნელსა[6]) ტანსა გაეყაროს,
და ღ~თითა ჩემგან ქადებული აწ შენზედან დაემყაროს!

2246. თქვა ვეშაპმან: „შენ ცოცხალი ჩემგან ვეღარ წახვიდი!
ეს მინდორი ჩემი არის, სიბრტყე[7]) ასი ფარსანგია,
არწივიცა ვერ გადივლის, ეტლი მისი შემაპყრია[8]),
და ჩემის შიშით ვარსკვლავთაცა დახედვა არ შეუძლია!“

2247. ვეშაპმან შემოუძახნა: „რა არის შენი სახელი?!
ვატირო შენნი მშობელნი, ტირილით მოვაკვდახენი“.
თამთან უთხრა თუ: „ნარიმანს იცნობდეს ზღვანი და კმელნი[9]),
და სამის შვიდის-შვიდი ვარ, როსტომ მქვს ჩემი სახელი.

---

[1]) ა. თ.—ევრეევე მისკენ მორბოდა.

[2]) ა. თ. და 428 №—როსტომს ესმა, გაიღვიძა იყო თვითან მისი ნება, დად.—იყო თვითვე ღ~თისა ნება.

[3]) ა. თ.—სიბნელეთა შიგან ნახა.

[4]) დად.—მოხვიდე შენ კვლავ აქ არის.

[5]) დად.—დაემყაროს.

[6]) ა. თ. და 428 №—ძნელსა ტანსა, დად.—ბნელსა.

[7]) დად.—სიგრძე, 428 №—სიბრტყე.

[8]) დად.—არწივიცა ვერ გადმოვლის, ეტლი მათი შემაპყრია.

[9]) დად.—თაამთან უთხრა: „ნარიმანს იცნობენ ზღვანი და კმელნი, 428 №—თამთან უთხრა თუ: ნარიმანს იცნობდეს ზღვანი და ხენი.

2248. ვარ მარტო ერთი მოლაშქრე რაშითა გულოვანითა,
მთათა და ველთა გავაჭობ, ვითა ხურმასა დანითა[1]),
ზედა მოუკლდა ვეშაპი, შელრჭნილი[2]) პირ-ალრჯენითა,
და კრმალ-მოწულით წინ მიეგება მას როსტომ მალედ[3]) რბენითა.

2249. როსტომ ძალით მას ვეშაპსა ვერა სჯობდა, მას დახედნა[4]),
რამან ყურნი[5]) წაიშვირა[6]) ტოტი მკართა დააჭედნა[7]),
კისრის ძარღვი აღმოხეთქა[8]), მას კბილითა დაეჭედნა[9]),
და როსტომ კრმალი მოუქნივა, გული ორად გაუკვეთნა.

2250. კუამლი ასტედა საშინელი[10]), სისხლი ღვარად წამოყიდა,
ძნელი[11]) სული ამოუშვა, საწუთროსა დაფარვიდა[12]),
როსტომ სულითქნა, გაუკვირდა, იგი ბილწი[13]) მასც ედიდა,
და ფალავნურად[14]) ღმერთსა მადლი მისცა, წყლის პირს წამოვიდა.

2251. რა დაიბანა კელ-პირი, იქუა: „ჩემგან ღმერთი იქების,
მისგან მაქუს ძალი და ჭკუა, არსითგან[15]) გაიდიდების,

---

[1]) დად.—ვითა ხუმრასა(?) დანითა.

[2]) დად.—შელრჭენითა.

[3]) დად.—მალე რბენითა.

[4]) დად.—ვერა სჯობდა, იგ დახედა.

[5]) დად.—ყური ჩაიშვირა.

[6]) დად.—ტოტი ზურგსა დააჭედა.

[7]) ა. ო.—ყურნი წაიცქვიტნა.

[8]) დად.—ამოხეთქა.

[9]) 428 №—დაეჭიდა, დად.—დაეჭედა, ა. ო.—დაეჭიდნა. ამ ხანის მე-3-ე ტაეპი 428 №-ში უკუღმა არის, ამ სახით: „მას კბილითა დაეჭიდა, კისრის ძარღვი აღმოხეთქა.

[10]) დად.—საზარელი.

[11]) დად.—ბნელი(?) სული.

[12]) დად.—დაჰფარვიდა.

[13]) ა. ო.—პილწი.

[14]) 428 №—ფალავნურად, ა. ო.—პირ-დამკობით ღმერთს ევედრა, წყლისა პირსა წამოვიდა.

[15]) ა. ო.—არსითგან.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვეშაპი, დევი და პილო¹) ნილოსა²) ველად ირბის³),
და დიდი და ცოტა ყუელაი ჩემთანა⁴) სწორად იქების!“

2252. ლოცვისაგან მოიცალა, წამოვიდა, შეჯდა რაშსა,
სამყოფთ⁵) რასმე გრძნეულთასა მოვიდოდა გრძელსა გზასა,
შეხვდის და წყლისა პირსა შვენიერი ხე რამ დგასა,
და ხასთვრითა შემკობილი, თუ სთქუა, გვანდა სამოთხესა.

2253. ერთი წყარო მოსასვენოდ შვენიარი, ტურფა ნასი⁶),
მწვანე, კარგად შემკობილი⁷), ალოხანი იდგეს⁸) ასი,
პურ-ღვინო და თხა შემწვარი, გვერდა ედგა ოქროს თასი,
და გრძნეულთათვის შეკაზმული⁹) გვერდს უსხდა ქაჯთა დასი.

2254. როსტომ რა ნახეს გრძნეულთა, შიშითა დაუჩინარდეს,
დააგდეს ხუფრა შემკული, ველარა ლხინით ინარდეს,
ჩამოკდა, როსტომმა უკუირდა¹⁰), ქაჯნი უჭურეტდეს, ინანდეს¹¹),
და რაში ცაასა წყლის პირსა, დაჯდა¹²) და პირსა იბანდეს.

---

¹) 428 №—სპილო.

²) ნილოსი, იხ. ლექსიკ.

³) ა. ო.—ნილოსა ველად ირბების, 428 №—ნილოსი ველად.

⁴) დად.—დიდი და მცირე ყუელაი ჩვენთანა სწორად იქების, 428 №—ჩემთანა სწორად იქების, ა. ო.—შენთანა სწორად იქების.

⁵) დად.—სამყოფს, ა. ო. და 428 №—სამყოფთ.

⁶) დად.—ერთი წყარო შეკობილი მოსასვენო ტურფა ნასი, 428-ის—ტურფა ნასი. ეს ადგილი წარყვნილი უნდა იყოს, რადგან ნასი უშნოს ნიშნავს და ტურფა-ნასი უაზრობაა.

⁷) დად.—წყარო კარგი სათამაშო.

⁸) ა. ო.—იდგა.

⁹) დად. და ა. ო.—შეკაზმული, 428 №—მოკაზმული.

¹⁰) დად.—როსტომ უყურებს.

¹¹) ა. ო.—ინარდეს—შეცდომით.

¹²) დად.—ჩამოკდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

2255. თასსა და ღვინოს გვერდითა ოთხ-ძალი იდვა ბზისა¹),
მაზედა ასს²) და ეწერის: „როსტომ გარგალით გზისა!
ლხინითგან უნაწილოთ³), მოუყვასო⁴) მანდარისსა,
და შენ სათამაშოდ ომი გჩანს ლომ-ვეფხთა, ნიანგისა⁵)!"

2256. როსტომისგან დევთა ესმა, ფალაურად⁶) კმა გამოვა,
ერთი ქაჯი დედაკაცად⁷) მოეკაზმა, მასთან მოვა,
რაზომსაცა არ შვენოდა, პირი ვარდად⁸) აეუავა,
და მოვიდა და გვერდ⁹) დაუჯდა, თქვა: „ამიყო როსტომ ჰოვა!"

2257. თამთან ღმერთი აქსენა¹⁰), თქვა: „გაკვდის კმელთა არიფი¹¹),
შემკული სუფრა მიბოძე, შეგლი მინდორთა ლარიფი¹²),
ღვინო აქროსა თასითა, მზესა ჰგავს ქალი ზარიფი¹³),
და როსტომ ცნა¹⁴); იყო გრძნეული—დევი ხვანჯითა ხელიფი¹⁵).

2258. თასი მიართვა გრძნეულსა; უთხრა: „თქვი ღ̃თის¹⁶) სახელი!"
პასუხი ვერ შეუქცევა¹⁷), წაუხდა პირისახენი,

---

¹) დად.—თხასა და ღვინოსა გვერდი, პოვა ორძალი ბზისა, წარყვნილი უნდა იყოს, ა. ო.—თასი ღვინოსა გვერდით დგას, ორცძალი იდვა ბზისათ.

²) დად.—ასრე.

³) 428 №—უნაწილოვო.

⁴) ა. ო.—მოჰყვისო.

⁵) ა. ო. და დად.—შენ სათამაშოდ ომი გაქვს ლომ-ფეფხის, ნიანგისათ.

⁶) ა. ო. და დად.—ფალაურად, 428—ფალავნურად.

⁷) ა. ო.—დედაკაცათ, 428 №—დედაკაცი.

⁸) დად.—პირი ვარდი აეუავა.

⁹) დად.—ყველგან გვერდს.

¹⁰) 428 №—ახსენა, ყველგან ხ-ნით.

¹¹) დად. და ა. ო.—ალიფი, 428 №—კმელთა არიფი, ა. ო.—კმალთა ალიფი.

¹²) დად.—ლარიბი, 428 №—ლარიფი.

¹³) 428 №—არიფი, დად.—ზარიფი, ა. ო.—ჰარიფი. იხ. ლექსიკონში.

¹⁴) 428 და ა. ო.—ყველგან სცნა, დად.—ცნა.

¹⁵) ა. ო.—დევის ხვავანჯით ხელიფი.

¹⁶) ა. ო. და 428 №—ყველგან მღვთისა.

¹⁷) დად.—შეუქცია.

მას საგდებელი შესტყორცა, შეიპყრა, შეუკრა ბელი[1]),
და—„ნასკუითა სავსე დამჭკნარი*), თქუი, მითხარ შენა სახელი!"

2259. გრძელი ჰკრა, ორად გაჰკუეთა როსტომ,—არ უეპნებოდა.—
რა ნახა[2]), გული გრძნეულთა შიშითა აივსებოდა,
რაშსა ჰუდვა ლაგამი, წავიდა, იარებოდა,
და ანაზდად ბნელი მოვიდა, მის უცხო არ იქნებოდა.

2260. საწუთროშიგა[3]) სინათლესა ვეღარ ხედავს, წაიარნა,
იკუირვებდა უსაზომოდ,—მზის სინათლე რამ[4]) დაფარნა?!.
მზისა შუქნი კუპრის ზღვამან და ვარსკულავნი[5]) ჩამოჰყარნა,
და დაღონდა და სადავენი მისნი რაშსა მიაბარნა[6]).

2261. რაში გაუშვა, ბნელშიგან[7]) უფალსა ევედრებოდა,
მართ[8]) ვითა გზის მძებნელი, უკუნსა იარებოდა.
ანაზდად, ღ̃თის[9]) განგებით, სინათლე[10]) გამოჩნდებოდა,
და ნახა წყალი და მინდორი, საწუთრო იახლებოდა[11]).

2262. გამხიარულდა, ჩამოხდა მოსურნე მოსვენებისა,
ტანი ოფლითა შესურილი აბჯართა ქწებებისა.

---

1) 428 №—მაგრა შეუკრა მას ბელი.
*) ხელ-ნაწერები—და ნასკუითა სავსე, დამჭკნარი.
2) ა. ო. და 428 №—ნახა, დად.—ნახეს.
3) ა. ო.—საწუთროშიგან.
4) 428 №—არ დაფარნა.
5) ა. ო. და 428 №—და მასკულავმან.
6) დად.—დაღონდა და სადევენი როსტომ რაშსა მიაბარნა.
7) ა. ო.—ბნელეთა.
8) ა. ო.—მათ(?).
9) დად.—ღ̃თის ბრძანებითა, 428 და ა. ო.—ღმრთისა განგებით.
10) დად.—ნათელი.
11) დად.—და ნახა მინდორი და წყალი, საწუთრო იხილვებოდა, ა. ო.—და ნახა მინდორი და წყალი, საწუთრო(?) იახლებოდა.

მზეს მიუყვანა ბაბრაბი, რაშა დაგმითა ყბისა,
და რა გაგმა, ტანის ჩაიცვა, საძიჯოდ[1] ესწრაფვებისა.

2263. რაშსა მისცა საძოვარი, მან დაიგო ქუეშე მოლი,
გზის გარჯილი მოსასვენლად[2] ძილად მიწვა ლომთა-ლომი,
რამის საქმე შესწორდების, მას ჯავრად აქუს დევთა ომი,
და მეველემან რაში ნახა, ყანაშიგა ძოვნად მდგომი[3]).

2264. მას მეველემან აგინა, ცემა დაუწყო ჯოხითა,
ეს პილო ტანსა შეესმა[4]), არა წყვს ძოწთა ნოხითა,
უთხრა: „რა ჭირნი გინახავს, დევთა ცხენია ჯოგითა[5]),
და გემაშვითა გაწყვლიდხარ რატომ[6]), ხარ აქ ომახითა!“

2265. გაგულისდა[7]) ამაზედა, წამოიჭრა ოდენ უხნა[8]),
ორივ ყური დაუჭირა, დაგლიჯა და ჴელთ ჩაუხუნა[9]),
არა უთხრა ერთი სიტყვა მას, არცა რა უპასუხნა,
და მეველემან ტირილითა გაკვირვებით წამოიხუნა[10]).

2266. მცველად იყვის მას ადგილსა ერთი კაცი დიდებული;
მას სახელად ავლად ერქვა, იყო მათთჳს ბრძანებული[11]),
მეველეს ყურნი ჴელთა ჰქონდა, სისხლით შეღებული[12]),
და მას მიართვა შეჭირვებით, ტიროდა და უდუღს გული.

---

[1]) ა. ო.—უმეტეს ნაწილად თ-ნით.
[2]) დად.—მოსასვენოდ, ა. ო.—მოსასვენად.
[3]) ა. ო.—ყანაშია სძოვდა მდგომი.
[4]) დად.—ეს პილოტანმან შეიტყო, არა წყვს ძოწა ნოხითა.
[5]) დად.—დევი ცხენია ჯოგადა, 428 №—ჯოგითა.
[6]) დად.—რატომ ხარ აქ ომახითა.
[7]) 428 №—გაგულიჩდა.
[8]) ა. ო.—ოდენ იხნნა(?)—წარყვნილია.
[9]) დად.—ჩაუხსნა, ა. ო.—ორივ ყურნი დააგლიჯა დაუჭირნა, ჴელთ ჩაუხნა.
[10]) ა. ო.—მეველემან გაკვირვებით, ტირილითა წამოიხვნა,
[11]) 428 №—ბძანებული, ა. ო.—მისთვის.
[12]) ა. ო.—სისხლით გაპასრული.

2267. მოახსენა: „ერთი კაცი მინდორშიგან[1]) იწვა მტირალად,
მას ჰყავს ერთი დიდი ცხენი, ჰგავს დევია სისხლთა მჩქეფლად[2]),
იგ გაუშვა ყანაშიგა[3]), მიველ მისთვის გასაძებლად,
და არ მიმიშვა; წამოიჭრა, ჩემთვის ცეცხლთა[4]) მოსადებლად.

2268. ვეფხის ჯაყუშნი აცვია, რკინისა ქუდი ებასა,
ჰგავსო, მინდორი დევითა ავსო იგ განგებასა,
აქუს თავისაგან იმედი, არა აქს ყმათა ხლებასა[5]),
და ორნივე ყურნი[6]) დამგლიჯნა და მუნვე დაწვა ნებასა[7]).

2269. მულღანზარშიგ[8]) სახელ-დიდი ნადირობდის, იყვის მუნა![9])
შამბში[10]) ღომი შემოსულა[11]), ავლად თქვა თუ, მოკლულა უნა,
როსტომისთვის შესაწყრობლად სადავენი მოიბრუნა[12]),
და თავადები თან იახლა[13]), თქვა: „გაშვება არა[14]) უნა!“

2270. მიეწურნეს, როსტომ ადგა, რაშისაკენ გაემართა,
შეეკაზმა[15]) საომრად, ვით დრუბელი შეჯდა ქართა,

---

[1]) ა. ო.—მინდორშია.

[2]) დად.—ჰგავს დევია სისხლთა მთქეფლად, 428 №—ჰგავს დევისა სისხლის მჩქეფლად, ა. ო.—ჰგავს დევია სისხლთა მიქეფლად.

[3]) 428 №—გაუშვა ყანაშიგა, ა. ო.—იგ გაეშვა ყანაწია.

[4]) ა. ო.—ცეცხლის მოსადებლად.

[5]) ა. ო.—თქვა: უიმედო თავისა, არა აქვს ყმათა ხლებასა(?).

[6]) 428 №—ორივე ყურნი.

[7]) დად.—მუნავე დაწვა ნებასა.

[8]) 428 №—მულღანზარში, ა. ო.—მულყანზარაში.

[9]) ა. ო.—სახელ-დიდნი, ნადირობდის, იყვნის...

[10]) 428 და ა. ო.—შამბში, დად.—შამბშიგ.

[11]) დად. და ა. ო.—შემოსულა, 428 №—შამოსულა.

[12]) დად.—სადევენი მოიბრუნვა.

[13]) დად.—თან გამოჰყვა.

[14]) დად.—მას არ უნა.

[15]) დად.—შეეკაზმა.

ჰასრი კრმალი ამოიღო[1]), აყვანდაით წაუმართა,
და ბოლოდ ლექსი მოგახსენებს, რაცა ავლადს დაუმართა.

2271. ავლად როსტომს დაუძახა, აწ სახელი შენი თქუია,
თავადთაგან ვისი გვარი, ანუ მამით ვისი ძია[2]),
ხვადთა[3]) ლომთა სამყოფშიგა[4]) რად მოსულხარ[5]), მიკვირს მია,
და არ უნდოდა შენგან მოსვლა[6]), რად მამცდარხარ[7]), შმაგო, დია?!"

2272. როსტომ თქუა: „ჩემი სახელი ღრუბელთა ზედა სწერია,
კრმალსა და ლახტსა მძიმესა წვიმს რისხვა მონაბერია[8]),
თავადთა თავთა მიწასა დაჰყრის, ასტყდების[9]) მტვერია,
და შენ თუ სცნა, სული აფრქვეთ[10]), ვერავინ გნახოს მრთელია![11])

2273. აწ ამას იქით დაშქართა ვერ გნახონ სულთა მბერავი[12]),
როდეს გაშვნა დედამან, კამდა[13]) სუდარის მკერავი[14]),

---

[1]) დად.—კრმალი გამოიღო, 428 №—ჰმალი ამოიღო.
[2]) დად.—ძეა.
[3]) 428 №—მხვადთა.
[4]) ა. ო.—სამყოფშია.
[5]) დად.—რადგან მოხუედ.
[6]) 428 №—მოსულა.
[7]) 428 № და ა. ო.—მამცდარხარ, დად.—მომცდარხარ.
[8]) ამ ხანის პირველი ორი ტაეპი 428-სა და 1505 №№-ებში ამ სახით არის:

„როსტომ ჩემია სახელი, ღრუბელთა ზედა სწერია,
კმალსა და მძიმეს ლახტსა წვიმს იგ რისხვა მონაბერია,
ა. ო.—როსტომ არს ჩემი სახელი, ღრუბელთა ზედა სწერია,
კმალსა და მძიმეს ლახტსა წვიმს, რისხვაა მონაბერია.

[9]) 428 №—ატყდების, ა. ო.—თავალთა თავსა მიწათა დაჰყრის...
[10]) დად.—სული აფქნარო(?)—წარყვნილია.
[11]) 428 № და ა. ო.—ყველგან მთელია.
[12]) ა. ო.—ბერვითა.
[13]) დად.—უკმდა.
[14]) ა. ო.—მკერვითა(?).

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩემდა საომრად მოსულხარ, უჭკო, რეგვენო, შენ, ავო[1]),
და მიკვირს, რად მოსცდი საქმესა, გქონდა რა შესაკრავი?!“[2])

2274. ჭირთა მიმცემი ნიანგი მას გამოწვდილი აქვს ჴელსა[3]),
მას საგდებელი სასროლად მორთული ება სარტყელსა[4]),
ვით ლომმან კანჯრისა ჯოგსა[5]), მიმართა, იყუნეს[6]) სად ველსა,
და თვითოთა კურითა თავსა სჭრის, ორთა მჴეცთა საჭმელსა[7]).

2275. მან ამოსწყვიტა ლაშქარი, მკუდარზედა იარებოდა,
სისხლისა რუ დის, ველენი მძოვრითა აივსებოდა,
მერმე გაიქცნეს[8]) ლაშქარნი,—როსტომს ვინ დაუდგებოდა?!
და მიმართეს კლდეთა-კაპანთა, მაშიგან იმალებოდა[9]).

2276. როსტომ, მთურალი პილო ვითა[10]), მისდევს, მას აქვს საგდებე-
ავლავს უკან მიეწია, დაუბნელდა[11]) დღე ნათელი, [და.
შესტყორცა[12]) და თავს მოაბა, ჩამოაგდო ვითა მელი,
და ლაშქარშიგან, ვით იოტა[13]), მოიტაცა, დასცა ჴელი.

---

1) ა. ო.—უჭკუვო, რეგვენი ვითა.

2) ა. ო.—შესაკრევითა.

3) ა. ო.—ჭირთა მიმცემი იანგნი, მას გამოწვდილნი აქვს ხელსა.

4) 428 №—მობმულიება სარტყელსა—ლექსთ-წყობას ღალატობა, ა. ო.—მან საგდებელი მორთული სასროლად მოება ჴელსა.

5) 428 №—კანჯრის ჯოგშიგან(?).

6) ა. ო.—იყო.

7) ა. ო.—თვითოსა კრითა გასჭრიდა, ორთა მჴეცთა შესაჭმელსა.

8) დად.—გაიქცენ. ა. ო.—გაიქცა ლაშქარი.

9) დად.—და მიმართეს კლდესა, კაპანსა, მაშიგა იმალებოდა.

10) 428 №—მთურალსა სპილო ვითა, ა. ო. და დად.—მთურალი პილო ვითა.

11) ა. ო.—დაუბნელდა.

12) ა. ო.—შესტყორცნა.

13) 428 №—იოტა, ა. ო.—ლაშქარშია ვით იოტა.

2277. მათ დაშქართა ვერა სცნეს რა, თუ მინახავს ვერვინ თქვათ[1]),
მაგრამ შეჰკრა საკდებლითა რისტომ ველად, ვითა თხათ[2]),
წინ ქუეითად გაიძღვანა[3]), მართლად მითხარ, მას გკითხათ[4]),
და რომ ტყუილი არ შეგაჩნდეს, შენვე გიჯობს, მართლად
სთქვათ[5]).

2278. თუ მასწავლო თეთრი დევი, მასთან მყოფნი გრძნების მქნელნი[6]),
ფოლადე, ბედა, დულადე: ღუნდი სად არიან გზისა მცველნი?[7])
სადა ქალზ კელ-მწიფე ზის და შეკრულნი ერანელნი[8]),
და თუ ეს მართლად გამიცხადო, შენ გნატრიდენ სრულად კმელნი.

2279. თავდებად მოგცე უფალი და მისი[9]) სახიარობა,
მაზანდარისა სამეფო და მისი შარიარობა[10]),
მას მძიმე ლახტი წაუღო, ტახტისა შვენიარობა[11])
და დაგხურო მისი გვირგვინი, შენ მოგხუდეს ნებიარობა[12]).

2280. ჩემი სიტყუა გაიგონე, ველად ეგრე მოახსენა:
თბუღლი ჯავრით დაიცალე, დამიჯერე, ასრე ჰქნა!

---

[1]) დად.—ვერავინ თქო.

[2]) დად.—გარდამოკდა, მაგრამ შეკრა რისტომ ველად ასრე ითხო, ა. ო.—ასრე ვითა თხათ.

[3]) ა. ო.—წაიქცია.

[4]) ა. ო. და დად.—მართლა მითხარ, რაცა გკითხო, 428 №—მართლა მითხარ, რას კითხავ(?).

[5]) დად.—შენვე გიჯობს, მართალი სთქო, 428 №—შენვე გიჯობს, მართლა თქვა, ხელ-ნაწერები—თქვათ.

[6]) 428 №—მქნელი, ა. ო. და დად.—მქნელნი.

[7]) 428 №—მცველი.

[8]) 428 №—შეკრულნი ერანელი, ა. ო.—სადა ქალზ კელ-მწიფე ზის და დაკრულნი ერანელნი, დად.—დაკრული ერანელნი.

[9]) დად.—ღ̃თისა.

[10]) დად.—მაზანდარელის მეფობა და მისი შარიელობა.

[11]) დად.—მას მძიმე ტახტი წაუღო, გვრგვნითა შვენიერობა.

[12]) დად.—მოგხვდეს ნებიერობა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გაჰხენ თვალი წყალობისა, მამხვდეს ოდენ სულთა ლხენა[1]),
და რასაც ქმებ, მის ნიშანსა მლ́თით ჰპოვებ ჩემგან შენა[2]).

2281. თეთრის დევისა სამყოფი—არჯანგ და ბედა ქმნულნი,
სად შენ და რაში აპირებთ მისვლასა[3]) გაფიცხებულნი,
გიწყენი ქაჯთ გულ-მწიფე, დამქარნი ვაგლახებულნი,
და სად ერანელნი ასიან დამბრმალნი[4]), დატყვევებულნი.

2282. გაადრით ყველა ცალკე-ცალკე, დაგიმალეთ რამცა მეა!..[5])
აქათ ქაჯთ გულ-მწიფეულის ძეს გზა[6])—ასი ფარსანგია,
ასს სხვასა ველით[7]),—იმას იქით თეთრის დევის სამყოფია,
და გზა ავია, თრმით სავსე, საშიშარი, ძნელი[8]) დია!

2283. ორთა მთათ შუა შიშითა ორბი ვერ გარდაიფრინდების,
დევი თორმეტი ათასი გზასა სცავს[9]), ცეცხლი ენთების,
არჯანგ და საანჯ[10]) თავადნი,—მათ მტერი შეუშინდების!
და გნახვენ,—დაგნაყვენ[11]) დასტაითა, შენ გავლა გაგიძნელდების!

2284. თეთრის დევის ტანი ნახთ, თუ სთქუა: „დიდი მთა არისა,
ათის საგდებლის სიგრძე[12]) ტანს სიფარი თმა არისა[13]).

---

[1]) დად.—ოდენ მომხვდეს სულთა ლხენა, 428 №—მამხვდეს ოდონ [სულთა ლხენა.
[2]) დად.—ჩემგან პოვებ ახლა შენა.
[3]) ა. თ. და 428 №—აპირებთ მისულასა, დად.—მისვლასა აპირებთ.
[4]) 428 №—სულ ბრმანი, ა. თ. და დად.—დამბრმალნი, დატყვე-[ვებულნი.
[5]) დად.—რამცა მეა, ა. თ.—რაცა მეა.
[6]) დად.—გზა ძეს.
[7]) ა. თ.—ასს სხვათ ველით(?).
[8]) დად.—მეტად დია.
[9]) დად.—გზასა სცვენ.
[10]) ა. თ. და 428 №—საანჯ, დად.—საინჯ.
[11]) 428 №—დავნაყენ.
[12]) დად.—ათის საგდებლის სიგრძე.
[13]) 1505 და 428 №№—გზა არისა(?!), ა. თ.—მათისა საგდებლისაგან ზომა ათისა გზა არისა(?).

აწ ნუ წახვალ ჯავრიანი, მამისმინე[1]), კმა არის,
და მიმძიმს, ნაკუთი მკერდ-მკლავის წავდეს, — შუქი ჯავარისა![2])

2285. ორმოვანთა[3]) რა გაივლი, სალნი კლდენი დაგუხუდებიან,
მუნ მინდორნი საჭირონი, — თვალნი არსით გასწუდებიან! —
ბასრით ქუთა მოჭედილი, — თხასა ფერკნი მოსცუდებიან[4]),
და მერმე წყალნი ორ-ფარსანგი, ქარმან, — დევნი, — ზედ დგებიან.

2286. მას იქით მაზანდარამდის ქალაქი[5]) აშენებული, —
სახლი სახლზედან ჰკიდია, ერთმან-ერთზედან გებული,
სამასი ფარსანგი სიგრძე ნაგები[6]), გამაგრებული,
და სათმრად ძნელი საჭირო, სიმაგრით არის ქებული[7]).

2287. ჰყავს[8]) მეომარი ურიცხვი — ფილო[9]) ათასჯერ-ათასი,
ვერვინ შეუვა[10]) შიშით, ცხენოსანი ჰყავს სხვად ასი,
აქუს უამრავი საჭურჭლე[11]), — აბჯარი, — ოქრო და[12]) თასი,
და კაცსა ვერ ნახავ გლახასა[13]), — ოქრო აცვია ხალხსა.

---

[1]) დად. და ა. ო. — მომისმინე, ა. ო. — მომისმინე, კმარ არისა.

[2]) ა. ო. — წავლენა შენის ჯავარესა.

[3]) დად. — ირმოვანსა, 1505 და 428 №№ — არმოვანსა, ა. ო. — არმავანთა, 428 № — არმოვანთა.

[4]) ა. ო. — ბასრთა ქვათა მოჭედილი თხას ფერკნი მოუსხლტებიან.

[5]) ა. ო. — ქალაქთ.

[6]) დად. — სიგრძე სამასი ფარსანგი ნაგები, 458 და 1505 №№ — ფარსანგი სამასი სიგრძე.

[7]) ა. ო. — სიმაგრით გამაგრებული.

[8]) დად. — ღვას.

[9]) 428 № — ყველგან „სპილო", დად. და ა. ო. — ყველგან „პილო".

[10]) დად., 428 და 1505 №№ — მიუვა.

[11]) დად. — აქუს უმარავლი საჭურჭლე, 428 და 1505 №№ — უმრავლესი.

[12]) ა. ო. და 428 № — აბჯარი, ოქრო და თასი, დად. — აბჯარი, ოქროსა თასი.

[13]) დად. — გლახაკსა, ა. ო. — გლახაკთა.

2288. ერთი მარტო ცხენოსანი, თუმცა მთა ხარ, სრულად რკინა,
ვა[1]) თუ დევთა ბასრმან ლახტმან დაგნაყოს და წაგაკვდინა!
რა ეს[2]) ესმა ავლადისგან, როსტომ დიდი გაიცინა:
და — შენ თუ ჩემი მოყვარე ხარ, მიმიყვანე მათსა შინა[3]).

2289. დ´თით[4]), შენ ნახავ, მათზედა ჩემგან რა მოიწყვებისა!..
რა უკუ მათსა ლაშქარსა, — მე მამზადეს[5]) ეტლი ძლევისა. —
მათ ჩემი კრმალი უწყენო, ნაკრავი სისხლთა თხევისა,
და ძარღვებსა დავსწყუდი, — მათ სიგრძე აქ განად მოექცევისა![6])

2290. სადა ქალაქ კედლ-მწოიე ზის, შენ წამიძეღ მენით ხვალე[7]),
ავლადს ესმა, გაემართნეს, მათ იარეს მეტად მალე,
დღე-ნათელი, ღამე-ბნელი არ ეტყობის სიმაშურალე[8]),
და სად ქალაქს დგომილიყო, ეს ასფეროზს მივლენ[9]) ხვალე.

2291. როსტომ ნახა, მენით ცეცხლი მაზანდარას დაავზნიან[10]),
ავლადს ჰკითხა: „იქ რა არის, სადა სპანი იძახიან?"
მოახსენა: „დარაჯანი დარაჯობენ, იქა დიან,
და კედლ-მწოივე და ერანელნი დაბრმობილნი იქა ბიან[11]).

---

1) დად. — ვაი თუ.

2) დად. — „ეს" აკლია.

3) დად. — და ნუ მიამბობ მაგ ამბავსა, აწ წამიძეღვ მალე წინა.

4) 428 № და ა. თ. — ყველგან „მღ´თითა".

5) დად. — რა უკუ მათთა ლაშქართა, — მე მომზადეს..., ა. თ. — მათსა ლაშქართა.

6) ა. თ. — და ძარღვებს დავაძრობ, მათ სიგრძე აქ განთაც შეექცევისა, 428 და დად. — ძარღვებსა დავსწყუდი, მათ სიგრძე და განად მოექცევისა.

7) 428 № — შენ წამიძეღ მუნით ხალე, დად. — შენ წამიძეღვ წინა [ხვალე.

8) ა. თ. — მოსამალლე(?).

9) ა. თ. და 428 № — მივლენ, დად. — მივა.

10) დად. და ა. თ. — დაავზნიან.

11) დად. — ტახტზედ სხენან და მუნ ახიან, ა. თ. — დაპყრობილნი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

2292. დულად და ბედად არიან თავადად განაჩენით[1]),
თუთრის დევის ბრძანებით არჯანგ—ხე რომ ჩანს გრძელით[2]), —
წამსა და წუთსა[3]) კივილი კმა ისმის მონათვენით[4]),
და მოვა ომის მძებნელი, აქვს მოლოდინი შენით!"

2293. ოდენ მიწვა, მიიძინა, ზედ შნაითბი მზე მოვიდა,
როსტომ რაშსა მოუჭირა, მძიმეს ლახტს ჩაირჭმიდა[5]),
მუზარადი დაიხურა, ზედ ბაბრაბსა ჩაიცმიდა,
და ავლად ხეთა[6]) უგუ-აკრა, დევთ საომრად წამოვიდა.

2294. მან დამქართა შეუტივა, სად არჯანგ და სპანი დგეს,
როსტომ დიდი შეუზახნა[7]), გააწობდა ტინსა კლდეს,
კარვიდამე[8]) გამოიჭრა არჯანგ მიხუდა სიშმაგესა[9]),
და როსტომ ცხენით შეუტევა, დევთა ლაკავს[10]) ვითა ბზესა.

2295. არჯანგს თავსა კელი მიჰყო, მან მოსწყვიტა ფიცხლად სულად[11]),
დამქართაკენ სისხლიანი შემოსტყორცა დანა სრულად,

---

[1]) 428 №—არჯანგ და ბედად არიან თავადად განაჩენით, ა. ო. და დად.—დულად და ბედად, ა. ო. და 428—თავადად, დად.—სჟაადად.

[2]) დად.—არჯანგ ხე რომ დგას გრძელით, 1505, 428 და ა. ო.—არჯანგ ჰე რომ ჩანს გრძელით.

[3]) დად.—წამსა და წამსა.

[4]) ა. ო.—წამ და წუთს კმა კივილისა ისმის არ მოწაფენით.

[5]) 428 და ა. ო.—ჩაიგებდა, დად.—ჩაირჭმიდა—ლექსს უფრო უხდება, თუმცა საეჭვოა.

[6]) ა. ო. და 428 №—ხეთა, დად.—ხესა.

[7]) დად. და 428 №—შეუძახა.

[8]) 428 №—კარვიდალმა, დად.—კარვიდამე, ა. ო.—კარვიდამენ.

[9]) 428 №—სიშმცდრესა(?).

[10]) 428 №—ხ-ნით, ა. ო.—მტერთა ლაკავს ვითა ბზესა, დად. და 428 №—როგორც ბზესა.

[11]) დად.—სრულად, 428 №—ფიცხლავ სულად, ა. ო.—ფიცხლად სულად.

ნახეს დევთა, ეუცხოვა, მათ ჩაეგზნა ცეცხლი გულად[1]);
და მძიმე ლახტი ხელთა ჰქონდა, მოეგება წინა ღულად[2]).

2296. პილოტანმან რაში მისკენ გაიბრუნვა[3]), რაზმი ფრიწა,
მუზარადსა რა ლახტი ჰკრა, ტვინი შუა გაუფრიწა[4]),
ცხენიდამან[5]) ჩამოვარდა, დაეცა და დაძრა მიწა,
და ვითა ლომმან კანჯრის ჯოგი[6]); დევთა რაზმი დაცაფრიწა.

2297. მოვიდა და ამაზედან შეეყარა[7]) ბედა ხელად,
როსტომ შეჰკრა მკერდს ხანჯარი[8]), გულისაკენ გასახვევლად[9]),
ზურგის ძვალი გაუხეთქა[10]) სისხლისათვის გარდმამჩქეფლად[11]),
და დევთა ნახეს, შეეშინდა, გაემართნეს გასაქცევლად.

2298. როსტომისკენ გაუკვირდა და გაუსქდა დევთა გული,
არც სამეოვი მოიგონეს, არცა შვილნი, დედა-წული,
მათ თაამთან უკან მიზდევს[12]), კრმალ-მოწყდილი, გამახული,
და მან დასცალა გრძნეულთაგან დევთ-სამეოფო, ქაჯთა სული[13]).

---

1) 428 №—ნახეს, დიდად ეუცხოვა, მას ჩაეგზნო ცეცხლი გულად.

2) ა. ო.—ღულად წინად(?).

3) 428 №—გაიბრუნა.

4) დად.—მუზარადსა ლახტი დაჰკრა, ტვინი ორად გაუფრიწა.

5) დად.—ცხენისაგან ჩამოვარდა, ა. ო.—ცხენიდამან.

6) დად.—და ვითა ლომმან თხისა ჯოგი, ა. ო.—კანჯრის ჯოგსა.

7) დად.—შეეყარა.

8) 428 № და ა. ო.—ხანჯალი.

9) ა. ო.—გასახვევლად.

10) დად. და 428—გაეხეთქა.

11) დად.—დასათხევლად.

12) დად.—მიზდევს, 428 №—იმათ როსტომ უკან მისდევს.

13) დად.—და მან დასცალა სამეოფოთაგან დევთ, გრძნეულთა ქაჯ-თა სრული, ა. ო. და 428 №—...ქაჯთა სული—სწორი უნდა იყოს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

2299. რა დევთზედა გაემარჯვა, უკუ-მობრუნდა ფიცხლავ ისი¹),
მოვიდა და ავლად აკსნა²), ბრალი ჰქონდა გულსა მისი.
ასტყერთზის ჭალასშიგან მთისა ძირსა დადგეს ისი,
და იმალვოდეს³). დევთა მისვლა ვერ შეატყო როსტომისი.

2300. დასხდეს რასმე ხეთა ძირსა⁴), მათ მონახეს ტურფა ჩრდილი,
პილოტანი ავლადს ჰკითხავს: „სად ზის მეფე შეპყრობილი?“
ადგა, წინა წამოუძღვა, სადა ქაოზ დაბრმობილი⁵),
და ქალაქშიგან⁶), სად ტყვედ იყვნეს ერანელნი დაპყრობილი⁷).

2301*). რა შევიდა ქალაქშიგა, დაიკივლა დიდი რაშმა,
ქაოზ იცნა, თქუა: „პყრობილნი ჩუენ დაგვიკსნა ლხინმა ასმა.
შეჭირვება უბოლოოდ ჩუენი შექნა⁸) ზეცით დასმა,
და უსაცილოდ რაში არის, მე კვივილი მისი მესმა!“

2302. კელ-მწიფისაკენ წავიდა გმირი, გონება-ნათელი,
მცველთა კმა ესმა, შიშითა მათ დაუბნელდა ნათელი,
გარდაუხვეწნეს, და როსტომ პყრობილნი ნახნა ალენი⁹)
და მათ ატირდა კმა-მაღლად¹⁰), ცრემლი სწვავს თვალთა ნადენი.

---

¹) დაღ.—ფიცხლა ისი.
²) 428 №—ხ-ნით, დაღ.—კ-რით.
³) დაღ.—და იმალოდა, დევთა მისვლა ვერ შეატყო როსტომისი, 428 №—მისულა, ა. ო.—იმალვოდა... არ შეეტყო...
⁴) დაღ.—ქვეშე.
⁵) 428 №—სადაც არის დაბრმობილი.
⁶) ა. ო.—ქალაქშია.
⁷) ა. ო. და 428 №—დაპყრობილი, დაღ.—ერთობილნი.
*) ეს ხანა ა. ო.-ში ამ სახით არის:
რა შევიდა ქალაქშიგან დაიკვივლა რაშმან დიდმა,
ქაოზ იცნა, თქვა პყრობილნი ჩვენ დაგვიხსნა ასმან ლხინმა,
შეჭირვება უბოლოოდ ჩვენ შეგვიქნა ზეცით დასმა,
და უსაცილოთ რაში არის, მე ხვივილი მისი მესმა.
⁸) 428 №—უბოლოვოდ შექნა, ა. ო.—ჩვენ შეგვიქნა.
⁹) 428 № და ა. ო.—ალელი.
¹⁰) დაღ.—კმა-მაღლა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

2303. ეთაყუანა კედლ-მწოდეს მან, ამბავი დევთ ჰკითხა[1]),
მას კედლ-მწოდე მოეხვია, მოჭდობილი იდგა დიდ-ხა,
მან ამბავი ზაალის, გზის გარჯა,— ყუელა ჰკითხა,
და მალვით უნდა გრძნეულთაგან, ნუ იყოვნი წასვლას დიდხა[2])!

2304. თუ შეიტყობს[3]) თეთრი დევი, ვითა ცეცხლი აენთების,
სცნობს სიკუდილსა არჯანგისას, ფიცხლად ზედა მოგეკიდების,
გრძნებითა და ილათითა დევთა[4]) მიწა აივსების,
და თან მოიტანს სრულად დევსა, ჭირ-ნახული წაგიკიდების.

2305. შენ მიმართე დევთა სახლსა, კრმალი გქონდეს წინა-მავლად,
მათი საქმე ყუელაკაი[5]) მოგახსენოს, იცის ავლად,
ამას იქით საშიშარი შვიდი მთა გიც[6]) გარდასავლად,
და ღ̃თის ძალითა დევთა თავი შენ გარით მტვერთა[7]) ნავლად.

2306. გზის მცველნი გაუწყვეტლად სხვანი დევნი დაგხუდებიან,
გინდა გლოვა საომრად, ვითა ვეფხნი[8]) დადგებიან,
ერთი კეჩი—საშიშარი ნახო,—თვალნი გატყდებიან,
და საკრძალავი,—ფათერაკის მტერნი ვერსით მორჩებიან!

2307. მას კევის თავსა სამეფოვი თეთრის დევის არის;
იგ არის ზურგი ლაშქართა, სფაადი[9]) მაზანდარისა,

---

[1]) ა. ო.—მან ანბავი ზაალისა, გზისა გარჯა,—ყველა ჰკითხა, 428 №—მან ანბავი ზაალისა, გზისა გარჯა მოიკითხა.

[2]) დად.—მალვით უნდა გრძნეულთაგან წასვლა, ნუ იყოვნი დიდხა.

[3]) დად.—თუ შეგიტყობს.

[4]) ა. ო.—გრძნებითა და ილეთითა დევთაგან.

[5]) დად.—ყოველივე, ა. ო.—ყველაკაი.

[6]) დად.—ქეს, ა. ო.—ამას იქით გარდასავლად შვიდი მთა გიც საშიშარად.

[7]) 428 №—მღთის ძალითა... მტერთა(?) ნავლად.

[8]) 428 №—ვითა ვეფხი, ა. ო.—ვითა ვეფხვი, დაგხვდებიან.

[9]) ა. ო.—საფადი.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ეტადე მისსა სიკუდილსა, გრძნებითა სავსე არისა,
და მიგუხუდა ჩუენ სრულად ნათელი ტირილით თვალ-დამწყარისა[1]).

2308. თქუა მკურნალმან ჴელოვანმან: „ძვირსა ფასსა ვინ აიღებს,
თუ ვინ მოჰკლავს თეთრსა დევსა, გულსა[2]) მისსა გამოიღებს,
მე იმედი გარდავსწყუიტე[3]), ვთქუი თუ: „აქა ვინ მოიღებს!“ —
და სამჯერ იწვეთ სისხლსა მისსა[4]), სიბნელესა გამოიღებს.“

2309. აქა როსტომ გაემართა თეთრის დევის საომრად,
ერანელთა დააგედრა, თქუა: „იყუენით[5]) გულ-მღვიძარად!
არის ერთი მეომარი, რომ მასმია პილოს[6]) დარად,
და მამერითს დევთა დასთ,—თქუენ ღმერთი გუავს მოსაკმარად[7]).

2310. მე თუ მომკლას შემოქმედმან თქუენ მეშველი სხვა მოგიგვართს[8]),
მოგვერთო, წყალობისა ეტლმან ზეცით თქუენ დაგფაროს,
ხოსროულმან ხემ ნაყოფი[9]) გამოიღოს აგი არის,
და ტახტი ჰპოვოთ[10]) თავ-თავისი, ქაოზ მეფემ გაიხაროს!

2311. გულ-მესისხლედ წამოვიდა, პირი მიწას გაამყარა,
შეეკაზმა[11]) დევთ საომრად, მან დააგდო აგლად არა,

---

[1]) 428 №—და მიგუკუდა ჩუენ სრულად ნათელი ტირილით თვალ-დამწყარისა, ა. ო.—და მიგვხვდა ჩუენ სრულად ნათელი, ტირილით თვალ-დაპყრობილსა, დად.—და მიგვხვდა სრულად ნათელი ტირილით თვალ-დამწყარესა.

[2]) ა. ო. და 428 №—გულსა, დად.—ღვიძლსა.

[3]) ა. ო. და 428 №—გარდავსწყუიტე, დად.—გარდამიწყდა.

[4]) 428 №—და საჯერ ვიცვეთ სისხლსა მისსა, დად.—სამჯერ იწვეთე სისხლი მისი, ა. ო.—იწვეთ სისხლსა მისსა.

[5]) 428 №—თქუენ იყუენით.

[6]) 428 №—ყველგან სპილოს, ა. ო.—რომე მესმა პილოს დარად.

[7]) ა. ო. და 428 №—მოსაკმარად, დად.—წინამძღვარად.

[8]) 428 №—მეშველი სხვა მოგიგვართს.

[9]) 428 №—ნაყოფმან, ა. ო.—ხოსროულმან ხე ნაყოფად.

[10]) ა. ო.—და ტახტი ჰპოოთ თავ-თავისი,...

[11]) დად.—შეეკაზმა.

რაშმან ფიცხლად შეუტივა, მთა უგრძნობლად გარდიარა[1]),
და არ ჩავარდა ორმოშიგან[2]), დარაჯათა უგრძნეს არა.

2312. მივიდა მის კლდის თავსა, სად იყო დევთა ყრილობა,
ნახა მრავალი ლაშქარი, მუნ დევთა[3]) შემოყრილობა,
ავლაბდს უბრძანა: „აქამდის ვცან შენი გამოცდილობა,
და მართლად მასწავლე ყოველი[4]), არა ჩანს გარდასრულობა[5]).

2313. აწ მართალი გზა მიჩვენე, შენ კვლავ დამდევ დიდი ვალი,
მასწავლე და გამამანდევ[6]), სადა სახლობს დევი მყრალი,
სადაც არის თეთრის დევის სამყოფი და შესავალი,
და გზისა მცველნი დარაჯანი რაზომია, რა[7]) მრავალი?!—

2314. ზედ მივდომა რაგვამ უნდა, თუ[8]) ღმერთმან ქნას ჩვენი ნება?"
ავლაბდ უთხრა: „სიცხის ჟამსა დღემან რა ქნას გასწორება,
მაშინ ძილი გახშირდების, მოუნდების მოსვენება[9]),
და კიდევ ცოტად[10]) ნუ ისწრაფი, ჟამად გიჯობს დაყოვნება!

2315. მაშინ სძინავს კლდე ერთად, მათ ცოტა უთქს მოდარაჯე[11]),
ღ˝თით ძლევა შენ მოგხუდების, განგებითა გაუმართე![12])

---

[1]) ა. ო.—რაშმან ფიცხლად შეუტია, მთა უგრძნობლად გარდიარა, 428 №—რაშმან ფიცხლავ შეუტივა, მთა უგრძნობლად გარდიარა, დად.—რაშმან ფიცხლავ შეიდივე მთა უგრძნეულოდ გარდიარა.

[2]) დად.—ორმოშიგა.

[3]) ა. ო. და 428 №—მუნ დევთა შემოყრილობა, დად.—მუნ დიდი შემოყრილობა—რუსთველის მიბაძვით.

[4]) 428 №—ყოველი, ა. ო.—ყოელი, დად.—ყუელაი.

[5]) დად. და ა. ო.—გარდასრულობა.

[6]) 428 და ა. ო.—გამამანდევ, დად.—გამომანდევ.

[7]) ა. ო.—რომ მრავალი(?).

[8]) დად.—რომ ღ˝თმან ქნას ჩვენი ნება.

[9]) დად.—მაშინ ძილი მოუნდების, გახშირდების მოსვენება.

[10]) დად.—პატარაკად ნუ ისწრაფი, ა. ო.—ნუ ჩქარობ და ნუ ისწრაფი.

[11]) დად.—უდგეს მოდარაჯე.

[12]) დად.—გაგიმარჯვებს, თუ გამარჯვე.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მოიცადე, მზე გუმბადსა[1]) რა ამაღლდეს მოარაჯე!"
და ავლად შეკრა საგდებლითა, — მალვით დადვა: — „იყავ, დაჯე!"[2])

2316. როსტომ ჩაიცვა აბჯარი[3]), ადიდა დამბადებელი;
მოწყუდილი კრმალი კელთა აქუს[4]), მათ დევთა მოკვრებელი,
შიგ ჩაერია ლაშქართა[5]), მაშინ დევთა ჩანს[6]) მზე ბნელი, —
და ომი შეიქნა სასტიკი. გათენდა მეტად დღე ძნელი!

2317. ცა დაეცა ქვეყანასა[7]), გვანდა დევთა ყვირილითა,
როსტომ ხანჯრით[8]) თავსა სჭრიდა, ქვაბისაკენ მივა ვლითა[9]),
წინ ვერავინ დაუდგების[10]) მას ომისა სახელითა,
და რაში ტერფით იომდა, ქარსა გვანდა წამოვლითა.

2318. იქით-აქეთ დაკოცილთა დევთა ჰყრიან, ვითა ბზესა[11]),
ქვაბისაკენ შეისწრაფეს[12]), თეთრსა დევსა მიმართესა,
მან პილომან ვითა მთვრალმან[13]), — ოდენ ხედვენ სინათლესა, —
და ჯოჯოხეთის მსგავსი იყო, მიხვდეს დიდსა სიბნელესა![14])

---

1) 428 № — გუმბათსა.

2) ა. ო. და 428 № — მალვით დადვა, იყავ, დაჯე, დად. — მალვით იყავ აქა, დაჯე!

3) 428 № და ა. ო — აბჯარი, დად. — ბაბრაბი.

4) ა. ო. — მოწყვდითა კმალი კელთა აქვს...

5) 428 № და ა. ო. — ჩაერია ლაშქართა, დად. — შიგ გაერია სა-[ომრად.

6) ა. ო. — ჩნდა.

7) ა. ო. — ქვეყანათა.

8) 428 № — ხანჯლით.

9) ა. ო. — ქვაბისკენ მივა ძალითა.

10) ა. ო. — დაუდგნობდის.

11) ა. ო. და 428 № — იქით-აქათ დაკოცილსა დევსა ჰყრიდა წამოვლითა. — ამ პირველი ტაეპის შემდეგ 428 № — მისდევს დადიანისეულს.

12) 428 № — ქვაბულისკენ შეისწრაფეს(?), ა. ო. — ქვაბისაკენ შეისწრაფეს, თეთრსა დევსა მიმართითა.

13) დად. — მან პილომან ვითა მთვრალმან. — ოდენ ხედვენ სინათლესა, 428 № — მან სპილომან ვითა მთვრალმან..., ა. ო — მან პილომან ვითა მთვრალმან ოდენ ხედვენ სინათლითა.

14) დად. — მიხვდენ რასმე სიბნელესა, ა. ო. — მიხვდეს დიდსა სიბნელითა(?).

ეროვნული
ბიბლიოთეკა

2319. საბრძოლეს შიგან იყო მის ბილწის დევის ტანი,
რომელთამ რაშით გარდამოჰკლდა, შინ შევიდა მიდოტანი¹),
ტანი ოფლით დასურილი²) აქვს და მაგრამი სისხლიანი,
და გზა არა აქვს წამოსვლელად³), ბნელშიგან დგას გულოვანი.

2320. რაში ვიწრის გზაში იდგა, შიგ არავის შეუშვებდა⁴),
ვინც მივიდის⁵), ეომოდა, მას საკლავად ტერფით⁶) სცემდა,
თვალთა კვლა უკუმოიყლო როსტომ, ცრემლის მოიწმენდა,
და მთის ოდენი ბნელშიგა ჩნდა, თქუა: „რა ვნახე ესე მე და?!"⁷)

2321. წვა ქვაბშიგან, სიდიდით მართ ძლივ ოდენ ეტეოდა⁸),
პირ-გიშერი, ტანად პილო⁹), თმა კოჭამდის ჩასწვდებოდა,
სიბრტყითა¹⁰) და სიდიდითა იგ დრუბელთა შესწვდებოდა,
და ადგა როსტომ, ზედ მოუხდა, უცხო აღარ იქნებოდა¹¹),

2322*). თავს ერქუა¹²) რკინის ქუდი, ჰგვანდა, დიდი¹³) მთა მართია,
გულშიგ¹⁴) შეღრკა, თქუა: „უთუოდ აწ გათავდა ჩემი დღია!"¹⁵)

---

¹) დად.—გულოვანი—მეორეზე ტაეპიც ამ სიტყვით ბოლოვდება.
²) დად.—შესვრილი.
³) დად.—წასავალად. [შეუშვებდა
⁴) 428 № და ა. ო.—შიგ არავის შეუშვებდა, დად.—შინა არვის
⁵) დად. და ა. ო.—მოვიდის, ა. ო.—ეომოდა, 428 №—ვინც მი-
⁶) ა. ო.—ტერფსა სცემდა. [ვიდის, ეომოდა.
⁷) 428 №—თქუა: ვნახეო მე ესა და, ა. ო.—და მთის ოდენი ბნე-ლეშიგან, თქვა, ჩანს რომე ვნახე მე და.
⁸) ა. ო.—იწვა ქვაბშიგან, სიდიდით მართ ძლივასა ეტეოდა.
⁹) 428 №—ყველგან „სპილო".
¹⁰) 428 №—სიპრტყითა.
¹¹) 428 №—ადგა, როსტომს ზედ მიუხდა, დად.—და ადგა როს-ტომ, ზედ მიუხდა, უფრო აღარ იქნებოდა, ა. ო.—უცხო რამე იქნებოდა.
*) ამ ხანის მეორე ტაეპი დად.-სეულში მესამედ არის, ხოლო მე-
¹²) დად.—ერქო. [სამე—მეორედ.
¹³) დად.—შავი მთა.
¹⁴) 428 №—გულში.
¹⁵) დად.—გულშიგ შეღრკა, „ულონიოდ ვაი გათავდა ჩემი დღია!" ა. ო.—გულშიგან შეღრკა, ესე თქვა, გათავდა ჩემი დღითია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნამეტნავად გაუკვირდა, როსტომს მისი სიდიდა[1]),
და თავსა უთხრა: „არას მარგებს ლაფლად ყოფა[2]) აქა შია!“[3])

2323. როსტომ გაფიცხდა, მას დევს საწუთრო აარმებინა[4]),
მას ბასრი კრმალი შემოჭკრა[5]), ბარკალი გააგდებინა,
მან[6]) დევმან ტოტი წამოჭკრა[7]), ფარი არ აფარებინა,
და ვით შალთ შემოეჭრილა, კრმლის ცემა გააშვებინა[8]).

2324. ერთმანერთსა შეეჭიდნეს[9]) გულ-მესისხლედ, უცხო ფერად,
აბჯარსა და კორცსა გლეჯდა დევი როსტომს,—„მამკლავ მე რად?!“[10])
კრმლითა სცემდა ჰილოტანი საკლავად[11]) და სისხლით მღვრელად,
და მიწა სრულად გაწითლეს მათ, შედებეს ვარდის ფერად.

2325. მას აბჯარი დაუხივა, დევი მედგრად ეჭიდების,
—„ორში[12]) არის ჩემი საქმე“,—როსტომ გულსა[13]) უბნების:
„ამ დევისა კელისაგან დღეს თუ სული მე შემრჩების,
და თუ ვით ამას მოუჩრჩე, მის დღეშიგან[14]) არ მეგნების!“

---

1) ა. თ.—როსტომს მისი სიდიდითა.
2) დად.—ყოფა, 428 №—არას მარგებს აქა ყოფნა.
3) ა. თ.—აქა მითა.
4) ა. თ.—საწუთრო ამარებინა(?).
5) ა. თ. და დად.—შემოჰკრა, 428 №—შამოკრა.
6) დად.—მას.
7) ა. თ.—შემოჰკრნ.
8) დად.—გააგდებინა, ა. თ. და 428 №—კლმის ცემა გააშვებინა.
9) დად.—შაეჭიდნენ, ა. თ.—ერთმანერთსა შეეჭიდნეს მესისხლედ და უცხო ფერად.
10) 428 №—აბჯარსა და კორცსა გლეჯდა დევი როსტომს, მომკალ მე რად?!.
11) 428 №—საკუღავად.
12) 428 № და ა. თ. ორში, დად —ორშიც.
13) დად.—თავსა.
14) დად.—ყველგან უ-ნაროთ.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

2326. თუთრმან დევმან თქუა: „სულთაგან ვაი აღარ მიც მე წილი!
ამას მოვრჩები ცოცხალი[1]), წავიდე გარდახვეწილი,
ფეხ-შეკუეთილი, დაჭრილი, ამისგან ძვალ-დალეწილი,
და მე მაზანდარას ვერ მნახონ უფერგო, ტყავ-დაფრეწილი!"

2327. ვითა ლომმან, დევსა კელი როსტომ მიჰყო ამაზედა,
აიყუანა თავის სწორად, მედგრად დასცა მიწაზედა,
მას ხანჯარი გასაპობლად დააძკერა გულსა ზედა,
და ამოგლიჯა მას გულ-ფირტვი[2]), უკუიცვა მკლავსა ზედა.

აქა იბრიანა ღ̃თან ქექაოზ კელ-მწიფისა და ერანელთ დახ-
სნა. გათავდა თეთრის დევის დღე როსტომის კელითა*).

2328. მის დევის სისხლისაგან იგი ქუაბი სრულ[3]) ავსილა,
როსტომ შეჯდა, წამოვიდა, ავლად ჯერედ არ აკსნილა[4]),
დევთა სცნეს და გაემართნეს[5]), თუ სადა ვინ დარჩომილა,
და ავლად გაკსნა, წამოვიდნეს[6]), მას უამბო, რაცა ქნილა.

2329. ავლადს მისცა იგ გულ-ფირტვი, ქაოზისკენ[7]) წამოვიდეს,-
მერმე ავლად მოახსენა: „მკლავთა ჩემთა რა მკურნიდეს?"
შეკრულობის ნიშანი მქს, გული ჩემი შიშით ძრწიდეს[8]),
და ბრძენმან კაცმან ქადებული არ უტყუოს[9]), მას უზმიდეს.

---

1) ა. ო.—მას მოურჩები ცოცხალი.
2) ა. ო.—და ამოჰგლიჯნა მას გულ-ფირტვნი, უკუიცვა მკლავთა
*) ეს სათაური ა. ო.-ში არ არის. [ზედა.
3) 428 №—ყველგან სულ.
4) 428 და ა. ო.—ჯერედ არ გახსნილა, დად.—ჯერეთ არ გაკსნი-
5) 428 № და ა. ო.—გაემართნეს, დად.—გარდიწვეწნენ. [ლა.
6) დად.—ავლად აკსნა, წამოვიდა, ა. ო.—და 428 №—ავლად გა-
ხსნა, წამოვიდნეს.
7) დად.—გულ-ფილტვი, ქაოზისკე, ა. ო.—ავლადს მისცა იგ გულ-
8) დად. და ა. ო.—ძრწიდეს, 428 №—წრწიდეს. [ფირტვნი.
9) ა. ო.—არ უმტყუოს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

2330. ხვადო[1]) ლომო, შენ საწუთრო დაიმონე კრმლითა სრული[2]),
კელ-მწიფეთა გვირგვინი ხარ, მტერთა ზედა მორეული,
შენ ტყუილი არა გმართებს მომსპოლველი დევთა სრული,
და ჩემი გული გაახარე, გამითავე[3]) ქადებული!"

2331. როსტომ ბრძანებს[4]): „თუცა ჭირთა შენ ნაცვალსა არ მოგხუდების,
მძღურითა მძღურამდის შენ მოგათული[5]), ერთი საქმე მეძნელდების,
გრძელი ჭირი წინავე გვიც, ფათერაკი დაგვესწრების[6]),
და ვერ დაიჭერ მაზანდარას, თუ კელ-მწიფე არ მოკუდების.

2332. კამს ჩემგანვე ამისი ქნა, ტახტისაგან მოტაცება,
მას დაჭედა ბორკილითა, ღრმას ორმოსა შიგ ჩაგდება,
ას-ათასის მეომრისა დევის თავის მოშორვება[7]),
და ამამიგან ვაი[8]) თუ მოვჰკუდე, მიხუდეს მტერთა მოსვენება!

2333. გაგითავებ ქადებულსა",—კულავ იმედი ავლადს მისცა.
სცნა ქექაოზ, გაემარჯვა[9]), ღმერთსა დიდი მადლი მისცა,
თქუეს თუ: „მოვა პილოტანი, რომ მოესრნეს მტერნი ვისცა[10]),
და მოეხვია კელ-მწიფესა, დალოცა და თაყუანი სცა.

---

1) 428 №—მხვადო.

2) 428 №—კლმითა ქნული, დაიმონე ჴლმით მამული.

3) ა. ო.—ალმისრულე.

4) დად. და ა. ო.—ბრძანებს, 428 №—ბრძანა: თუმცა ჭირთა...

5) დად.—მზღვრითა-მზღვრამდი შენ დაგათელი.

6) დად.—გარდაგვკადების.

7) ა. ო.—ასს ათასსა მეომარსა დევსა, 428—ასი ათას მეომრისა...

8) დად. და ა. ო.—ამაზია ვაი თუ მოვკუდე, 428 №—ამაზიგან აწ თუ მოვკუდე.

9) დად.—ცნა ქექაოზ გამარჯვება.

10) დად. და ა. ო.—თქუეს თუ: მოვა პილოტანი, რომ მოესრნეს მტერნი ვისცა, 428 №—თქუა თუ: „მოვა პილოტანი, რომ მოესრნა...

2334. მოახსენა: „ხელ-მწიფეო, მტერნი შენნი ველარ ვლიდენ![1])
მე დავღვარე სისხლი მათი, მტერნი[2]) სრულად ამოვსწყვიდენ,
თეთრსა დევსა მოვერივე, მას გულ-ღვიძლნი ამოვფრიწენ[3]),
და კართა ზედან მამიდია, წამლად სისხლნი თვალთ იწვეთენ[4]).

2335. ქათზ ბრძანებს: „პილდოტანო, შენ იკმარე ჯომარდობა!
ნუ უშერიდ ტახტ-გვირგვინი, ბეჭედი და ხელ-მწიფობა,
შენ კურთხევით გახსენებდენ[5]), ხამს დამქართა მორჩილობა,
და მტერთა ზედა, უზებარო[6]), ღმერთმან მოგცეს ახოვნობა!

2336*). ვინცა შექნას[7]) შენებრ შვილი, მოჩივარი მტერი ჰყვანდეს,
ტახტი მისად მონად ჰქონდეს[8]), წადილზედა არა ჰკლდეს!“
დევის სისხლი ხელ-მწიფემან თვალთ იწვეთა, გაუახლდეს[9]),
და მასვე წამსა ახილნეს, ვითა მზენი გაუნათლდეს!

---

[1]) დად.—შარიერო, ა. ო.—ხელ-მწიფეო, მტერნი შენნი შენგან ვლიდენ.

[2]) დად.—დევნი, 428 №—მტერი სრულა ამოვსწყვიტენ.

[3]) 428 №—თეთრსა დევსა მოვერიე, მას გულ-ღირტვი ამოვსწყვიტენ, დად.—მას გულ-ღვიძლი ამოვსწყვიტენ.

[4]) დად.—სისხლი წამლად თვალთა იცხენ, 428 №—წამლად სისხლი თვალთა იწვთენ, ა. ო.—წამლად სისხლნი თვალთ იწვითენ.

[5]) დად.—გმსახურებდეს, 428 №—გახსენებდეს.

[6]) დად.—მტერთა ზედა მოგცა ღ͠თნ, უზებარო, გამარჯვება, ა. ო.—უზანბარო.

*) ეს ხანა ა. ო.-ში ამ სახით არის:

„ვინცა შექნას შენებრ შვილი, მოჩივარი ჰყვანდეს მტერი,
ტახტი მისთა მონათ ჰქონდეს, მის წადილით იყოს ერი,
დევის სისხლი ხემწიფემან თვალთ იწვეთა, შექნა ჩერი,
და მასვე წამსა აეხილა, გაუკვირდა, ექნა შტერი.

[7]) დად.—ვინცა შექმნა შენებრ შვილი...

[8]) დად.—ტახტი იყოს მონად მისი.

[9]) დად.—გაუახლდეს—ლექსისთვის სჯობს, 428 №—აუხილდეს.

2337. საქიმოდ თავადთათვის იგ გულ-დვიძლი ყუმლგან არნეს[1]),
ვინც მოისვის, აეხილნის[2]), და ლხინითა დაითვარნეს,
მერმე მისცეს[3]) სხვათ დამქართა, იგინიცა შეიწყალნეს,
და რა თვალები აეხილნეს, ჴელ-მწიფეს წინ შეიყარნეს.

2338. სარას ძირსა აჯის ტახტი მას[4]) დაუდგეს,—„ნულარ სჩივი!“ —
მას გვირგვინი თავს დაადგეს,—«ქოშ, გკადრებთ, ამოდ გვივი»[5]),
გვერცა უსხდეს[6]) ერანელნი—როსტომ, ტუსი, ხარად[7]), გივი,
და მათ გოდერძი, რუამ[8]), გურგენ—გვერცა ახლდეს[9]),—ბა-
[რამ, ნივი[10]).

2339. ერთი კუარა იყუნეს წართვით, მოისვენეს, ღვინო სვესა[11]),
მათ ლხინით ალარ აკსოვს, რაცა ჭირი მისჭირდესა[12]),
აბჯრის ჩაცმა[13]) ჴელ-მწიფემან მათ უბრძანა მეორეს დღესა,
და დაეკაზმნეს ერანელნი, მძიმე დასტი აიღესა.

2340. გულ-მესასხლდე შეუტიეს, მაზანდარის ქუეყანასა,
იგ მოედუნენ ვით ცეცხლნი, გარდიკლდიან აფის ქნასა,

---

[1]) 428 № და ა. ო.—აელნეს—ლექსს არ უხდება.

[2]) ა. ო.—ვინც მოისვა, აეხილნეს.

[3]) დად.—მისცა.

[4]) დად.—მათ.

[5]) დად.—მას გვირგვინი დაუკიდეს, ქოჩზ გკადრებთ, ნურას სჩივი, ა. ო.—ქოჩზ გკადრებთ, ამოდ გვივი.

[6]) დად.—უსხდეს, 428 №—უსხდენ, ა. ო.—გვერც უსხენან.

[7]) ა. ო.—კარად.

[8]) დად.—რუამ, 428 №—როამ.

[9]) დად.—გვერდსა ახლავს.

[10]) ა. ო.—მაბან ივი(?).

[11]) ა. ო.—ღვინის სმითა(?!)—ლექსს ღალატობს.

[12]) დად.—რაცა ჭირი გარდაედესა.

[13]) დად.—აბჯრისა ცმა.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

კრმლითა ცეცხლი ააგზნიან[1]) არ იშლიან სისხლთა ღვრასა,
და წარღვნის გვანდა[2]) ქვეყანანი, ვით გენახა წყლითა რღვნასა[3]).

2341. ბრძანებს თუ: „კრმალი ჩავაგოთ, რისხვა ვყავით მას უხვი,
მ̃ღთითა ვყავით ნატკალი, შეცოდებისა პასუხი,
ჩვენ ერთი კაცი გავგზავნოთ[4]), ჭკვა ჰქონდეს, სიტყვა-პასუხი[5]),
და მოციქულობა მიართვას და ჩემის გულის პასუხი.

2342. მას უამბოს, რაცა ვქენით, მისი[6]) სული დააბნელოს,
წყენისაგან უჭკუობდეს[7]), ტვინი მისი გაათხელოს,
ერთობილთა მოეწონა, უქეს, წიგნი დაეწეროს,
და სწერენ,—დასწვან მისი სული[8]),—როსტომ თავი ისახელოს.

აქა ქექაოზისაგან მაზანდარელთან წიგნის მიწერა და მოციქულის გაგზავნა, როსტომისაგან თეთრის დევის მოკვლის შეთვლა და მაზანდარის ამოწყვეტა.

2343. გონიარი[9]) მწიგნობარი უხმო, ბრძანა მოყვანება,
მწიგნობარსა ჰარირი[10]) აქვს, მას უბრძანა ახლოს ხლება,
მათ ადიდეს პირველ ღმერთი, საწუთროსა ჴელოვნება:
და „მან დაბადა სიყვარული, მტერობა და მოწყალება!

---

1) დად. და ა. ო.—ააგზნიან, 428 №—დააგზნიან

2) დად.—და წარმოსტყუენეს.

3) დად. და ა. ო.—ქუეყანანი, მათთჳს გვანდა წყლითა რღვნასა, ა. ო.—და წარყვივნეს...

4) დად.—მოვნახოთ.

5) ა. ო.—ჭკუვით თქვას სიტყვა-პასუხი.

6) დად.—მათი.

7) დად.—უჭკოდ გაკდეს.

8) დად.—დასწონ მისი გული.

9) ა. ო.—გონიარი, სხვები—გონიერი.

10) ჰარირი—იბ. ლექს.

2344. ჭკუა-გონების[1]) მომცემი იგია, გუმართებს ვედრება!
ქტლი, მზე, მთვარე — მისით ზესკნელით, — ვარდი-ნარება[2]),
ვინ მოწყალე, — რჯულ-წმიდა, აქუს წამებულთან დარება[3]),
და ლოცვა-კურთხევა მ̃ღთისაგან მიხუდების, განძლიარება[4]).

2345. ჯოჯოხეთის ფსკერია კაცი უწყალოდ დასაგოდ[5]),
ამავე სოფელს ეკითხვის, კაკლების მტერთა სადაგოდ[6]),
მერმე მიიყუდის სატანა, ვა[7]) დასაწვავად-სადაგოდ,
და კაცთაგან წყევა მიხუდების, ევედრება სანაიდაგოდ.

2346. მოსამართლე გაოვდების, მეფობასა შესცუდის ვერა,
შეცოდების მექაფამან, მიინახავ, გიყოს შენ რა,
ქამთ-ნაქმარი[8]) ჭკვამ გასწავლოს, მაზანდარას სუფევ ჯერა,
და დევ-გრძნეულნი დაგიკოცა და ქვეყანა მოგიმტვერა.

2347. ფიცხლად[9]) დადევ ტახტ-გვირგვინი, სიტყვა გმართებს არაჯისა[10]),
მონობის კარსა მოდეკ[11]), როსტომს ბრძოლად რაღა რჯისა?!

---

[1]) დად. — ჭკუა-გონებისა — ლექსთ-წყობას ღალატობს, ა. ო. — ჭკვა-გონების მიმცემი.

[2]) დად. და ა. ო. — ზესკნელთა კადნიერება.

[3]) 428 № და დად. — წამებულთა.

[4]) დად. — განძლიერება, 428 № და ა. ო. — განძლიარება.

[5]) დად. — ჯოჯოხეთის ფსკერი არის კაცი უწყლად და სადაგოდ, ა. ო. და 428 № — ჯოჯოხეთისა ფსკერია კაცი უწყალოდ დასაგოდ — წარყვნილი უნდა იყოს.

[6]) დად. — მტერთ დასადაგოდ.

[7]) დად. — ვაი — ძველ ხელ-ნაწერებში ყველგან — ვა და არა ვაი, რაც ამტკიცებს, რომ ვაი შემდეგი დროისაა, რადგან ლექსის ზომასაც ეწინააღმდეგება.

[8]) დად. — ქამთ-ნაქმარი, ა. ო. და 428 № — ჟამ-ნაქმარი.

[9]) დად. და ა. ო. — ფიცხლად, 428 № — ფიცხლავ.

[10]) 428 № — არაჯისა.

[11]) ა. ო. — მოდექ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მისსა ომსა ვერ დაუდგამ, მელსა ტყავი — ჭკუა[1]) გრჯისა,
და გმართებს უმურად შენ მოცემა ბაჟისა და ხარაჯისა.

2348. მაზანდარას ყოფა გინდა, მონდობითა[2]) დაიჭირე,
ოჳირი დევი თუ რას გიშველის, მიდი[3]), არჯანგ დაიპყრე!
სულისაგან უიმედოდ შენცა გაგდის, მათთან ირე[4]),
და როსტომ მოგკლავს ჰილოტანი, თავი აწვე[5]) მოიტირე!"

2349. ესე წიგნი რა დაწერეს, მათ შეამკეს მრავალ-ფერად[6]),
მას გრძნეულსა საუბარი შეუთვალა[7]), — უნდა სხვა რად? —
ოჳირი დევი, არჯანგ, ლულად — ვერ მოგივლენ მოსაკმარად"[8]), —
და ვით ქარი, წამოვიდა, — მოციქულსა ერქუა ფარად.

2350. მას ქალაქსა მიიწია, სად ლუდ-კაცთა იყო გული[9]),
მაზანდარელს გელ-მწიფესა ეს ამბავი ესმა სრული,
მოახსენეს ქაოზისგან: „ვით გეწვის[10]) მისგან[11]) გული,
და ჭკვიანი[12]) და გონიერი მისგან მოვა მოციქული!"

2351. ბრძანა[13]): „კარგთა თავადთაგან შეკრება გუმართებს ჩუენა,
თავი დავდვათ მიწაზედა, მას მიხუდების ალმა-ფერნა,

---

1) ა. ო.—მელსა ტყავი შენ ჭკუა გრჯისა.
2) დად.—მონობითა დაიჭირე.
3) დად.—მიდი.
4) დად.—გაგდი, მასთან ირე.
5) 428 №—აწვე.
6) დად.—ესე წიგნი რა დაწერეს, მათ შეამკუეს მრავალ-ფერად.
7) ა. ო.—შეუთვალო, 428 №—შეუთვალა.
8) დად.—მოგივლიან მოსაკმარად.
9) დად.—სად ლევდ-კაცთა იყო გული, 428 №—სად ლუდ, ა. ო.—[სად ლუ.
10) ა. ო.—გეწვის.
11) დად.—ახლა გული.
12) დად.—ჭკუიანი.
13) დად.—ბრძანებს.

ვით წესია, კელი მისცეთ, მართ აუბნოთ ტკბილად ენა[1]),
და ლომთა წესი დავიჭიროთ, უნდა ძალის გამოჩენა.

2352. წამოვიდეს[2]), მოეგებნეს, გარდამოკდეს რასმე ველსა,
მას თავადნი ესალამნეს; ვით მოყვასსა[3]) სასურველსა,
ერთმან ვინმე დიდებულმან მოუჭირა ფარადს კელსა,
და მას ძვალ-ძარღვი დაუნაყა, სიმტკივნეს მისცა ძნელსა[4]).

2353. ფარად დამალა, ვერა თქუა, კელისა მტკივნეულობა,
კელ-მწიფეს წინა შეუძლვეს[5]), შეიქნა შეწყვეულობა,
მოდრკა, დალოცა კელ-მწიფე, შეატყო მტკივნეულობა[6]),
და მერმე მიართვა ჭარირი[7]), ქაოზის მოციქულობა.

2354. მოიყუანეს მწიგნობარი, მან ჭარირი[8]) წაიკითხა,
ლევი დაკადა რა შეიტყო, გაურეტდა თვალნი დიდხა,
მერმე საქმე როსტომისა კელ-მწიფემან ფარადს ჰკითხა,
და თუალთა სისხლი მოედინა[9]), მათთვის გული გაიფიცხა.

2355. გულმოკვა თქუა: „რა საწყალი მზე ფარადაკის დაიმალოს[10]),
„ქაოზ დაწყეს მისასყენოდ, სადადატოდ თავი არის,
ძილის ყამსა ზედ დაესხნეს[11]), გაგებული გაამყაროს[12]),
და თქუა: „ჯამი აქუს საწყუთროსა, როსტომსა რამე დაუმალოს!“[13])

---

[1]) 428 № და ა. ო.—ვით წესია, კელი მისცეთ, მათ აუბნოთ ტკბილად ენა, დად.—ვით წესია, კელი მიუსცეთ, მართ ვაუბნოთ ტკბი-[ლად ენა.
[2]) ა. ო.—ჩამოვიდეს, დად.—წამოვიდეს.
[3]) ა. ო.—მეყვისსა, დად. და 428 №—მოყვასსა.
[4]) დად.—მას ძვალ-ძულნი დაუმტვრივა, მისცა დიდსა სიმტკივნესა.
[5]) დად.—შეუძლვევ.
[6]) დად.—ჩოქით დალოცა პელ-მწიფე, შეატყო ფერ-ნაკლულობა.
[7]) დად.—არ არი—წარყვნილია.
[8]) ა. ო.—ჰარირი, სხვები—არირი
[9]) დად.—ცრემლი მოედინა.
[10]) 428 №—გარდიკალოს.
[11]) დად.—დაესხას.
[12]) დად.—დაემყაროს.
[13]) ასეა ა. ო.-ში, 428—როსტომს რაცა დაემალოს, დად.—როს-[ტომს რამცა დაემალოს.

2356. წიგნი გათავდა, ეწერა ბედა-არჯასპ ჰე რა იქნა?![1])
ღუღად-ღუნდის სიკვდილი[2]), თეთრის დევის დღე იქნა,
მას[3]) დაუბნელდა ნათელი, მისთვის უკუნად[4]) მზე იქნა,
და თუალთაგან ცრემლი სცვიოდა, თავ-ჩამოკიდებით შეიქნა.

2357. ფარადს უთხრა: „თქუენი მეფე, ნუ გგონია, ჩემზედ ქარი!
თუცა დევნი ამოსწყუეტა[5]), ჯერ არ არის ჩემი სწორი,
მყავს იმათგან უკეთესი დევ-გრძნეული[6]),—დასი ორი[7]),
და ერანზედა[8]) წამოვიდე, გავასწორო მთა და გორი!"

2358. ფარად მკუახე საუბარი გაიგონა, მას ემწოვა,
ადგა, კართ გამოვიდა, საპასუხო წიგნი სთხოვა,
მოსცეს, შეჯდა, წამოვიდა, ქარივით მალე მოვა[9]),
და რაც ენახა, მოახსენა[10]) ქაოზს, არას ესათნოვა.

2359. ქაოზ იგმნა დიდებულნი[11]), საუბარი იღო ყურად[12]),
ფარადისგან მონახსენი მათ უარით ყუელა სრულად,
როსტომ თქვა თუ: „ამ აუგის ჩემთვის[13]) ვხედავ მე დასტურად,
და ჴელმწიფეო, მე ვერ დავსდებ[14]) ერანელთა საყუედურად!"

....

1) ა. ო.—ბედ-არჯასპისა ჰე იქნა.
2) დად.—სახელი.
3) დად.—მით დაუბნელდა.
4) ა. ო.—უკუნი, დად.—მისთჳს უკუღმა დღე იქნა.
5) დად.—ამოსწყვიტა, 428—ამოსწყვიტეს.
6) ა. ო.—მყავს იმათგან უკეთესნი დევ-გრძნეულნი.
7) დად.—ასი ორი, 428 №—დასი ორი.
8) დად.—ერანელზედ.
9) დად.—მალედ მოვა.
10) დად.—მოენახა(?).
11) 428 №—იხმო დიდებულნი, დად. და ა. ო.—იგმნა დიდებულნი.
12) დად.—საუბარნი იხვნა ყურად.
13) დად.—ჩვენთვის.
14) დად.—დავდებ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

2360. მოახსენა: „მოციქული სხვა უჩემოდ[1]) ნუ წავალს!
ფარადის კლდისათჳს მ˜ღთით მე ვიქ აწ[2]) ნაცვალს:
ვით ერთი მოლაშქრე ვარ, მე უჩვენებ გმირთა ძალს,
და მათ მკუახითა საუბრითა აუდუღებ სისხლით[3]) ძვალს!

2361. მე მიუწერ ერთსა წიგნსა მკუეთის კრმლისგან უარესსა,
ჩემსაგიერ საუბარსა, ვით დრუბელსა მქუხარესა,
გული ჯავრით აევსების, ვითა ქუაბსა მდუღარესა,
და მე უანბობ საუბარსა ჩემსაგიერ უარესსა!"

2362. როსტომს უბრძანა მეფემან: „დღეს ნათობს ტახტი[4]) შენითა,
ჴვალი ლომი ხარ, პილოვო, გამორჩეული ჰქენითა[5]),
ჭკვიანი მოციქული ხარ, წადი გულის ლხენითა[6]),
და კუალა ბედმან თქუენმან მტერზედა ძლევა ჩუენ მოგვცეს[7]) შენითა.

2363. მიუწერა: „თეთრსა დევსა შენმან სულმან თავუანი სცეს,
შენი სული გზათა ქარად[8]) მან უქადა, აწვე მისცეს,
გებრძანა თუ: „ერანს მოვალ, თქუენთა[9]) დევთა დაეფიცეს."
და გაათავეს ესე წიგნი, დაბეჭდილი[10]) როსტომს მისცეს.

---

1) დაღ. და 428 №—უჩემოდ.

2) დაღ.—მე ვიქ მუნ ნაცვალსა.

3) დაღ. და ა. ო.—სისხლით ძვალსა, 428—სისხლად ძვალსა.

4) დაღ.—დღეს ტახტი ნათობს შენითა.

5) ა. ო.—პილოსა მჯობო ხვად-ლომო, გამორჩეული ჰქენითა, 428 №—მხვალი ლომი ხარ, პილოვო.

6) ა. ო. და 428 №—ასეა, დაღ.—ჭკვიანი მოციქული ხარ, არ ითქმი კაცთა ენითა.

7) ა. ო.—ძლევა შენ მოგცა შენითა, 428 №—ძლევა შენ მოგცეს შენითა, დაღ.—ძლევა ჩვენ მოგვცეს შენითა.

8) დაღ.—ქარა გზათა.

9) დაღ.—შენთა, ა. ო.—თქვენთა დევთა დაეფიცეს, 428 № და დაღ.—დაიფიცეს.

10) დაღ.—დაბეჭდული.

აქა როსტომისაგან მაზანდარელთან მოციქულად წასვლა მის მაგიერად და ორთა ჭანდართ მოგლეჯა და ქულურის კე-ლის გამკვეთრება*).

2364. საწუთროის ფალავანი რაშსა შეჯდა ალვა-ზრდილსა,
წამოვიდა, მძიმე ლახტი მიგ¹) ჩაიკრ უნაგირსა,
გრძელი კანი საგდებელი²) გამოიბა მუნ სადრტილსა³),
და ვითა ქარი, მოიწივა მაზანდარის მუნ ადგილსა⁴).

2365. სცნეს სხვა არის მოციქული⁵), სახელისა უნდა ქმნა,
მეომარნი დაარჩივნა, წინა კაცი გააგებნა⁶),
გზასა ზედან ჭანდარნი დგეს⁷), ღრუბელთ სწორნი, მას მუხედნა,
და კელი მიჰყო, იგ მოგლიჯნა, როსტომ არად დაიხედნა⁸).

2366. მოიქნივა და გასტყორცნა, ვითა კაჭაჭი, რებულნი⁹),
რა ნახეს მისი ნაქმარი, შეშინდეს განცქვიფრებულნი¹⁰),
თუალნი გაუტყდეს*) შიშით, უჭურეტდეს განკვირვებულნი¹¹),
და თქუეს თუ: „წავკვედით უთუოდ ჩუენ ღონე-გაცუდებულნი!“

---

*) ეს სათაური ა. ო.-ს აკლია.

¹) დად.—მან ჩაიკრ.

²) 428 № და ა. ო.—კანი საგდებელი, დად.—გრძელი კანის საგდებელი.

³) 428 №—სახრტილსა.

⁴) დად.—და ვითა ქარი წამოვიდა, ეს მაზანდარის ადგილსა, 428 №—მოაწივა, ა. ო.—მოიწია.

⁵) დად.—ცნეს სხვა მოვა მოციქული.

⁶) დად.—მეომარნი დაარჩივნა, წინა ლევნი გააგებნა, 428 №—მეომარი დარჩეული, ა. ო. და 428 №—წინა კაცნი გააგებნა.

⁷) დად.—ჭანდარი დგას ღრუბელთ სწორნი(?), 428 №—ჭანდარნი დგის ღრუბელთ სწორი.

⁸) ა. ო.—როსტომ არც ყოლ დაიხედნა.

⁹) ა. ო.—ვითა კაჭაჭო რებულნი.

¹⁰) დად.—გაფიცხებული.

*) დად.—თვალი გაუტყდეს(?), 428—თუალნი გაუტყდა(?).

¹¹) 428 № [illegible]ცქვიფრებული.

ეროვნული ბიბლიოთეკა

2367. სხვანი ხენი დგეს, სიმაღლით[1]) წვერნი ღრუბელთა სწუდებოდა,
მართ საგდებელი სისქესა მისსა არ შემოსწუდებოდა,
კვლა მიჰყო და მოგლიჯნა, აწ უფრო გაჰკვირდებოდა[2]),
და ვითა ზუფინსა იმღერდა, იმათკენ იარებოდა.

2368. რა თავადთა მიეწურა, გარდაყარნა იგინიცა[3]),
ვინცა ნახა მისი ძალი, მართ შიშითა უკუნ იქცა[4]),
გული შიშით[5]) გაუტეხა, ძლიერება ნახა ვინცა,
და ერთმანერთსა ესალამნეს, ქუდურ ერქუა, კელი მისცა.

2369. მაზანდარა სავსე იყო ქუდურისა სახელითა:
ვითა ლომი, შეომარი ვერავინ სჯობს[6]) მას ძალითა,
როსტომს კედსა მოუჭირა, შერცხვენასა ლამის მათა,
და პილოტანმან იგ ლაშქარნი გააკვირნა სიცილითა[7]).

2370. მერმე როსტომ მოუჭირნა ქუდურს მათად შესაფერად[8]),
„მამაცობის მანამერი", თქუა, „მეტუობის თუ მაქუს მე რად!"
ქუდურს პირი გაუშავდა, მართ შექნა[9]) ლილის ფერად,
და მას ტერხილები შორს გასცვივდა[10]) დ შექნა ძვალი მტუერად[11]).

---

1) 428 №—სიმაღლე.

2) დად.—კვლავ უფრო ეკვირვებოდა.

3) დად. და 428 №—გარდაყარა იგინიცა.

4) დად.—უკუ იქცა, 428 №—უკან იქცა.

5) დად.—სევდით.

6) დად.—ვერვინ სჯობდა.

7) 428 №—იგ ლაშქარი გააკვირა სიცილია.

8) 428 №—მერმე როსტომ მოუჭირა ქუდურს მათად შესაფერად, დად.—მოუჭირნა ქუდურს მისად შესაფერად.

9) დად.—შაექნა.

10) დად.—გასცვივდა.

11) დად—და გაუდა ძვალი მტვერად.

2371. ცხენისაგან გარდმოვარდა¹), დიდ-ხან დაბნდა ქუდურ აგი²),
ჴელ-მწიფესთან წამოვიდა, აღარ ეგრა ჴელსა ტყავი,
მოახსენა: „ასომიგან არ დამალავს სენსა თავი,
და მე რომ მათი ძალი ვნახე, დამიჯერე, გვიჯობს ზავი!

2372. სჯობს, რომ ტკბილს საწუთროსა ნუ ინადულებ³), ზავი მივსცეთ,
მათი სწორი ფალავანი შენ არა გყავს, თმა მივსცეთ⁴),
ჩუენ ქექაოზს ერთობილთა⁵) ხარაჯა და ბაჟი მივსცეთ,
და სული ამით შევინახოთ, თავი ჭირსა არა⁶) მივსცეთ!‘

2373. ჰილოტანი შეიწყვეს⁷), ჴელ-მწიფემან როსტომ ნახა,
მოეწონა უსაზომოდ, პატივითა შეინახა,
მას ამბავი ლაშქრობისა, გზისა ჭირი რაც ენახა,
და ბეჭ-მკერდ-მკლავი გაუსინჯა, გულშიგან თქუა: „როსტომ, ახა!“

2374. უბრძანა თუ: „შენ როსტომ ხარ, მკერდ-მკლავი გაქუს ფალაური,
როსტომ თქუა თუ: „მე რა მიგავს, მე ვინ როსტომ, სადაური,
ვინ მახსენებს როსტომთანა ერთი მისა იქაური,
და ვარ მოლაშქრე, ერთი კაცი, ჴელ-მწიფისა⁸) მე მსახური!“

2375. ადგა და წიგნი მიართვა, ჴელ-მწიფის მოციქულობა,
წიგნი მისია, რომელსა აქუს მტერიზედა⁹) მორჭმულობა,
ჴრმალსა და ლახტსა აწვიმებს, ეტყობის მოწიფულობა,
და თავადთა თავი დაჰყაროს¹⁰), შეატყუოს ვის ორგულობა!

---

¹) დად.—ჩამოვარდა.
²) 428 №—ქუდურ აგი.
³) დად.—ნუ ანაღვლებ.
⁴) დად.—ჩუენ არა გვყავს თაყუანის ვცეთ.
⁵) ა. ო. და დად.—ერთობილთა, 428 №—ერთობითა.
⁶) ა. ო.—აღარ.
⁷) ა. ო.—შეიწვევს.
⁸) დად.—პატრონისა.
⁹) დად.—მტერთა ზე.
¹⁰) ა ო.—თავი დაჰყარონ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

2376. წიგნი ნახეს, გაუკვირდათ¹) როსტომისგან ეს ნათქომი²).
თქვა: „რად უნდა საუბარი, მიგვასწია, ქალო, ომი,
ვით მაწყინე შენ ბედითად, ერანელთა თუ ხარ ლომი,
და ველარ ნახო შენს წინაშე მსახური და კარსა მდგომი³).

2377. ხელ-მწიფეთა რა წესით მონად გმობა არ საკადრგო?!
საქმე კარგად⁴) გაიგონე, ჭკვითა⁵) გიჯობს გაიმარგო!
ჯამშან დღენი შეგიმოკლოს, თავი შენი მიწად დარგო⁶),
და დამდაბლება არა ვშოვო, ტახტი შენი არ დავჰკარგო!⁷)

2378. სადავენი მოიბრუნევ⁸) ერანისკენ სარაჯოსა,
თუ მოკიდე მე ლაშქრითა, შეიპყრობდი სააჯოსა⁹),
შენ თავ-ბედით შეუტყობლად¹⁰) ჩავარდები საჭიროსა,
და მართალი გზა დაიჭირე, დამიჯერე, აგრე სჯობსა!

2379. ბარი მოგაწყერა, მოგიკლე, დავჰკარგო სამკნე, სადგომი!“
როსტომ გონება-ნათელსა არ მოეწონა ნათქომი¹¹),
ტვინ-გაცეცხლებით წამოხტა¹²), გამოუმართა, ვით ლომი,
და გულშიგა თქვა თუ: „უწყვენო მ' ღთითა ფიცხელი მათ ომი!“¹³)

---

¹) დად.—გაუკვირდა—უფრო ძველი ფორმაა.

²) ა. ო.—ნათქვამი.

³) დად.—და ველარ ნახო კარსა ზედა მომსახური კარსა მდგომი.

⁴) ა. ო.—კარგათ, დად.—კარგად.

⁵) დად.—ჭკუითა.

⁶) დად.—ჯამშან დღენი შეგიმოკლნეს, თავი შენი მიწად დარგო, ა. ო.—თავი შენი მიწათ დარგო, 428 №—მიწას დარგო.

⁷) 428 № და ა. ო.—დადაბლება არა ვშოვო, ტახტი შენი არ დავკარგო, დად.—თავი შენი არ დავჰკარგო.

⁸) დად.—სადევენი მოიბრუნევ, 428 №—მოიბრუნე, ა. ო.—სადავენი მოიბრუნევნ.

⁹) დად.—თუ მოკიდე მე ლაშქრითა, შეიპყრობდე სააჯოსა, 428 №—თუ მოგივლი...

¹⁰) დად.—შეუტყობრად.

¹¹) ა. ო.—ნათქვამი.

¹²) დად.—წამოხლტა.

¹³) დად.—და გულში თქვა: „ღ'თითა უწყვენო ფიცხელი ჩემი მათ ომი!“

ეროვნული
ბიბლიოთეკა

2380. მეფე ბრძანებს[1]): „მოციქულსა საბოძვარი უნდა ჩუენი,
სარტყელი და შესამოსი მას მოართვეს, ვითა მზენი,
როსტომ არა გამოართვა, შეიკაზმა ფიცხლად ცხენი,
და თქუა: „რად მინდა საქონელი, სამარხავად[2]) შესარცხვენი?!"

2381. პილტანი რაშსა შეჯდა, ქარი ვითა, წამოვიდა,
რა ნაშოკლდა კელ-მწიფესთან, ფიცხლად[3]) შინა შემოვიდა,
გული ჯავრით სავსე ჰქონდა, ცეცხლივითა მას დაგვიდა[4]),
და მას უბრძანა კელ-მწიფემან: „რაც იცოდე, ყველა თქვი და!"

2382. რაცა ეთქუა, ან ასმოდა[5]), კელ-მწიფესა მოახსენა:
„ესე ვითა შენ ნუ სჭმუნავ, რაზმთა წყობა ბრძანე, ჰქენა[6]),
მათი ომი ლხინად მიჩანს, ვით ბურთობა, ველთა[7]) რბენა,
და დევთა რაზმი დალეწილი მღთითა ნახო ჩემგან შენა![8])

2383. როსტომს უკან წამოუდგნეს[9]) დევნი, ველად გამოვიდეს,
ბარგ-კარვები გამოიღეს, მიწის პირსა დაჰფარვიდეს,
თვით ლაშქარი უსაზომო, პილოს ვერავინ დასთვლიდეს[10])!
და არცა მზე ჩანს, არცა მიწა, რაზმ-წყობილნი წამოვიდეს.

---

1) ა. ო.—მეფემ ბრძანა.

2) ა. ო.—სამარხავათ შესარცხვენი.

3) დად.—ყველგან ფიცხლათ ანუ ფიცხლად, ა. ო.—ფიცხლად, 428 №—ფიცხლავ.

4) დად.—გული სისხლის ჯავრისაგან სავსე ჰქონდა, მას სდაგვიდა.

5) დად.—რაცა ეთქუა და ესმოდა.

6) დად.—ბრძანე ზენა.

7) დად.—ცხენთა რბენა.

8) დად.—და დევთა რაზმი დაფრეწილი, ღ᾿თით გიჩვენო ჩემგან შენა.

9) დად.—წამოუდგეს, ა. ო.—როსტომ უკან წამოუდგეს, დევნ ველთა გამოვიდეს—წარყვნილია.

10) დად.—პილოვებსა ვინ დასთვლიდეს, ა. ო.—პილოსა ვინცა დასთვლიდეს, 428 №—სპილოს ვერავინ დასთვლიდეს.

აქა ქაქაოზ კელ-მწიფისა, როსტომისა და მაზანდარელის ომი და ქაქაოზის გამარჯვება.

2384. რა ქაქაოზ კელ-მწიფესა მოსვლა[1]) ესმა დევთა, ზარი,
ბრძანა: „როსტომ დაიმაგრე აწ სარტყელი საომარი!
ტუსი, გიო და გოდერძი[2]), თქვენ დაჰკაზმეთ სპათა ჯარი".
და რაზმი აწყუეს, ტუსის უთხრა[3]): „შეინახე მარჯუნივ მკარი!"

2385. მარცხენა მკარი რაზმისა გოდერძი ქიშვადიანსა[4]),
მთა და მინდორი რკინას ჰკავს, დღეს აბნელებს[5]) მზიანსა,
კელ-მწიფე რაზმთა[6]) შუა დგას ადგილსა დროშა-სვიანსა,
და წინა-მავლობა როსტომს აქუს, მას მიდოტანსა ჭკვიანსა[7]).

2386. დარაზმდეს და ბუკსა სცემდეს, გამოიღებს ქოსი კმასა,
ჰკვანდა დევთა ყუირილითა, ცა დაეცა ქუეყანასა![8])
მეომართა შუბის პირი დრუბელთა ჰგავს, სწუდების ცასა,
და ლურჯად იყო[9]) აბჯრისაგან, საწუთრო ჰგავს ლილის ზღვასა!

2387. მაზანდარელსა ჭაბუკსა ვის ჯიონ ეწოდებოდა,
კრმალ-ამოწვდილი მოვიდა, ლაშქართ წინ იარებოდა[10]),

---

[1]) 428 №—უ-ნით.

[2]) დად.—ტუსი, გოდერძი და გივო.

[3]) დად.—ტუსს უბრძანა.

[4]) 428 №—გოდერძი ქიშვარდიანსა, დად.—გოდერძის ქიშვარდიანსა.

[5]) 428 №—დღეს აბნელებდა, დად.—დღესა ბნელებენ.

[6]) დად.—რაზმსა.

[7]) დად.—ჭკუიანსა.

[8]) დად.—ცა დაიქცა მიწა ძრვასა(?).

[9]) დად.—ლურჯი იყო...

[10]) დად.—რაზმს წინა იარებოდა, ა. ო —ლაშქარს წინ იარებოდა.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ლახტით ცეცხლს აგზნებს[1]), მაზედა ჯავშანი ადუღდებოდა,
და მისი ზახილი ქუხილს[2]) ჰგავს, მიწა გაიპებოდა!

2388. იზახოდა: „ვინ გამიხვალთ ჩემთვის ომად ერანელი![3])
ჟამი მაზედ შეკვამთავლით და თაბუსი მივსცე[4]) ბნელი,
ერანელთა თავადთაგან ვერვინ მიჰყოს[5]) კრმალს ხელი,
და ვერ გავიდეს[6]) მისად ომად, ჰგავს, არ იყოს ერთი მრთელი!"[7])

2389. ქაოზ ბრძანა: „ვით შეშინდით იმ მამცდარის[8]) ღვევისაგან,
თქუენ უღონოდ ვით გასცუდხართ, კმარნი, კრმალთა[9]) ქნევისაგან,
მზისა შუქთა ვერა ხედავთ, არ დაგსცხრები მე ვისაგან?!" —
და მათ პასუხი ვერვინ გასცა, ეშინოდა ძლევისაგან[10]).

2390. რა სცნა[11]) როსტომ პილოტანმან, ჯაით რაზმი იძახუნა,
ვერვინ გაჰკუა მეომქარე, ეწყინა და ეთვალწუნა[12]),
„მას უწყეთ ჩემი კრმალთ!"—ესე ბრძანა,—„წავალ მუნა!"
და წამოვიდა ჯავრიანად, სადავენი[13]) მოიბრუნა.

2391. მან ფარმანი ქელ-მწიფესა სთხოვა, ესე მოახსენა:
„მე შევებ იმა დევთა[14]), მოვჰკლა, მივსცე სისხლთა დენა".

---

1) დად.—კრმლით ცეცხლს აგზნებდა, ა. ო.—ლახტი ცეცხლს აგზნებს.
2) დად.—და მისი ძახილი ღრუბელსა გავს, მიწა გაიპებოდა(?), ა. ო.—და მისი ზახილი ქუხილს ჰგავს, მიწაცა გაიპებოდა.
3) დად.—იზახოდა: ვინ გამოხვალთ ჩემად ომად ერანელო!, ა. ო.—
4) ა. ო. და დად.—მივსცე, 428 №—მივცე. [ერანელნო.
5) დად.—მიჰყო.
6) დად.—ვერ გავიდნენ.
7) ა. ო. და 428 №—ყველგან—მთელი.
8) დად.—მომცდარის.
9) დად.—კრმლისა, 428 №—კმალთა.
10) დად.—და მათ პასუხი ვერა გასცეს, ეშინოდათ ძლევისაგან.
11) 428 №—სცნა, დად—ყველგან „ცნა".
12) დად.—ვერვინ გაჰკუა მეომარი, ეწყინა და ეთავ-წუნა(?).
13) დად.—ყველგან „სადევენი".
14) 428 № და ა. ო.—დევთა, დად.—დევსა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გაეხარნეს კელ-მწიფესა[1]), მას უბრძანა: „აგრე ქენა!
და მტერთა ძალის გამტეხელთ[2]), კელ-მწიფისა ზურგო შენა!“

2392. გაგულიზდა[3]) და დაბრუნდა როსტომ, ჭაბუკთა მფლობელი[4]),
იზახდა[5]), შუბი კელთ ჰქონდა[6]), დრუბელთა გასაპობელი,
ჯეონს უძახდა[7]): „ნიშანი აწ ნახე დასამკობელი,
და დაჰკარგო[8]) შენი სახელი, გატირო შენი მშობელი!

2393. მით იცოცხლე აქანამდის, ჩემის კელით აწ წახდები!
ავ-ნიშანო აწვე მოჰკუდე; შენ დღეთაგან[9]) გარდაჰკდები.“
ჯეონ ცხენი მიაბრუნა, ხანჯარზედა[10]) ედვა ნები,
და თქუა: „ჯავშანსა ეს დაგიფრეწს, შენ ცოცხალი ვერ მამრჩები![11])

2394. მკერდსა და გულსა გაგიპობ, სისხლისა დუარსა[12]) ვადინებ,
შენი ჯავშანი სატირლად დავგდებ, აბჯარსა გაფინებ,
უშენოდ გავვლი ერანსა, არ ბედსა ჩემსა ვაგინებ,
და შენსა მშობელსა შენზედა სისხლის ცრემლითა ვატირებ!“

---

1) 428 №—გაეხარდა კელ-მწიფესა.

2) დად.—გამტეხელთ, კელ-მწიფეთა ზურგი შენა.

3) 428 №—გაგულისდა.

4) ა. ო.—ფლობელი.

5) 428 №—იძახდა.

6) დად. და ა. ო.—შუბი კელთა აქუს.

7) დად.—ჯიონს უბრძანა, ა. ო.—უზახნა(?).

8) 428 № და ა. ო.—დაჰკარგო, დად.—დავჰკარგო.

9) დად.—და დღეთაგან.

10) დად.—ჯიონ ცხენი მოიბრუნა, ხანჯარზედა ედვა ნები, 428—ჯეონ ცხენი მიაბრუნა, ხანჯალზედა...

11) დად.—არ მორჩები, ა. ო.—და თქვენ ცოცხალი ჯავშანს გიფრეწ, ესალამნე, ვერ მამრჩები.

12) დად.—სისხლისა რუსა ვადინებ.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

2395. როსტომ მგუახე საუბარი გაიგონა მისგან დია,
ვითა ლომმან, დაიყვირა, ფიცხლად[1]) რაშით შეუტია,
მან[2]) ნავარდი შემოუვლო, თქუა: „გათავდა შენი დღია!“
და ჯაჭუ-ჯაუშანმან[3]) ვერა არგო, ჯიონს სული დაულია.

2396. მას მკერდსა შუბი აძგერა[4]), მაღლა დრუბელთა არივა[5]),
მიწასა დასცა უწყალოდ, სისხლსა და მტვერსა გარია,
მაზანდარელთა ჭაბუკთა სული შიშითა დალია,
და გულ-გახეთქილნი უმზერდეს[6]), თაამთან რაზმი წარივა[7]).

2397. როსტომ ბრძანა: „დევთა გული გატყდა, უჩანს ყუითლად პირი,
აქა სახელს ვინცა ეძებთ, მოიქცევის ლხინად ჭირი[8]),
ჴელი ერთად შეუტიოთ[9]), სიცოცხლე ჩანს მათთვის ძვირი,
და განგებისა შეწევნითა ვერ დაგვიდგამს[10]) ჩუენ ქუიტკირი,

2398. მაზანდარელმან უბრძანა ლაშქართა სიტყუა თნებისა:
„მოჭირვებისა ჟამია, ძალი აწ გაგვიჩნდებისა!
ჭანგ-გამახულთა მივმართოთ, გული დღეს უნდა ქებისა,
და ვეცადნეთ[11]), ღმერთმან გვიშველოს, თვარ ჩუენი გარდაწყუდე-
ბისა!“[12])

---

[1]) 428 №—ფიცხლავ, დად.—ყველგან ფიცხლა, ზოგჯერ ფიცხლად, ა. ო.—ლომმან ვითა დაიყვირა, ფიცხლად რაში შეუტია.

[2]) დად. და ა. ო.—მან, 428 №—მას.

[3]) დად.—ჯაჭვ-ჯავშანმან.

[4]) დად.—აძგეერა(?).

[5]) დად. და ა. ო.—მაღლა ღრუბელთა არივა, 428 №—ღრუბელი არივა.

[6]) დად.—უჭვრეტდეს.

[7]) დად.—თაამთან რაზმი წარივა, 428 №—მან თამთან(?).

[8]) დად.—ჰა სახელსა ვინცა ეძებს, მოიქცევის ჭირად ლხინი, ა. ო.—ვინცა ეძებ.

[9]) დად.—შეუტეოთ.

[10]) ა. ო.—ვერ დაგვიდგნობს ჩვენ ქვიტკირი.

[11]) დად.—ვეცადოთ.

[12]) დად.—გარდაპლვებისა.

2399. მაშიგ[1]) კუნესის სპილენძ-ჭური, ზრახა-კუდით იყო ბერვა,
ქვეყანა ჩანს ეკალ-მუხად[2]) და ჭაერი დიდის ღელვა,
ბასრი კრმალი, მძიმე ლახტი, დრუბელშიგან ხშირად ელვა[3]),
და ლაშქართ ცეცხლს მოუდებდა,—დროშებისა იყო[4]) ბერვა.

2400. წითელ-ყვითლად მიწის პირი ჩნდა შუბისა სიმრავლითა,
სთქვა[5]) „საწუთრო ლაშქართაგან შეკრულია კუპრის ზღვითა[6]),
ლახტ-ხანჯარსა, ბასრსა კრმალსა[7]), გამოჭრილა სიმრავლითა,
და ადგილზედან დევთა თავი ვით ფურცელი ცვივის მათა[8]).

2401. თავი ყურა მორი-მორს, სისხლისა რუ მიდიოდა,
ჯაჭვ-ჯავშანი და ხუფთანი[9]) მიწასა ზედა სცვიოდა,
იყო ზამი და ზრიალი, ცხენისა ჯარი კვდოდა,
და საწუთრო დევით ავსო, ეშმაკთა დასი ყიოდა.

2402. მათ იბრძოდეს შვიდსა დღესა, მოისვენეს ღამე არა,
უნდა ქება სახელისა, ძლევა უნდის ერთგან არა[10]),
უთქს პირის-პირ ერთმან ერთსა, მიწა სისხლით დაიფარა[11]),
და მერვეს დღესა მარიხმან პირი მიწას დაამყარა[12]).

---

[1]) დად.—მისგან.

[2]) ა. ო.—ქვეყანა ჩანს ეკალ-მუხა.

[3]) დად.—დრუბელთაგან იყო ელვა.

[4]) დად.—დროშაგანს(?) ხშირად ბერვა, ა. ო.—დროშათაგან იყო ბერვა.

[5]) 428 №—თქვა, დად.—სთქვა—როგორც მეორე პირი, ეს უკანასკნელი ფორმა სწორი უნდა იყოს.

[6]) დად.—ლილის ზღვითა.

[7]) დად.—კრმალ-ისარსა.

[8]) 428 და 1505 №№—ფურცელივით ცვივის ვითა, დად.—ვით ფურცელი ცვივის მითა, ა. ო.—ფურცელივით ცვივის მითა.

[9]) დად.—ჯაჭვი, ჯავშანი, ხვაფთანი, ა. ო.—ხვაფთანი.

[10]) დად.—ძლევა უნდა ერთგნით არა.

[11]) დად.—ლვან პირის-პირ ერთმანერთსა, მიწა სისხლით გამაძღარა, ა. ო.—ლვანან პირის-პირ ერთმანერთის, მიწა სისხლით დაიფარა, 428 №—უთქს პირის-პირ.

[12]) 428 №—გაამყარა.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

2403. ქოჩ გმოხვია მიწასა, ცრემლსა ღვრის იგ მონაწყური[1]),
თავს მოიკლა, დაჰადგა მან ქუდი ქაიანური[2]),
წმინდათ მოსამართლეთ, შენ გკადი კვლავ მონანური[3]),
და გრძნებისა მქნელი დაამკვე და ძალი მაზანდარური[4]).

2404. შენ მიშველე ამაზედან[5]), კვლა მიბოძე დღეთ სიახლე,
მამეც ძალი შეწყევნისა მე უღირსსა, სხვა სიმაღლე,
დამდევ შენი საფარველი, რისხვა ვნებით დევთ აახლე[6]),
და ამ გრძნეულთა მთვერით, ძველი ტახტი გამიახლე!"

2405. ლოცვისაგან მოიცალა, ლაშქარშიგან შემოვიდა,
მან ხუფთანა[7]) მოითხოვა, ტანს აბჯარსა ჩაიცმიდა,
თავს დაირქვა[8]) მუზარადი, კლდე-მწიფეურად გარგა ზმიდა,
და რაზმი ახლად[9]) გააჩინა, კვლავ საომრად გული სთქმიდა.

2406. ტუსის და გივის უბრძანა: „რაზმსა უკანა ვლიდით!
ზანგ-მარჯვენულთ და რუამ[10]), გურგენ, გმირულად ზმიდით![11])
მარცხენა მკარი შეკვეთა, — თქვენი იმედი დიდით!
და გნუკვე მოჭირვებასა, დღეს მტერთა სისხლსა ღვრიდით!"

---

1) ა. ო. და დად.— ცრემლსა ღვრის კვლავ მონანური.

2) ქაიანური, იხ. ლექსიკ.

3) 428 №— შენ გაჰკადე მონანური(?), ა. ო.— შენა ჰქენ აწ მო- [ნანური.

4) დად.— მაზანდარული, ა. ო.— გრძნებისა მქნელნი დაამკვეთ და ძალი მაზანდარული.

5) დად — იმათზედა, კვლავ...

6) დად.— რისხვა ვნებით დღეთა ახე(?).

7) დად. და ა. ო.— ყველგან ხვავთანი, 428 №— ჭუფთანი.

8) დად.— დაირქო.

9) 428 №— და რაზმი ახლდა.

10) 428 №— როამ.

11) 428 №— ელიდია.

2407. გმირი როსტომ ზილოტანი დამქართათვს წინ-მავლითა[1]),
წინა რაზმი მიიპარა[*]):—„ვარ შენითა იმედითა!
გულოვანი მეომარი[2]) ვერ გასძლებს სისხლთა ღვრათა,
და მარჯვენით[3]) შვიდი ქიშვადისა[4]), დგას გოდერძი ნადარითა.

*) ამ 2907 ხანიდან დაწყებული 2917 ხანამდე ათი ხანა დადიანისეულ ხელ-ნაწერში დაკარგულს ფურცელს გაყოლია და შეუვსიათ სხვა ხელ-ნაწერიდან მე-XIX საუკუნის გაკრული ხელით, ეს ადგილი, ვარიანტების მხრით, არავითარს ინტერესს არ წარმოადგენს, რადგან იგი გადაწერილია იმგვარისავე რედაქციითგან, როგორიც არის 428 №-ი ხელ-ნაწერი.

13) ა. თ.—გარჯილი ვარ, გატანჯული, 428 №—რა ძალ-მეღვა

14) 461 №—დავაბრუნე. [სიარული.

2908. საწუთროს შემოქმედს დღეს ვფიცავ ჩემად მჴსნელად,
რომ გაგაძოს აფრასიობ, მიგცეს მგლეთა შესაჭმელად,
ტახტისაგან ჩამოგაგდოს, მტვერთა შიგან გასათრევლად¹),
და მე და რაშმან აღარ დავდგათ ჯრანს ფერხი შენად მცველად!"

2909. იგ თავადნი დააბრუნვა²), წაიტანა გივი შინა,
ზაულისტანს მიეწურნეს³), ვინც ვერ იცნობს, მათც აწყინა,
ზაბლისტან და ცოლი მისი მოეგებნეს⁴) როსტომს წინა, [ნა?!
და მკარ-ჩაკდილნი⁵) ქუაბულელნი, — ვით ქეიმასა — ღასთულის ვი-

2910. ზაალ მოვიდა მტირალი, მოსთქმიდა გა ვაიგლახთა*),
თაბუთის კარი გააღო⁶), მან ზურაბ ნახა ახითა,
მამას სამს ამგზავსს⁷), თქვა: „ნარიმანის სახითა!
და ვაიმე გმირო, ვით მოჭკუე ფათერაკით მახითა!"⁸)

2911. ზაალ ტიროს, იზახოდა, ვით დრუბელი სასწრაფონი,
საყელონი გარდიხავნა⁹), სისხლი სწყუთდა, ვით ბისონი¹⁰),
ტანი ძოწად შეღებული, ვარდი დაჭკნა დანაზრონი,
და მერმე მოიქუნა¹¹) ტირილითა მან სიტყუანი საბრალონი.

2912. როსტომ ააგო გუბადი¹²) დრუბელთა შესწორებული,
თავი მოჭედა ოქროთა¹³), ხალასად გაბრწყინვებული¹⁴),

---

¹) 461 №—გასარევლად, 428 №—გასათრევლად.
²) 428 და 461—და·ბრუნა.
³) 461—მიეწურნენ.
⁴) 461—მოეგებნენ.
⁵) 461—მკარ-დაკდილნი.
*) ხელ-ნაწერები ვაი ვაგლახთა(?).
⁶) ა. ო.—გაუღო.
⁷) ა. ო.—ამზგავსა.
⁸) ა. ო.—და აჰა ვაიმე, ვით მოკვე, გმირ, ფათერაკის მაზითა!
461—ვაია, გმირო, ვით მოჰკუე.
⁹) 461 და 428—გარდიხივა.
¹⁰) ბისონი, იხ. ლექსიკ.
¹¹) ა. ო.—მოთქვნა, 428—მოთქუა.
¹²) ა. ო.—„გუნბეთი" ყველგან, 461—გუნბათი.
¹³) 461—ოქროთი.
¹⁴) 428 და 461—გაპრწყინვებული.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რა მზე შეადგის, ბრწყინევდის[1]) სამყარო განათლებული,
და მნახავთა თქვიან: „მზე არის, მასთანა დაბადებული!“

2913. აჯის ტახტი მოუკაზმა[2]), გუნბათშიგან დაასვენა[3]),
ზირს დალიას ჩაუყარა, ყური მუშკით გაუტენა,
ბგერტა უკვდის მამა მათი, ლამე ბევრი გაათენა,
და ვირ არ დაწმდეს ზილდოს ძვალნი, როსტომ ვერვინ ააყენა.

2914. აისუნა ზურაბის ძვალნი მჭვირვალნი[4]) ჯავარ-ელვით[5]),
სარასა მგზავსნი დუსტუმსა ჩახსნა[6]) თავის კელით,
გამოვიდა და წავიდა შვილის მამკვდელი ველით[7]),
და თვალი სოფელსავ მიუგო[8]), ვით ყუავილი ველითა.

2915. მიდგეს გივი და გოდერძი, მათი მოწიფულობა,
ქექაოზს ჰკადრეს ორთავე როსტომის მოციქულობა,
მას სინანული შეექნა, ცნობისა არეულობა,
და თავის აბრალა ძველთაგან[9]) მან მისი ჰკვა-შლილობა[10]).

---

[1]) 428 და 461—ბრყინევდის.
[2]) 428—მოუკაზმეს, 461—მოუკაზმა.
[3]) ა. ო.—აჯის ტახტი მოუკაზმეს, შუა გუნბეთს დაასვენა.
[4]) 461 და 428—მჭვირვალი. 461—ძვალი.
[5]) 461—სოფელსვე მიუგო(?).
[6]) ა. ო.—ჩაახსნა თავის კელითა.
[7]) ა. ო. და 428—შვილი მოკლული ვქენითა.
[8]) ა. ო.—თვალნი სოფელსვე მიაგნო.
[9]) ა. ო.—ძველითგან ჭკვა-ნაკლულობა.
[10]) 461—წარყვნილია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

აქა ზურაბის შავ-დედისაგან მის ლომ-კაცის შვილის სიკუდილის ცნობა*).

2916. ზურაბის გვერდა ნახლნი ლაშქარნი გულ-დაღალულნი,
სამანქნის ქალაქს მივიდეს, იმალვოდიან ნაბულნი[1]),
დღეს ერთსა ჰყუანდა სამანდი, საძოვრად ბალსა დაბმულნი[2]),
და თუმიან იცნა, გაჭკუირდა, ცეცხლნი მოედვნეს დაგულნი[3]).

2917. მიმყუანნი მიასხმევინა[4]), მათ მოახსენეს ყოველი,
ხვაფთანი სისხლით გასვრილი მიართვეს კულა უპოვნელი[5]),
ჰკადრეს: „მოაბრუნდა რისხვითა ცა წყალობისა მთოველი[6]),
და მუხთლად მოგვიკლეს, პატრონი ზურაბს ნულარა მოელი"[7]).

2918. გარეტდა და ამას ჰგვანდა[8]), ქუაა, კლდის მონაკუეთი,
შვიდთ ქიშვარდთა[9]) გაიგონეს, დაიკივლა მან ასეთი,
ორსა დღესა მკუდარი იდვა, სულ ამოსვლად[10]) დანაკუეთი,
და მან დაიწყო მერმე მოთქმა, წამოიჭრა, ვითა შეთი.

2919. იტყოდა თუ: „უძლეველო, ჰე, ლომ-კაცო, აჭა შვილო!
მზის მოყუასო, საწუთროისა სიამეთა ვარდო ჩვილო[11]),

---

*) ეს სათაური ა. ო.-ში არ არის.

[1]) 428 და 461—სამანვს მივიდნენ ქალაქად, იმალოდიან ნაბულნი.

[2]) ა. ო.—დღეს ერთსა ყვანდათ სამანდი, საომრად ბალსა დაბმულნი.

[3]) ა. ო. და 461—ცეცხლი მოედვა დაგულნი, 461—დაგული.

[4]) ა. ო.—ხემწიფემ მიასხმევინა...

[5]) ა. ო.—ხვაფთანი სისხლით გასვრილი მიართვეს აწ უპოვნელი, 428 და 461—ხუფთანი სისხლით გასურილი მიართუეს კულა უპოვნელი.

[6]) ა. ო. მთოვნელი.

[7]) ა. ო., 428 და 461—ნულარას მოელი.

[8]) 461—ამასა ჰგავს.

[9]) დად.—შვიდ ქიშვართა, ა. ო. და 461—ქიშვარდთა.

[10]) ა. ო.—სულ-ამოსვლით დანაკვეთი, 428—უ-ნით.

[11]) ა. ო.—მზის მეყვისო, საწუთროთა სიამითა ვარდო მჩვილო!

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჯერ უნდილო, შესაქნელო, ალვის ხეო, ედემს ზრდილო[1]),
და ვაი ნაყოფო უბრალოო, მამის კელით დალახრულო!..[2])

2920. მერმე იგრა ჭარსა კელი[3]), ძოწის წყარო ითხეოდა,
რაცა ეცვა სასალუქო[4]), უპატიოდ იხეოდა,
ტანი ბროლი, სართს მზგავსი[5]), შეძრწუნდებოს[6]), იდეოდა,
და ქარისაგან მორეული, ვითა ვერხვი, ირხეოდა.

2921. კვლავ დაიწყო ზახილითა[7]) უცხო ფერად მან მოთქმანი,
იგ ჩაიჭრის ცეცხლთა შიგან, ეკიდიან ბელთა სხვანი[8]),
მკერდსა სისხლი ჩაზდიოდა[9]), ზეცას ისმის მისნი კმანი,
და ნათხზენთაგან დაიგლიჯნის ელვარენი შავნი თმანი[10]).

2922. კორცთა იჭამდა კბილითა, ვით ლომი გაცეცხლებული,
ნაცარი გარდაიყარის, ტირს დონე-გაცუდებული,
რაც დარჩომოდა თმათაგან ნაგლეჯი, ვაგლახებული,
და იგ მოიტყუსა ცეცხლითა, იწოდა დავალებული.

2923. დედისა თვალთა ნათელო, რასა ვიქ მზე-დავსებული?!
ნეტარ ვინ გნახა, მიწათა გარევით ტალახებული[11]),

---

1) ა. ო.—ალვის ხეო, ალვა-ზრდილო.

2) 428 და ა. ო.—და ვაი ნაყოფო უბრალოვო, მამის კელით და-ლახრულო, დად.—და ვაი ნაყოფო უბრალოო, მამის კელით დაკოდილო!

3) ა. ო.—კელნი.

4) ა. ო.—სასალუქოდ.

5) 428—მგზავსი.

6) დად. და 461—შეძრწუნებით, ა. ო.—შეძუნვებით—წარყვნილია.

7) ა. ო.—კვლავე დაიწყო ზახილით, 461—ზახილითა.

8) დად. და 461—იგ ჩაიჭრა ცეცხლსა შიგა, ეკიდიან ბელსა სხვა-ნი, ა. ო.-ც—ბელსა.

9) ა. ო.—ჩასდიოდა, 461 და 428—მისი.

10) 428 და 461 და ნათხიზთაგან მოიგლეჯდა ელვარესა გიშრის თმანი, ა. ო.—და ნათხაზთაგან მოიგლიჯნის ელვარეთა შავნი თმანი, 461—ელვარეთა.

11) დად.—ნეტარ ვინ გნახა მიწათა გარევით ტალახებული, 461 და 428—ნეტარ გნახო მე მიწათა...

ეროვნული ბიბლიოთეკა

სად დაგიტევა[1]) სოფელმან, დრუბელთა შესწორებული,
და ვაი წაგდა შენი სახელი[2]), ყოველგან მოწონებული!..

2924. ბანთა ვჯდი, შენ მოგელოდი, ღამე ვერ გავძლი[3]) ძილითა,
როსტომის შეყრა მეგონა, შვილობის სიყვარულითა,
ჩემთანა მოსვლა[4]) ორთავე გულითა მხიარულითა,
და მამ-დედა რას იაზრებდა სხვას ამის მეტსა[5]) სულითა?!

2925. მე მოგელოდი დღე ყოველ, ვიჭვრეტდი ბანის-ბანითა,
ჩუქების ნატულად, მამამან დეიძლი გაგიშო დანითა,
ვაი, არ შეუბრალიხარ[6]) პირი-მზე, საროს ტანითა,
და თვალნო, გასძეხით ტირილით[7]), დაწვნო,—ცრემლის ბანითა!..

2926. ნაკვთი ტანისა შენისა[8]), ლამაზად მოკდომილობა[9]),
თმა შავი, ბროლის ბურჯითა სწორობით მოკუეტილობა[10]),
უღრეკთა მკლავთა სიმაგრე, შუქისა მოფენილობა,
და არა იაზრა მან ბრძენმან, ვაი, მზეო[11]), შენი შვილობა!

---

[1]) დად.—დაგიტია.

[2]) ა. ო.—ყოელგან, 461—საკელი(?) ყოველთა.

[3]) დად.—გავსძელ.

[4]) 428 №—უ-ნით.

[5]) დად.—სავას ამის მეტსა მამ-დედა რას იაზრებდა სულითა.

[6]) დად.—ვამე! არ შებრალებია პირი-მზე საროს ტანითა, ა. ო.—ვაი მე არ შეუბრალია, 428 და 461—ვაი არ შეუბრალიხარ...

[7]) დად. და ა. ო.—თვალნო, გასძელით ტირილსა, დაწვნო ცრემლისა ბანითა, 428 და 461—გაძებით.

[8]) 428—ნაკუეთი ტანის შენისა, ა. ო.—ნაკვეთი შენის ტანისა, დად. და 461—ნაკუთი.

[9]) დად.—ლამაზად მოკაზმულობა.

[10]) დად. და ა. ო.—სწორებით (ა. ო.—სწორობით) მოკუეცილობა, 428 და 461—შეკუეცილობა.

[11]) ალბათ, უნდა ყოფილიყო: «ვა მზეო», როგორც ამას მოწმობს „ვეფხის-ტყაოსნის“ უძველესი ხელ-ნაწერიც.

2927. მაღალი ტანი, უცდები, გაგზარდე დიდის ჭირითა,
ვითა გფერობდა, ჯომარდო, ამად და სათუთობითა,
მიტყუვა[1]) დღემან მოკლემან, გამკადა ასეთობითა,
და ხვანჯი შენშიგან[2]) დამალა სულარა ხარიხობითა[3]).

2928. შვილო, დაბნელდა განგებით, უფალს თურმე ენება!
წმიდათა თანა მოგხუდების სამოთხეს გამოსვენება,
სანამდის ვიყო ცოცხალი, გაგძლო დამისა თენება,
და ვინ მეავს გულისა დამდები, მე მმართებს მისი ჩუენება.

2929. ვინ არს ჩემი მოხოიშნე[4]), ვის გავანდობ გულის წვასა,
სად არიან შენნი თვალნი, უმშვენესნი მელნის ტბასა,
საქებარად მამასთვის, შვილო, წახველ[5]) შორსა გზასა,
და ნატულად ჰპოვე[6]) შენ სამარე, დაამყარებ ჩემთვის ვასა.

2930. გაჰკეა[7]), შვილო, ულხინად მამის იმედეული,
ჩასწევი სამარეშიგან, ხანჯლითა ღვიძლ-დახეული[8]),
ჭკუიანო შვილო, განახა შენ როსტომ ლახვარ-ხეული[9]),
და რად არ უჩუენე მანამდის ეგ[10]) მძივი იმათეული?!

2931. ნაკუთი ტანი, მშვენიარი გაკეცადა მხიარულსა,
ბრძენმან აჯერ მართლად მითხრა, ვითა მართებს მოციქულსა,

---

1) 428 №—მიტყუა, ა. ო.—მომტყუვნა.

2) დად.—შენ შიგა.

3) დად.—ხარახობითა. ხარიხი—იხ. ლექსიკონი, ა. ო.—სულარა კარკილობითა.

4) დად.—მოხვაიშნე, 428 და ა. ო.—მოხოიშნე, 461—ვინ არის [ჩემი მხოიშნე.

5) 428 №—წახეალ.

6) ა. ო.—ჰპოე.

7) დად.—გაკეა, ა. ო.—ვაი, გაჰკე, შვილო..., 428—ხ-ნით.

8) დად.—ჰე ჩასწევ სამარეშია, ვაი წყლული ღვიძლ-დახეული, ა. ო.—ჩასწევი სამარეშია, 428 №—ჩასწევა სამარეშიგან.

9) 428—ჭკუიანო შვილო, განახა შენ როსტომ მისითა ლახვარ- [ხეული.

10) 428—იგ, ა. ო.—ის.

მოლოდინით დედას მოჰკლავს და მოყუასთა[1]) დასწვავს გულსა,
და ტყვედ მტირალი დედა შენი დავრჩი, ვამე დაკარგულსა![2])

2932. თანა რად არა წამოგყევ, შვილო, მშვიდობით გარებდი[3]),
როსტომს მე შორით გიცნობდი, შეგყრიდი, გაგახარებდი[4]),
ვით ვარდსა, აგაყუავებდი, მამა-ძედ[5]) დაგამყარებდი,
და აწ ესე არ მოკლდებოდა[6]), მტერთ გულსა[7]) შევახარებდი!“

2933. ამას მოსთქუამდა[8]), იგლოვდა, მტირალი ცრემლ-დათხეული:
„ჰქე, შვილო, ზურაბ, მანდ დასწევ, ვა წყლული ღვიძლ-დახეული!“
მე დაპარაკად აქა ვზი[9]), მზეს უჭვრეტ ცნობა-რეული,
და ორნივე კელნი თავს იკრა[10]), დაბნდა მიწათა რეული.

2934. თქუეს: „მოკუდა, აჰა, უცილოდ, შვილისა გზასა წავიდა,
სისხლი არ შერჩა, სიწითლე უფსკრულთა თანა ჩავიდა,
ღამისა ორ-ნაწილამდის ოდენ სულადგმე მოვიდა,
და ჰპატიჟეს ბრძენთა თუმიანს, მზის ჭვრეტად არ წამოვიდა[11]).

---

[1]) ა. ო.—მეყვისთა.

[2]) დად.—ვაი დაკარგულსა, 428—ვაიმე დაკარგულსა, ჩვენ, გვგონია, აქ უნდა ყოფილიყოს: „ვამე დაკარგულსა“, როგორც ვასწორებთ, ა. ო.—ტყვედ მტირალი დედა-შენი დარჩა...

[3]) ა. ო.—თან რად არ გამოგყევ, შვილო, მშვიდობით გაგატარებდი.

[4]) ა. ო.— შეგყრიდი, შეგაყვარებდი, 428—გაგამყარებდი.

[5]) ა. ო.—მეა ძედ—წარყვნილია.

[6]) 428 №—მოჰკლებოდა.

[7]) ა. ო.—მტერთა გულს შევახარებდი.

[8]) დად.—მოსთქმიდა.

[9]) ა. ო.—სალაყაბოთ აქ ვზივარ.

[10]) დად.—ორნივე კელნი გულს იკრა, ა. ო.—თავს იკრა, 428—ორივე კელი მუკლს იკრა(?).

[11]) დად.—და ჰპატიჟეს ბრძენსა თუმიანს, მზის ჭვრეტად არ გამოვიდა.

2935. ოთხნივ ფერხნი გარდუკოცნა, გლახ სამანდის თვალნი¹) ართ,
ჰე ზურაბის წამკვლენელო, ფათერაკთა მოსაკმარო²),“—
თვალთ აკოცა,—„საუკუნოს პატრონისა ვერ მიმხუდარო³),
და ვინდა შენას ჰკლის მქნელი, ბედ-მლაშეო, საცოდარო!

2936. ავღანდათა ჩამწირეში ვინ არს შენი მომკვლენელი?!
სადაკუთა მამზიდავი⁴), ნადირთ უკან მიმწევლი,
საიმედოდ, სამამაცოდ კაცი, ზნეთა მასწავლელი?!“
და სრულად სისხლით იღებოდა, ამას მოსთქვამს, ვითა ხელი.

2937. ცნობა წასვლოდა, რასა იქს, მას არა შეეგებოდა⁵),
პირსა აიდვა ლაგამი, ტირს, ცრემლი არ შეშრებოდა,
ზურგს უნაგირი დაიდვა, სამანდსა ემზგავსებოდა⁶):
და —„მე წამყვანსა თუ ზურაბ, დედას არ მოუკუდებოდა“⁷).

2938. კრმალი, შუბი, მშვილდ-ისარი გარდიკიდოს მისი თავსა,
საკედ-მწიფეთ სამოსელი, რომ ემოსის ზურაბს ტანსა,
მოჭკაზმა და ტირილითა მოუხვია, ვით ცოცხალსა,
და მერმე განსცემს გლახაკთაზედა სამკაულსა წასატანსა⁸).

---

¹) დად. და ა. ო.—თვალნი, 428—თვალი.

²) დად.—ჰე ზურაბის წამყვანელო, ფათერაკთა მოუპმარო, ა. ო.—ფათერაკთა მოსაყმარო(?), 428—ჰე ზურაბის წამკვლენელო, ფათერაკთა მოსაკმარო.

³) დად.—ვერ მიმხდარო, ა. ო. და 428—ვერ შიმხვდარო.

⁴) დად.—სალევეთა მომშილავი.

⁵) დად.—გაეგებოდა.

⁶) 428—ემგზავსებოდა, დად.—ემსგავსებოდა.

⁷) დად.—დედა არ მოუკუდებოდა(?), ა. ო.—და მე წამყვანე თუ ზურაბ, დედა არ მოუკვდებოდა.

⁸) დად.—მერმე გასცემს გლახაზედა სამკაულსა წასატანსა, 428—და მერმე გასცა გლახაზედა, სამკეულსა წაატანსა, ა. ო.—და მერმე გასცა გლახაკთ ზედა, სამკაულსა წაატანსა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

2939. მან სამანდლსა გზა უჩვენა, წადი, ძოუ გზას მადლსა,
ნადირთათანა იქცეოდე, ნუ მორჩილობ ქართა ძალსა!“
თქუა თუ: „შვილო, ვეღარ გიჭვრეტ, ნადირობით-ნაბურთალსა!“
და ორნივ თვალნი წაიყარნა, თქუა: „რას ვაქნევ სახედავსა?“ 1)

2940. წლამდი ისე ცოცხალ-იყო 2), ვერ იხილა მზე და მთვარე,
ტიროდის და ილეოდის, გლახ სიცოცხლე ჰქონდა მწარე,
ბედმან კრულმან, ტახტის ნაცულად, დაუმკვიდრა მას სამარე,
და წესი არის საწუთროსი, არის ჩუენთჳს მოუკმარე*).

2941. კამს, რომ კაცი იჭირვოდეს, საქმე ჰქონდეს აწონილად,
შეჭირვებით არ იქნების, მოუჭირვო არ ადვილად,
რაცა ღმერთსა არა სწადის 3), მოიქცევის ლხინი ჭირად,
და წამ-ერთ 4) ეტლი დაბრუნდების, შეიქნების ტინი ლბილად 5).

პირველის ტომის დასასრული.

---

1) ა. ო.—და აწ რას ვაქნევ ორსა თვალსა, ვის უმზირო სახედავსა?!

2) დად.—წელიწამდის, ა. ო.—წალამდისინ—წარყვნილია.

*) ამ 2940 ხანის მეოთხე ტაეპი 428 და 461 ხელ-ნაწერებში მეოთხედ არის, ხოლო მე-4-ე მესამედ, 428—დაუკარგა(?), 461—დაუკაზმა.

3) ა. ო.—რასცა ღმერთსა არ სწადია...

4) ა. ო.—წუთ-ერთ.

5) ა. ო.—რბილად.

ლექსიკონი

ნასესხები და იშვიათი სიტყვები.

ა

აბაი, 199,1.—სპ. ابی—აბაი—მდიდრულად ნაკერი ცხენის ჩულთ.
აბანოზი, 1225,1—არაბ. ابنوس—აბანოს, სპ. آبنوز—აბანოზ, ბერძნ. ἔβενος—მაგარის ჯიშის შავი ხე; როგორც ეკალმუხა.
აბედი, 2798,1—სომხ. იხ. ვეფხ. ტყ. ლექსიკ. [გი (ცხენი).
აბრაში, 2026,3—არაბ. ابرش—აბრაშ—ჭრელი, თეთრი, ჭარმა-
აბრეშუმი, 1824,2—სპ. ابریشم—აბრეშუმ—აბრეშუმი, იგ. მნიშ.
აბჯარი, 384,4; 909,2—საჭურველი.
აგური, 243,3—სპ. آخور—ახურ—იგივე მნიშვნელობა.
ადიმი, 2815,1—თურქ. ادیم—ადიმ—ბიჯი, ფეხის გადადგმა, ნა-
აერი, 2117,2—იხ. ჰაერი. [ბიჯი.
ადლი, 492.2; 634,4; 1863,4—(არაბული სიტყვისგან عدل—ადლ—სისწორე, სიმართლე, თანასწორობა)—არშინი. იგივე
ავაზა, 678, 1 და 4—იხ. ვეფხ. ტყ. ლექსიკ. [მნიშვნ.
ავზი, 1260,4; 1261,1—იხ. აუზი.
აული, 438,3—თურქ. اولی—აული—გალავანი, ზღუდე, შავილიათ-ნი, ეზო, შეად. 131 გვ. მე-12-ტე შენიშვნა: „თხრილი" არ არის სწორი განმარტება.
ავჟანდა, 2037,1; 2848,2; 2936,1—სპ. اوژ—უზანგი, სპარსულად კი—აზიარატი.
ავშარა, 269,4—სპ. افار, ან افسار—აფსარ—ალვირი, სადავე.
აზატი, 177,2; 592,2—სომხ. ազատ—აზატ, სპარ. آزاد—აზად თავისუფალი, იგივე მნიშ.
აზრახება, 2014,4—სირცხვილის ატანა, სირცხვილის ჭამა, გაქიქება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

აკონისანი, 2165,3—სიტყვისაგან აკვანი, ბალღი, უსუსური ყრმა.
ალამი, 202,3—არაბ. علم—ალამ—დროშა, ნიშანი.
ალვა, 182,4; 1377,3; 1472,3—ალვის ხე, სამოთხის ხე, იხ. ვეფხ. ტფ. ლექსიკ.
ალიზი, 114,2—სომხ. ալիս—ალიუს—იგივე მნიშ.
ალოჩა, 2253,2—შემცირებითი სახელი სიტყვისაგან آلو—ალო—ქლიავი, آلوچه—ალოჩა—იგივე მნიშ.
ალმასი, 465,2—სპ. الماس—ალმას—იგივე მნიშ.
ალყა, 183,2—არაბ. حلقه—ჰალყა—წრე, ირგვლივ შემორტყმა.
ამანათი, 1181,1—არაბ. امانت—ამანათ—საზრუნავი, ზრუნვის საგანი, დანაკვეთი, ჩასაბარებელი, დეპო.
ამაყობა, 1833,3—თავის მოწონება, დიდობა, ამპარტავნობა.
ამბავი, 661,4—სომხ. համբաւ—ჰამბავ—ცნობა, მოთხრობა, შემთხვევა; იგივე მნიშ.
ამბარი, 295,4; 970,3—არაბ. عنبر—ანბარ—საამო სურნელება, სასურნებელი და მოსაკმევი ნივთიერება.
ამილახვარი, ან ამილახორი, 452,3—არაბ.-სპარს. اميراخور—ამირ-ახორ—მეჯინიბეთ უხუცესი, ობერშტალმეისტერი.
ამო, resp. ჰამო.—სომხ. համ—ჰამ—იხ. ვეფხ. ტფ. ლექსიკ.
ამირა, 1477,2—არაბ. امير—ამირ—ემირი, უფროსი; იგივე მნიშ.
ამხანაგი, 1301,2—სპ. همخانه—ჰამხანაჱ—ჰამხანაგ—იხ. ვ. ტფ. ლექ.
ანაზდა, 1944,3—სომხ. անազդ—იხ. ვეფხ. ტფ. ლექსიკ.
ანაზდეული, 204,3—სომხ. იხ. ანაზდა—უეცრად მოვლენილი, მსწრაფელ.
ანგარიში, 106,3—სპ. انكارش—ანგარიშ—(ძირი ზმნის انكاشتن—ანგაშტენ—მოფიქრება, მოსაზრება)—განმარტება ნახე მე-34-ე გვ., 106,3 საკუთრივ, დავთარი.
ანგელოზი, 94,1—ბერძ. ἄγγελος—ანგელოსი—იგივე მნიშ.
ანდამატი, 2903,3—ბერძ. ἀδάμας—ადამას—ადამანტ ალმასი, თვალი პატიოსანი.
ანდერძი, 553,4—სპ. اندرز—ანდერზ—უკანასკნელი რჩევა-დარიგება, დაბარება, რეკომენდაცია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ანჩხლი, 1037,4 — ჭირვეული, შფოთის მოყვარული, სასტიკი, დაუდეგარის ხასიათის მქონე.

ანჯამანი, 2566,1 — სპ. انجمن — ანჯუმან — საჯარო ყრილობა, საზოგადოება, თემი.

არაბა, 995,4 — თურქ. عربه ან ارابه — არაბა, ურემი, ეტლი.

არაგი, 2012,2 იხ. ჩუბ. ტფ. ლექსიკ.

არაკი, 1545,4; 1546 — სომხ. առակ — არაკ — იგავი, საზნეო ამბავი, მაგალითის მაჩვენებელი მოთხრობა, არაკი.

არამი, 2323,1; 2826,3 — არაბ. حرام ჰარამ — იხ. ჩ. ტფ. ლექ.

არაჯერით, 2433,1 — არ აჯერით, ე. ი. უთხოვნელად, საჩუქრად.

არგანი, 1039,4 — საცემი ჯოხი.

არდუმი, 24122, არ დუმილი, ე. ი. კივილი, კივილი. ხმის ჭექა, opposit. დუმილი, შეად. მაჯ-ნამე, Vullers 372 გვ. 893-ე ლექსი; ან არაბ. ارعد — აʿთუმიკ სრთლა.

არზა, 51,2; 187,2 — არაბ.-თურქ. არზ — თხოვნა, საჩივარი, პეტიცია, რაპორტი.

არზი, 187,1 — არაბ.-სპ. عرض — არზ — კეთილი სახელი, პატივი, [გარეგად ხსენება.

არზია, 187,3 — არ ზის licent. poet.

არიფი, 1823,2 იხ. ჰარიფი.

არიფი, 1165,3 — არაბ. حريف ჰარიფ — მეგობარი, მონაწილე, დაახლოვებული პირი.

არმაღანი, 1652,1 — სპარს. ارمغان — არმაღან — საჩუქარი, ფეშქაში.

არნუმი, 2112,3 — შეად. მაჯ-ნამე, Vullers 372 გვ., 894-ე ლექსი: ფალავანთა ხმის ჭექა(?) ან თურქ. ارنمك — არუხმაკ — შლა, ხრწნა.

არღავანი, 1332,4 — სპ. ارغوان არღავან — იხ. ჩუბ. ტფ. ლექსიკ.: სარო მეჯვარედ არღავნითა — ე. ი. წითელი ქვით ტურფად ნაკვეთი სასახლე; იხ. სარო.

არყა, 648,1 — არყის ხე.

არაყბაარი, ან არყაბაარი, 618,2 არაბ. عرق بهار — არაყბაჰარ — თურინჯის და ნარინჯისაგან გამოხდილი სუნნელოვანი სითხე.

არში, 187,4 — ჭრელი ხმა. [ტანადობა.

ასაკი, 1089,1; 1092,3; 1340,3 — სომხ. հասակ — წლოვანება.

ასალი, (ან ასლი) 199,1 — ცხენის ჩული ძვირფასი ფარჩეულისაგან,

ეროვნული ბიბლიოთეკა

ასპარეზი, 435, გვ, მე-5-ე შენ. — სპარს. اسپرز — ასფარეზ — ასპარეზი, მოედანი, (აქედან სომხ. *ասպարէզ*) — ჰიპოდრომი.

ატლასი, 166,1; 194 — არაბ. اطلس — ატლას — ხალასი აბრეშუმეული, ან სატინა.

აუგი, 1292,3; 1473,1 — სპ. اهو — აჰუ — გადნიერება, ნაკლი, სირცხვილი, საკიცხი, საძრახისი.

აუგიანი, 1101,4 — შერცხვენილი, გაქიქებული, მოყვანებული, გაბასრული, სირცხვილეული.

აუზი, 245,1 — იგივე აუზ; 1260,4 — არაბ. حوض — ჰავზ. — გუბე-ჭავეზ — ხევი, ბასეინი, რუ, აბანოს აუზი, ტანის დასაბანი რითვი.

აფთი, 1513,3; 1947,1; 2562,2 — სპ. პრტყელი და გრძელი ხმალი. ფართე თოხი (იმერ.).

აფურახე, 1008,3 — (არაბ. افراغ — აფრაღ — სხმა, თქეში, ჩამოსხმა) — მოქუშარე, კოკისპირული, ან სპ. ابری — ტყვიის ფერი.

აქიმი, 1808,2 — იხ. ჰაქიმი.

აქლემი, 194,1; 1481,3; 1561,1 — იგივეა, რაც ლათინური camelus — ქამელუს — იგივე მნიშ.

აღაპი, 52,1; 424,2 — ბერძ. ἀγάπη — აგაპე — მიცვალებულთა სულის მოსახსენებელი დღე. ჭირის გახსნა, ჭამა-სმა მიცვალებულის სულის სამადლოდ.

აღმაფრენა, 2351,1; 2576,1 — ზემოაგზნება, სულიერი ზე აღწევა, ღვთაებრივი გატაცება, პოეტური ექსტაზი.

აყიყი, 1252,3 — არაბ. عقيق — აყიყჰ — იხ. ვეფხ. ტყ. ლექს.

აშიყი, 2256,4 — არაბ. عاشق — აშიყ — მოტრფიალე, შეყვარებული, მიჯნური. მოტრფიალე საყვარელი.

აშფაშაკი, 1766,6; 2110,3 — ყაბახზე გაქცევით, გინა გაჭენებულ ცხენზე, ისრის საგნისთვის სროლა; ყირათი.

ახე, 1294,1 — სწორი, შესაფერი, შეად. ვეფხ. ტყ., 380,3.

ახოვანი, 222,1 — სომხ. *ախոյան* — წარმოსადეგი. მოპირდაპირე.

ახოსალარი, 1762,3 — სპ. اخورسالار — ახორსალარ — მეჯოგე.

ახტა, 481,2 — სპ. اخته — ახტა — გაწმენდილი ცხენი, დაკვერილი ცხენი: საბას განმარტებით, ახტა ნიშნავს ცხენსაც და მამალ ვირსაც.

აჯა, 1599,4; 1708,4; 2347,1—თხოვნა, სათხოვარი, ვედრება, მუდარა.

აჯი, 1251,1—არაბ. عاج—აჯ—სპილოს ძვალი.

აჯილდა, 2033,4—ურა ცხენი, ვაკა და გაუხედნელი ცხენი.

ბ

ბაბრაბი, 922,2; 1052,3; 1973,3—სპ. ببر—ხვადითანი, ჯიქის ტყავის ჯავშანი, საჭურველი ომის დროს.

ბაბრაბიანი, 1974,1—სპ. ببریان—როსტომის სამხედრო მერანგი, რომელსაც, ზღაპრული გადმოცემით ზოგნი სთვლიდნენ აქვან დევის ტყავად, ზოგნი როსტომის მოტანილად სამოთხიდგან, ზოგნი ამ სიტყვით გულისხმობდნენ ერის საშინელ დომს—شیرشرز—შირშერზეს, რომელიც მოჰკლა სირიის მთებში როსტომმა და მისი ტყავისგან გაიკეთა სამხედრო მერანგი, რომელსაც ვერც ცეცხლი დასწვავდა, ვერც წყალი ჩასძირავდა და ვერც იარაღი გაჰკვეთდა.

ბადახშანი, 1863,2—სპ. بدخشان—ბადახშან—საუკეთესო ლალი ბადახშანის მხარედგან.

ბადახში, 1786,4—იგივეა, რაც ბალახში. იხ. ვეფხ. ტყ. ლექსიკ.

ბადია, 230,1—სპ. بادیه—ბადია—ღვინის საწდეო; სასმისი აზარფეშასავით, ჯამი.

ბადრაკა, სპ. بدرقه—ბადრაკაჲ—გამძღოლი, ყულაოზი.

ბაზმა, 389,4; 812,4—სომხ. *բազմ-բազմակ*—ბაზმ-ბაზმაკ—სანათი, ლამპარი, შანდალი.

ბალახში, 1096,4—სპ. بدخش—ბადახშ—იხ. ვეფხ. ტყ. ლექსიკ.

ბალიში, 1780,4—სპ. بالش—ბალიშ—იგივე მნიშ.; აგრეთვე აღმოსავლეთში ხმარებულია სკამის ნაცვლად.

ბალშიაში, 1746,3, ან ბალშიაში—სპ.-თურქ. باغشیاش—ბალშიაშ—საჩუქარი, საზღაო.

ბანავში, 1338,3—სპ. بنفشه—ბანაფშაჲ—ია: იხ. გულბანავში.

ბანაკი, სომხ. *բանակ*—ბანაკ—იგივე მნიშ.

ბანგი, 499,1—თურქ. بنک—ბანგ—ათასეული, ათასიანი, ათასი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბანგი, 1025,3; 1818,1—სპ. بنگ—ბანგ—მათრობელა მცენარე; აქ კი მთვრალი, ნათრობი.

ბანდი, 1972,4—სპ. بند—ბანდ—ჯაჭვი, საკინძე.

ბანოანი, გინა ბანოვანი, 181,4; 1281,2—სპ. بانو—ბანუ—სა-პატიო ქალი, ქალბატონი, მანდილოსანი; ეს სიტყვა ქართულ-ში იხმარება მრავლობითის რიცხვში: ბანო,—მრ. რიცხ. ბანოვან.

ბაჟი, 2347,4—სპ. باج—ბაჟ—საქონელზე დადებული გადასახადი.

ბარი, 866,4; 876,1—ძერა, დიდის ჯიშის ქორი, ფრიად მტა-ცებელი ფრინველია.

ბარბითი, 670,3—ბერძ. βαρβίτον, სპარს. بربط, ან بربد—სიმ-ებიანი საკრავი: ჩანგური, გიტარა.

ბარგი, 410,1; 4114,4; 1072,3—სპ. بار—ბარ—იგივე მნიშ.

ბარგისტანი, 1187,3; 1516,4; 1724,2; 2788,4—სპ. برگستان—ბარგისტან—ომის დროს ტანის სათუთის ადგილების დასაფა-რავი ჯაჭვი, ტანის საჭურველი.

ბარგ-კარავი, 2563,4—სამხედრო ბარგის შესანახი კარავი; ომის დროს დასაბარგებელი კარავი.

ბარგსამძიმარი, 2012,1—ყველაფერი, რაც მძიმე გადასაზიდავია; არტილერია და სხვა სამხედრო მასალა.

ბასთანელი, 516,1—باستان—ბასტან—ძველის-ძველი, ძველი; აქე-დგან ბასტანნამე არის სახელწოდება წიგნის, რომელიც მო-გვითხრობს სპარსთა წარსულს.

ბასრი, 386,2; 1788,4—ფოლადი; აქედგან ფოლადის ხმალი, მახვილი, სამკვლელითოდ მოპირული იარაღი, საზოგადოდ. იხ. და შეადარე პირ-ბასრი.

ბასრობა, 2906,3—სომხ. բասրել—ბასრელ—იხ. ვეფხ. ტყ. დუ-ქმის., იქვე განმარტული.

ბაქი, 1025,2—მუქარის სიტყვა, მედიდური პასუხი, სამუქარო.

ბაღი, 250,1; 2916,3—სპ. باغ—ბაღ—იგივე მნიშ.

ბაღჩა, ვულგ. ბაღჩა; სპ. باغچه—ბაღჩა—პაწია ბაღი; შემცირები-თი სახელის სიტყვისგან „ბაღ" ნაწილაკის ჩა-ს საშუალებით: ბაღ—ბაღ-ჩა.

ბეკთარი, 1513,3—სპ. بکتر—ბეკთარ—ტანის საჭურველი რკინისაგან, აბჯარი.

ბეგლარ ბეგი, 114,4—თურქ. بکلربکی—ბეგლარ-ბეგი—გუბერნატორი, უფროსი მმართველი; ეს თერმინი „მაჯ-ნამე“-ს ტექსტს სრულიად ეუცხოვება.

ბევრი, 240, 2 და 3; 669,2—სომხ. բեւր—ბევრ, განმარტება ნახე ვეფხ. ტყ. ლექს., იხ. საკ. სახ. და შეად. აგრეთვე სპ. ბევრასპ.—ბევრ-ცხენიანი,—ზააქის სახელწოდება.

ბელაქი, 1951,2—სპ.-თურქ. بلاک—ბელაქ—ძღვენი, საჩუქარი; შეად. სპ. بلک.

ბილწი, 1515,3. იხ. ჰილწი.

ბისონი, 2162,2; 2911,2—ბერძ. βύσσος—ზეზი, უბრწყინვალესი პორფირი და ფარჩეული: ცრემლი, ვითა ბისონი, ე. ი. ბისონის ფერი, ამიტომ ბისონის ტრადიციული განმარტება,—იხ. ჩვენი ვეფხ. ტყაოსნის ლექსიკ.,—უნდა გასწორდეს ამისდა მიხედვით.

ბოლუქ-ბოლუქი, 210,4; 1369,4; 1484,2—სომხ. բույլ—ბოლქ—დასი, გუნდი, ნ. მარრი, T. P. IV, რძბ. Словарь.

ბორბალი, 2571,2—სიმრგვლე, რგოლი. ეტლის, გინა ურმის თვალი. იმერეთში გოგორა.

ბორჯალი, 1567,4—თურქ. بورجلی—ბორჯალი—ზემანი, ვადა, აღთქმული დრო.

ბროლი, 331,3; 1885,3; 2482,1—სპ. بلور—იგივე მნიშ.

ბუთა, 1713,4; 1714,4—თურქ. بوتا—ბუთა—მიზანში ამოსადები საგანი, სამიზნე საგანი, ნიშანი სასროლად; სასაგნე.

ბუკი, 211,2; 372,4; 593,4—არაბ.-სპ. بوق—ბუკ—საყვირი.

ბულბული, 247,4; 519,3; 679,4—და სხ.—სპარს. بلبل—ბულბულ—იგივე მნიშ.

ბუმბერაზი, 531, 2 და 3—სპარს. مبارز—მუბარიზ—უზარმაზარი ტანის ფალავანი, გოლიათი ფალავანი; საკუთრივ, სარანგი, ატლეტი: დავლურში გამწვევი, მოპირდაპირე მებრძოლი.

ბურთი, 672,1—სომხ. სიტყვისაგან բուրդ—ბურდ—მატყლი, აქედან მატყლის ბურთი, იხ. ნ. მარრი, T. P. IV, словарь რნდ.

ბურჯდული, 247,2; 2037,2; 2799,3—ნაპერწკალი, ცეცხლის ჟინჟღლი.

ბუსუნი, 917,4; 924,1; 925,2—თურქ. بوسون—ბუსუნ—საფრ-თხე მტრისგან შემზადებული, საფარი; აშკარაა, აქედგან ნაწარმოების ქართული სიტყვა გაბუსუნება—გაჩუმება, სულის განაბვა.

ბუშტი, 248,2—ძირი თურქ. بوشتق—ბუშტ—ცარიელი და ჭაგ-რით გაბერილი ბურთივით მრგვალი სხეული: ქაფის ან თხელი ტყავისაგან; ოქროს ან სხვა ლითონის ფურცლისაგან მრგვალი და ღრუტე სხეული.

ბუხარი, 797,2—არაბ. بخار—ბუხარ—ორთქლი, საზოგადოდ; აქ კი ღვინის, ან არყის ორთქლი.

ბურჯი, 1333,1; 1354,3; 1528,4,2—არაბ. برج—ბურჯ—კოშკი, ციხე, მინარა, ბასტიონი.

გ

გაბასრული, 2004,2; 2651,3; 2906,3. იხ. ბასრობა.

გავაზი, 677,1—არაბ. ابواز—აბვაზ—მრავლობითი რიცხვი არაბულის სიტყვისაგან—باز—ბაზ—ბაზი მიმინო, ბაზი; დასა-ვერში მიმინო.

გამდელი, 1099,1—ხელზე მოსამსახურე ქალი; მოახლე, გინა მუ-ხლე: პირ-ფარეში ქალი.

განძი, 2078,4—სომხ. գանձ—განძ—საუნჯე, სიმდიდრე, ქონე-ბა, უნჯი, ლარი.

გაპირვა, 2072,4—გაბედვა, გადაწყვეტა, მონდომება.

გაჩრა, 401,2; 479,2—გაყრა, გატანება რამისე; ბოლომდი გაყრა.

გაჩქმეფვა, 435,1—მდინარისფეხით ჩქარი გავლა. მდინარის ფო-ნის ჩქარი გარბენა.

გეზი, 1311,3—თურქ. كز—გეზ—კეტი, მოზრდილი ჯოხი.

გელაზი, 724,1—სპ. كلارز—გელაზავ—ზეთის სახდელი ქვა, ქვის დიდი თვალი; მარნის გვერისტავი.

გესლი, 624,3; 625,4—შხამი, ცოფი.

გესრული, 1509,4—სპ.-არაბ. كسروى—გესრევი: სპარს.-არაბ.— كسرى იგივეა, რაც სპარს. خسرو—ხოსროვ—და არის საერთო

ეროვნული ბიბლიოთეკა

სახელწოდება სპარსეთის სასანიანთ დინასტიის ყველა მეფის. ეს სიტყვა წარმომდგარია სპარსულის სახელისაგან ხოსრო خسرو (იხ. და შეად. ხოსროული) და ნიშნავს: მეფურს, ხელმწიფურს.

გვირაბი, სომხ. վիրապ — ვირაპ — მიწის ქვეშ სვლული, მიწის ქვეშ გასაძრომი ხვრელი; ტონელი.

გილი, 2127,2 — სპ. گل — გილ — ტალახი, სველი მიწა; იმერეთში ტლაპო.

გიშერი, 1320,5 - (სომხ. գիշեր - გიშერ — ღამე) — შავი ქარვა; შეადარე ამ ადგილს ვეფხ. ტყ. IV, 3=გიშრის ტბა.

გლოხა, 122,2 — იგივეა რაც გლახა.

გნიასი, 390,2 — ძლიერი საერთო ხმაურობა, დიდი ყვირილი, ზათქი.

გნოლი, 450,4; 154,6 — ტრედის გვარის მოსანადირებელი ფრინველი; გნოლზე ქორით ნადირობენ. იხ. და შეად. ვეფ. ტყ., 388,1.

გოარი, 1226,2 და 4; 1243,4; 1336,4 — იხ. გუარი.

გორგასალი, იხ. 143 გვერდი მე-6-ე შენიშ. სპ. گرگس — გორგსარ — მგლის თავი; იხ. მგლის სახე დროშა.

გრუზი, სპ. گروس — გრუს. 1320,1 — სქელი და ხუჭუჭი (თმა).

გრძნეული, 1551,4 — ხიბლის მცოდნე, მაცდური, მომჯადოებელი ძალა; მავნე სული: ქაჯი, ჯადო და სხ.

გუარი, 1281,1; 133,3; 1487,3; 147,3; 2548,2 — სპარს. گوهر — გევჰარ — მარგალიტის თვალი; ეს სიტყვა უნდა ვითვალიეროთ „ვეფხის ტყაოსანი" შემდეგს ადგილას: 1387,1 ვახტანგის გამოცემაში ვკითხულობთ: „თავსა აერიდეს ოქროსა, ხვეტს ჯარი შენ ნართხები"; ამ ადგილს ადასტურებს «ვეფხის ტყაოსნის» თითქმის ყველა ხელნაწერი, მაგრამ ერთი — უძველესი რედაქციის დამცველი — 461 №-ი ხელნაწერი ამ ადგილს ასე კითხულობს: „თავსა აერიდეს გოარსა"-ო. ამგვარი წაკითხვა სარწმუნო ხდება ვეფხის-ტყაოსნისავე 1108,1 ტაეპის შესაფერის ერთის 2829 №-ი ხელნაწერის ვარიანტის მიხედვით. ვახტანგის გამოცემით ხსენებული ხაზი იკითხება: «ვარქვი: ჩემო, განდა სადმე გევმარების ესე გვარი", რასაც იმეორებს თითქმის ყველა ხელნაწერი, მაგრამ 2829 №-ი ამ ადგილს ასე კითხულობს: «ვარქვი: ჩემო, განად სადმე გევმარების

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეს გუჰარი", ამისდა მიხედვით, საგულვებელია, რომ სიტყვა «გუარი», „მარგალიტის" ნაცვლად, უნდა უთუოდ იყოს ჩვენის ტყაოსნის ხსენებულ ადგილებში, თუმცა გუარი, სპ. გუჰარ — گوهر თავმომავლობის, გვარის, ბუნების, ძირის მნიშვნელობით უხსოვარის ჟამითგან ხმარებულია ქართულში, იხ. სადი შირაზელის ბუსტან, 44,4: بپرسیدش از گوهر و زاد გამოჰკითხა გუარი და მობა (—გვარიშვილობა; შეად. ვისრამიანი: სპარსული ტექსტი, 394,4: ازان گوهر — გუ ან გუჰარ... بران گوهر — ბერ ან გუჰარ — რომელის გუჰარისაგანაც (პირველ შექმნა ღმერთმან არსი) იმავე გუჰარად (მიიყვანს) შეად. ქართული ვისრამიანის ტექსტი, 451 გვ., 8—10 სტრიქ.

გუბადი, 2912,1; 1866,3 — იხ. გუმბადი.

გულბანაგში, 1338,3 — შესდგება ორი სიტყვისაგან: გულ სპარს. گل — გულ — ვარდი — და ბანაგში — სპარს. بنفشه ბანაფშაჲ — ია.

გულისტანი, 2092,4 - სპ. گلستان — სავარდე, ვარდის ბაღი.

გუმბადი, 244,1; 383,3 — სპ. گنبد — გუნბადაჲ — იგივე მნიშვნ. ცის კამარა. ეკლესიის თავზე დაშენებული მაღალი თაღის სახურავი. გუმბათი.

გუნდი, 399,4 — სომხ. գունդ — კრება, წყება, დასი, მწყობრი.

გურდემლი, 1513,4 — იგივეა, რაც გრდემლი.

გურძი, ან გურზი, 648,2; 1688,3; 1868,2 — სპ. گرز - გურზაჲ — დიდი საომარი კეტი; ლახტი.

გუშაგი, 651,1; 954,3 — სპარს. گوشك გუშაკ — ძირი სპ. گوش — გუშ — ყური. (აქედან სომხ. գուշակ — მეთვალყურე, ჯაშუში, მზირი.

დ.

დაბდაბი, 1563,4 — სპ. دبدبه — დაბდაბაჲ — ბარაბანი, ან დაირა. იხ. ვეფხ. ტყ., 1340,4 — ქოს-დაბდაბი — ქოსი და დაბდაბა ერთად იხმარება.

დაგერშული, 1593,3 — გაწაფული, ნასწავლი (პირუტყვზე ითქმის).

დავლა, 666,2. — არაბ. دولة დავლათ — სვე, ბედი, ბედნიერება, სიმდიდრე, დოვლათი, ალაფი.

დავრიში, 295,2 — სპარ. درویش — დავრიშ — ღარიბი, გლახაკი, მთხოვარი, მაჰმადიანი ბერი.

დანასრული, 2491,1; 2568,4 — გარკვეულის გადაწყვეტილების მქონი; სრულის განზრახვით, ან დანაზრავი, დაზრული, შეად. 2648,1.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დანახაზირი, 1595,2—(ძირი. არაბ. حاضر—ჰაზირ)—დამზადებული, შეზავებული, შენ. მე-10) დად. ვარ.

დანგი, 1818,4—სპ. دانگ—დანგ—მისხალი, ნათოხალი,—დანგის,—ესე იგი,—მეტის მეტად პატარა; დანგის ოდენი.

დარაკა, 1509,4—არაბ. درقة—დარაკატ—დიდი და მოგრძო ოთხკუთხედი ფარი; აგრეთვე ტყავის ჯავშანი. სპილენძის საჭურველი, გულის დასაფარავი ომის დროს.

დარაჯა, 2291,3 2313,4—გზის მცველი, გუშაგი.

დარაჯაგი, 1744,2—იხ. ვეფხ. ტყ. ლექსიკ.

დარბაზი, 146,2—სომხ. *դարպաս*—დარპას—სპ. دروازه—დარვაზე—სასახლე, კარი, დარბაზი, სრა-პალატი.

დარდი, 556,2—სპარ. درد—დარდ-მწუხარება, ტკივილი.

დასი, 2253,4 2357,3 1482,1—სომხ. *դաս*—დას—გუნდი, მწყობრი, კრებული, წყება, სერია.

დასტური, 1725,3 სპ. درست—დრუსტ.—ჭეშმარიტი სიტყვა, სარწმუნო სიტყვა, მართალი, ნამდვილი, ჰართბა, თანხმობის გამოცხადება.

დაფი, 279,3—სპ. دف—დაფ—დაირა, პაწია ბარაბანი.

დალი, სპ. دال—დალ.—იგ. მნიშ. [ტევარი.

დაშნა, 334,2—სპ. دشنه—დაშნა (ძირი სირიული)—ხანჯალი, სა-

დგარი, 337,2—იგივეა, რაც დგერა; დგრიალი, დიდი და საშინელი ხმა; საკუთრივ: ლაშქრისა და ცხენის ფეხის ხმა.

დგება, 1565,4—მარულა, ცხენების გაჯიბრება ჭენებაში; შეადარე ვეფხ. ტყ. 105,4.

დევი, 386,2 და 4—ديو—დევ—ქაჯი, დემონი, ზღაპრული ბუმბერაზი.

დევ-კაცი, 1524,1—ირანელთა მოწინააღმდეგე ზღაპრული ბოროტი გოლიათი; გმირი დემონი.

დეზური, 1509,1—დეზ-ნაკრავი, დეზის კვრით.

დეფანი, 241,3—მომცრო დერეფანი (საბა) აქ კი—ტალავარი, საჩრდილობელი, бесѣдка.

დიდხა, 1805,1—იგივეა, რაც დიდხან.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

დოგი, 2439,2—საგრაგით ბრძოლის დროს დაბდაბის მსგავსი.

დოვლათი, 1242,3. იხ. დავლა.

დოლაბი, 183,1—სპ. دولاب—დოლაბ—წისქვილის ქვა, ჰიდრავლიკური ქვის თვალი.

დოლბანდი, 1345,3—სპ. دلبند—დოლბანდ—ჩალმა თავ-საფარი.

დოსტაქანი, 997,4; 999,2; 1491,1—სპ. دوستکان—დოსტაქან—ფიალა, სასმისი; ფიალა ღვინით. იხ. ვეფხ. ტყ. ლექსიკ.

დრამა, 830,4; 1021,3—სომხ. դրամ—დრამ—საწყაო, წონა ან ფული ძველებური.

დრაჰკანი, 1429,3—ბერძნული ფული, ძველებური ოქროს ფული, ოთხის დრამის წონა.

დროშა, 388,4; 995,3; 1601,4; 1940,3—სომხ. դրօշակ, դրօշմ—ალამი, ბაირაღი, ნიშანი.

დროშა-ნაანგოსანი, 527,2—ნაანგის სახე დროშა, შეად. ლომთასანი დროშა.

დუმბულა, 2438,3; 2439,1—სპ. دومبلك—დუმბულაკ—პაწია ბარაბანი, მცირე ნაღარა.

დურაჯი, 458,2—არაბ.—სპ. دراج—დურრაჯ — მფრინველია, ტყის ქათამივით სანადირო.

დუშმანი, 916,3—სპ. دشمن—დუშმან—მტერი.

ე

ებანი, 3,4—ლაფი.

ეჳანი, 970,2—სპ. ايوان—აივან—აივანი, წინკარი, ბალკონი.

ეკალმუხა, 1225,2—შავი ხე, შეად. აბანოზი.

ელჩი, 107,3; 1037,4—თურქ. ايلچى—ელჩი—მოციქული, კონსული, გაგზავნილი.

ემირი, 447,1; 971,2—არაბ. امير—ემირ—გამგე, უფროსი, ინტენდანტი, ზედა-მსტოვარი, მეფის ერთგულთაგანი.

ეპისკოპოზი, 52,2—ბერძ. ἐπισκοπος—იგ. მნიშ. საკუთრივ ზედამხედველი.

ერდო, 1851,4—ბანის კარი.

ეტლი, 820,3; 1354,4; 1528,2; 2554,4; 2859,4—ბედის ვარსკვლავი, ბედი.

ეშმა, 2577,1—ბოროტი და მავნე სული, ეშმაკი.

ეჯი, 132,3; 2211,2 ვეფხ. ტყ. 418,3; 885,2 (მარრით სომხ. եջ—ეჯ)—ერთის დღის სავალი გზა ცხენით; ფარსანგი, (ვისრამ., 303 გვ; 21-ე სტრ.) საზოგადოდ, გზა გრძელი და ვიწრო, ბილიკი (ჩვბ.) შეად. ნ. მარრი, T. P. XII.

ეჯიბი, 1688,1—არაბ. حاجب—ჰაჯიბ—მეფის მეკარე, კარის კაცი.

ვ

ვაგლახება, 1918,3—„ვაი მე უბედური“-ს ძახილი, ტყება-ტირილი, იხ. აქვე, 322,2 და ვეფხ. ტყ. ლექს.: ვაგლახ მე ვა; აქედან ვაგლახებული, 1794,4; 2195,3.

ვაზირი, 804,1—არაბ. وزير—ვაზირ—იგივე მნიშ.—მინისტრი, ხელმწიფის თანამზრახველი.

ვარდი, 331,2; 51260,3; 1261,2; 1262,1; 2919,2—სომხ. վարդ—ვარდ; არაბ.-სპ. ورد—ვარდ—იგივე მნიშ.; აქედგან ვარდის კონა.—თაიგული, ბუკეთი.

ვარდი-ნარგები, 2344,2—ვარდი და ნარ-ყვალი.

ვარდის კონა, 1262,1; 2569,4—იხ. ვარდი.

ვერხვი, 2920,4—ლამაზი ხეა, ნაზი და სწეტაკი ღერო აქვს.

ვეშაპი, 54,2; 628,4; 1580,1; 2075,4—სომხ. վիշապ—ვიშაპ—გველ-ვეშაპი, ხალხ. გველეშაპი; იგივე მნიშ.

ვეშაპის სახე დროშა, 2765,3—იხ. და შეად. „მგლის სახე დროშა“, „ლომისანი“, „დროშა-ნაინკოსანი“ და სხვა.

ვიალაფეთ, 448,3—(ძირი არაბ. علف—ალაფი—ძოვლა, ნაშთვარი თიმი), დავლად წამოვიღეთ; იხ. ვეფხ. ტყ. ლექსიკ.

ზ

ზადი, 2614,2—ნაკლი, მწუხარება, დარდი; იხ. ვეფხ. ტყ. ლექს.

ზავალი, 162,3; 111,4; 2[illegible]7,2—არაბ.-სპ. زوال—ზავალ—ფათე-

ეროვნული
ბიბლიოთეკა

რაგი, მწუხარება, ჭირი, ტანჯვა-წამება, წვალება, უბედურება. ვეფ. ტყ., იხ. 576-ე ხანა, მესამე ტაეპი, ვახტანგის რედაქციის მიხედვით, დღემდი შეცთომით ვკითხულობდით: „ნუ თუ ღმერთმა ჰქმნას გარდასვლა მაგაა ჭირთა და ვალთა"-ო, მაშინ როდესაც 4499-ე №-ი ხელთნაწერი ამ ადგილს კითხულობს ამ სახით: „ნუ თუ ჰქმნას ღმერთმან გარდაკლდა მაგა ჭირთა და დავალთა"-ო. აქ სწორედ იგივე არაბული სიტყვა „ზავალი", ან „დავალი"-ა; აგრეთვე ასწორებს 2829-ე №-ი ხელთნაწერი ვახტანგისეული რედაქციის შემდეგს ადგილს: იხ. 305,4: „მაშინ დავიწყე გარდაკლდა სოფლისა ლხინთა და ვალთა"-ო, რომელსაც ეს 2829-ე №-ი ამ სახით იცავს: „მაშინ დავიწყე გარდაკლდა მე საწუთროსა დავალთა"; ამნაირად, ვეფხის ტყაოსნის ორს ზემორე ხსენებულ ხელთნაწერს—2829 და 4499 №№-ებს შემოუნახავს ჩვენთვის დასახელებულის ტაეპების ეს სწორი წაკითხვა, სადაც ხვდება სიტყვა „ზავალი", ანუ „დავალი". იხ. ჩვენი ვეფხ. ტყ. ვარიანტები, რომელიც დართული აქვს ბროშიურას: „შესწორებანი და შენიშვნანი".

ზაუქა, 1470,4—ხიბლი, ლაზათი, ეშმაკობა, ხერხი, ილათი.

ზამბახი, 247,2—არაბ. زنبق—ზამბაკ—ზუდგ.—ყვავილია სუნნელოვანი; იგივე მნიშ.

ზანგა-ზუნგი, 988,3—ზანზალაკთა ჟღრიალი, რეკა, რაკა-რუკი.

ზანგი, 499,2—სპ. زنگ—ზანგ—შავი მონა, ეთიოპი, ნეგრი, ზანგი.

ზანგუბარი, 316,1; 814,3—სპ. زنگباری—ზანგებარი—ზანგუბარელი მონა, შავი მონა, ნეგრი, ზანგი; زنگبار—ეთიოპეთი, ზანგთა ქვეყანა.

ზანდუკი, 193,2—არაბ.-სპ. صندوق—სანდუკ—იგივე მნიშ., აგრეთვე კუბო მიცვალებულისთვის, საკაცე. ლარის წასაღები, კიდობანი.

ზანდუკჩა, 1786,1—სპ. صندوقچه—სანდუკჩა. სპარსული სიტყვისაგან ზანდუკ შემცირებითი (ისე, როგორც ბაღჩა, ყაბაჩა; სიტყვებისაგან ბაღი, კაბა)—პაწია სკივრი ლარისა და ძვირფასის ნივთეულობის ჩასადგმელი.

ზანზალაკი, 101,2—პაწია ზარი, რომელსაც ჰკიდებენ დატვირთულს, ან სამოვრად გაშვებულ, აქლემებს, ან სხვა ცხოველს, რომ არ გაუპაროს პატრონს, ან ქურდმა არ გააპაროს.

ზარდახშა, 99,4; 1211,3; 1883,3—საკანძური, სკივრი, ზან-დუხჩა; ყვითელი ყუთი: ეს უნდა იყოს შემცირებითი სპარსული სიტყვისაგან „ზარდაკ“—ყვითელი.

ზარი, 1989,4—სპ. زهر—ზაჰრ—შხამი, საწამლავი, სამსალა.

ზარი, 2609,4—სპ. زاری—ზარი—დიდი ხმაურობა, ყიჟინა, საერთო ხმაურობა. საკუთრივ—ოხვრა-კვნესა, ყვირილი.

ზარიფი, 2257,3—არაბ. ظریف—ზარიფ—ლამაზი, კეკლუცი.

ზარფუში, 195,2—სპ. سرپوش—სარფუშ—თავსახურავი, ხუფი, სარქველი.

ზარქაში, 208,4; 268,2; 1473,2—სპ. زرکش—ზარქაშ—ოქროქსოვილი, ოქროს ფარჩეულობა.

ზარხოში, 180,1; 469,3—სპ. سرخوش—სარ ხუშ—საკუთრივ: თავ-მხიარული, ჭკუა-მხიარული: გამხიარულებული ღვინის სმისაგან, სიმდიდრით ან ჯადოსნური შვენიერებით მოხიბლული და გატაცებული.

ზაფრა, 1096,4; 1439,4; 1508,3—თურქ. زفرا—ზაფრა—წითური ნაღველი, ბალასტი.

ზაფრანა, 1603,4; 1627;3—სპ. زعفران—ზაფარან—იგივე მნიშ.

ზახირა, 1930,4—არაბ. ذخیره—ზახირა—საგზალი, პროვიზია, სარჩო. დაბ.—„დახირა“-ც სწორია, გაასწორე 525 გვ., მე-
[6-ე შენიშვ.

ზეკარდმო, 2883,4—ცის, ზეცით.

ზენაარი, 1955,1—სპ. زینهار—ზენჰარ—საკუთრივ იგი ნიშნავს შემწეობას, მფარველობას, სიფრთხილეს.—აღთქმა, პაემანი, კავშირი, ფიცი, პირი, ერთგულობა. ზენჰარ ხურდენ—زینهار خوردن—ფიცის ჭამა, ფიცის გატეხა, ფიცის დარღვევა. [ლი.

ზიანი, 1252,4; 1925,1; 2554,4—სპ. زیان—ზიან—ვნება, ზარა-

ზოჰალი, 1253, 2; 1293,3—არაბ. زحل—ზუჰალ—ცდომილი ვარსკვლავი, სატურნი.

ზობარჯადი, 1384,3; 1734,4—სპ. زبرجد—ზაბარჯად—ერთგვარი ზურმუხტი, ან და ხრიზოლიტი.

ზობარჯი, 2021,3—იხ. ზობარჯადი.

ზორვა, 894,1—სხვერპლის შეწირვა, მადლის ქმნა.

ზორტ-სარტყელი, 2074,1—ქამარი გვერდებზე ზორტებით შესაკრავი.

ზრახვა, 1245,3—გმობა, აგრეთვე იგი ხშირად ნიშნავს ფიქრის გულში გავლებას, ან ლაპარაკს, გინა აზრობას.

ზრო, 372,2; 1116,4; 1239,4—ტანი.

ზროხა-კუდი, 1901,3; 2470,2—საყვირი.

ზროხის სახე ოქროს ლახტი, 1350,3; 1180,4—იხ. და შეად. მგლის სახე დროშა, ვეშაპის სახე, ლომის სახე და სხვა.

ზუალი, იხ. ზოალი.

ზურმუხტი, 1353,4; 1734,2—სომხ. *զմրուխտ*—ზ'მრუხტ—სპ. زمرد—ზუმრუდ—ძვირფასი თვალი, თვალი პატიოსანი მწვანე ფერის; აქედან ზურმუხტი—მწვანე.

ზუფა, 2672,4—იხ. ზუფანი.

ზუფინი, 1717,1; 1718,4; 1719,2; 1724,3—სპ. ژوبین—ჟუფინ—სასროლი მოკლე შუბი; ლახვარი, პატარა პირ-ბასრი შუბი. Дротикъ.

ზღუდე, 1259,3—სქელი და მაგარი ქვის კედელი, მაღალი ქვიტკირის ღობე, გალავნის კედლები.

ზღვარი, საზღვარი. იხ. ვეფხ. ტყ. ლექსიკ.=შემდეგ მზღვარი, 332,4, ბოლოს მძლევარი, იხ. აქვე.

ზღვის თვალი, 1867,3—მარგალიტი, ყოველგვარი ძვირფასი თვალი, პოვებული ზღვაში.

თ

თაჰამთან, 1840,2; 1843,1; 2613,2—სპ. تهمتن—ტაჰამტან—რუსტომის ეპითეტი. შესდგება სიტყვებისგან: تهم—ტაჰამ—მძლეთა მძლე, ძალ-ღონით უსწორო და تن—ტან—ტანი—აქედგან ტაჰამ-ტან: მძლავრ-ტანოვანი, მძლეთა-მძლე. შეუდარებელი სარანგი. შეუდარებელი ფალავანი, უებრო გოლიათი. აზრით იგივეა, რაც „ამირ-ანდარე-ჯაჰან“-ი—ამირანდარეჯანი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თაბუთი, 119,2; 597,2—სპ. تابوت—თაბუთ—კუბო, ცხედრის წასაღები სამარეში ჩასასვენებლად.

თავადი, 804,1; 815,1—მეფის დიდებული, სპათა უფროსი, წარჩინებული, დარბაისელი. კარის კაცი.

თათბირი, 1853,3—არაბ. تدبیر—თადბირ—რჩევა, ბჭობა, მსჯელობა; იგივე მნიშვნელობა.

თასი, 1240,2; 1490,3; 1759,1; 2258,1—სპ. طاس—თას—ღვინის სასმისი, კოთხო, ფიალა, თეფში, ღვინის დასალევი ჯამი, დოსტაქანი.

თაჯი, 1439,1; 1447,3—სპ. تاج—თაჯ—გვირგვინი.

თეგი, 200,3—სიქა, ბეჭედი, შტემპელი.

თეთრი, 2443,4—ვერცხლი; ვერცხლის ფული

თემი, 321,4; 1196,1; 1244,2; 1391,1—ჯარი, ტომი, იგივე, რაც სომხ. տոհմ—ტომი, გვარი, ნათესაობა, საზოგადოება, ერიდობა.

თერიაკი, ან თრიაკი, 1600,3—ბერძ. θηριακή—თერიაკი—არაბ.-სპ. ترياق—თერიაკ—შხამის წინააღმდეგი საშუალება; ოპიუმი; შხამიანი ცხოველისგან ნაკბენის გამკურნებელი საშუალება.

თეფში, 52,4; 195,2—არაბ. طبشي, თათრ. تپشی—ან და სპარს. تبشی—სინი, ან პატარა ხელ-გობი, საჭმლის საკაზმავი, ტაბაკი, მისართმევი ხის ფიქალი.

თექ-ნაბადი, 167,2—საუკეთესო თვისების ნაბადი, ძვირფასი ნაბადი.

თვალ-დაუფახველი, 494,4—თვალდახუჭული: აქ, პირიქით, უნდა ყოფილიყო „თვალ დაფახული", ე. ი. მტირალი, იხ. და შეად. ვეფხ. ტფილისის 22 გამოცემის ლექსიკონში „თვალდაფახული". უამისოდ, ეს ადგილი შეიძლება განიმარტოს ასე: „შენი მშობელი იყოს თვალ-დავსებული, ე. ი. უბედური". [რვა.

თოხარიკი, 2548,1—ცხენის ჩქარი და ლამაზი სიარული, ცხენის ცო-

თნევა, 820,3—სიტყვით აშება, მიფერება, პირ-ფერობა, პირ-მო-

თუმანი, 165,3—სპარ. تومن—თუმან—სამი მანეთი. [თნეობა.

თურქასია,—დიდი თოფი, აქედგან სათურქნო,—თოფის სროლაზე—საცრის ზომა.

თურინჯი, 247,1; 1260,2—არაბ. ترنج—თურინჯ—ლიმონი; აქედან ترنجی—თურინჯი—ლიმონისფერი, ყვითელი (ლიმონივით).

ი

იაგუნდი, 106,2; 1473,4—არაბ. ياقوت—იგივე მნიშვნ. იხილე ვეფხ. ტყ. ლექსიკ.

იადგარი, 642,1; 1376,3—სპარს. يادگار—იადგარ—სახსოვარი, ძვირფასი საჩუქარი სახსოვრად.

იადონი, 247,4; 670,4—ბერძნ. ἀηδών—კანარის კუნძულთა ფრინველი, საკუთრივ—ბულბული. გურული გაიდონა—იგივე ბერძ. ἀηδών—ბულბულს ნიშნავს. დღეს კი იადონს კანარის კუნძულთ ყვითელ და მომცრო ტანის მგალობელ ფრინველს უწოდებენ, რუს. канарейка.

იარაღი, 265,1; 565,3—თურქ. ياراغ—იარაღ—საზოგადოდ, იგივე მნიშვნელობა: საომარი იარაღი, ხელ-საწყო, საშვალება; მამაცის ასო.

იასამან, 247,2—სპარს. یاسمن—იასამან—ყვავილია, იგივე მნიშვნ.

ილათი, იხ. ილეთი.

ილეთი, ან ილათი, 2655,4; 2656,4; 2660,1—არაბ. علت—ილლეთ—საშვალება, ჯერკი, მოხერხება, მარქანება, ხიბლი.

ინდოური, 1223,1; 2604,3—სპ. هندوی—ჰინდუი—ინდოეთითგან გამოსული საქონელი, შემოსული, შემოღებული, ან შემოტანილი ინდოეთითგან.

იოტა, 2276,4—იხ. და შეად. ვეფხ. ტყ. ლექსიკ.

ისარი, 678,3; 1526,3—საომარი იარაღი; სასროლი პირ-ბასრი იარაღი. საუკეთესო თოხ-ფრთოვან ისარს „ცერ მართალი" ან „ცერას" ჰქვიან: იხ. გისრ., 151 გვ. მე-17 ე სტრ. და ჩვენი ვეფხ. ტყ. მე 22-ე გამოც. ლექს. სიტყვა „ცერა".

ისპა, 9,1; 1590,2; 2936,3—სპარ. اسپاه—ასპაჰ—ლაშქარი, მხედრობა, ჯარი, სამხედრო საქმე. აქედან ისპაური, ან საისპაო—სამხედრო, სალაშქრო, სამამაცო.

ისპაზნეობა, 1590,2—სამამაცო ზნენი, მამაცობა, მილაშქრობა.

ისპაური, 1501,1—მამაცური, გულადი; სამამაცო, საისპაო, სიტყვისაგან „ისპაჰ"—იხ. „ისპა"—აქვე, ზემორე.

კ

კაამუღლი, 1275,1—ერდგული, საიმედო.

კაბა, 299,1; 843,1—სპ. قبا—კაბა—ზედა-სამოსელი, მანტია, ხვაფთანი, კაბა, ჩოხა.

კავი, 515,2; 1359,4—დაკრეხილი იმა ქალის სახის სამკაულად თავხურაზე; კავები შუბლ-საფეთქლითგან დაწყებული, ყურების წინ ლოყებზე ჩამოკიდებული, დაბაბამდი უწევენ.

კაეშანი, 794,3; 824,1; 1699,4—სევდა, შავი ფიქრი, ზადი, მწუხარება, დარდი.

კაზმა, 192,1—სომხ. կազմ-կազմել—კაზმ-კაზმელ—იგივე მნიშ.: რთვა, გამოწყობა, გალამაზება, მომკობა.

კაი, 274,4—იხ. და შეად. ქაიანური, 65 გვ., შე-2-ე შენიშვნა.

კაკაბი, 523,1—სპ. كبك—კაბკ, სომხ. կաքաւ—სანადირო ფრინველია, საქებური ხორცით.

კაკაბი, 2905,3—სელის მსგავსი ბალახი, რომელსაც წეწავენ და იმისგან ამზადებენ ძვირფას ნითელს: სტავრა-კაკბითა მოჭკაზმა მან ჭრელი სარანჩობით: ამ ტაეპში „მოჭკაზმა"-ს შემდეგ მძიმე მეტია და უნდა მოისპოს.

კალიბობა, 1690,4—არაბ. قالب—კალიბ—გამოსახულება, ჩამოსხმული სახე, ნაკვთი, სხეობა, ფიგურა.

კამარა, 244,1; 537,2—სპ. كمر—კამარ—თაღი, ცის შეკაგული, ცის ტატნობი; საზოგადოდ, თაღი.

კანჯარა, 1971,4; 2021,2; 2029,3; 2558,3—სპარს. كنجر—მამალი სპილო, თუ کندگ—კანდგაი—იხ. ვეფხ. ტყ. ლექს.

კართი, 2241,3—სომხ. կարթ—კართ—კუნთი, მუხლის კვირისტავი.

კარობა, 1003,2—სამთავრობული, უფროსობა, ტახტი, სამკვიდრო.

კაშანა, 289,3; 1502,2—სომხ. կապան—კაშან—დრო, იხ. და შეად. ვეფხ. ტყაოს. 344,4.

კაპარჭი, 2619,3; 2621,2—სომხ. կապարճ—ისრით ბუდე.

კაპოეტი, 1345,3—წელიწად-გამოვლილი მამალი, ან ქორი, აქედან: ხუთ-კაპოეტი, 1345,3—ხუთი წლის.

კატარღა, 814,1—თურქ. قدرغه—კადარღა—საბრძოლველი ნავი, ხომალდ ნავი, შეად. იტალიური coverta, თურქ. كوبرته—კობერტა, იგივე მნიშვნელობა. იხ. ვეფხ. ტყ., 552,2.

კაჭაჭი, 546,3; 2213,2—გამხმარი შამბის, გინა ნადის ძირები, მაგრად გართხმული გამოკვალულ მიწაში.

კბოდე, 1612,3—ზღვის, ან მდინარის კლდოვანი პირი; ფლატე კლდე ზღვის ან მდინარის პირზე.

კეისარი, 1299,2; 2561,2—იხ. ვეფხ. ტყ. ლექსიკ.

კიბოურჩხალი, 1374,3—კიბო, ან ცხრა-ფეხა.

კიდო, 2598,2—ისრით მშვილდის საბუდეთან ჩასაკიდებელი (საბა).

კინენა, 1529,2—საბრძოლველი იარაღი შუბის მსგავსი. სხვილი და გრძელი შუბი.

კიწრი, 1844,4—ვიწრო; მეტაფორ.—უკანასკნელი ძალ-ღონე, ხალხური—ქანცი.

კირჩხიბი, 373,2—კიბო; აქ კი მისის ზოდიაქო.

კლიტე, 1955,2; 1221,3—ბერძ. κλειδί, სპარს. كليد—ქილიდ—თურქულში იხმარება ბოქლომის მნიშვნელობითაც.

კმევა, 1261,3—სულნელებათა ფერქვევა საცეცხლურის, ან სხვა, საშუალებით. მოსაკმევი ნივთიერების აბურება, მოკმევა.

კოდა, 1528,1—წყლული, დაკოდვა, ჭრილობის მიღება.

კოკა, 192,3; 1232,3; 1759,3 და 4—სითხელის საწყაო ჭურჭელი, დიდი ოთხ-ჩაფიანი თიხის ჭურჭელი; იმერეთში დიდ ჩაფს კოკას უწოდებენ.

კრიანტელი, 192,4—სასმისი: თუნგი, ან დოქი მაღალ-ყელიანი, გრაფინი წვრილ და მაღალ-ყელიანი, მოხატული და გამშვენებული წვრილ ყელიანი სურა.

კოშკი, 218,3; 955,2—სპ. كوشك—კოშკ—ბაღის სახლი.

კუბო, 1817,1—არაბ. قبه—კუბბაჰ—ტახტრევანი, კილობანი; 1882,3—აკლდამა, ტაბუტი, მიცვალებულის სამარხი ადგილი, გინა სასვენებელი.

კუბო, 1509,4—თურქ. قوبه—კუბო—ხორც-მეტი.
კუბო ყალმაკი, 1509,4—თურქ. قلماق قوبه—კუბო ყალმაკი,—ჯავშანი, ხყაფთანი, ჯაჭვი საკურტაკე.
კურტაკი, 479,2; 2611,4—თურქ. كورتك—კურტაჰ—კურტაკ—მოკლე ტანისამოსი.
კუპრი, 1707,3—სომხ. կուպր—კუპრ—იგივე მნიშვნელობა.

ლ

ლაბური, 1882,1—ზარით მოთქმა, ზარი, გამოტირილის წესი.
ლაგამი, 1223,3; 1556,4; 2213,3; 2259,3—სპარს. لگام—ლაგამ—იგივე მნიშვ., იხ. ვეფხ. ტყ. ლექს.
ლალი, 106,3; 1121,4; 1377,2—სპ. لعل—ლალ—ძვირფასი ქვა წითელი ფერის, იხ. ვეფხ. ტყ. ლექს.
ლამაზი, 628,2; 1647,4—არაბ. لماز—ლამმაზ—მაყივნებელი, მაცთუნებელი, მლიზღობი, ბოროტი მთქმე. აქედგან: ქართულში: თვალმაქცი, მხიბლავი გარეგნობით, ჯადოსნური ადამიანი: სიტურფით თვალმაქცი (ქალი, გინა კაცი).
ლამი, 486,3—იხ. ვეფხ. ტყ. ლექსიკონში.
ლარი, 1230,1—ყოველგვარი ძვირფასი ნივთი.
ლარი, 1539,3—ნაქსოვი ფარჩა, იხ. ვეფხ. ტყ., 402,3.
ლაჟვარდი, 383,1—სპარს. لاژورد—ლაჟვარდ—ცის ფერი ქვა, ლურჯი ქვა. ჩვენს ვეფხის-ტყაოსნის ლექსიკ. კორექტურული შეცთომით გამოტოვებულია სიტყვა „ქვა“.
ლალი, 1773,4—სპ. لال—ლალ—ამაყი, იხ. ვეფხ. ტყ. ლექსიკ. აქედგან ალალებული, 858,4—გაამაყებული.
ლაღობა, 966,1; 2594,2—ხუმრობა, თამამი ქცევა.
ლაყაფი, 218,2; 2723,2—არაბ. لقب—ლაყაბ, ან გულკ. لقب—ლაღაბ—გრძელი წერილი, გაწიანურებული წერილი, ან გრძლად წარმოთქმული სიტყვა ვისიმე საქებრად, ან საგმობად.
ლაში, 1613,2—ქვედა ბაგე, ქვედა ტუჩი, იმერ. ლაფში.
ლახტი, 93,1; 1944,3; 1947,2; 2016,2—სპ. لخت—სომხ. լախտ—ლახტ—გრძელი უტარო მათრახი სცემად, იხ. ვეფხ. ტყ., 1040,2—ჯეტი.

ლეში,—თურქ. لاش ან لش—ლაშ, სპარს. لاشه—ლაშეჲ—მძორი, მკვდარი ტანი.

ლეწა, 1610,2—მსხვრევა, მტვრევა, ნაჭრა-ნაჭრა ქცევა.

ლივლივი, 1374,2—გახლტომ-გამოხლტომა, დიდის ნახტომის ქმნა. კისკასი მოძრაობა.

ლილა, 384,4; 542,1—სპ. ليلا—ლილა—ლაჟვარდის ფერი წყალში გასაქნელი სღებავი თეთრეულისათვის. ლურჯის ფერის საღებავი.

ლიტრა, 230,3; 628,1 — ბერძ. λίτρα — ლიტრა — ღვინის საწყაო.

ლომ-ბროწყული, 247,1—ბორა ბროწყულის, ტკბილი და გარეგნად ხაშხაში. ლომ-ბროწყული აქ კანის ფერის მაჩვენებელია და ნიშნავს წითლად დაბრაწულს თურაშაულივით, ყაყაჩოვარას.

ლომი, 1259,4—ბერძ. λέων—ლეონ—ნადირთა მეფე. იგ. შნიშ.

ლომოსანი, 2763,2—ლომის სახე დროშა, შეად. 527,2—დროშა ნიანგოსანი.

ლუკმა,—არაბ. لقمه—ლუკმაჲ—აქედან لقمه لقمه—ლუკმაჲლუკმაჲ—იგივე მნიშვნელობა.

ლუსკუმა, 2914,2—სარ. გლუსკმა, ბერძ. გლოსსოკომონ—იხ. ვეფხ. ტყ. ლექსიკ.

მ

მალამი, 284,3—იგივეა, რაც მალამო: საცხები წამალი.

მალედ, 664,2—საჩქაროდ, მალე.

მანასაჯური, 1539,3; 1734,1—არაბ. منسج—მუნასსაჯ—ქსოვილი; მანასაჯური ლარი—ოქრო-ქსოვილი, ნაქსოვი ფარჩა. მანასაჯური სავენი,—ნაქსოვი სავენი, ძვირფასის ქსოვილის ხალი. ოქსინოს ფარდაგი.

მანდატური, 517,2—ლათ. mandaturus—კარის მინისტრი, მეფის ადიუტანტი, მეფეთ კარე მდგმი (საბა).

მანდილი, 1336,3—არაბ. منديل—მანდილ—ხელსახოცი, საწვლე.

მანქანება, 15,4—სომხ. სიტყვისაგან *մեքենայ*—მექენაჲ—ხიბლი, ხერხი, ზაკვა, ეშმაკობა. ილათი.

მანშური, ან მანაშური, 1189,1; 2092—სპ. منشور—მანშურ—სიგელი, მოწმობა, დიპლომი, სიმტკიცის საბუთი, ფირმანი, ბრძანება.

მანმილთ, 841,4—გაპუტკუნებული, გასუქებული (ვარიკა, ან სხვა წვრილფეხი, ან უშობელი).

მარგალიტი, 106,3—სომხ. *մարգարիտ*—მარგარიტ — ბერძ. μαργαρίτης — მარგარიტის—ძვირფასი თვალი, გუარი.

მართვე, 1589,3— ბარტყი.

მარილი, 1855,3; 1856,1—ძირი ლათ. mare—მარე—ზღვა—საკუთრივ—ზღვის-ყელი, იგივე მნიშვ.

მარიხი, 1253,2; 1293,3—არაბ. مريخ—მარრიხ—ცთომილი ვარსკვლავი, მარსი.

მარტვილი, 1846,3; 1877,4; 2658,4—ყრმა, ყმაწვილი, ბავში.

მარტორქა, 1607,3—ერთგვარი ზღვის ცხოველია, ზღაპრული ზღვის ცხოველი ერთრქიანი.

მარქაფა, 812,1—არაბ.-სპ. مرکب—მარქაბ—ცხენი, ვირი, ჯინიბი; მეორე ცხენი მხედრისაგან ვისთვისმე წაყვანილი.

მარჩილი, 195,3—ძველი ქართული ვერცხლის ფული—სამ აბაზიანი; იმერეთში ექვს მაურს უდრიდა.

მარჯანა, 2031,4—სპარს.-თურქ. مرجان—მომცრო ბაზი, შავარდენი.

მასკვლავი, 2653,2; 2715,4—იგივეა, რაც ვარსკვლავი.

მაფრაშა, 1305,2—არაბ. مفروش—მაფრუშ—ხალიჩა, გინა ჯეჯიმი, რომელშიაც აწყობენ ქვეშსაგებელსა და ტანისამოსს მგზავრობის დროს.

მაღრიბი, 596,1—არაბ. مغرب—მაღრიბ—დასავლეთი.

მაღრიბული, 191,3—არაბ.-სპ. مغربی—მაღრიბი—დასავლეთური; იხ. მაღრიბი.

მაშვრალი, 482,4; 522,3—დაღლილი, დაქანცული, აბეზარ-ქმნილი. დამაშვრალი, 2631,3.

მაშრაბა, 243,4—არაბ. مشربه—მაშრაბაჱ—ყუდჱ. მაშრაბა—თასი, სასმისი, ვაზა, ჭურჭელი, ფიალა.

მაშრიყი, 1332,2—არაბ. شرق—მაშრიყ—აღმოსავლეთი, აღმოსავლეთის ქვეყანა.

მაშხალა, 812,4—არაბ. مشعله—მაშ'ალა — ჟინჟილი, შუშხუნა, ფარანი, ჩირაღდანი.

მგზარი, 1232,2—მოხარშული.

მგელი, 786,4—სომხ. գայլ—გაილ—იგივე მნიშ.

მგლის სახე დროშა, 484,3; 491,2—იხ. განმარტება: 143-ე გვ., მე-6-ე შენიშვნა.

მგოსანი, 999,1; 1165,1—სომხ. գուսան— გუსან — მელექსე, მომღერალი.

მდეგი, 200,2—თანამდებობის აღმასრულებელი, მოხელე.

მეემანი, ან მოემანი, 548,3; 795,1—სპ. ميهمان—მეჰმან'ი—წვეულება, პურობა, სტუმართ-მოყვარეობა, მეჯლისი, ლხინი.

მელანი, 1347, 1;1393,2;1866,4—ბერძ. μέλαν, სომხ. մելան — იგივე მნიშვნ.

მელი, 633,4; 2076,1; 2074,7; 2347,3; 2601,2—იგივეა, რაც მელა; შეად. ვეფხ. ტყ., 699,2.

მელუქი, 1454,3—არაბ. ملق—მულალაკ—ავერიალებული, გამოკიდებული.

მემაჯანი, 668,4—არაბ.—იხ. ვეფხ. ტყ. ლექს. ნასესხ. სიტყ.

მემუქარე, 2390,2; 2578,2—იხ. ვეფხ. ტყ. ლექსიკ.

მემუდნე, 87,2—იხ. მუდნი.

მენადარე, 634,1; 647,1—იხ. ნადარი.

მერამლე, 59,4; 60,2; 61,1—იხ. რამლი: მემარგე, მკითხავი,

მერემე, 2030,2; 2032,1—იხ. რემა. [მარჩიელი.

მესტროლაბე, 2017,3—იხ. სტროლაბი.

მეფარდაგე, 660,2—ფარდაგების გამგე.

მეჩანგე, 123,2; 519,2; 2630,3—ჩანგზე დამკვრელი. იხ. ჩანგი.

მეწინარობა, ან მეწინობა, 915,4—წინამძღოლობა, მოთავეობა, წინ გაძღოლა.

მეჯუად, 1332,4—არაბ. مجود—მუჯავვად—კარგი ნახელავი, კარგად ნაგები, კარგი ნაკეთები, ტურფა ნაშენები.

მეჯლიში, ან მეჯლისი, 57,1; 671,1; 672,2; 1089,4; 1489,2; 2630,4—არაბ.-სპ. مجلس—მეჯლის—ყრილობა, წვეულება, შეკრებილობა, კრება, კომპანია. რაუტი.

მეჯუფთარე, 1250,3; 1270,2; 2495,4; 2862,2—სიტყვისაგან ჯუფთი (იხ. აქვე ლექსიკონში ჯუფთი)—მეტოლე, გვერდში ამოსაყენებელი, თანასწორი.

მ'ხეკა, 2595,1—დახედვა, დათვალიერება, ჯარის ალლუმი.

მთიები, 1115,2—ცისკრის ვარსკვლავი. მნათობი.

მილი, 1186,2—საწყაო.

მილი, 198,3—სპ. ميل—მილ—შემკულობა, სახე, ნახატობა, ნატიფი სახე, კაზმი, მოხატულობა.

მილი, 600,3—ღვარი, ან ღვარის გასავალი, წყლის სადენი სა-დინარი, ლუღა წყლის ჩადინებული; 1186,2—აქედგან: უხვად მდინარი, ურიცხვი.

მილიონი, 139,3—სიგრძის ზომა.

მილოდა, 1966,1—მილივით გაუსხლეტლად იარე და...

მინარა, 632,1; 636,1—არაბ. منار—მინარა—მაღალი ბურჯი, კოშკი მაღალი და წვრილი, მიზგითის ბურჯი.

მისატკივილი, 481,3—მისამძიმრება, გულშემატკივრობის მიზე-ზი, სამძიმრის მიზეზები.

მიჯნური, 1474,1; 1585,3—იხ. ვეფხ. ტყ. ლექსიკ. საკუთა-რი სახელები.

მოაბა, 270,1; 292,1—ტახტრევანი, სატარებელი ტახტი, ან კუ-ბო, ქეჯაო.

მოაბა, 292,2—მოაბა აქ უნდა ნიშნავდეს მოაბადს, ანუ მობედს, სპ. موبد—მობედ—ბრძენი, მოგვი, სწავლული; ბასითანელი მოაბა—ბასითანელი ბრძენი; იხ. და შეად. ლადიანის ხელნაწე-რის ვარიანტი, 1183,2.

მოაბად, 1186,2; 1827,1; 2019,3; 2020,4—სპ. موبد—მო-ბედ—ბრძენი, მოგვი, სპარსთა ქურუმი; შეად. მოაბა, 292,2.

მოარაკე, 660,4—მოწინავე, მჯობი.

მოარაჯე, 2315,3—არაბ. معراج—მა'რაჯ—(ძირი عرج—არაჯა—ამა-

ეროვნული
ბიბლიოთეკა

დღება, საფეხურებზე ასვლა)—აქედგან გადმოქართულებული მოარაჯე—ამომავალი, წინამძღოლი, გზის მაჩვენებელი, ქვეყნის მანათობელი.

მოახლე, 1294,1—მოსამსახურე გოგო, ხადუმი.

მოგვი, 1152,3—ტყავის ქარქაში, ტყავის ბუდე.

მოებაზმა, 901,1—იხ. ბაზმა.

მოედანი, ან მაიდანი, 430,4; 548,3—არაბ. ميدان—მეიდან—ასპარეზი, ველი, ბრძოლის ველი, იპოდრომი.

მოემანი, 548,3—სპ. مهمانی—მიჰმანი—მასპინძლობა, სტუმართმოყვარეობა, წვეულება, ბანკეტი; იგივეა, რაც მეჯმანი.

მოვაკლახე, 2633,3—იხ. ვაკლახი: მოტირალი, მოვალალე.

მოვანება, 3,2—(სომხ. სიტყვისაგან վան—სადგური, საბრძანებელი, სავანე—მონასტერი)—აქედგან მოვანება, დიდებით და ბრწყინვალედ გამოჩინება, შემოდგომა (შუქის), სხივოსნებით მოვლინება, მნათობის: დიდებულად აღმობრწყენა, მნათობის დიდებული სვლა ცაზე.

მოთვალმარგალიტება, 1817,2—თვალ-მარგალიტით შემკობა.

მოკამარე, 2118,2—გაუსხლეტლად მორთული და გაბრწყინვებული, მუდამ კოხტა.

მოლარე, 1883,3—საუნჯეთა შემნახველი, ხაზინადარი.

მოლაჟვარდი, 1487,2—ლურჯად შეღებილი; ლაჟვარდის ფერი. ცის ფერი, ლაჟვარდოვანი.

მომრე, 2625,4—მძლე, მომრევი, დამმარცხებელი, მჯობი.

მომსპოლველი, 2330,3—გამანადგურებელი, მომსპობი, ამწყვეტელი, აღმომფხვრელი.

მონაბუქნა, 2630,2—გამხიარულდა: მოყვარულად მონაბუქნა, ე. ი. გამხიარულდა, საკუთრივ: იწყო რაკვა (ბუქნა), როგორც მოყვარემ.

მოლი, 2263,1; 2621,3—მანტია, ზედა-სამოსელი, მოსასხამი.

მოლი, 1997,2; 2089,2—მწვანე ბალახი.

მონავანე, 2744,1—იხ. მოვანება.

მონარბოლი, 522,3—იხ. რბოლა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მონასახე, 1748,2; 1752,1, 1904,1; 2496,2.—დარი, მსგავსი, ხატება, მსახველი, გამოხატულება. გამოსახულება, მსგავსება.

მონოზანი, 53,1.—ბერძ. μονάζων—განდეგილი. საკუთრივ. მარტო მყოფი; ბერი, მონოზანი ქალი, ბერ-მონოზანი.

მოშირე, 2617,3.—კეთილის მსურველი, სიკეთის მდომი. მოვარგელი, მწყალობელი.

მორჭა, 894,4.—გაკვეთა, დაჭრა ხის მორებად:—მორი—სხვილი ხის ნაჭერი, ნამორი.

მოსადაგე, 660,3.—სიტყვისაგან სადაგი: გამოუბრალოებელი, შეუფრობელი. უმაღლესი, უძვირფასესი.

მორჭმული, 593,1; 2438,1; 1879,2 1487,4. 2440,1—იხ. განმარტება ვეფხ. ტყ. ლექსიკ.

მოსახლოვანი, 1842,3.—მკვიდრი, მცხოვრებელი.

მოქამარე, 2118,4—ტურფა სარტყლიანი.

მოყივნებული, 2008,2.—შერცხვენილი, გაბასრული.

მოწორწლეული, 191,2.—ზმნის გან მოწორწლვლა; მბზინავის, ან თვალის ამაჭრელებელი ნივთების უხვად დაკიდება, ან ასხმა რაზედმე.

მრჯულე, 2583,1.—მისაყვედურე, გამსაჯე; გამსამართლე. ძირი რჯული ან რჩული, აქედან სარჩული.

მუზარადი, 97,3; 2614,3.—არაბ. مزرد—ზარად—ან مزرج—ზარაჯ—რკინის ქუდი, თავის სარქმელი საჭურველი ომის დროს.

მულდანზარი, 177,3; 1310,3; 1379,2; 2116,4.—სპ. مرغزار—მურღზარ—ბაღი, ფრინველით მდიდარი ადგილი; ლადიანის ვარიანტით, „მულდაზარი", უფრო სწორია.

მუნებური, 1132,1; 2766,3.—იქაური, ზმნის სართისაგან „მუნ"—იქ.

მუნეჯიმი, ან მუნეჯიბი, 1183,2 1410,2—არაბ. منجم—მუნეჯჯიმ—ასტროლოგი, ვარსკვლავთმრიცხველი, მეტლე.

მურასა, 166,3.—არაბ. مرصع—მურასსა—ოქროთი ან თვალ-მარგალიტით მოჭედილი, მოოჭვილი.

მუტრიბი, 233,2; 670,3; 1370,4; 1816,3.—არაბ.-სპ. مطرب —მუტრიბ—კარგი მომლხენი; კარგი დამკვრელი, ან მომღერალი, ან და მაცეკვარი ან მომღერალი ქალი, 469,2.

მუქარა, 97,4; 2606,3.—არაბ.-სპ. مكارا—მუქარა—იგ. მნიშ.

მუქაფა, 957,4; 1356,2.—არაბ.-სპ. مكافات—მუქაფატ—ნაცვალი, სამაგიერო გადასახდელი.

მუქიფი, 1762,3; 2346,2.—არაბ. موكب—მავქიბ—შეიარაღებულ ცხენოსანთა კრება, რაზმი.

მუღნი, 87,2.—არაბ. مغنى—მუღანნი—ბარბითი, ებანი ან ქნარი.

მუყამი, 2114,2.—არაბ. مقام—მუყამ—ერთგვარი მუსიკალური მოტივი; სიმღერის კილო.

მუშაითი, 679,3, ან მოშაითი, 72,3.—მომღერალი, მომლხენი.

მუშაბახი, 244,1.—არაბ. مشابه—მუშაბაჰ—მსგავსი, შესაფერი, ან და იხ. 76 გვ. მე-3-ე შენიშვნა.

მუშკი, 295,4; 1393,2; 2491,3; 2631,2.—არაბ. مشك მუშკ—ბერძ. μόσχος—სასურნებელი და მოსაკმევი ნივთიერება.

მუშტი, 1841,4.—სპ. مشت მუშტ—იგ. მნიშ.

მუხანათი, 586,1.—სპ. مخنث—მუხანნათ—მატყუარა, გაუტანელი; იგ. მნიშ.

მუხთალი, 2826,4; 2917,4.—არაბ.-სპ. مختال—მუხთალ-მატყუარა, მალვალაკი, ვერაგი, პირუმტკიცო, ფიცის გამტეხელი.

მუჯამარი, 1178,2; 1773,3.—არაბ. مجمره—მუჯამმარა—საცეცხლური.

მქისი, 785,1.—ხორკლიანი, ვერანა, უდაბური, ავი, მოწყენილი, მკაცრი.

მყაფარი, 1120,3; 2029,1.—წარმოსადეგი, ამართული.

მჩქეფარე, 622,3.—დუარად, ჩქერად; ამოხეთქილი დუარად.

მძივი, 1533,2; 2545,3.—მრგვლად გათლილი ძვირფასი ქვა, ან ლითონი, ხერხემლის მრგვალი ძვალი, ძვლის კვირისტავი.

მძორი, 2079,3.—ლეში, მკვდარი ტანი.

მძღუარი, 2331,2.—იგივე, რაც მზღვარი, ზღვარი.

მწდე, 245,3.—მერიქიფე ღვინის მომრთმევი და დამსხმელი ნადიმზე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მწვე, 173,3.—სასტიკი, მრისხანე, მძაფრი.
მჭელი, 267,4.—რაც ერთს ხელს მოჰყვება, იმდენი პურის ღე-რო თავ-თავით, ნამგლით მოჭრილი; აქ იგულისხმება მომკე-ლი ყანის ღერო-თავ-თავის სიმრავლე. შედ. გეფხ. ტყ. 910,4.
მხიფლავი, 2416,1; 2424,4.—იგივეა, რაც მხიბლავი; იხ. და შედ. ხიბლი.
მჯილვი, 1035,3.—მუშტი, მუჯლუგუნი.

ნ

ნაბერწყალი, 1496,4.—resp. ნაპერწკალი, ან vulg. ნაპწკიალი,—ცეცხლის ყინწლი, გაღვივებულის ცეცხლის, ან გაძლიერე-ბულის ალის ნაფარი, ნაწვიმი, ნასროლი ყინწლები.
ნაბული, 2916,2.—სულ-დალეწული, ხმა-გაკმენდილი.
ნადიმი, 48,3; 1232,1; 1233,1; 1490,1.—არ.-სპარ. ندی—ნადი—მეჯლიში, შემოყრილობა, შეკრებილობა; ლხინი, წვეუ-ლება.
ნადიმობა, 2564,2.—სიტყვისაგან ნადიმი—ლხინი, შექცევა, დარ-ბაზობა, შემოყრილობა.
ნადირი, 1226,2.—სანადირო გარეული ცხოველი, გინა ფრინველი.
ნაელი, 2894,1.—ნაღოლები, მოსალოდნელი, მოსავალი, აუცი-ლებელი.
ნავალი, 2305,4.—ფინთი, სიბინძურე, ნაგავი, ნეხვი.
ნავი, იხ. გეფხ. ტყ. ლექს. ნასესხები სიტყვებში.
ნავროზობა, 518,4.—სპარ. نوروز—ნავრუზ—სპარსთა ახალი წელიწადი: სკუთრივ იგი ნიშნავს „ახალ დღე“-ს.
ნაზი, 1596,4—სპარ. ناز—ნაზ—იგ. მნიშვ. იხ. გეფხ. ტყ. ლექს.
ნათხზენი, 2641,2—ნაწნავი, ღალალი.
ნამუსი, 2787,3.—არაბ.-სპარ. ناموس—ნამუს—იხ. გეფხ. ტყ. ლექსიკ.
ნარგიზი, 670,2; 1260,1; 2495,2—სპარ. نرگس—ნარგის—ყვავილია. იგ. მნიშ.
ნარი, 477,4; 866,3; 1067,1—სპარ. نر—ნარ—მამალი, მამ-

რი. opp. ماده—მადე—დედალი, მდედრი—„შაჰ-ნამე"-ში მამალი სპილო, ლომი, ან დევი; ნარი, ამნაირად, ნიშნავს საშინელ მამალ მხეცს, იგულისხმე: „ლომი", გინა „პილო", ან „დევი".

ნარინჯი, 247,1—არაბ. نارنج—ნარინჯ—ფორთოხალი, نارنجی—ნარინჯი—ნარინჯი—ფორთოხლის ფერი, ყვითელი. ნარინჯ—თურინჯი—იხ. 1260,2.

ნარნარი, 1321,4—ნაზი და საყვარელი, ტკბილადსასმენელი, ტკბილი და ამო; წყნარი და სანდომიანი, შეად. სპარ. نار—ნარ, ან نارین—ნარინ.

ნასი, 669,4—უშნო, ართვალი; 2252,1—ნაზი, საყვარელი.

ნასკუპი, 2258,4—ხვანჯი, ხიბლი.

ნაფსლი, 624,2; 626,1—ნაფსამი, ფსელ-ნარევი, შარდ-ნარევი.

ნატერფალი, იხ. ტერფი. იხ. ვეფხ. ტფ. ლექსიკონში.—ნაბიჯები, ფეხის ნადგამი, ნაკვალევი.

ნაფირი, 884,2; 489,3; 526,2—სპარ. نفیر—ნაფირ—ზურნა, საყვირი, ზროხ-კუდი.

ნაღარა, 45,1; 146,2; 337,2; 384,4; 526,2; 635,2; 676,3; 995,3—არ.-სპარ. نقاره—ნაღარა.—ნაღარა შესდგება ორის ერთი მეორეზე მისარტყმელის ლითონის თეფშისაგან.

—ნაღარა ზედვენ—ნაღარის კვრა- ომში ნაფირითა და ნაღარით იწყებოდა.

ნაჭოპარი, 1522,1—დორბლი, დორწყი, ნაქაფი, დუჟი.

ნახლი, 166,2; 835,4—სპარ. نخل—ნახლ—ძვირფასი ქსოვილი, ძვირფასი ფარჩეული.

ნები, 2393,3—ხელის გული. ხელის შინაგანი სიბრტყე—ხელის სიფართოვე.

ნიანგი, 386,2; 783,3; 1008,2; 1111,2; 1374,3; 2641,4—სპარ. نهنگ—ნიჰანგ—ხვითქი, დიდი კროკოდილი, ვეშაპი.

ნილო, 2598,4—ზღვის ცხოველის უზარმაზარი, გველ-ვეშაპი. დიდი ვეშაპი, ან ნიანგი.

ნიშანი, 1606,1;2392,3—სპარ. نشان—ნიშანი—იგ. მნიშვნ.

ნაშტანი, 2594,4 — სპარ. نوشتن ნუშტან — სასმელი, საუდაბაყი, საუდაბაყულეუბით.

ნოჲბა, 146,2; 992,2; 1179,2 — არაბ.-სპ. نوبه — იგივეა, რაც ნოჲბათი.

ნოჲბათი, 565,2; 591,4 — არაბ. نوبت — სამხედრო მუსიკა, — საომარი მუზიკა. დაფი და ნაღარა, ბრძოლის ხმის მისაცემი საკრავი.

ნოჲხი, 196,3 — სპარ. نخ — იგივე მნიშვნელობა.

ნოჲშტარო, ან ნოჲშთარო, 2896,2; 2899,4 — სპარ. نوشدارو — ნოშ—დარო, — შხამის წინააღმდეგი საშუალება: შესდგება თერიაყისა და ფაზარისაგან. ქართულ ჯანითზობაში ნოშტაროდ ხმარობენ ფაზარ-ხუთოს, რომელშიაც შედიან ნოშთარო მძივე-ბი ფაზარი და ხუთო და თერიაყისაგან შეზავებული მაჯუნი. საბას არა აქვს ნოშთარო, ჩუბინაშვილი კი მას მხოლოდ კითხვის ნიშანს უსვამს.

ნუზლი, 992,2; 995,4; 1227,3 — არაბ. نزل — ფეშქაშური, რაც კი სამასპინძლოა, სანუკვარი.

ნუსხა, 308,2; 311,2 — არაბ. نسخه — ნუსხა — წიგნი, ხელთ-ნაწერი საბუთი.

ო

ოთაღი, ან ოთახი, 166,2; 431,1; 589,2 — თურქ. اوتاغ — ოთაღ — დიდი კარავი, სამეუფო კარავი, პავილიონი, ხარგა, ოთახი დიდის კაცის მისაღები.

ომა, 224,3 - არაბ. هما — ჰუმა, ზღაპრულის ფრინველის სახელია, სამოთხის ფრინველი, კარგი ბედის მომასწავებელი ფრინველი.

ომაინი, იხ. 71 გვ. 1-ლი შენიშვნა სულ სხვაა. ჩვენ შეცთომით გვაქვს.

ომახი, 2264,4 — სიმამაცე, რიხიანობა, გაუდრეკელობა.

ონი, 2229,1 — სპარს. اونی — ონია — ერთგვარი ლამაზი მცენარეა.

ორბი, 1374,2; 2036,4; 2282,1; 2643,1 — სომხ. მომცრო არწივი. მტაცებელი ფრინველია, როგორც ძერა.

ურდო, 183,1—vulg.—ურ-ური.

ურთლდი, 2807,1—ტარ-პირი და გრძელ-ტარიანი შუბი, ბუნ-გრძელი და პირ-ბასრი შუბი.

უსტატი, 1866,1 — სპარს. استاد—ბატონი, მასწავლებელი, პატრონი, მოხელე, ოსტატი.

ურხოა, ან ურხოუა, 71,2; 1734,1—ხალიჩა, ნოხი. ხავიჩას მსგავსი ქსელი. ორხაო ქსოვილი.

უქრო, 1260,4; 1867,3—უძვირფასესი მადანი. ფული ოქროსი.

უქსინო, 71,2; 166,1—ძვირფასი ფარჩა.

უყარი, 1313,4; 1314,1—სპ. [illegible] ჭოყარ—წყლის ფრინველია: ყანჩი.

უჩანი, 269,2—ურჩი, ჯიუტი, გაუხედნელი მოზვერი, ან ცხენი, ან კამეჩი, ან სხვა საშუშაო პირუტყვი: იმ მიზნით, რომ გააქციოს ჭაპანს, ან მუშაობას, ხშირად წაიწოქებს, ან წაწვება გზაში, ან გაუხტება გვერდზე პატრონს.

უხერი, 648,4: 2007,4—არაბ. اخير ტიალი, ღვთის ანაბარა დაგდებული.

პ

პაემანი, —სპ. پیمان—ფაიმან—დანიშნული დრო, ვადა.

პანტა, 501,2—წვრილი და ხშირი რამ: ტყის მსხალზე, ან ვაშლზე იტყვიან: პანტა ვაშლი, პანტა მსხალი.

პაპა, 800,1; 2018,2—პაპუა. იგივეა, რაც მამის მამა, იმერეთში კი—ბაბუის მამა.

პარტახტი, 93,4—სპარს. پرداخته—დანატოვარი, ნაოხარი, ოხერ ტიალი.

პასუხი, 2025,1; 2064,3; 2122,1—სპ. پاسخ—ფასუხ—იგივე მნიშვნელობა

პატივი, 111,4—სომხ. պատիւ—იგივე მნიშვნელობა.

პატიჟი, 2934,4 — სომხ. պատիժ—პატიჟ—ჭირი, ტანჯვა. ამ სიტყვის ძველი მნიშვნელობა, ე. ი. მასპინძლისაგან სტუმრის დაყენებით იხდენა და დაუთლება (სადილზე ან ვახშამზე), რაც დღემდი დაცულია იმერეთში, შენახულა ძველს ქართულში, იხ.

Н. Марръ, Житіе св. Григ. Хандзійскаго, დამატებანი, 28,4.

პატიმარი, 1985,2; 2756.4—ტყვე, ტუსაღი.

პატრონი, 51,1; 2101,3; 2917,4 — ლათ. patronus, ბერძ. πάτρων, მფარველი, მამის გვარი უფროსი. opp. cliens— იგივე მნიშვნელობა.

პაშტა, 940,2 — მნიშვნელობა იგივე აქვს, რაც სპარ. بس— „ბეს"-ს — საკმაო, ბევრი. კარგი კუთხე, კაი ძალი, (ხალხ.) შეად. ვისრ. 40 გვ. იხ. ჩვენი განმარტება: სახალხო გაზ. 184 №-ი, ფელეტ., სვეტი მე-4-ე, ibid. 209 №-ი, ფელეტონი, 2—4 სვეტი.

პერი, 2603,4—იხ. პერული.

პერული, 554,3; 903,1—ქაფი, პერი — წყლის დუღილის დროს მომდგარი ქაფი. დორბლი, სიბრაზის ქაფი, დუჟი.

პერანგი, 1377,1—იხ. ვეფხ. ტყ. ლექსიკონში ნასესხ. სიტყვები. სპ. پیراهن—ფირაჰენ—იგ. მნიშვნელობა.

პილო, 1314,1; 1505,2; 1516,4—resp. სპილო, სპარ. پیل —ფილ—ან فیل—ფილ—სპილო, აქედან პილოტანი შესდგება სიტყვებისაგან پیل—ფილ და تن—ტან—ტანი,— სპილოსტანა, ე. ი. ფალავანი, ბუმბერაზი, გოლიათი, ფალავანთ თავი.

პილოტანი, 168,1; 893,1; 2625,3—სპარ. پیلتن—ფილტან— სპილო ტანა, ტანად სპილო, ბუმბერაზობის აღმნიშვნელი ფალავნის ეპითეტია, დაერთვის უფრო ხშირად რუსტემს „შაჰნამე"-ში და აქ, „სამიან"-ში, სამ ფალავანსაც. იხ. პილო.

პილწი, 1534,3; 1535,1—resp. ბილწი,—სომხ. պիղծ—პილწ— ცუდი, უწმინდური, საძაგელი.

პირ აშკმული, 111,4; 1612,4—პირ-დალებული.

პირ-ბასრი, 1509,3—პირ-მახვილი, პირ-წვეტიანი.

პირ-მზე, 352,1—სპარს. ფიგურაა آفتاب روی აფტაბრუი. მზეთუნახავი, შვენიერი.

პირ-მთვარე, 57,4; 972,4; 1725,4; 2846,3—სპარ. ماهروی—

მაჭრუჲ—მზეთ-უნახავი, ლამაზი და კეკლუცი, თვალ-მაქცი ქალი, კეკლუცი ბანოვანი, იხ. სპარ. ტექსტი, Vullers, გვ. 35, სტრ. 7.

პირ-ტოფი, 2075,4—ვეშაპის ეპითეთია—პირზე სიბრაზის დორბლი რომ ადგება. ტოფს რომ ყრის პირიდან.

პორფირი, 661,3—ბერძ. πορφύρα—იხ. ვეფხ. ტყ. ლექსიკონი.

ჟ

ჟამი, 529,4—სომხ. ժամ—ჟამ—დრო.

ჟანგი, იხ. ჯანგი.

რ

რაგი, 499,4—ჰინდ.-სპარ. راگ—რაგ—მუსიკა, კონცერტი. (!) აქ კი საყლარუნებელი: ცხენთა ზანზალაკები. შედ. 428,2—ზარი. შეიძლება რაგი იყოს წარყვნილი ზანგი—სპარ. ზანგ-ზარი, თათრულშიც ხმარებული შედ. სომხ. զանգ.

რადი, 2817,1—არაბ. رد—რად'—ხელის კვრა, გაგდება, მრუდობა.

რადი, 1968,1—არაბ. راد—რადა—მდგომარეობა, ხარისხი, გარეშემო ადაგი.

რაზმი, 43,1; 538,1; 2561,1; 2611,3; 2876,3—სპ. رزم—რაზმ—წყება, ჯარი, წკაპი.

რამლი, 60,1; 62,1; 1692,3—არაბ. رمل—სამემარკო, სამკითხაო სილა, ქვიშა.

რანი, 940,1; 941,2—სპარ. ران—რან—წვივებზე ჩასაცმელი სპილენძის ან რკინის აბჯარი, საწვივე აბჯარი.

რასტინოვა, 2114,2 — راست نوای —რასტინოვაჲ — სამღერის და მუსიკის კილოთა ერთი.

რაში, 2614,1; 2859,3—სპარ. رخش—რახშ—რუსტემის ზღაპრული მაგი ცხენი; მაგი ცხენი; მაგი მერანი. „შაჰ-ნამე“-ში ზღაპრული ცხენი საზოგადოდ.

რახსი, 20,26,1; 2032,4—იხ. რაში.

რბოლა, იხ. ვეფხ. ტყაოსნის ლექსიკონში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რემა, 2024,3—სპარ. رمه—რემჰ—ჯოგი.

რეტი, 476,1—გარეტებული, გაგიჟებული, რეტიანი, შეად. ხელი-გახელებული. როგორც ხელი, ისე რეტი იხ. ვეფხ. ტყაოსნის ლექსიკონში.

რიალი, 984,1—ხიფათი, უბედურება, ცუდი ამბავი, ფათერაკი.

რიდე, 1335,2—პირ-საფარი, პირ-ბადე, ჩადრი.

რიქაფი, 1762,3—არაბ. رقيب—რიქიბ—მეთვალყურე, მზრუნველი.

რკინის ქუდი, 2268,1—იხ. მუზარადი.

რქენა, 184,4; 2858,1—ფალევნების შეჭიდება.

რუ, 649,4; 1525,1; 2541,2; 2604,4; 2815,2—არხი, მილი, კანალი, წყლის კალაპოტი, წყლის გასაყვანი, ღვარი, ნაკადული.

ს

საარმუში, ან სარამუში, 1835,2—სპარსული სიტყვისაგან رامش—რამუშ—სახარული, მხიარულება; აქედან სარამუში—სამხიარულო, სადღესასწაულო; ან آرامش—დასვენება, ხალვათად ყოფნა—აქედან საარმუში—სახალვათო, სითავისუფლო, სასუბუქო სამოსელი. სასუბუქო, შეად. 2041,2.

საბარკული, 941,2—წვივებზე ჩასაცმელი რკინის საჭურველი ომის დროს.

საბელი, 1453,3; 1632,2—თოკი, ბაწარი, საგდებელი თოკი.

საბური, 1882,3—სახურავი, აკლდამის დასახურავი.

საგდებელი, 1251,4; 1616,2; 2027,4; 2028,1—საბელი, სასროლი და დასაჭერი პირუტყვის, ან ადამიანის იხ. და შეად. ქამანდი.

სადავე, 2016,4; 2602,1, ან სადევე—აღვირი, ლაგამი, ავშარა.

საგზალი, 812,2—გზაში საზრდო.

საგსარი, 1512,2; 1514,4; 1780,1—სპ. سگسر—საგსარ—ძაღლ-თავა; იხ. „კორკასალი“ და „მგლის სახე-დროშა“.

სადაგავი, 1991,3—დასაწვავი, დასადაგავი.

სადაფი, 1474,3; 1759,3—არაბ. صدف—სადაფ—ნახე ვეფხ. ტყაოსნის ლექსიკ.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

საყარდე, 794,4—იგივეა, რაც სპარ. گلستان —გულისტან—საბაღნარო, წალკოტი, ვარდის ბაღი.

საზი, იხ. 238 გვ. მე-3-მე შენიშ. სპ. ساز—საზ—მუსიკა, ჭარ-მურის, სამუსიკო საკრავი. იხ. ვარიანტი 1505-ე №-ი.

სათი, 2482,1—შავი ქარვა: სათის სიშავეს ხაზს უსვამს გისრამიანიც, იხ. 65 გვ., 15 სტრიქ.: სათსა სიშავე არად წაედების. შეად. Н. Марръ. Т. Р. XII, Витязь, 18 გვ., 1-ლი შენიშვნა: ბ. მარრით, იგი არის თავმოკვეცილი სპარსული بسد —ბუსად, (ან ბუსსად) და ნიშნავს ძოწსო (не гишеръ, или агатъ, а кораллъ темно-краснаго цвѣта).

სათუთობა, 1877,3—ფერებში ზრდა, ქავება, განებივრება ერმის.

სათურკნო, 184,1; 222,1—სიგრძის ზომა—წარმოებული სიტყვისაგან: „თურკანი" დიდი თითი.

საკამათი, 522,1—საცილობელი, საკამათო.

საკანი, 2523,4—საშურობილე, საპატიმრო.

საკარმანგი, 1811,3—ძვირფასი ფარჩეული, ან ბადე, მარგალიტით ნაკერი მელოგინე ქალის გადასაფარებლად; იხ. საისტ. და საეთნ. საგანძურის ვიტრინა, მე-33-ე № ი. აგრეთვე ცხენის ჩული მოოჭვილ - მარგალიტებული, მილებ - მოვლებული; საკუთრივ— საკარმანგი ნიშნავს პერანგის გულის პირის მარგალიტის საკინძეს.

საკრძალავი, 2306,4—საჩივართო, საშიში, მოსარიდებელი.

სალამი, 1583,4—არაბ. سلام—სალამი—იხ. ვეფხ. ტყ. ლექს.

სალარო, 54,4; 1191,1; 1222,1—ლარის, ანუ ქონების შესანახავი, საგანძური, საჭურჭლე.

სალდო, 180,1—მწვანილია.

სალიზდი, 2770,4—სალაღობო, სახუმარო.

სალმობა, 96.3—სატკივარი, სენი, ტკივილი, დარდი.

სალტე, 1473,3; 1640,2—სამკლავე, ხელნავი, ბრასლეტი, სამკრე, დასტანავი.

სალუქი, 1455,4; 1484,1—სპარ. سلوك—სალუქ—კოხტა, კარგი და საყვარელი ზმა, მოხდენილი, თავაზიანი ქცევა და მიხრა-მოხრა. შეად. Н. Марръ. Т. Р. IV, Словарь. რმდ.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

სამანდი, 137,2; 142,1; 507,1; 904,2; 1581,3—სპ. سمند —სამანდ—საომარი ცხენი, მუხლადი ცხენი.

სამარყანდი, 1723,2—წარმოებული ქალაქის სახელისაგან— سمرقند —სამარყანდი—ძვირფასი სამკაული საჩუქრად, ძვირფასი საჩუქარი, ძვირფასის ამკაული: სამკლავე, ფარდული, ბეჭედი და სხვა.

სამსალა, 2720,4—საწამლავი, შხამი.

სამუქფო, 996,4; 2038,2—იქ მუქაფა.

სანდაროზი, 1621,2—ბერძ. σανδαράχη—აქედან სპარს. سندروس —სანდარუს—სანდალი, სუნნელოვანი ხეა ინდოეთში.

სანოვაგე, 1156,4—საჭმელები, ხორაგეულობა, სანუკვარი.

სანუკვარი, 22,3; 812,2; 994,4—ტკბილი და გემრიელი საჭმელი, პირის ჩასაგემრიელებელი ტკბილეულობა.

საპალნე, 1859,2—მძიმე ტვირთი ცხენის, ან სხვა საზიდრის პალანზე, ან კურტანზე მარდიკურად გადასაკიდებელი.

საპირე, 1335,3—სამოსელის ანუ საბნის ზედა პირი.

სარავი, 1645,3; 2012,1—აქ უნდა ნიშნავდეს იმასვე, რასაც სრა.

სარანგი, სპარ. سرهنگ —სარჰანგ—ბუმბერაზი, ატლეტი.

სარაჯი, 1688,1—სპარ. سراچه სარაჩა—შემცირებითი სახ. სიტყვისაგან سرای —შეად. ბალჩა, ზანდუხჩა—პაწია სახლი, განყოფილება, ოთახი.

სარაჯი, 679,1—შადრევანი, ამომჩქეფარე ჭავლი, წყლის კამარა.

სარაჯო, 2378,1; 2473,3; 2874,1—სპარ. سراچه —სარაჩე—მზის წრე, მზის ფარგალი; 2473,3—ჭვერი.

სარმუზა, 2662,3—სპარ. سرموزه —სარმუზაჲ—ქოში, ხის ბაშმაკი, მაშია, ერთგვარი ზედახამლი (კალოში).

სარანუბო, 2905, 3—სპარ. سربونه —სარ ნუბაჲ—საკუთრივ ნიშნავს მეფის წინაშე მყოფს ღამის სამ დარაჯში ერთს ყველაზე უხუცეს დარაჯთაგანს. ნობათად მეოთხე მოუმე; ჭრელი სარანუბოთა—ე. ი. ჭრელი მეფის დარაჯთა შესაფერი, სადარბაზო, საკარო, სასახლო, საპატიო.

სარა, 2338,1 ან სარო, 1332,4—სპარ. سرا —სარა—სასახლე, სრა.

სარო, 1583,3 — სპარ. سرو — სარო — კვიპაროზის ხე: საროს
უწინ — საროს მჯობი. [ლუქი.
სასალუქო, 2920,2 — საკოხტაო, მოსახდენი, მოსაწონი, იხ. სა-
სასთაული, 2621,4 — თავქვეშ დასადები, სასთუნალი, იმერ. სარ-
თუმალი.
სასტიკი, 2316,4 — სომხ. սաստիկ — სასტიკ — ფიცხელი, მკაცრი,
ავ-გული, საშინელი; იგ. მნიშ.
სატანა, 2580,2 — სომხ. սատանայ, ბერძ. σατανᾶς — სატანას — ეშ-
მაკი, ეშმა, მავნე, ბოროტი არსება. — იგ. მნიშვ.
საფაჭდარი, 1481,2; 1582,3; 1584,2; 2009,3 — resp. საფა-
დარი, 140,4; 1182,2; 1491,2 — სპარ. سپهدار საფაჭდარ —
სპასალარი, ჯარის უფროსი, სარდალი.
საფენი, 1353,1; 1645,3; ან საფენელი, 1734,1 და 2; 2169,2 —
ქვეშ გასაშლელი ხალიჩა, ქეჩა, ფარდაგი, ჭილობი და სხვა
სახლის მოსართავად.
საღრტილი, 1509,3 — resp. — სახრტილი — უნაგრის საწვეტი.
სადამანგი, 1818,3 — სპ. سالنك — სადიმანგ ან ماهلنك — სადი-
მაჭ — მთვარის წელიწადი, იხ საბ. ლექს.: მთოვარის-მოქცევაჲ.
დადიანისეულის ხელნაწერის ვარიანტით „სალამანგი" უფრო
სწორი გამოთქმაა. მთვარის ეტლი.
საყური, 1473,3 — საყურე.
საჩეხე, 2023,2 — სახვადგმა, პირუტყვის დასამწყვდევი გზა.
საჩინო, 2652,2 — გამოსაჩენი, ყურადღების ღირსი.
საჭურჭლე, 1239,3; 1883,2; 2440,2 — საგანძური, ქონების
შესანახავი, საწყობი.
სახელმწიფო, 1234,3 — ხელმწიფის სამოსელი; მეფის ტანისა-
მოსი, ხელმწიფეთა ჩასაცმელი. [გებო.
სახეობა, 1516,3 — თვალადობა, მშვენიერობა, მოყვანილობა, ანა-
სახიერობა, 2279,1 — მოწყალეობა; მოვარგულობა, წყალობის თვალი.
საკმილი, 2783,4 — გახურებული თონე, ალი.
საჯულაბე, 192,2 — ძირი ჯულაბ — არაბ. جلاب — ჯულაბი — სასქ-
მებელი; აქედან საჭულაბეს უწოდებენ ჯულაბის ჭურჭელს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჯულაბი არის სასმებელი წამალი, რომელიც შესდგება წყლი-ს და სიროფისაგან; სასმებელი ლიმონადი.

სევანი, 486,4; 618,2; ამ სიტყვის ძირი დაცულია სომხურს ნომენკლატურაში: გოგჩის ტბას სომხ. ծով սեւանայ—წოვ სევანაჲ ქვიან; სევანაჲ კი წარმოებულია მონასტრის სახელისაგან սեւ վան—სევ ვან—შავი საყდარი, შეად. ჩვენებური საყდრის მონასტერი, ან სავანე—კარავი, ტალავარი, საყდარი.

სევდა, 68,2; 1474,2; 2013,1—არაბ. سوداء—სევდა—სიშავე; შავი ფიქრი, მელანქოლია, მწველი სურვილი, ცხარე სურვილი.

სელი, 66,3; 225,3; 601,1; 620,4; 669,3; 816,3—ლათ. sella—ძვირფასი საჯდომი, სავარძელი, ოქროს სკამი. 4528-ე №-ი ხელნაწერის ვარიანტი უნდა სჯობდეს; იხ. აქვე სხოლიოში.

სერა, 156,3—აქ ღამეს ნიშნავს: სერი, სერობა კი, საკუთრივ, ნიშნავს მწუხრს, საღამოს ჟამს.

სეფაბანდი, 1840,1; 1874,1—სპ. سپند — საფანდ— მაღალის მთის სახელია, რომლის წვერზე აგებული ციხე რუსტემმა თავის ბავშობის დროს აიღო. აქ კი თვით ციხე-ქალაქი ციტადელი, მთავარი ციხე ამ მთაზე, იხ. 1868,4; 1869,1; 1872,4; ქარ. ტექ. სეფაბანდ.

სეფე, 213,4; 225,3; 1275,1; 1276,1; 1379,4—სომხურად սեպուհ— სეპუჰ — სამეფო, საბატონო, აქედან: სეფე-ქალი, 1431,3; სეფე-წული, იხ. ვეფხ. ტყაოსნ. ლექსიკ., ნასეს- [ხები სიტყვები.

სთულეშა, 1386,2—მოწევა, მიკრეფა.

სიასამური, 194,4—სპარ. سوسموری—სიუ სამური—კვერნა. ჩრდილო-ამერიკის ერთგვარი ცხოველია. ძვირფასი ქურქი იცის. სამური, ხაზილი. Соболь.

სიგელი, 1196,3—ლათ.-ბერძ. sigillum—ბეჭედი, შტემპელი, სიქა; აქედან მეფის ბეჭედ-დაკრული მამულის მფლობელობის აქტი, მეფის ნაბოძები მესაკუთრეობის საბუთი სიგლით.

სიმამრი, 213,1; 221,2—ვულგ. სიმავრი—ცოლის მამა.

სიმურღი, 1115,3—სპ. سیمرغ—სიმურღ—ზღაპრული ფრინვე- [ლია ფასკუნჯი.

სიმუხთლე, 4,3—იხ. მუხთალი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სინგური, 2473,2—თურქ. سنکور—კინოვარი, ძლიან წითელი სამხატვრო წამალი, ცეცხლით შეზავებული ვერცხლის წყალი და გოგირდი.

სიპი, 283,2; 1866,1—სომხ. սիպէ—მაგარი, რგვალი და წვრილი ქვები, წყალში ჩალიპული; ლიპი. Слизнякъ.

სირინოზი, 1490,2—ბერძ. იხ. სირინოზ. ვეფხ. ტყ. ლექსიკ. საკუთ. სახ.

სიღაფლე, 406,3; 2120,1—(არაბ. غفل—ღაფალ—ზარმაცი, უდარდელი, მოუხეშავი, მოუქნელი, ფლეგმა)—უქმობა, სიღაფლე, სიზარმაცე, უქმად ყოფა.

სიჩუქე, 2649,4— იხ. ჩუქე.

სონღური, 1777,4—თურქ. سونقور—სონღურ—ერთგვარი შამი-ნი, მავარდენი.

სოფლით, 868,3; 2678,2—ყოველი ადგილი, მთელი მიდამო, ქვეყნიერება.

სპა, 2554,3; 2605,3—სპ. سپاه—სპაჰ—ჯარი, ლაშქარი.

სპარაზენი, 9,3—სომხ. սպառազէն—სპარაზენ—აბჯროსანი, აბჯარცმული, შეომარი.

სპასალარი, 1940,3—სპ. سپهسالار ისფაჰ სალარ—ჯარის უფროსი, მხედართ მთავარი.

სპერული, 195,3—სპერი მაზრაა, რომელიც საზღვრავს სამეგრელოს და სამცხეს, აქედან ფულის სახელწოდ. სპერული.

სპილენძი, 15,29,1—სომხ. պղինձ—პ'ღინძ—წითელი რვალი.

სპილენძ-ჯური, 1132,3; 1901,2; 2470,2—დიდი საყვირი.

სპილო, 203,2—resp. პილო, სპ. پیل—ფილ—იგ. მნიშ.

სრა, 35,3; 1728,2; 2038,1—სომხ. սրահ—სრაჰ—სპ. سرای—სარაჲ—სასახლე, მეფის სამყოფი სახლი, მეფის ოთახები.

სრავალი, 594 გვ., მე-7-ე შენ.—428 №-ის ვარიანტი.—ხვარბაღთა საფენი (საბა)—უმჯობესია, ასე გასწორდეს.

სრაფარდა, 215,3—სპარ. سراپرده—სარაფარდა — კარავზე გადასახურავი ფარდა, დიდი ფარდაგი, კედლის ფარდა. [ფარდა.

სრა-ფარდაგი, 12,242; 2436,3—საფენი ფარდაგი, იხ. სრა-

სტავრა, 106,1; 194,3—ძვირფასი ქსოვილი, საუკეთესო ფარჩა.

სტომაქი, 1799,3; 2231,3—ბერძ. στόμαχος—მუცელი, კუჭი.

სტროლაბი, 1183,2; 1411,3; 1692,3—ბერძ. ἀστρολάβον—არაბ.-სპარ. سطرلاب—სტროლაბ—სასტრონომიო, ან სავარსკვლავთმრიცხველო იარაღი. აქედან: მესტროლაბე—ვარსკვლავთმრიცხველი.

სუბუქი, 1223,3; 1316,2—სპ. سبک—სუბქ—იგ. მნიშვ.

სუდარა, 335,3; 2267,2; 2611,2—(ლათ. sudarium—სუდარიუმ)—საკუთრივ მანდილი; შესახვევი ტილო, თეთრი ზეწარი მიცვალებულის გვამის გასახვევი.

სულთქმა, 1128,2—ამოოხვრა, ახვა, ამოხვნეშა; აქედან სულთქნა, ამოისუნთქა, ამოიოხრა; აქედგან მოქნარება,—зѣвать. სწორია „სულთქმა“ და არა „სულთქმნა“. აქ, ტექსტში, ჩვენც შეცდომით გვაქვს სულთქმნა: მ-ანი მეტია.

სულნელი, 1261,3—ყვავილის, გინა მცენარის ამო სუნი ან საკმეველი; მოსაკმევი რამ. არომატი.

სუმბული, 1306,2; 2116,4; 2555,2—სპ. سنبل—სუნბული—იაკინთი—ყვავილია.

სურათი, 177,2—არაბ. صورت—სურათ—ფორმა, ანაგები, ნახატი, გარეგნობა, ნაკვთი.

სუფრა, 195,1; 1476,2 —არაბ.-თურქ. سفره სუფრა—საიჯრო სტოლი; სტოლის საფარი.

სფაალი, resp. საფალი, 132,2—სპ. سپهبد—სიფაჰბედ—მთავარსარდალი, ჯარის უფროსი, დიდებული, ხასი.

ტ

ტაბაკი, 1229,4; 1335,1; 1756,3— არაბ.-თურქ. طبق—ტაბაკ—საჭმელების მისართმევი ხის ან ლითონის დიდი თეფში. იმერ. საინი, ხონჩაზე მისართმევი დიდი და ფერადი თეფში.

ტაბლაკი, 270,4—არაბ. طبلك — ტაბლაკ—პაწია ბარაბანი, ან ნაღარა.

ტაგრუცი, 335,4; 424,2; 596,3; 2524,2—მეფეთა და დიდებულთა სამარხი ადგილი; მაღლა ნაგები საფლავი.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ტაიჭი, 106,4; 1770,2; 2023,1—სომხ. տաճիկ—ტაჭიკ—არაბული ცხენი.

ტალა, 810,2; 1539,1; 2595,4; 2596,3—არაბ. طلائع—ტალაჲ—აქ დამქრის გზის მაჩვენებელი; გუშაგი და მტრის მზვერავი ომის დროს: იგი უთვალთვალებს მტერს, რომ აცნობოს დამქარს მტრის მოახლოვება. ღამის დარაჯი, მე-თვალყურე, მზვერავი.

ტან-აბჯარ-დარაკიანი, 2624,2—შეჭურვილი და ფარით ხელში.

ტან-აუშოლ, 1835,1—ტან-მაღალი, ჭასკაცვანი, კარგი ნაზარდი. ტანოვანი.

ტახტი, 93,3; 2015,1; 2020,4; 2631,2—تخت — ტახტ—მეფის საჯდომი, სამეფო საყდარი. met. სამეფო.

ტახტოსანი, 35,4—სიტყვისაგან ტახტი—მეფე, ქვეყნის მპყრობელი, ჴელმწიფე.

ტევრი, 493,1; 808,2—არაბ. طوری—ტევრი—დიდი და ხში-რი ტყე, ტყე დასახლებული ფრინველებით და ადამიანებით, Freitag.

ტერფი, 514,1; 2929,3; 2031,2; 2074,2; 2239,3 — არაბ طرف—ტარაფ—საკუთრივ საბჯენი, დასამყარებელი, აქედან ნატერფალი—ნაბჯენი, ნაკვალევი. ფეხის ნადგამი. აქედან ფე-ხის ნამტვერავი, იხ. ვეფხ ტყ. ლექსიკ. ბოლო, ფეხის გული.

ტილისმა, 227,1—ბერძ. τέλεσμα, არაბ. طلسم — ტილისმ—ჯადო, ხვანჯი, მხიბლავი, კუდიანური, გრძნეული ძალა. მან-ქანება, ხიბლი, გრძნეულება.

ტკრციალი, 526.2—იხ. ვეფხ. ტყ. ლექსიკონში.

ტინა, 511,1; 2652;3;—სალი კლდე. იხ. ვეფხ. ტყ. ლექსიკ.

ტოჰმი, 2021,1—სომხ. տոհմ—ტოჰმ, ბერძ. τομός—ტომოს—იგ. მნიშვნ. იხ. ვეფხ. ტყ. ლექს.

ტორო, 2031,4—აქ უნდა ნიშნავდეს შავარდნის მართვეს: მარჯა-ნისა ტორო ვითა,—როგორც ბაზი შავარდენი.

ტრამალი, 424.4 —უპატრონო და მიგდებული არე-მარე, ნათხარი, ბარტახტი; ოხერ-ტიალი, ლექსისთვის სჯობს 1505 №-ი

ხელნაწერის „ტრამა“, იხ. და შეად. ვეფხ. ტყაოსნის ლექსიკ., მით უმეტეს, რომ ეს ადგილი რუსთველის მიბაძვაა: იხ. ვეფხ. ტყ. მე-22-ე გამოცემა, 484,4.

ტურა, 543,4; 786,4; 2600,4—ძაღლის ჯიშის მტაცებელი მხეცი.

ტურფა, 35,3; 670,4—არაბ. ظرف —ტურფა—ლამაზი, მოხდენილი, მშვენიერი, კოხტა, თვალმაქცი, ნორჩი და ლამაზი. მხიბლავი სილამაზით.

ტუსვა, 49,3; 1608,3; 2787,1—იმერ. ტრუსვა,—ალზე თმის გინა ჯაგრის, ან ბურტყულის მოწვა, მორუჯვა. ცეცხლის ალზე მოწვა რისამე.

უ

უამრავი, 2287,3—ან უამარი—ძირი სომხ. համար—ჰამარ—რიცხვი—აქედან უამრავი, ურიცხვი, იხ. ვეფხ. ტყ. ლექსიკონი.

უბანი, 668,3; 972,1—შუკა, ქუჩა, ანუ ქალაქის ერთი რომელიმე ნაწილი; უბან-უბანი—თავ-თავის ალაგას, თავ-თავის რიგზე.

უდი, 670,1—არაბ. عود—უდ—სტვირი, ქნარი; ნა.

უზაბარი, 1185,2—ან უზებარი—საშინელი ვეფხი, ავთარი.

უზებარი, 2076,1—იხ. უზაბარი.

უნაგირი, 395,3; 1612,1; 1721,3—ინდ.-სპარ. حاکیر—ჰინნაგირ—იხ. ვეფხ. ტყ. ლექსიკონში, ძველი ქართული სიტყვები.

უპრჩქვნელი, 177,4—უფურჩნელი, გაუშლელი. (ვარდი კოკობი).

ურანა, 1902,1; 2600,2—„ურა“-ს ძახილი.

ურვილი, 1119,3—მზრუნავ-მშფოთავი; წვალებული, ტანჯული, შეწუხებული, სიტყვისაგან ურვა—წვალება, შფოთვა, ზრუნვა.

უსტარი, 1792,3—წერილი, მინაწერი წიგნი.

უსულოდ, 1872,2—licent. poet. „უსულოდა“-ს ნაცვლად.

უფსკრული, 1588,4 (ძირი ფსკერი, რომელიც ნიშნავს ძირს, ძროს)—აქედან უ-ფსკრ-ული. ღრმა და თვალ-უწვდენელი ადგილი. გადასახედავად შემზარავი თვალუწვდენელი კლდის ძირი. ორმოსი, გინა ზღვის, ან ჯოჯოხეთის ჟურღმული; ჩამთქმელი და დამღუპველი ადგილი.

უშვერი, 2,3—უპატიური, უტიფარი, ურცხვი, უზრდელი, თავხედური.

უჭესთესი, 302,2 ან და უზეშთაესი,—იგივეა, რაც უზესთაესი—შეუდარებელი, უსრულესი, უბრწყინვალესი.

ფ

ფათერაკი, 576,1; 1637,4; 2201,2—სპ. پتیاره ან پتیره—ფატერა—ფატერაკ—ხვანჯი, იხ. 1637,4—ჭირი, სენი, ყოველგვარი საწყენი, არა სასიამოვნო რამ, მოულოდნელობა, შარი.

ფაიქი, 187,4; 468,1; 470,1; 471,2; 876,1—სპარ. پیک—ფაიქ—მოციქული, ელჩი, შიკრიკი, ხელზე მოსამსახურე და გასაგზავნ-გამოსაგზავნი ფარეში.

ფალავანი, 18,1; 57,2; 1163,1—სპ. پهلوان — ფაჰლავან—გმირი, მოპირდაპირე მებრძოლი, გინა მოჭიდავე. ირანის გმირი, რაინდი.

ფალაური, 1136,1—სპ. پهلوی—ფაჰლავი—ძველი სპარსული, ფალაური (ენა).

ფარა-ფარა, 1035,1—სპარ. پاره پاره—ფარა-ფარა—ნაჭრა-ნაჭრა, —ფარა სპარს. پاره—ფარა—ნაჭერი, ლუკმა—ფარა-ფარა—ლუკმა-ლუკმა, ნაკუწ-ნაკუწა, ნაწილ—ნაწილა.

ფარდა, 166,2—სპარ. پرده—ფარდა, იხ. ფარდაგი.

ფარდაგი, 876,2; 2078,4; 2113,4—სპარ. پرده—ფარდა—ფარდაგ—ფარდაგი—კართა, გინა სარკმელთა ჩამოსაფარებელი, ქალის კუბოს (ტახტრევნის, კიდობნის) გადასაფარებელი, ან ორხოვა საფენი ოთახებში, ოქსინოს საფენი.

ფარეში, 1645,2—არაბ. فراش—ფარრაშ—მოსამსახურე, ხელზე მოსამსახურე, დარაჯი, ოთახის დამლაგებელი, კამერდინერი.

ფარი, 2604,2—(შეად. სპ. پر—მხარი, ფრთა)—დარაკა, ფარი.

ფარმანი, 183,3; 2137,3—სპარ. فرمان—უმაღლესი ბრძანება, მანიფესტი, დიპლომი. რესკრიპტი.

ფარსაგი, 1214,1; 1734,4 არაბ. فرسخ—ფარსახ—სპარ. فرسنك—ფარსანგ,—ქვა, ერთის დღის სავალი გზა.

ფარშამანგი, 1769,2—ინდოურის ჯიშის ლამაზი და ამპარტავანი ფრინველი.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ფასკუნჯი, 789,1; 1114, 1117,1—იგივე, რაც სიმურღი.
ფაჩვა, 449,4—სომხ. փախչել—გაქცევა.
ფახფური, 1298,3—არ. فخر ფახრ—დიდებული, ამაყი, ისეთი, რომელსაც თავი მოაქვს სხვებთან შედარებით.
ფეროზი, 1723,4; 1759,1—სპარ. فیروزه—ფირუზაჲ—ძვირფასი მწვანე ქვა, თვალი პატიოსანი; تخت فیروزه—ტახტი ფირუზაჲ—მეფის ქაიქაუსის (vulg. ქაოზის) ტახტი, 2761,2.
ფერკი, იგივე, რაც ფეხი.
ფესვი, 1662,4—სამოსლის ქვედა ქობა, სამოსლის გრძელი და ფართო კალთა.
ფეშქაში, 107,3—სპარ. پیشکش— ფაშქაშ, ან پیشکش —ფეშქაშ—უფროსისთვის მისართმევი საჩუქარი, ძღვენი, საზღრი.
ფირუზი, 242,4—იხ. ფეროზი.
ფირტვი, 2327,4; 2329,1—ფილტვი.
ფიქალი, 948,3; 1249,2; 1251,1; 1352,2—სპარ. پیکر—ფიქარ—სურათი, კალიბი. საერთოდ გათლილი რისამე ფიცარი, ნაკვთი. გულ-მკერდის მოხაზულობა, გავსებული და ნეკნებ-დაფარული მთლიანი გულ-მკერდი, იხ. და შეად. ვეფხის ტყაოსნის ლექსიკონში: ფიგურა, მოყვანილობა, ანაგები. გამოსახულება, სახე, ნაკვთი.
ფლავი, 229,1—თურქ.-სპარ. پلاو—ფ'ლავ—ბრინჯი და ხორცი ერთად მოხარშული. ბრინჯისა და კვერცხისაგან შემზადებული ულუფა.
ფლასი, სპ. پلاس—ფლას—ძაძა, თალხი სამოსელი სამგლოვიაროდ, ძაძა-ფლასი.
ფლიდი, 468,3 — სპ. پلید—ფალიდ—საკუთრივ, უწმინდური; მალყალაკი, მირ-მოთნე.
ფლური 195,3; 1744,3—იტალ.—წინედ ოქროს ფული იყო, დღეს კი—ვერცხლისა.
ფოლადი, 1517,2—სპ. پولاد—ფოლად—ბასრი, ფოლადი;—ხმალი, მახვილი. სირიული ფოლადი.
ფოლორცი, 289,2—სომხ. փողոց—ფოღოც—ქუჩა, ორ-ღობე:

ეროვნული ბიბლიოთეკა

(აქედან—ფოლოცი, ან გაფოლოცებული—ქუჩა-ქუჩა, შარა-შარა მოსიარულე, შარაში გამოსული: უნამუსო).—შუკა, მოედანი, ბაზარი.

ფორაქი, 548,1—იგივეა, რაც ფორიაქი—საქონლის აკლება, დარბევა.

ფრეწა, 629,4; 2610—გლეჯა, ხეთქა.

ფრქვევა, 820,2—ბნევა, ყრა, ღვრა.

ფსკერი, 2345,1—ძირი, ძრო, აქედან იხ. უ-ფსკრ-ული.

ქ

ქაიანური, 202,2; 1479,1—სპარს. کیان—ქაიან—მრავლობითი რიცხვი სიტყვისაგან کی—ქაი—დიდი ხელმწიფე—სამეფო, მეფური, ძვირფასი: ქაიანური დროშა—სახელმწიფო დროშა იხ. 65 გვ., მე-2-ე შენიშვნა.

ქალაქი, 93,4; 1480,1; 1482,2—სომხ. քաղաք—ქალაქ.

ქამანდი, 1251,1—სპარ. کمند—ქამანდ—ბადე, სასროლი ბადე, საგდებელი, სასროლი, საბელი—ფიგურაა: მზეთუნახავის თმა.

ქამარი, 1873,2—სპარ. کمر—ქამარ—სარტყელი, ღვედი იგ. მნიშვ.

ქამხა, 196,1—სპარ. کمخا—ქამხა—აბრეშუმეული დიდი და ლამაზი ყვავილებით.

ქანარა, 379,3; 384,2—სპარ. کناره—ქარანაჲ—საკრავის ნადარის, ან ნაფირის, მსგავსი, დასაკრავი თმის დროს.

ქანი, 1867,3—სპარ. کان—ქან—მადანი, აქედან کانی—ქანი—ოქროს მადნის ნაწარმოები.

ქარავანი, 1853,4; 1855,2; 1857,3; 1858,3—სპ. کاروان—ქარვანი—წყება, ქარავანი, იგ. მნიშვ.

ქარ-ფეხი, 1609,1; 1874,2; 2615,1—ფეხ-მალი, სწრაფი, ზღაპრული არსების სახელწოდებაა.

ქარქაში, 1499,3; 1509,3—სპარ. کیر کاشی—ხმლის, გინა ხანჯლის ჩასაგები ბუდე, მოკვი.

ქაფური, 1882,2—არაბ. کافوری—ქაჶური—ქაფური—ნაძვის ხის შედედებული ქაფი, იგ. მნიშვ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქაქული, 334,1—სპ. کاکل—ქაქულ—ქოჩორი.
ქაჯი, 1099,1; 1495,2; 1504,2; 2847,3—სომხ. քաջ—იხ. ვეფხ. ტყაოსნის ლექსიკ.
ქებინი, 238,1—სპარ. کابین—ქაბინ—მაჰმადიანთ ცოლის მიზდი; ქაბინის გაგება—ქორწინების წესის შესრულება და ცოლ-ქმრის უფლებების დამტკიცება და დალოცვა მათი მოლასაგან. ფული და ქონება, რომელსაც ქმარი უმტკიცებს ცოლს, ქორწინების დროს.
ქეჯიმი, 866,2—თურქ. کجیم—ქეჯიმ—საჭურველი, ომის დროს ტანის დასაფარავი. ბარგოსტანი ცხენის და სპილოსათვის.
ქილილი, 1962,3—სპარ. کلل—ქილილ—თავის ბრუნვა, თავის ბრუალი, ყირამალა გადატრიალება. დაყ-ბრუ დახვევა, უკუღმა-ტრიალი. გრიგალი, თავდაყირა წასვლა, უკუღმა დატრიალება.
ქიშვარდი, ან ქიშვარი, 2531,4; 2533,3—სპარ. کشور—ქიშვარ—ქვეყანა, იგივეა, რაც იყლიმი.—მხარე, ქვეყა—ადგილი.
ქოსი, 137,1; 211,1; 484,2—სპარ. کوس—ქოს—სპილენძის ბარაბანი, დიდი ბარაბანი, ბარაბანი, ან დიდი დაირა, დიმპლიპიტო (თუშ.) ვეფხ. ტყ. 659,2 და სხვ...
ქოს-დაბდაბი, 1563,4—დიდი დაირა, დიდი ბარაბანი.
ქოს-ნაღარა, სპ. نقاره—ნაღარა—დიდი სამუსიკო საყვირი.
ქუდა, 972,4—ვაჟკაცი.
ქუთუთო, 354,2—თვალის სახუჭავი ტყავი, თვალის გადასაფარებელი.
ქუიშა, 2909,4; 2624,4—წვრილი ქვა და სილა ზღვის და მდინარეში.
ქურციკი, 677,4—გარეული თხა, შველი.
ქუში, 1223,4—იხ. ვეფხ. ტყ. ლექსიკ.

ღ

ღაბაბი, 648,1—არაბ. غبغب—ღაბ ღაბ—ორკეცი ნიკაპი, ნიკაპქვეშ ხორც-სავსე ადგილი, ნიყვი.
ღადრი, 475,2—არაბ. غدر—წყლის თამაში, ტალღა, მორევი.
ღალატი, 2244,1—არაბ. غلط—ღალატ—შეცთომა, ილათი, დალატი, გაცემა.

ღარიბი, 2005,1—სპარ. غریب—ღარიბ—იხ. ვეფხ. ტყ. ლექს.

ღარიფი, 2257,2 იხ. ღარიბი.

ღალია, 295,4; 670,2; 1347,1; 2494,3—არაბ. غالیه—ღალია—შავის ფერის სასურნებელი, რომელიც შესდგება მუშკის, ამბრისა და სხვა სურნელებათაგან: საზოგადოდ სურნელება.

ღაფალი, 2322,4 — არაბ. غافل — ღაფილ — (ძირ. ღფლ)— ზარმაცი, უქმი, უზრუნველი, უგმარ-ღებული. იხ. და შეად. ვეფხ. ტყ. ლექსიკ. ნახე აქვე სიღაფლე.

ღაწვი, 1121,4—ლოყა.

ღველი, 95,2; 398,1; 630,3; 1055,1 — თასმის სარტყელი; ძალიან მაგარი თასმა; აქედან ღველ-კაცი,—თასმა-კაცი. ღველკაცი, 2350,1—ბერძ. ἱμαντοπόδας—ზღაპრული ხალხი ეგვიპტეში, იხ. საკუთარი სახელები. აქედგან მაგარი კაცი, ჩვენებურად, თასმა კაცი, საკუთრივ, ფეხთასმიანი: აქედგან იტყვიან ქართულად „თასმა-კაცი“-აო—მაგარი, მოხერხებული, სწრაფი და მტრის მავნე ადამიანი. თასმისაგან წნავენ გუთნის ჭაპანს. ჭაპანი ისეთი მაგარია, რომ ხშირად გუთანი, რომელსაც 9 უღელ ხარკამეჩს უბმენ, ხელმაწნას აბრუნებს, მაგრამ ჭაპანს კი ვერას აკლებს. ამ თასმისაგან, ანუ ღველისაგან, წარმოებულია ღველ-კაცი, ან თასმა-კაცი.—მაგარი და გამძლე ადამიანი, იხ. აგრეთვე ამის შესახებ: Н. Марръ, Житіе Гр. Хандз., § 33, с. 1.

ღვლარჯნა, 645,1—გლაკნვა, ღრეკა, ტანის დახვევა (გველისაგან).

ღილი, 266,4—ფოლაქი, საკინძე.

ღირი, 1434,4 — ღირსი, შესაფერი; იხ. Н. Марръ Гр. Хандз. § 33.

ღლია, 392,1 — ტანსა და კალს შუა გადასახსენის შუა ნაწილი; [იღლია.

ღორის სახე დროშა, 2769,1.

ღრეკა, 573,2—გლაკვნა, ღვლარჭნა, კაკვა.

ღრიანკელი, 524,4—ღრიანკელი აქ ასტრონომიული თერმინია და აღნიშნავს ზოდიაქოს, რომელიც 23 ოკტომბერს მიითვალავს მზეს. საკუთრივ კი, ღრიანკელი მორიელს ნიშნავს.

ყ

ყაბაჩა, 1786,2 — სპარ. قباچه — კაბაჩა — პაწია კაბა, ქულაჯა; ყაბაჩა შემცირებითი სიტყვისაგან კაბა; ისე როგორც ბალისაგან ბალჩა. მოკლე კაბა.

ყაბახი, 1766,2—თურქ. قباق—ყაბახ—ისართა მიზანში სროლა, ბუთის მიზანში ამოღება.

ყათარი, 1561,1 და 3; 1762,3; 1855,3—არაბ.-თურქ. قطار—ყათარ—აქლემთა, ან ჯორთა ქარავანი. ხალხურს ენაში—მიწის სვრელი, ან ერთი წყება კვალი.

ყალა, 114,1; 116,1—არაბ. قلعه—ციხე-სიმაგრე.

ყალამი, 486,4—არაბ. قلم—(ბერძნ. κάλαμος) საწერლო თითახი; აქ კი სუვანში საჯდომი, მისადგმად დამზადებული.

ყალანი, 10,2—თურქ. قلان—ყალან—ბეგარა.

ყარყუმი, 1944—სპარ. قاقم—ყაყუმ—ბეწვიანი ცხოველია, ამ ცხოველის ქურქი, თეთრ-ბეწვეული. თეთრი სამოსელი.

ყაყაჩო, 2473, 2.—ლამაზი წითელი ყვავილი, ხაშხაშ.

ყბედი, 553,2—„ყბედობის“ ნაცვლად; ყბედობა, ბევრის და ტყუილის ლაპარაკი.

ყვირო-მტვირი, 1212,3; 2011,3—პაწია საყვირი.

ყირმიზი, 1162,3; 1346,2—თურქ. قرمز—ყირმიზ—წითური, წითელი.

ყოშუნი ან ყოშუმი, 501,2; 1015,3; 1188,1; 1770,3—იგივეა, რაც თურქ. قوشون—ყოშუნ—რაზმი, ლაშქარი, მეომარი, ჯარი, დასი.

ყორანი, 1319,4—დიდი და მოშორებულის შავი ფერის ფრინველი, აქედან ყორნის ფრთები, მზეთუნახავის შავი თმა—პოეტური ფიგურაა, შეად. ვეფხ. ტყ., 15,4; 900,3; 1269,2.

ყრიმული, 1769,1 — თურქ. სახელისაგან— قريم—ყირიმი—ყირიმიდან მოტანილი.

შ

შავარდენი, 677,1—სანადირო ფრინველია. მომცრო ბაზი, მომცრო მიმინო.

ჩირი, 828,3; 886,3. იგივეა, რაც იმერული ჩილი—ჭილოფებად დაჭრილი და გამხმარი ვაშლი, გინა მსხალი, ან სხვა რამე ხილი, რომელიც, სხვა ჭინახულთან ერთად, ინახება საზამთროდ.

ჩვილი, 2919,2—ახალი, ნორჩი, ქორფა.

ჩოგლათო *) 192,4—იხ. (საბას ჩოგრათო) ქართ. ყარყატის ვერცხლის, ან შუშის დიდი ჯამი ყელგადაკრეხილი, ტარივით გამეჯრილი სასმელი დარით; ჩოგრათო—ალბათ იგივეა, რაც თურქ. سغراق.

ჩული, 191,1 — თურქ. چول—ჩულ, ან جول—ჯულ—ცხენზე გადასაფარებელი; დასაფარებელი.

ჩქერა, 2411,3—საჭურველთა ახმაურება მებრძოლის მოძრაობისაგან; ან ჩქერად წამოსვლა, დენა (ცრემლის), 2518,1.

ც

ცათასწორი, 1286,3; 1827,2—მეფის ეპითეტია, აქ კი მეორე შემთხვევაში ივლიანეს აკუთნებენ მოაბადები.

ცვილი, 221,2; 2539,4; 2850,3—წმიდა სანთელი.

ცისკარი, 1115,2; 2592,3—განთიადი.

ძ

ძაღლის სახე, ნახე სასმისი, აქვე ვერსიებში.

ძოწეული, 2442,1; 2548,4—წითელი, წითური; სიტყვისაგან ძოწი, ძოწის ფერი.

ძოწი, 1320,3—წითელი ლალით: თვალი პატიოსანი. აქედგან ძო-
მრახის სახე, ლახტი, 1350, 1609,4. [წეული.

წ

წალკოტი, 242,2; 1592,2—სომხ. ծաղկոտ—წაღკოტ—ხილნარი, მცენარეთა ბაღი, ბაღი, სავარდე. იგ. მნიშვ.

წესი, 61,4—სომხ. ծէս—წეს—იგ. მნიშვ.

---

*) იხ. საქართველოს სიძველენი 3 ტ., 185 გვ. 28 და 30 სტრიქ.

წყეროსანი, 2540,1—ფაფარტი, რაინდი, მამაცი.
წითელი, 142,3; 661,3; 669,4—ოქროს ფული, ფულს ჰორლაპირ ოქროსაც უწოდებენ: შეადარე „თავსა აყრიდა წითელსა", სამიანი, 199 გვ., 1 სტრ. და ვეფხ. ტყ. 1387,4: „თავსა აყრიდეს ოქროსა, თუმცა ვეფხის ტყაოსნის ამ ადგილისთვის არსებობს მეორე ვარიანტიც: იხ. ამის შესახებ სიტყვა „ბუარი"-ს განმარტება.
წინწილა, 1874,4—სომხ. ծնծղայ—წნწღა—იგ. მნიშვნ. იხ. ვეფხ. ტყაოსნის ლექსიკ.
წინწკალი, 1530,4—ნაკვესი, ცეცხლის ჭინჭლი, ჭინჭღლი.
წნორი, 2062,1—ველური ტირიფი.
წული, 352,1—სიტყვისაგან წლვა (წლობა)—შვილი. საკუთრივ: დის, ძმის, გინა მაზლის, შვილს წულს უწოდებენ: დის წული, ძმის წული, მაზლის წული.
წყობა, 1833,2—შენება, მოწყობა, განკარგვა; მოწყეს-რიგება.

ჭ

ჭა, სპარს. چه—ჩაჰ—ჭა, საგნად გათხრილი ორმო. საწურთოილე.
ჭაბუკი, 2387,1 — სპარს. چابک—ჩაბუკ—სპარსულად იმავე ნიშნავს, რასაც ჩაუქი; ქართულში კი—ყმა, „რაინდი", — „ჭამარდი", მოყმე, ვაჟიკაცი.
ჭაგი, 2025,41—დედალი ცხენი.
ჭალა, 2579,2; 2622,2—შამბნარ-წყლიანი მინდორი, ჭაგნარი, ჩირგვნარი, გაშვებული მინდორი საბალახოდ, წყლის, გინა ტყის მახლობლად გაშენებული დიდი ვაკე.
ჭანგი, 373,2; 523,1; 2714,4—სპარს. چنگ—ჩანგ—ჭანგი, ჭვანგი.
ჭანდარი, 781,2; 1714,4—ჩინარი, ტანად ჩვენებურ ძელ-ქვასა ჰგავს, ოღონდ უფრო ფართო და ჩალის ფერი ფოთოლი აქვს.
ჭარმაგი, 1697,1; 1707,1—სპ. چرم—ჩარმ, ჩარმაგ—თეთრი, საკუთრივ იგი ნიშნავს თეთრ ცხენს, იხ. ვისრ. 145 გვ. 22 სტრ.: „აწ მტერობისა რახსისაგან გარდავკლდომილ ვარ და სი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხიშტი, 1518,3; 2669,2 — სპარს.-თურქ. خشت — ხიშტ- წვეტიანი თოფი, პირბასრი შუბი.

ხლათი, 522,4—ხიბლი, მახე, ზაკვა, ეშმაკობა.

ხოიშანი, ან ხვაიშანი, 2929,1 — სათხოვარი, შუამდგომლობა, თხოვნა.

ხომალდ-ნავი, 975,3—პაწია ხომალდი, ფელუკა.

ხოსროული, 1320,2; 2308,3 — სპარს. خسروی—ხოსრავი—(სიტყვისაგან خسرو—ხოსრო—ხოსროჲ—ცირუსი—ძლიერი ხელ-მწიფე)—მეფური, ხელმწიფური.

ხორტუმი, 2412,4— خرطوم—ხარტუმ. იგ. მნიშ. სპილოს დინგი, ანუ ჩიჩვირი.

ხოშ-გუარი, 251,4; 1174,3—სპ. خوشکواری—ხოშ გუვარი—ადვილად მოსანელებელი, საამო დასალევი ღვინო: აქედან مى خوشکواری—მეი ხოშ-გუვარი—მარგებელი ღვინო.

ხურმა, 2248,2—სპარს. خرما—ხურმა—იგ. მნიშ. ფინიკი, იმერ. ხურმა. პალმა.

ხუთ-კაზმული, 1345,3—იხ. კაზმული.

ხრამა, 851,4—სომხ. խրամ—ხრამ—ღრმა თხრილი, გადასავარდნი ღრმა ხევ-ხუვში.

ხრტიალი, 390,3—სპილოს ყვირილი.

ჰ

ჰარგა-სარაჲ, 2012,1— خرگاه سرای—ხარგა-სარაჲ — პავილიონი, სასახლე, კარავი, საკუთრივ: იხ. ხარგა ვეფხ. ტყ. ლექს. კარავი გადასახურავი ფარდაგით.

ჰაფი, 1976,1—ბრძოლის დროს ომახიანის რაინდის ხმის ჭექა, მოპირდაპირის დანახვაზე ფალავანთა მქუხარე ხმა. მოპირდაპირე ჯარის თავზარდამცემი ხმა. იხ. და შეად. ვეფხ. ტყაოსნის ლექსიკონში.

ჰემი, 649,3; 1502,2—მთის მდინარე, ან ღელე თავისი ნაპირებით, მთებში მომწყვდეული ღელე.

ჰელი, 1198,4—ტანის ნაწილი, გაარჩიე ხელისაგან.

ჰელი ერთად, 567,1; 2315,1; 1523,4—ერთად, ჰელის-ჰელ გადაბმული.

კელ-მწიფე, — შესდგება სიტყვებისაგან: კელი და მწიფე: მეფე, სკ. შემძლებელი, უფალი; საზოგადოდ კეისარი, თვით მპყრობელი მეფე.
კერჯი, 564,4; 571,4—ოსტატობა, იხილე ხერხი, 36,1.
კვიცილი, 1947,3—ხვიხვინი.
კოში, 1496,3; 2813,1; 2885,3—სომხ. կոյ, ან կոյտ—კრება, გუნდი. ვარსკვლავთა კრებული ცაზედ.
კრმალი—ხელდახელ საბრძოლველი იარაღი, მახვილი. resp. კმალი.
კრდალი, 2408,3—მშიშარა, ძაბუნი, მხდალი, ჯაბანი.
კუნდი, 1788,1—ბორკილი.

ჯ

ჯაბანი, 390,4; 493,4—არაბ. جبان—ჯაბან—მშიშარა, მხდალი, სულმოკლე, ძაბუნი.
ჯადო, —სპ. جادو—ჯადუ—გრძნეული, გრძნეულება, მარქანება.
ჯაგარ-ელვა, 2914,1—მარგალიტის მსგავსი ელვარება. [ქაჯი.
ჯავარი, 334,4; 2284,4—არაბ. جوهر—ჯავჰარ—ძვირფასი ქვა. თვალი პატიოსანი, მარგალიტი.
ჯავრი, 65,1; 437,2; 2858,4—სპ. جور—ჯავრ—იგ. მნიშ.
ჯავშანი, 97,2; 382,3; 1531,3—სპ. جوشن—ჯავშან—ჯაჭვი საკურტაკე, რკინის პერანგი, შუა ტანის საჭურველი, ტანის აბჯარი.
ჯალაბი, 887,4; 1772,4—სპარ. იხ. ვეფხ. ტყ. ლექსიკ.
ჯალადი, 1954,3—სპ. جلاد—ჯალად—ჯალათი, მტანჯველი.
ჯამა, 1539,1—სპარს. جماز—ჯამმაზ, მდედრობითი სქესი ჯამმაზა—ერთგვარის ჯიშის ერთ-კუზიანი აქლემი, განთქმული თავისი სიჩქარით.
ჯამი, 627,4; 1839,1—სპ. جام—ჯამ—ფინჯანი, თასი, სასმისი, კოთხო, თეფში. საწყაოთაც ხმარობენ: კოში.
ჯანგი, 1551,2—resp. ჟანგი,—სპარს. زنگ—ჟანგ—იგ. მნიშ.
ჯანი, 1489,3—არაბ. جن—ჯან—ღონიერი, მრთელი.
ჯანობა, 146,4—იხ. ჯანი, აქედან ჯანობა—ვაჟკაცობა, ჯომარდობა.

ახალგაზრდა მაგრამ ნახე, აბა თუ ვინმეა ამ სოფლად მარადის შერჩენიათ?!

არაბი, 1390,2—არაბ. عرب—არაბ—არაბეთის მკვიდრი, არაბის ტომი.

არდაშირ, მე-3-ე გვ.—სპ. اردشیر—სპარსეთის მეფეთა ეპითეთია და ნიშნავს ლომივით ფიცხს, ლომ-გულს. ამ სახელს ატარებდა ისფანდიარის შვილი ბაჰმან და აგრეთვე სასანიანთ პირველი მეფე სასან ბაბანის ძე და შირო-ფარვიზის ძე.

არმაგანული, 2522,3—იხ. არმაგანი.

არმაგანი, 2522,1; 2526,1—სპ. هاماوران—ჰამავარან—იმ ქვეყნის სახელწოდებაა, რომელშიაც მეფობდა ქაიქაოზის ცოლის სუდაბის მამა საკუთრივ, სირია, ანუ იემენი (ჰამავარ).

არმაელ, 55,1—სპ. ارمایل—არმაილ—ორი ღვთის კაცი—მაჰ-ნამეთი, არმელ და ქარმელ მეფის შვილები და ზაჰაქის მზარეულებია, მათ წილად ხვდა სამსახური იმ გველების, რომლებიც ამოდიოდნენ ზაჰაქის მხრებიდან. მათ უნდა მიერთმიათ გველებისთვის ორ-ორი ჭაბუკის ტვინი, მაგრამ ამ ორში ერთს ყოველთვის იდუმალ ათავისუფლებდნენ და, ამ უკანასკნელის ტვინის ნაცვლად, საჭმელში ურევდნენ-ცხვრის ტვინს. უნიჭო მელექსე ვერ მოუხერხებია ამ ადგილის გასაგებად გადმოცემა, იხ. 20 და 21 გვ. გვ. 54—55 ხაზები.

არნავაზ, 78,1—სპ. ارنواز—არნავაზ, ზოგჯერ არინოზ—ჯამშედის დის სახელია.

არჟანგ, 790,4; 2281,1—სპ. ارژنگ—არჟანგ—იმ მაზანდარელის დევის სახელია, რომელიც გარდმოცემით როსტომმა სძლია და მოჰკლა.

არჯასპ—სპ. ارجسپ—არჯასპ—თურანელი ფალავნის სახელია.

ასფერუზ, 2161,4; 2290,4; 2299,3—სპ. اسپروز—უმაღლესი მთაა სპარსეთში.

აფთი, 351,3—სპ. ابتين—აფთიან—იგივეა, რაც აფთიონ.

აფთიან, 5,3; 37,1; 104, 3—სპ. ابتين—აბთინ—ფერიდონ ჴელ-მწიფის მამა.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

აფრასიაბ, 782,1 და 2—სპ. افراسیاب—აფრასიაბ—ფეშანგის შვილი, რომელიც თურანის ფადიშაჰად იყო.

აღზვარდ, 1900,2; 1990,1—სპ. اغریرث—აღრირაზ—აფრასიაბის ძმის სახელია. იგი თვით აფრასიაბმან მოჰკლა ირანელთა მომხრეობისათვის.

აშაქ, 791,4—სპ. اشك—აშქ—ქაიანთა დინასტიის წარმომადგენელი. იგივეა, რაც აშქაშ. ირანელთა არშაკიდების დინასტიის მეფის სახელია.

აშქაშ, 42 გვ.; 126,2, მე-7-ე შენიშვნა; 432,1—სპ. اشکش აშქაშ, ან اشك—აშქ, იხ. შაჰ-ნამე, Vullers 786—328, შეად. 86,3; მე-5-ე შენიშვნა. ფალავნის სახელია.

აჯიერ, 2664,3; 2665,2—სპ. هجير—ჰაჯიერ—ქავას შვილის ყარანის შვილი, რომელიც ზორაბმა სპეტ-ციხის ძირში ზან-დას ომში შეიპყრო.

ბ

ბაამან—სპ. بهمن—სპანდიატის (ან ისფანდიარის) შვილის არდაშირის სახელია. იხ. გვ. 3, შენიშვნა მე 2-ე.

ბასთანელი, 292,2; 516,1;1253,3—სპარს. باستان—ბასთან—იხ. საზოგადო სახელები.

ბალხნი, 2564,4—ბალხელნი: ქალაქის სახელისაგან ბალხ—სპ. بلخ—ბალხ—ძველის ძველი ქალაქი ხორასანში. ბალხის მკვიდრნი. [მწიფე.

ბარამ, 814,1; 845,1—სპარ. بهرام—ბაჰრამ—ირანელთ ხელ-

ბარამან, ან ბარმან, 1913,1; 1917,1—2; 1918,1; 1931,4 და სხ.— بارمان—ბარმან—აფრასიაბის სარდლის სახელი. თურანელი სარდლის სახელი.

ბარზინ, 2077,2—სპ. برزین—ბარზინ—ირანის ბუმბერაზის და სარანგის სახელია.

ბედა, 790,4; 2278,2—სპარ. بيد—ბედ—მაზანდარელის დევის სახელია.

ბევრასფი—სპ. بیورسپ—იგივეა, რაც ირანის ზოჰაკი (ზააქი),

ბევრასპი, იხ. შაჰ-ნამე, სპარს. ტექსტი, Vullers, გვ. 28, სტრ. 8—11. ქართულის ცხოვრებით, მეფე აფრიდონ (ანუ სპ. ფერიდუნ) შეჰკრა ჯაჭვით გველთა უფალი ბევრასპი და დაბა მიუვალ მთაზე. შაჰ-ნამეშიც აგრეთვე ფერიდუნი მიაჯაჭვებს ზოჰაკს (სპ. ضحاك) დემავენდს. ბევრასპი შესდგება სიტყვებისაგან ბევრ—ბევრი, და ასპ—ცხენი: ბევრ-ასპ—ბევრ-ცხენიანი. ამნაირად ბევრ-ასპი—წმინდა არიული (სახელდობრ, ირანული) თერმინია.

ბერუქ, 432,3—სპარს. ფალავნის ქმითეთია.

ბეშბალადი, 313,3 — თათ. بش بالی — ბეშ-ბალადი—ხუთი მკლავიანი, ალბათ, რომლისამე კუთხის სახელწოდებაა. ნომენკლატურის შესწავლა, საზოგადოდ, ძნელია. შეიძლება, ეს ადგილის ქმითეთიც იყოს, მაგ. ამბალადი. მაშინ ამბალადი, ბეშბალადი უნდა ნიშნავდეს მოსახლეთვის, მჭიდროთ, ერთობილთ.

ბუდლანდარული, 375,2—სპარ. بلند —უწმინდური, ურჯულო; სპარსის დედოფლის ბალკისის სახელია. ბალკისმა, პირველ შეხვედრისთანავე, მოხიბლა სოლომონ მეფე, რომელმაც იგი ცოლად შეირთო. აქედან ბუდლანდარის, ან ბალკისის, ნატამალს „ბუდლანდარული" ეწოდება.

გ

